

ზურაბ კლიერიუვილი

**ვალდებულებითი
სამართალი**

(პრაქტიკული ამოცანები)

გამომცემლობა „მერიდიანი“

თბილისი

2002

წარმოდგენილ ნაშრომში მოცემულია პრაქტიკული ამოცანები ვალდებულებით სამართალში სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული სასემინარო-პრაქტიკული მეცადინეობების ჩასატარებლად. ამოცანების თმატური თანამიმდევრობა შეესაბამება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მესამე წიგნით გათვალისწინებული საკითხების სისტემას.

ნაშრომის მიზანია მოქმედი სამოქალაქო კანონმდებლობის უკეთ შესწავლა და მიღებული თეორიული ცოდნის საფუძველზე ყოველდღიური ცხოვრებისეული სიტუაციების პრაქტიკული სამართლებრივი გადაწყვეტა.

განკუთვნილია იურიდიული ფაკულტეტის პედაგოგებისა და სტუდენტებისათვის, ასევე აღნიშნული საკითხებით დაინტერესებული პრაქტიკოსი მუშაკებისათვის.

ნაშრომი იბეჭდება თსუ იურიდიული ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს რეკომენდაციით (ოქმი №205.10.2001 წ.).

რედაქტორი იურიდიულ მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი *რომან შენგელია*

© ზ. ძლიერიშვილი, 2002 წ.

© გამომცემლობა „მერიდიანი“. 2002 წ.

ს ა რ ჩ ე ბ ი

<i>თემა I.</i>	
ზოგადი დებულებანი ვალდებულებათა შესახებ	4-6
<i>თემა II.</i>	
ზოგადი დებულებანი ხელშეკრულების შესახებ	6-17
<i>თემა III.</i>	
ვალდებულების შესრულება	17-20
<i>თემა IV.</i>	
ვალდებულების დარღვევა	20-22
<i>თემა V.</i>	
ზიანის ანაზღაურების მოვალეობა	22-29
<i>თემა VI.</i>	
მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებები	29-45
<i>თემა VII.</i>	
ვალდებულების შეწყვეტა	46-53
<i>თემა VIII.</i>	
პირთა სიმრავლე ვალდებულებაში	54-56
<i>თემა IX.</i>	
ნასყიდობა-გაცვლა	56-83
<i>თემა X.</i>	
ჩუქება	84-98
<i>თემა XI.</i>	
ქირავნობა, იჯარა, ლიზინგი, თხოვება	98-144
<i>თემა XII.</i>	
ფრენშიზინგი	144-147
<i>თემა XIII.</i>	
სესხი	147-154
<i>თემა XIV.</i>	
გადაზიდვა-გადაყვანა. ექსპედიცია	155-162

<i>თემა XV.</i>	
ნარდობა	162-187
<i>თემა XVI.</i>	
დავალება, საკუთრების მინდობა, კომისია	187-203
<i>თემა XVII.</i>	
ჯილდოს საჯაროდ დაპირება. კონკურსი	204-208
<i>თემა XVIII.</i>	
მიბარება. მიბარება სასაქონლო საწყობში	209-214
<i>თემა XIX.</i>	
საბანკო მომსახურება	214-218
<i>თემა XX.</i>	
ერთობლივი საქმიანობა	219-224
<i>თემა XXI.</i>	
სამისდღეშო რჩენა	224-228
<i>თემა XXII.</i>	
თამაშობა. სანაძლეო	229-230
<i>თემა XXIII.</i>	
კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები	231-238
<i>თემა XXIV.</i>	
დელიქტური ვალდებულებები	239

განსაზღვრეთ, წარმოიშობა თუ არა ვალდებულება შემდეგ შემთხვევებში:

ა) 25 წლის მოქალაქე ნემსაძემ, იცავდა რა თავის 65 წლის მეზობელს ორი ხულიგნის ცემისაგან, ერთ-ერთ თავდამსხმელს დანით მიაყენა ჭრილობა მხარში, ხოლო მეორეს კი — იმავე დანით დაუზიანა ტყავის ქურთუკი.

ბ) ზღვაში რეისის შესრულებისას გემი მოჰყვა ძლიერ ქარიშხალში. კაპიტანმა ბოლქვაძემ გემის ჩაძირვისაგან გადასარჩენად გასცა ბრძანება — გადაეყარათ ზღვაში ტვირთის ნაწილი, რომელიც გემს გადაჰქონდა. გადაყრამ გადაარჩინა გემი ჩაძირვას, ასევე გარჩა ტვირთის დიდი ნაწილიცა და ეკიპაჟიც.

გ) სამკერვალო ატელიეს მკერავმა ნოზაძემ, რომელიც ასრულებდა თეატრის შეკვეთას მსახიობებისათვის ტანსაცმლის შესაკერად, შეკერა ტანსაცმელი სხვა ფორმის, ვიდრე ამას შეკვეთა ითვალისწინებდა.

დ) ივანიძემ იმ მიზნით, რომ ჩაექრო ბავშვის საძინებელ ოთახში უეცრად გაჩენილი ხანძარი, გამოიყენა სტუმრად მყოფი თავისი მეგობრის ქურჭი, რის შედეგადაც ქურჭი მნიშვნელოვნად დაზიანდა და გამოუსადეგარი გახდა.

ე) 9 წლის ბავშვმა წინ გადაურბინა სწრაფად მიმავალ ტროლეიბუსს. ტროლეიბუსი ბავშვს შეეჯახა და ამის გამო ბავშვმა მიიღო სხეულის მძიმე დაზიანება.

ვ) კილურაძემ, რომელიც აშველებდა რესტორანში ორ მოჩხუბარს, ჩამტვრია რესტორნის კედლის დიდი სარკე.

ზ) მორიგე მედლის ადგილზე არყოფნის დროს მაისურაძემ ღამით ჩამტვრია საავადმყოფოში ჩაკეტილი მინის სამედიცინო კარადა, საიდანაც გამოიღო ნიტროგლიცერინის ამპულა იმ მიზნით, რომ გადაერჩინა პალატაში თავისი მეზობელი გულის შეტევისაგან.

თ) გვიან ღამით სამსახურიდან სახლში მიმავალმა კერესელიძემ მიწისქვეშა გადასასვლელში, განათების დაზიანების გამო, მოიტეხა ფეხი.

პაზუსი №2

ნემსაძემ, კილურაძემ და ლორიამ შეიძინეს მომგებიანი ლატარიის ბილეთები (ნემსაძემ 3 ცალი, კილურაძემ – 4, ლორიამ – 5) და, ამასთან, შეთანხმდნენ იმის შესახებ, რომ ნაყიდი 12 ბილეთიდან, მიუხედავად იმისა, თუ რომელი მოიგებდა, მოგება უნდა განაწილებულიყო მათ შორის თანაბრად. ხელშეკრულება შედგენილ იქნა წერილობითი ფორმით, ხელმოწერილ იქნა სამივეს მიერ და შესანახად გადაეცა ლორიას.

ლატარიის გათამაშების შემდეგ აღმოჩნდა, რომ კილურაძის ერთმა ბილეთმა მოიგო ავტომანქანა. ნემსაძემ და ლორიამ კილურაძეს მოსთხოვეს, რომ მას გაეყიდა მოგებული ავტომანქანა და მიღებული ფულადი თანხა გაეყო სამ თანაბარ ნაწილად. მაგრამ კილურაძემ ამაზე უარი განაცხადა, გამოიყვანა მოგებული ავტომანქანა და გადაიფორმა თავის სახელზე.

ნემსაძემ და ლორიამ მიმართეს სასამართლოს. კილურაძე არ დაეთანხმა სასარჩელო მოთხოვნას და სასამართლოს თავის ახსნა-განმარტებაში განუცხადა, რომ დადებული ხელშეკრულება ლატარიის ბილეთების შესახებ საერთოდ არ არის გათვალისწინებული მოქმედი კანონმდებლობით და ამიტომაც არ წარმოშობს არავითარ ვალდებულებით ურთიერთობებს.

მართებულია თუ არა კილურაძის პასუხი?

პაზუსი №3

არჩილ ზორბალაძეს დიდი ხნის განმავლობაში სურდა, რომ დაექირავებინა მანქანის ავტოფარეხი. არჩილმა შეიტყო, რომ საზღვარგარეთ მივლინებაში გამგზავრებასთან დაკავშირებით პეტრე სამსონიძე აქირავებდა ავტოფარეხს 2 წლის ვადით. არჩილი დაუყოვნებლივ შეხვდა პეტრეს და მათ მოილაპარაკეს, რომ არჩილი სამი

დღის შემდეგ დააყენებდა თავის ავტომანქანას პეტრეს ავტოფარეხში, ხოლო ქირის ოდენობაზე კი ისინი შემდგომში შეთანხმდებოდნენ. არჩილი დასთანხმდა ამ პირობაზე.

სამი დღის შემდეგ პეტრემ დაურეკა არჩილს და შეატყობინა, რომ ვითარების შეცვლის გამო იგი ავტოფარეხს აღარ აქირავებდა, რადგან იგი მის ძმას სჭირდებოდა. არჩილმა მიმართა სასამართლოს სარჩელით და მოითხოვა პეტრესაგან ნაკისრი ვალდებულების შესრულება იმ საფუძველით, რომ მათ შორის ხელშეკრულება დადებულ იქნა.

მართებულია თუ არა არჩილ ხორბალაძის მოთხოვნა? პასუხი დაასაბუთოთ.

კ ა ზ უ ს ი № 4

შ.პ.ს. „მშენებელმა“ დაცვის სპეციალიზებულ სამსახურთან დადო მიზარების ხელშეკრულება და შესანახად გადასცა სამშენებლო მასალების საწყობი. სულ მალე მოხდა საწყობის გაქურდვა, საიდანაც დაიკარგა 10 000 ლარის სამშენებლო მასალები. გამოძიებით დადგინდა, რომ გაქურდვის მომენტში ადგილზე არ იმყოფებოდნენ დაცვის თანამშრომლები, რომლებსაც თვითნებურად ჰქონდათ დატოვებული სამორიგეო ადგილი.

გამოძიების პროცესში ასევე დადგინდა, რომ ქურდობა ჩაიდინეს პეტრიაშვილმა, ლომჯარიამ და ქობულაძემ, რომლებიც განაცხადობდნენ იქნა მოპარული სამშენებლო მასალები 7500 ლარის ოდენობით.

განსაზღვრეთ, როგორი სახის ვალდებულებები, ვის შორისა და რა იურიდიული ფაქტების საფუძველზე წარმოიშვა და ვინ უნდა ანაზღაუროს ქურდობის შედეგად მიყენებული ზიანი?

პასუხი №5

კოტარია შეუთანხმდა თავის სკოლის მეგობარს კვარაცხელიას, რომელიც იყო სახელგანთქმული პოეტი, რომ იგი მოიწვევდა სახლში მეგობრებსა და ნაცნობებს, სადაც მათ კვარაცხელია წაუკითხავდა თავის ახალ, ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელ ლექსებს.

ამასთან, როცა შეთანხმებულ დროს სტუმრები შეიკრიბნენ, კოტარიას დაურეკა კვარაცხელიამ, კიდევ ერთხელ მოუხადა დიდი მადლობა მიწვევისათვის, მაგრამ შეატყობინა, რომ ვერ მივიდოდა, რადგან თავს ცუდად გრძნობდა.

კოტარია თვლის, რომ კვარაცხელიამ მას უნდა აუნაზღაუროს ის მატერიალური ზიანი, რომელიც მან გასწია არშემდგარი შეხვედრის ჩასატარებლად.

მართებულია თუ არა კოტარიას მოთხოვნა? პასუხი დაასაბუთეთ.

პასუხი №6

მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში მყოფმა სოფელში მცხოვრებმა რევაზიშვილმა გადაწყვიტა დაეკლა თავისი ძროხა და ორი ცხვარი და გაეყიდა თბილისის ცენტრალურ ბაზარში. რევაზიშვილმა წერილობით მიმართა ბაზრის ადმინისტრაციას, სადაც სთხოვდა მათ, რომ შეეტყობინებინათ შეძლებდნენ თუ არა მისთვის სამი სული პირუტყვის შესანახ ადგილს მაცივრებში და როდისთვის. წერილზე რევაზიშვილმა ბაზრის ადმინისტრაციისაგან მიიღო დეპეშა, სადაც ეწერა მხოლოდ ერთი სიტყვა — „ჩამობრძანდით“. დეპეშის მიღებისთანავე რევაზიშვილმა დაკლა საქონელი და ჩაიტანა ხორცი თბილისის ცენტრალურ ბაზარში, მაგრამ, რადგან მაცივარში ადგილი არ იყო და თანაც ძალიან ცხელოდა, იგი იძულებული გახდა გაეყიდა ხორცი ერთ დღეში იმაზე დაბალ ფასად, ვიდრე ხორცის საშუალო ფასი იყო.

რევაზიშვილმა სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა ბაზრის ადმინისტრაციისაგან ზიანის ანაზღაურება ანუ იმ სხვაობის ანაზღაურება, რომელიც წარმოიშვა მის მიერ ხორცის ნაკლებ ფასად გაყიდვასა და ხორცის საშუალო ფასებს შორის.

ექვემდებარება თუ არა რევაზიშვილის მოთხოვნა დაკმაყოფილებას? ხომ არ შეიცვლებოდა პასუხი იმ შემთხვევაში, თუკი ბაზრის ადმინისტრაციის მიერ გაგზავნილ დეპეშაში ეწერებოდა: „ჩამობრძანდით რაც შეიძლება მალე“.

პ ა ზ უ ს ი № 7

1999 წლის 5 მარტს მჭედლიშვილმა შ.პ.ს. „ფრინველთან“ დადო ხელშეკრულება ქათმის წიწილების გაზრდის შესახებ. ხელშეკრულებით შ.პ.ს. „ფრინველი“ მჭედლიშვილს გასაზრდელად გადასცემდა 5000 ცალ ქათმის წიწილასა და სამი თვის სამყოფ საჭმელს და ვალდებულებას კისრულობდა ჩაებარებინა გაზრდილი ქათმები 1999 წლის 5 დეკემბერს, ასევე აენაზღაურებინა მჭედლიშვილისათვის გაწეული ხარჯები. თუმცა კი შ.პ.ს.-მ ხელშეკრულების პირობები ნაწილობრივ შეასრულა. მან გადასცა მჭედლიშვილს 5000 ცალი ქათმის წიწილა, მაგრამ შემდეგ კი უარი განაცხადა გაზრდილი ქათმების შესყიდვაზე.

მჭედლიშვილმა მოახერხა მხოლოდ 1000 ცალი ქათმის რეალიზაცია, დანარჩენები კი დაიხოცნენ სიცივისაგან. მჭედლიშვილმა მიმართა სასამართლოს სარჩელით ზიანის ანაზღაურების შესახებ, რომლითაც იგი მოითხოვდა შ.პ.ს. „ფრინველისაგან“ წიწილების გაზრდაზე გაწეული ხარჯების ანაზღაურებას.

სასამართლომ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარი განაცხადა იმ მოტივით, რომ ხელშეკრულება დადებულ არ იქნა წერილობითი ფორმით, რის გამოც შეუძლებელია დადგინდეს ხელშეკრულების ისეთი არსებითი პირობები, როგორცაა მისი დადების დრო, მხარეთა

უფლება-მოვალეობები, ქონებრივი პასუხისმგებლობის დადგომის საფუძველები და ა.შ.

სწორია თუ არა სასამართლოს გადაწყვეტილება?

კ ა ზ უ ს ს ი № 8

კოოპერატივ „ხორცის პროდუქტების“ ფილიალმა დადო ხელშეკრულება ინდივიდუალურ მეწარმე რაზმაძესთან 2 ტონა ღორის ხორცის შესყიდვის შესახებ. ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს ფილიალის დირექტორმა ხუბულურმა და რაზმაძემ.

ღორის ხორცი რაზმაძის მიერ მიტანილ იქნა ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში და შეთანხმებული ოდენობით, მაგრამ ფილიალმა ვერ შეძლო ხორცის ღირებულების გადახდა ვერც მაშინვე, როგორც ეს ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული და ვერც მოგვიანებით. ფილიალის ხელმძღვანელობამ თანხის გადაუხდელობა ახსნა იმ მოტივით, რომ მათ მიერ შეძენილ იქნა საძეხვე საამქროს ძვირადღირებული დეფიციტური ხაზები და ამიტომ აღარ გააჩნია ფულადი სახსრები, ხოლო ხორცის ღირებულებას კი გადაიხდიდა ერთი თვის შემდეგ, თუმცა კი ვერ შეძლო ამ პირობის შესრულება.

ჰქონდა თუ არა იურიდიული პირის ფილიალს უფლება დაედო ასეთი ხელშეკრულება და არის თუ არა იმის საფუძველი, რომ ხელშეკრულება ცნობილ იქნეს ბათილად?

ვის მიმართ უნდა იქნეს სარჩელი შეტანილი?

კავსნი №9

შ.პ.ს. „მედიცინამ“ დადო შ.პ.ს. „ფარმაცეპთან“ სამედიცინო მოწყობილობების ნასყიდობის ხელშეკრულება. ხელშეკრულება შედგენილ იქნა ერთიანი დოკუმენტის სახით. მყიდველმა ხელშეკრულების ტექსტს დაუსვა თავისი ბეჭედი ხელმოწერის გარეშე, რაც გამყიდველმა ვერ აღმოაჩინა. მხარეები თავდაპირველად ჯეროვნად ასრულებდნენ ხელშეკრულებიდან გამომდინარე თავიანთ ვალდებულებებს, მაგრამ შემდგომში მყიდველმა აღარ გადაიხადა ნაყიდი მოწყობილობების ნაწილის საფასური და გამყიდველის არაერთგზის მოთხოვნის მიუხედავად, მაინც არ დაფარა წარმოქმნილი დავალიანება.

ხელშეკრულების ტექსტში გათვალისწინებული იყო პირგასამტეხლო პროდუქციის ღირებულების გადახდის ვადის გადაცილებებისათვის. ამ საფუძველით გამყიდველმა მიმართა სარჩელით სასამართლოს და მოითხოვა მყიდველისაგან პირგასამტეხლოს გადახდა. მყიდველმა ამ მოთხოვნაზე უარი განაცხადა იმ საფუძველით, რომ ხელშეკრულება ჩემ მიერ ხელმოწერილი არ არის და, მაშასადამე, დადებულადაც არ ითვლებაო.

ითვლება თუ არა მხარეთა შორის ნასყიდობის ხელშეკრულება დადებულად?

კავსნი №10

ცნობილი მწერლის მუზეუმს, რომელიც მდებარეობდა სხვა ქალაქში, 2000 წლის 10 აპრილს კავსაძემ გაუგზავნა წერილი, სადაც იგი მუზეუმს სთავაზობდა, რომ სურდა გაეყიდა ამ მწერლის პირადი ნივთები, რომლებიც მას მემკვიდრეობით ერგო, ამასთან, კავსაძემ წერილში მიუთითა თავისი მისამართი, თითოეული გასაყიდი ნივთის ღირებულება და პასუხის შეტყობინების უკანასკნელი ვადა – 2000 წლის 28 აპრილი. 2000 წლის 20 აპრილს კავსაძემ მუზეუმს

გაუგზავნა მეორე წერილი, სადაც მიუთითებდა, რომ გადაიფიქრა მწერლის ნივთების გაყიდვა. 2000 წლის 21 აპრილს კავსაძეს სახლში ესტუმრა მუზეუმის წარმომადგენელი შეთავაზებული ნივთების შესაძენად. კავსაძემ მუზეუმის წარმომადგენელს განუცხადა, რომ გადაიფიქრა ნივთების გაყიდვა და ამის შესახებ შეატყობინა კიდეცა მუზეუმს. მუზეუმის წარმომადგენელმა მოითხოვა მგზავრობის ხარჯების, სასტუმროსა და კვების ხარჯების, ასევე მორალური ზიანის ანაზღაურება კავსაძისაგან.

წარმოიშვა თუ არა ვალდებულება კავსაძესა და მუზეუმს შორის? ექვემდებარება თუ არა მუზეუმის წარმომადგენლის მოთხოვნები დაკმაყოფილებას?

კ ა ზ უ ს ი №11

მალაზია „ბავშვთა სამყარომ“ სამკერვალო ფაბრიკა „იმედთან“ დადო ნარდობის ხელშეკრულება 2000 წყვილი საბავშვო საზაფხულო ფეხსაცმლის შეკერვის შესახებ. ხელშეკრულებით ფეხსაცმელი უნდა შეკერილიყო 2000 წლის 10 მაისისათვის. მაგრამ 2000 წლის 30 აპრილს ფაბრიკაში გაჩნდა ხანძარი, რის შედეგადაც მთლიანად დაიწვა სამკერვალო საამქრო და მზა პროდუქციის საწყობი. იმასთან დაკავშირებით, რომ მალაზიამ დათქმულ ვადაში ვერ მიიღო სეზონური საქონელი, მან განიცადა ზიანი.

აგებს თუ არა პასუხს სამკერვალო ფაბრიკა მალაზიის წინაშე ვალდებულების შეუსრულებლობისათვის?

ზიანის ანაზღაურება არის თუ არა იმის საფუძველი, რომ გავათავისუფლოთ სამკერვალო ფაბრიკა მალაზიისათვის მოგვიანებით ფეხსაცმლის მიწოდებისაგან?

კაზუსი №12

კინოსტუდია „მხატვრულმა ფილმმა“ შეუკვეთა ცნობილ სცენარისტს ა-ს ორსერიანი კომედიური ფილმის კინოსცენარი. საავტორო ხელშეკრულებაში მითითებული იყო, რომ სცენარი წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო 2000 წლის 10 ნოემბრისათვის; ასევე განსაზღვრული იყო საავტორო ჰონორარი. 1999 წლის 5 დეკემბერს ა-მ კინოსტუდიას წარუდგინა ფილმის პირველი ნახევრის სცენარი და მოითხოვა ხელშეკრულებით გათვალისწინებული გასამრჯელოს ნახევრის გადახდა. კინოსტუდიამ სცენარის მიღებასა და ანაზღაურებაზე უარი განაცხადა იმ მოტივით, რომ სამუშაოს ნახევრის შესრულება არ იძლეოდა სწორ წარმოდგენას მთლიან კინოსცენარზე.

მართლზომიერია თუ არა კინოსტუდიის უარი კინოსცენარის ნაწილ-ნაწილ მიღების შესახებ?

აქვს თუ არა ა-ს უფლება მოითხოვოს გასამრჯელო კინოსცენარის ხელშეკრულებაში მითითებულ ვადაზე ადრე წარდგენის შემთხვევაში?

კაზუსი №13

ჯოხაძემ სარეკლამო გაზეთში წაიკითხა განცხადება, რომ იყიდება სტომატოლოგიური კაბინეტი 1000 ლარად. მან განცხადებაში მითითებულ ტელეფონზე ღარეკვის შედეგად შეიტყო, რომ სტომატოლოგიურ კაბინეტს ყიდდა შელია, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი გადაწყდებოდა მისი სხვა ქალაქში სამუშაოდ გადაყვანის საკითხი. ჯოხაძე შეუთანხმდა შელიას, რომ ესტუმრებოდა სახლში და ადგილზე დაათვალიერებდა სტომატოლოგიურ კაბინეტს. შეთანხმების თანახმად ჯოხაძე ესტუმრა შელიას სახლში, დაათვალიერა სტომატოლოგიური კაბინეტი, მოეწონა და გამოთქვა თანხმო-

ბა ეყიდა იგი განცხადებაში მითითებულ ფასად ანუ 1000 ლარად. მაგრამ შელიამ უარი განაცხადა 1000 ლარად კაბინეტის გაყიდვაზე და მოითხოვა 1500 ლარი, რადგან სხვაგან ასეთივე კაბინეტი 1500 ლარი ღირდა. ჯოხაძემ კი მოითხოვა სტომატოლოგიური კაბინეტის მისთვის მიყიდვა 1000 ლარად და დაუბარა შელიას, რომ ესტუმრებოდა ხუთი დღის შემდეგ, მიუტანდა თანხას და წაიღებდა სტომატოლოგიურ კაბინეტს. ამის შემდეგ, მეორე დღეს გადაწყდა შელიას სამუშაოდ სხვა ქალაქში გადასვლის საკითხი. შელიამ ამ ამბის შეტყობინებისთანავე გაუგზავნა დეპეშა ჯოხაძეს, სადაც მან გამოთქვა თანხმობა, რომ გაეყიდა სტომატოლოგიური კაბინეტი 1000 ლარად და ჯოხაძეს პასუხისათვის ორდღიანი ვადა მისცა. ამასთან, მოხდა ისე, რომ საფოსტო განყოფილების მიერ ჯოხაძეს დეპეშა გადაეცა მესამე დღეს ანუ დეპეშაში მითითებული პასუხის გაცემის ორდღიანი ვადის გასვლის შემდეგ. შელიამ, დათქმულ ვადაში ვერ მიიღო ჯოხაძისაგან პასუხი, ამიტომაც დეპეშის გაგზავნიდან მესამე დღეს სტომატოლოგიური კაბინეტი მიჰყიდა ხორბალაძეს. ამასთან, ხორბალაძე შელიას შეუთანხმდა, რომ კაბინეტს წაიღებდა ორი დღის შემდეგ. როდესაც ხორბალაძე შეთანხმებულ დროს მივიდა შელიასთან კაბინეტის წასაღებად, ამ დროს მოვიდა ასევე ჯოხაძეც, რომელიც თვლიდა, რომ სტომატოლოგიური კაბინეტი ეკუთვნის მას და არა ხორბალაძეს, რამეთუ ხელშეკრულება პირველად მასთან დაიდო.

როგორ გადავწყვიტოთ დავა?

პაზუსი №14

ლაშამ და სოფიკომ 1999 წლის 10 აპრილს კანონით დადგენილი ფორმით დადეს საქორწინო ხელშეკრულება, რომლითაც განსაზღვრეს საერთო ქონებით ქორწინების განმავლობაში სარგებლობის წესი. ხელშეკრულების თანახმად, მთელი ის ქონება, რომელიც შეძენილი იქნებოდა ერთად ცხოვრების პერიოდში ქორწინების შეწყვეტის მომენტამდე, არ ექვემდებარებოდა გაყოფას და გადაეცემოდა საკუთრებაში სოფიკოს, ხოლო ლაშა კი მიიღებდა ბანკში არსებულ ფულად ანაბარს 20000 ლარის ოდენობით. 2000 წლის 5 ოქტომბერს ლაშამ მიმართა სარჩელით სასამართლოს განქორწინების შესახებ და ასევე მის მიერ დადებული საქორწინო ხელშეკრულების ბათილად ცნობის შესახებ იმ ნაწილში, სადაც განსაზღვრული იყო განქორწინების შემთხვევაში მის მიერ მისაღები თანხის ოდენობა. თავის ამ მოთხოვნას ლაშა იმით ასაბუთებდა, რომ ქორწინების პერიოდში მან შეიძინა მომგებიანი ლატარიის ბილეთი, რომელსაც შეხვდა მოგება 50 000 ლარის ოდენობით, რაც ბევრად აღემატება საქორწინო ხელშეკრულებით განსაზღვრულ მის კუთვნილ თანხას და მოითხოვდა მოგებული თანხის შუაზე გაყოფა.

რა გადაწყვეტილება უნდა მიიღოს სასამართლომ?

პაზუსი №15

დავით ნიკურაძემ მემკვიდრეობით მიიღო თავისი პაპის ქონება. დავითის პაპა იყო სახელგანთქმული მწერალი. სამკვიდრო ქონებაში შედიოდა გარდაცვლილი მწერლის პირადი მიმოწერა და პირადი მოხმარების საგნები. ლიტერატურული ინსტიტუტის ასპირანტ თენგიზ ბექაურთან საუბარში დავითმა აღნიშნა, რომ სურდა გაეყიდა მემკვიდრეობით მიღებული თავისი პაპის პირადი მიმოწერა (წერილე-

ბი, დეპეშები და ა.შ.). თენგიზ ბექაური, რომელიც მუშაობდა სადისერტაციო ნაშრომზე, რომლის თემაც იყო გარდაცვლილი მწერლის შემოქმედება, დაუყოვნებლივ დასთანხმდა დავითს, რომ შეიძენდა წერილებს. მხარეები შეთანხმდნენ წერილების ფასზე, ამასთან, დავითმა თენგიზს შესთავაზა, რომ ხელშეკრულება გაეფორმებინათ სანოტარო წესით. თენგიზი დასთანხმდა ამ წინადადებას და მხარეებმა წერილობით შეადგინეს და ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას, ამასთან, შეთანხმდნენ, რომ ხელშეკრულებას სანოტარო წესით დაადასტურებდნენ ორი დღის შემდეგ.

მეორე დღესვე თენგიზი მივიდა დავითთან, მიუტანა შეთანხმებული საზღაური და მოითხოვა მწერლის წერილების გადაცემა. დავითმა ამ მოთხოვნაზე უარით უპასუხა და თენგიზს განუცხადა, რომ საერთოდ გადაიფიქრა პაპის წერილების გაყიდვა, ამასთან, ესეც რომ არ იყოს, ხელშეკრულება არ შეიძლება ჩაითვალოს დადებულად, რადგან არ იქნა დადასტურებული სანოტარო წესით.

ჩათვალა რა დავითის მოქმედება მართლსაწინააღმდეგოდ (არამართლზომიერად), თენგიზმა მიმართა სარჩელით სასამართლოს და მოითხოვა დავითისაგან წერილების იძულებით გადაცემა, რადგან მათ შორის დადებული ხელშეკრულების ნამდვილობისთვის კანონით არ იყო გათვალისწინებული სანოტარო ფორმა და თანაც მან ხელშეკრულება უკვე ნაწილობრივ შეასრულა, რაც იმაში გამოიხატა, რომ იგი მივიდა წერილების წამოსაღებად და მიუტანა შეთანხმებული ფულადი თანხა.

რა გადაწყვეტილება უნდა მიიღოს სასამართლომ?

კაზუსი №16

ინდივიდუალური მეწარმე ყიფშიძე თავის მუდმივ მყიდველებზე ყიდდა ნატურალურ თხის რძეს მყიდველებისათვის სახლში მიტანით. მას ხშირად ჰქონდა თავის კლიენტებთან კონფლიქტი რძის ცვალებად ფასთან დაკავშირებით, ხანაც კი იმის გამო, რომ რძის მიტანისას მყიდველები სახლში არ იყვნენ. ყიფშიძემ შეადგინა რძის მყიდველებთან ხელშეკრულების სტანდარტული ტექსტი, სადაც მითითებული იყო, თუ რა პირობების დადგომისას შეიძლებოდა რძის გასაყიდი ფასის შეცვლა, ასევე დადგინდა მყიდველების მკაცრი პასუხისმგებლობა იმ შემთხვევაში, თუკი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დროს რძის მიტანისას არ იქნებოდნენ სახლში. ყიფშიძემ თითოეულ მუდმივ მყიდველს მოაწერინა ხელი ხელშეკრულებაზე. მყიდველები ხელმოწერის შემდეგ მალე მიხვდნენ, რომ ხელშეკრულების პირობები მათთვის მიუღებელია, მაგრამ არც ხელშეკრულების შეწყვეტა სურდათ, რამეთუ მათ თხის რძის მიღება ექიმისაგან ჰქონდათ დანიშნული.

ჰქონდა თუ არა ყიფშიძეს ასეთი ხელშეკრულების დადების უფლება?

აქვთ თუ არა მყიდველებს უფლება მოითხოვონ ხელშეკრულების პირობების შეცვლა?

კაზუსი №17

დალი ხვედელიძემ სამკერვალო ატელიეს შეუკვეთა კაბის შეკერვა ატელიეს მასალით და წინასწარ გადაიხადა შეკვეთილი კაბის საფასური. კაბის შეკერვის პროცესში ატელიემ დალი ხვედელიძეს მოსთხოვა თანხის დამატება იმ მოტივით, რომ გაიზარდა კაბის შესაკერი მასალის ღირებულება, ამიტომაც გაიზარდა ხარჯებიც. დალი ხვედელიძემ უარი განაცხადა ზედმეტი თანხის გადახდაზე და

მიმართა სარჩელით სასამართლოს მოპასუხის (ანუ სამკერვალო ატელიეს) მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულებისა და მორალური ზიანის გადახდის დაკისრების შესახებ.

რა გადაწყვეტილება უნდა მიიღოს სასამართლომ?

კ ა ზ უ ს ს ი № 18

გია აბესაძემ ზურა გუჯაბიძისაგან შეიძინა ველოსიპედი 500 ლარად იმ პირობით, რომ თანხას გადაუხდიდა 2 თვის შემდეგ, რის შესახებაც ზურას მისცა ხელწერილი. თანხის გადახდის ვადის დადგომამდე ორი კვირით ადრე ზურამ გიას შეატყობინა, რომ მან თანხის მოთხოვნის უფლება დაუთმო ირაკლი სიხარულიძეს. გია აბესაძე არ დაეთანხმა ზურას მხრიდან ირაკლისათვის მოთხოვნის უფლების დათმობას და გადახდის ვადის დადგომამდე ორი დღით ადრე თავისი ნაცნობის მეშვეობით თანხა გადაუხადა ზურას. ზურა თანხის მიღების შემდეგ საცხოვრებლად გადავიდა სხვა ქალაქში და მისი მისამართი უცნობია. დადგა თანხის გადახდის ვადა და ირაკლი სიხარულიძემ გიას მოსთხოვა თანხის გადახდა.

როგორ გადაწყვიტოთ დავა?

კ ა ზ უ ს ს ი № 19

რუსაძემ და ხარაბაძემ დადეს სესხის ხელშეკრულება, რომლითაც ხარაბაძემ იკისრა ვალდებულება დაებრუნებინა რუსაძისათვის სესხად აღებული 3000 ლარი 2000 წლის 1 მარტს. 2000 წლის 15 თებერვალს რუსაძე საცხოვრებლად გადავიდა სხვა ქალაქში. თავისი ახალი საცხოვრებელი ადგილის მისამართი რუსაძემ ხარაბაძეს შეატყობინა 2000 წლის 28 თებერვალს. ხარაბაძემ, რომ არ გადაეცილებინა ვალის გადახდის ვადას და არ დარიცხულიყო სესხ-

ად აღებულ თანხაზე ვადის გადაცილებისათვის კანონით დადგენილი პროცენტი, ამიტომ იმავე დღეს, ანუ 28 თებერვალს ფოსტით გაუგზავნა რუსაძეს სესხად აღებული თანხა. ხარაბაძემ თანხის გადარიცხვის ხარჯები გამოქვითა სესხის თანხიდან.

ქქონდა თუ არა ხარაბაძეს ამის უფლება?

კ ა ზ უ ს ი №20

გიორგაძემ ქიმწმენდის კომბინატში გასაწმენდად ჩააბარა ორი პიჯაკი, რომელთა ღირებულებაც იყო 300 ლარი. კომბინატმა პიჯაკები გაწმინდა შეთანხმებულ ორდლიან ვადაში, ხოლო გიორგაძე კი პიჯაკების წასაღებად გამოცხადდა მხოლოდ მეექვსე დღეს, ანუ შეთანხმებული ვადის გასვლიდან ოთხი დღის შემდეგ, რადგან ფიქრობდა, რომ პიჯაკები თავის დროზე არ იქნებოდა გაწმენდილი. ამასთან, წინა დღით კომბინატიდან მოპარულ იქნა ნივთები და მათ შორის გიორგაძის ორივე პიჯაკი. კომბინატმა გიორგაძეს უარი განუცხადა მოპარული პიჯაკების ღირებულების ანაზღაურებაზე იმ საფუძველით, რომ გიორგაძემ გადააცილა წაღების ვადას, გარდა ამისა, დადგინდა, რომ ნივთების დაკარგვაში კომბინატს ბრალი არ მიუძღოდა. გიორგაძემ მიმართა სარჩელით სასამართლოს და მოითხოვა კომბინატისაგან დაკარგული პიჯაკების ღირებულების ანუ 300 ლარის ანაზღაურება.

როგორი გადაწყვეტილება უნდა მიიღოს სასამართლომ?

კაზუსი №21

ღვინიაშვილმა შარაშიძისაგან 2000 წლის 1 მაისს 1000 ლარად შეიძინა როიალი. მან თანხა გადაიხადა იმავე დღეს. შარაშიძემ ღვინიაშვილს მისცა ხელწერილი თანხის მიღების შესახებ. მხარეები შეთანხმდნენ, რომ ღვინიაშვილი როიალს წაიღებდა 5 დღეში. 6 მაისს ღვინიაშვილი ესტუმრა შარაშიძეს და მოსთხოვა როიალის გადაცემა, მაგრამ შარაშიძემ ამაზე უარი განუცხადა და შესთავაზა ღვინიაშვილს უკან 1000 ლარის დაბრუნება და თანაც განუცხადა, რადგან 5 მაისს გავიდა როიალის წაღების შეთანხმებული ვადა, ამიტომ მან როიალი მიჰყიდა ნემსაძეს 1200 ლარად, რომელმაც იგი უნდა წაიღოს 7 მაისს.

ქონდა თუ არა შარაშიძეს უფლება გაეყიდა როიალი?

მართლზომიერია თუ არა შარაშიძის უარი, გადასცეს ღვინიაშვილს როიალი?

კაზუსი №22

თენგიზ ბექაურმა გივი ადამიასაგან 1999 წლის 1 სექტემბერს ისესხა 5000 ლარი ექვსი თვის ვადით. ხელშეკრულებაში მითითებულ იქნა, რომ დადგენილ ვადაში ვალის დაუბრუნებლობის შემთხვევაში ბექაური ადამიას დამატებით გადაუხდიდა 1000 ლარს. 2000 წლის 28 თებერვალს ადამია სასწრაფოდ გაემგზავრა საზღვარგარეთ სამსახურებრივ მივლინებაში, საიდანაც დაბრუნდა 2000 წლის 1 აპრილს. ადამიამ ჩათვალა, რომ ვალი არ იქნა დაბრუნებული თავისდროულად, ამიტომ მოითხოვა ბექაურისაგან დამატებით 1000 ლარის დაბრუნება, ასევე ფულადი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებისათვის კანონით დადგენილი პროცენტების გადახდა. თენგიზ ბექაურმა თანხმობა განაცხადა 5000 ლარის დაბრუნებაზე, მაგრამ უარი განაცხადა 1000 ლარისა და დამატებითი

პროცენტების გადახდაზე იმ საფუძველით, რომ ვადის გადაცილება მოხდა კრედიტორის ბრალით, რომელიც არ იმყოფებოდა თავის საცხოვრებელ ადგილას ვალის გადახდის ვადის დადგომის მომენტში. ადამიამ მიმართა სარჩელით სასამართლოს.

როგორ გადაეწყვიტოთ ღვა?

კაზუსი №23

სამმა მეზობელმა – გაენიძემ, ბექაიამ და ივანიძემ, რომლებიც იმყოფებოდნენ ალკოჰოლური სასმელის ზემოქმედების ქვეშ. ჩაიდინეს ზულიგნური საქციელი მოქალაქე გოგელიას სახლის ეზოში. კერძოდ, მათ დაამტვრიეს გოგელიას ავტომანქანა, ასევე ეშუქრებოდნენ მას ფიზიკური ანგარიშსწორებითა და სახლის დაწვით. ორი დღის შემდეგ მათ გოგელიასა და მის 5 წლის ბავშვს გზაზე შემოარტყეს ალყა და ბავშვს დაუწყეს ცემა. გოგელიამ გააფრთხილა ისინი, რომ შეეწყვიტათ ძალადობა, წინააღმდეგ შემთხვევაში გამოიყენებდა იარაღს. გაფრთხილების მიუხედავად მოძალადეებმა არ შეწყვიტეს მართლსაწინააღმდეგო ქმედება, გოგელიამ გაისროლა იარაღი, რომლის ტარების ნებართვაც ჰქონდა, რასაც თან მოჰყვა ერთ-ერთი მოძალადის – ბექაიას სიცოცხლის მოსპობა.

ბექაიას მშობლებმა მიმართეს სასამართლოს სარჩელით და მოითხოვეს გოგელიასაგან შვილის გარდაცვალების გამო მიყენებული მორალური ზიანის, ასევე დაკრძალვისა და საფლავის ხარჯების ანაზღაურება.

ექვემდებარება თუ არა სარჩელი დაკმაყოფილებას და არსებობს თუ არა გოგელიას სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძველი?

ლამის 12 საათზე დავით ზარნაძეს ავტომანქანა „მერსედესის“ უკანა მარჯვენა ბორბალი ჩაუვარდა ორმოში, რომელიც გაჩნდა გზის შეკეთების გამო. ამის შედეგად ავტომანქანა სიჩქარით შემობრუნდა, ავარდა ტროტუარზე და შეეჯახა ლამპიონის ბოძს. შეეჯახების შედეგად დავითმა მიიღო სხეულის დაზიანება, ხოლო ავტომანქანა კი ძლიერ დაზიანდა. გამოჯანმრთელების შემდეგ დავითმა მიმართა სარჩელით სასამართლოს და მოითხოვა საგზაო-სამონტაჟო სამმართველოსაგან, რომელიც ავარიის დღეს შემთხვევის ადგილზე აწარმოებდა სარემონტო სამუშაოებს, მატერიალური (მკურნალობის, მანქანის შეკეთებისა და ადვოკატის მომსახურების ხარჯები) და მორალური ზიანის ანაზღაურება.

საქმის განხილვისას დადგინდა, რომ გზის სარემონტო ნაწილი დატოვებული იყო ყოველგვარი გამაფრთხილებელი ნიშნის გარეშე და არ იყო შემოღობილი.

დავით ზარნაძის მოთხოვნაზე საგზაო-სარემონტო სამმართველოს წარმომადგენელმა განაცხადა:

ა) გამაფრთხილებელი ნიშნისა და შემოღობვის არარსებობა მოხდა მუშების – პეტრიაშვილისა და თავაძის ბრალით, ხოლო სარემონტო სამუშაოები კი მიმდინარეობდა დამტკიცებული განრიგის მიხედვით ყოველგვარი დარღვევების გარეშე;

ბ) ავტომანქანის შეკეთების ხარჯები უნდა განისაზღვროს ფაქტობრივად გაწეული ხარჯების მიხედვით და არა მიუღებელი შემოსავლის სახითაც;

გ) ზარნაძის ჯანმრთელობისათვის მიყენებული დაზიანება მხედველობაში არ უნდა იქნეს მიღებული, რამეთუ მკურნალობის შემდეგ იგი სრულად განიკურნა;

დ) ზარნაძეს ადვოკატისათვის გადასახდელი ხარჯები არ სჭირდება, რადგან იგი თვითონ არის კვალიფიციური იურისტი;

ე) მორალური ზიანის ანაზღაურებაზე საუბარიც კი ზედმეტია, რამეთუ არ არსებობს მისი ანაზღაურების სამართლებრივი საფუძვლები.

როგორი გადაწყვეტილება უნდა მიიღოს სასამართლომ?

საქართველოში სტუმრად მყოფი გერმანიის მოქალაქე ჰელმუტ კრუგი საკუთარი ავტომანქანით გაემგზავრა კახეთში ისტორიული ძეგლების დასათვალიერებლად თავის მეგობარ ლევან ხომერიკთან ერთად. თბილისიდან გასვლის შემდეგ ჰელმუტმა საჭესთან დასვა ლევანი, რომელსაც არ ჰქონდა მართვის მოწმობა, ხოლო თვითონ კი გადაჯდა მანქანის უკანა სავარძელში. საგარეჯოში შესვლისას ლევანმა გზაჯვარედინზე ვერ დაიმორჩილა საჭე და შეეჯახა ტრაქტორს, რომელსაც მართავდა არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფი დემურ ქურდაძე. შეჯახების შედეგად დაზიანდა როგორც ავტომანქანა, ისე ტრაქტორი, ხოლო მგზავრები და ტრაქტორის მძღოლი უვნებლად გადარჩნენ.

ჰელმუტ კრუგმა აღძრა სარჩელი საგარეჯოს ავტოპარკის წინააღმდეგ, რომელსაც ეკუთვნოდა ტრაქტორი, მანქანის დაზიანებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ. სასამართლოს მოსამზადებელ სხდომაზე მან მოითხოვა, რომ ზიანი ანაზღაურებულ იქნეს ამერიკულ დოლარებში, რამეთუ მისი ავტომანქანა „მერსედესის“ შეკეთება შეიძლება მხოლოდ თურქეთში, სადაც მომსახურების ანაზღაურება ხდება ამერიკულ დოლარებში. თავის მხრივ საგარეჯოს ავტოპარკმა აღძრა კრუგისა და ხომერიკის მიმართ შეგებებული სარჩელი ტრაქტორისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ.

შეიძლება თუ არა, რომ უცხო ქვეყნის მოქალაქეს დაეკისროს სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობა? ზომ არ არის ამ შემთხვევაში შერეული ბრალი? აქვს თუ არა სასამართლოს უფლება ზიანის ანაზღაურება დაადგინოს უცხოური ვალუტით?

კაზუსი №26

მოტოციკლეტი, რომელსაც მართავდა მამის მიერ მიცემული მინდობილობით არასრულწლოვანი კახა გოგია, შეეჯახა გიორგი გოგიაშვილის ავტომანქანას, რის შედეგადაც ავტომანქანა დაზიანდა.

საგზაო-ტექნიკური ექსპერტიზით დადგენილ იქნა, რომ შეჯახება მოხდა მოტოციკლეტის მძღოლის ბრალით, რომელმაც უხეშად დაარღვია მოძრაობის უსაფრთხოებისა და ტრანსპორტის ექსპლოატაციის წესები.

გიორგი გოგიაშვილმა აღძრა სარჩელი კახას მამის მიმართ და მოითხოვა ავტომანქანის შეკეთების შედეგად წარმოშობილი ხარჯების ანაზღაურება. სასამართლომ დააკმაყოფილა სარჩელი.

სწორად მოიქცა თუ არა სასამართლო?

კაზუსი №27

კუჭავა შეუთანხმდა სამშენებლო ფაკულტეტის სამ სტუდენტს, რომ ისინი კუჭავას შევებულებაში ყოფნის დროს 2000 წლის 5 ივლისიდან 29 ივლისამდე შეაკეთებდნენ აგარაკის მესერს. კუჭავამ ავანსის სახით გადაიხადა შეპირებული გასამრჯელოს 10%, რომელიც გადასცა ერთ-ერთ სტუდენტს 2000 წლის 4 ივლისს. თუმცა კი დათქმულ ვადაში მესერი ვერ შეკეთდა, რადგან ორი სტუდენტი ქალაქიდან წავიდა.

ვის მიმართ და რა უფლება გააჩნია კუჭავას ავანსის ანაზღაურების შესახებ? რომელ ადგილზე უნდა დაბრუნდეს ავანსის თანხა? აქვს თუ არა კუჭავას შევებულების უსარგებლოდ დაკარგვის გამო მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება? ხომ არ შეიცვლება პასუხი იმ შემთხვევაში, თუკი მშენებლები თავის დროზე გამოცხადებოდნენ სამუშაოს შესრულების ადგილას და ვერ შეასრულებდნენ მას იმის გამო, რომ შემკვეთი წასული იყო სამსახურებრივ მივლინებაში. რა ვუყოთ ამ შემთხვევაში ავანსს?

კაზუსი №28

1997 წლის 5 დეკემბერს არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფმა ლაგვილავამ სცემა თავისი მეზობელი ფუტკარაძე, დაუხია ძვირადღირებული პიჯაკი და ჩაუმტვრია მანქანის საქარე მინა. ფუტკარაძემ დროის უქონლობის გამო, რამეთუ სწავლას უთავსებდა შრომას, ვერ შეძლო მიემართა დაუყოვნებლივ სასამართლოსთვის ზიანის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნით. 1998 წლის 10 მაისს ფუტკარაძე გაწვეულ იქნა შეიარაღებულ ნაწილში, რომელიც გადაყვანილ იქნა საომარ მდგომარეობაში, საიდანაც დაბრუნდა 1999 წლის 20 სექტემბერს.

2000 წლის 25 დეკემბერს ფუტკარაძემ მიმართა სარჩელით სასამართლოს ლაგვილავასაგან მიყენებული მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნით.

დააკმაყოფილებს თუ არა სასამართლო ფუტკარაძის მოთხოვნას? პასუხი დაასაბუთოთ.

კაზუსი №29

საგზაო-სამშენებლო გაერთიანებამ დადო ცემენტის ქარხანასთან ნასყიდობის ხელშეკრულება 150 ტონა ცემენტის შესყიდვის შესახებ. ხელშეკრულებით ცემენტი მოწოდებული უნდა ყოფილიყო 3 ნაწილად 50 ტონის ოდენობით. ცემენტის ქარხანამ დათქმულ ვადაში დაამზადა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ოდენობის ცემენტი, მაგრამ საგზაო-სამშენებლო გაერთიანებამ შეძლო მხოლოდ 100 ტონა ცემენტის შესყიდვა, ხოლო 50 ტონაზე კი უარი განაცხადა. ამასთან დაკავშირებით, ცემენტის ქარხანამ საგზაო-სამშენებლო გაერთიანების მიმართ სასამართლოში შეიტანა სარჩელი და მოითხოვა მიყენებული ზიანის ანაზღაურება. მოპასუხემ, ანუ საგზაო-სამშენებლო გაერთიანებამ სთხოვა სასამართლოს, რომ მას არ დაეკმაყოფილებინა ცემენტის ქარხნის სარჩელი, რამეთუ მუშახელის სიმცირის გამო არ შეეძლო აეთვისებინა ამდენი რაოდენობის ცემენ-

ტი, ზოლო ცემენტის ქარხანამ კი ის დარჩენილი 50 ტონა ცემენტი სხვას უკვე მიჰყიდა და არავითარი ზიანი არ განუცდია.

როგორ გადაწყვეტოთ ღავა?

პ ა ზ უ ს ი № 3 0

სატვირთო ავტომანქანა, რომელიც ეკუთვნოდა შ.პ.ს. „შენებელს“, შეეჯახა მსუბუქ ავტომანქანას, რომელსაც მართავდა გამრეკელი. შეჯახების შედეგად გამრეკელი და მის ავტომანქანაში მყოფი სანაძე ადგილზე გარდაიცვალნენ. საგამომიებო ორგანოების მიერ ჩატარებული მოკვლევის მასალებით დადგინდა, რომ მანქანების შეჯახება მოხდა მსუბუქი ავტომანქანის მძღოლის – გამრეკელის ბრალით, რომელმაც უხეშად დაარღვია საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების წესები. გარდაცვლილი სანაძის მეუღლემ შეიტანა სასამართლოში სარჩელი შ.პ.ს. „შენებლის“ მიმართ, რომელსაც ეკუთვნოდა სატვირთო ავტომანქანა, მარჩენალის გარდაცვალებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ. იგი სარჩელში აღნიშნავდა, რომ გარდაცვლილ სანაძეს კმაყოფაზე დარჩა ორი მცირეწლოვანი შვილი და მათთვის დანიშნული სარჩო ვერ ავსებს იმ თანხას, რომელიც მათ ეკუთვნოდათ და რომელსაც ღებულობდნენ მამის სიცოცხლეში.

სასამართლომ საქმეში მოპასუხედ ჩართო ასევე გამრეკელის, რომლის ბრალითაც მოხლა ავტოსაგზაო შემთხვევა, მეუღლე, რომელიც კანონის თანახმად არის გამრეკელის პირველი რიგის მემკვიდრე და პასუხს აგებს მამკვიდრებლის ვალდებულებებისათვის მიღებული სამკვიდროს აქტივის ფარგლებში. სასამართლომ დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა და შ.პ.ს. „შენებელსა“ და გამრეკელის მეუღლეს სოლიდარულად დააკისრა გარდაცვლილი სანაძის შვილებისათვის ყოველთვიური სარჩოს გადახდა.

შ.პ.ს. „შენებელმა“ გაასაჩივრა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება ზემდგომ სასამართლოში იმ საფუძველით, რომ

გამოძიებამ დაადგინა, რომ არავითარი ბრალი ავტოსაგზაო შემთხვევაში არ მიუძღვის სატვირთო ავტომანქანას, რომ შეჯახება მოხდა მსუბუქი ავტომანქანის მძღოლის — გამრეკელის — ბრალით და, შესაბამისად, სარჩოს გადახდა უნდა დაეკისროთ გამრეკელის მემკვიდრებს.

როგორ გადავწყვიტოთ დავა?

ქაზუსი №31

დალი ჯაფარიძემ მალაზიაში შეიძინა სარეცხი მანქანა. სამი დღის შემდეგ მან პირველად ჩართო მანქანა სარეცხის გასარეცხად, მაგრამ მუშაობის პროცესში მანქანა გაფუჭდა. დალიმ მალაზიის ღირექტორს მოსთხოვა სარეცხი მანქანის გამოცვლა ანალოგიური სახის ვარგისიან სარეცხ მანქანაში. რადგან მალაზიის ღირექტორმა დალი ჯაფარიძის მოთხოვნა არ დააკმაყოფილა, დალიმ სთხოვა დამოუკიდებელ ექსპერტს, რომ მას ჩაეტარებინა ექსპერტიზა მანქანის მწყობრიდან გამოსვლის მიზეზის დასადგენად, ხოლო ამის შემდეგ კი მიმართა სარჩელით სასამართლოს და მოითხოვა მალაზიისაგან სარეცხი მანქანის შეცვლა, ექსპერტიზის ხარჯებისა და მორალური ზიანის ანაზღაურება.

ჩატარებული ექსპერტიზით დადგინდა, რომ გამოვლენილი დეფექტი არ არის დაკავშირებული მანქანის სარგებლობისა და ექსპლოატაციის წესების დარღვევასთან და რომ იგი ატარებს ფარულ საწარმოო ხასიათს. მალაზიის ღირექტორმა საჩივრზე თავის შესაგებულში მიუთითა: ა) მყიდველს არა აქვს სასაქონლო ჩეკი, რომელიც ადასტურებს, რომ სარეცხი მანქანა შეძენილ იქნა სწორედ ამ მალაზიაში; ბ) საწარმოო დეფექტი მიუთითებს მწარმოებლის ბრალზე და, მაშასადამე, მოპასუხე უნდა იყვეს მწარმოებელი და არა მალაზია; გ) ექსპერტიზა ჩატარდა მყიდველის ინტერესით და, შესაბამისად, ექსპერტიზის ხარჯებიც უნდა გასწიოს მყიდველმა.

როგორ გადავწყვიტოთ დავა?

2000 წლის 20 დეკემბერს გორდელაძემ გადაწყვიტა სათევზაოდ წასულიყო გაყინულ ტბაზე. იმ დღეს მისი 13 წლის მეზობელი სოსო კობერიძე გამოიპარა სკოლიდან ბოლო გაკვეთილიდან და გორდელაძეს სათევზაოდ წაყვანა სთხოვა. თევზაობის დროს უცებ ჩატყდა ყინული და სოსო კობერიძე ჩავარდა გაყინულ ცივ წყალში. მართალია, გორდელაძემ შეძლო მისი გადარჩენა დახრჩობისაგან, მაგრამ ბავშვს მთლიანად მოეყინა მარჯვენა ფეხი, რომელიც ქირურგიული ჩარევის შედეგად შემდგომში მოჰკვეთეს განგრენის თავიდან ასაცილებლად.

სოსო კობერიძის მშობლები თავს დამტყდარი უბედურების მიზეზად თვლიდნენ თავიანთ მეზობელს – გორდელაძეს, რამეთუ მას რომ არ წაეყვანა ბავშვი სათევზაოდ, ის ახლაც ჯანმრთელი იქნებოდა. სოსოს მშობლებმა იურიდიული კონსულტაციისათვის მიმართეს ადვოკატს შემდეგი კითხვებით: ა) შეუძლიათ თუ არა მათ, რომ გორდელაძეს მოსთხოვონ მკურნალობის ხარჯების და შეილის დასასვენებელ სახლში წასაყვანად საჭირო საგზურის ხარჯების ანაზღაურება? ბ) შეუძლიათ თუ არა მოითხოვონ მორალური ზიანის ანაზღაურება გადატანილი სულიერი ტანჯვისა და განცდებისათვის? გ) პასუხს აგებს თუ არა სკოლა იმისათვის, რომ ვერ განახორციელა არასრულწლოვანზე სათანადო ზედამხედველობა და მეთვალყურეობა? დ) მართალია თუ არა გორდელაძე, რომელიც ამტკიცებს, რომ მას არავითარი ბრალი არ მიუძღვის, რამეთუ ბავშვმა თვითონ სთხოვა სათევზაოდ წაყვანა?

როგორ პასუხს მიიღებენ კობერიძის მშობლები დასმულ კითხვებზე ადვოკატისაგან?

კაზუსი №33

ხის გადამამუშავებელი საამქრო ხანგრძლივი დროის განმავლობაში აწვდიდა ავეჯის ფაბრიკას ხის მასალას შეთანხმებულ ფასებში. მაგრამ შემდგომში სახელმწიფოს მხრიდან გაუთვალისწინებელი გადასახადის შემოღების გამო, ხის მასალა გაძვირდა. ამის შესახებ ხის გადამამუშავებელმა საამქრომ გაუგზავნა დეპეშა ავეჯის ფაბრიკას, სადაც ატყობინებდა მასალის ღირებულების გაზრდის შესახებ და სთხოვდა წერილობით ეცნობებინა, თანახმა იყო თუ არა ფაბრიკა გადაეხადა გაზრდილი ღირებულება.

რადგან დეპეშაზე მყიდველმა, ანუ ავეჯის ფაბრიკამ, დათქმულ ვადაში არ უპასუხა, ამიტომაც გამყიდველმა, ანუ ხის გადამამუშავებელმა საამქრომ, ცალმხრივად შეწყვიტა ხელშეკრულება.

ჰქონდა თუ არა ხის გადამამუშავებელ საამქროს ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის უფლება?

კაზუსი №34

დავით მჟავანაძემ სერგო ჭელიძისაგან უპროცენტო სესხის სახით აიღო 3000 ლარი იმ პირობით, რომ თანხას დაბრუნებდა უკან ორი თვის შემდეგ. სესხის დროულად უკან დაბრუნების უზრუნველსაყოფად დავით მჟავანაძემ სერგო ჭელიძესთან დააგირავა „როლექსის“ ფირმის ოქროს საათი, რომლის ღირებულებაც იყო 4000 ლარი. სამი თვის შემდეგ დავითმა სერგოს უკან მიუტანა ვალი, მაგრამ სერგომ უარი განაცხადა თანხის მიღებაზე იმ მოტივით, რომ, რადგან მან გადააცილა ვალის დაბრუნების ვადას, ამიტომ დაგირავებული საათი სერგოს ანუ გამსესხებლის საკუთრება გახდა.

მართებულია თუ არა სერგო ჭელიძის პასუხი?

ლევან ნემსაძე და პაატა ნაჭყებია ზეპირად შეთანხმდნენ, რომ ლევანი მიაქირავებდა პაატას წყნეთში მდებარე საკუთარ აგარაკს 2000 წლის 10 მაისიდან 10 სექტემბრამდე თვეში 300 ლარად, ხოლო პაატა კი გადაიხდიდა მთელი ქირის თანხას 10 ივნისს ერთიანად. ამასთან, პაატამ ლევანს წინასწარ გადასცა 100 ლარი იმ დათქმით, რომ ეს არის ბე. აღნიშნული თანხის მიღების შესახებ ლევანმა პაატას მისცა ხელწერილი. ამ გარიგების დადებას მოწმის სახით ესწრებოდნენ გიორგაძე და ბურკაძე, რომლებსაც ასევე სურდათ წყნეთში აგარაკების დაქირავება. მიღწეული შეთანხმების თანახმად, პაატა ნაჭყებია 10 მაისს დაქირავა ავტომანქანა თბილისიდან წყნეთში ავეჯის გადასატანად და ოჯახთან ერთად წავიდა წყნეთში. იქ ასულ პაატას ლევან ნემსაძის აგარაკი გაქირავებული დახვდა ღვინიაშვილზე, რომელსაც უფრო გაზრდილი თანხა გადაუხდია ქირის სახით ნემსაძისათვის. პაატა ნაჭყებია იძულებული გახდა უკან დაბრუნებულიყო თბილისში და ჩამოეტანა ავეჯი. ამის შემდეგ პაატამ მოითხოვა ლევან ნემსაძისაგან 200 ლარის გადახდა და ასევე მანქანის დაქირავებისა და მგზავრობის ხარჯების ანაზღაურება. ლევანმა ამაზე უარი განაცხადა და მიუთითა, რომ მიღებული 100 ლარი არ შეიძლება ჩაითვალოს ბედ, რამეთუ დარღვეულია კანონის მოთხოვნა ბეზე შეთანხმების წერილობითი ფორმით გაფორმების შესახებ.

როგორ გადავწყვიტოთ დავა?

ქაჯუსი №36

ნელი დუმბაძემ სარჩელით მიმართა სასამართლოს ნატო თოდუასაგან 2000 ლარის გადახდის მოთხოვნით. სასარჩელო განცხადებაში ნელი დუმბაძე ეყრდნობოდა იმ გარემოებას, რომ მას განზრახული ჰქონდა ეყიდა ნატო თოდუასაგან საცხოვრებელი სახლი 50000 ლარად, რის გამოც მან გადასცა ნატო თოდუას ბეს სახით 2000 ლარი. ბეს მიღების შესახებ ნატო თოდუამ ნელი დუმბაძეს მისცა ხელწერილი. შემდგომში ნელი დუმბაძემ გადაიფიქრა სახლის ყიდვა, მაგრამ ნატო თოდუამ უკან აღარ დაუბრუნა ბედ აღებული ფულადი თანხა. სასამართლომ ნელი დუმბაძეს სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარი განუცხადა.

სწორად მოიქცა თუ არა სასამართლო?

ქაჯუსი №37

რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფ თამარ და დავით ძნელაძეებს საცხოვრებელი სახლის მშენებლობის დასამთავრებლად დასჭირდათ სესხის აღება. სესხის თავისდროულად დაბრუნების უზრუნველსაყოფად დავით ძნელაძემ გიორგი მჭედლიძის სასარგებლოდ იპოთეკით დატვირთა თავის სახელზე რეგისტრირებული საცხოვრებელი სახლი (რომელიც მას შეძენილი ჰქონდა მეუღლესთან ერთად ცხოვრების პერიოდში). სახლის ღირებულება იპოთეკის ხელშეკრულებით განსაზღვრულ იქნა სესხის ხელშეკრულებით აღებული ფულადი თანხის ტოლად. დავით ძნელაძემ ვერ შეძლო სესხის თავის დროზე დაბრუნება. გიორგი მჭედლიძემ სარჩელით მიმართა სასამართლოს სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად იპოთეკით დატვირთული სახლის რეალიზაციის შესახებ და თანაც მოითხოვა საცხოვრებელ სახლთან ერთად მის გარშემო არსებული მიწის ნაკვეთის რეალიზაციაც. დავით ძნელაძემ მიწის ნაკვე-

თის რეალიზაციის შესახებ მოთხოვნა უსაფუძვლოდ მიიჩნია, რამეთუ იპოთეკის ხელშეკრულებაში არაფერი იყო ნათქვამი მიწის ნაკვეთის შესახებ. საქმეში მესამე პირად ჩართულმა თამარ ძნელაძემ მოითხოვა მის მეუღლესა და გიორგი მჭედლიძეს შორის დადებული სესხის ხელშეკრულების ბათილად ცნობა იმ საფუძველით, რომ სესხის ხელშეკრულება დადებული იყო მისი თანხმობის გარეშე და იპოთეკით დაიტვირთა ის სახლი, რომელიც მეუღლეთა თანასაკუთრებას წარმოადგენდა.

როგორი გადაწყვეტილება უნდა მიიღოს სასამართლომ?

ქაზუსი №38

კოტრიკაძე და ბარჯაძე შეთანხმდნენ იმის შესახებ, რომ კოტრიკაძე იყიდა ბარჯაძისაგან საცხოვრებელ სახლს 30 000 ლარად და რომ ისინი საცხოვრებელი სახლის ნასყიდობის ხელშეკრულებას შეადგენდნენ და სანოტარო წესით დაამოწმებდნენ 2000 წლის 10 ოქტომბერს. ამასთან, ზეპირი შეთანხმების საფუძველზე კოტრიკაძემ გადასცა ბარჯაძეს 1000 ლარი, თუმცა კი დათქმულ ვადაში ხელშეკრულების შესადგენად და სანოტარო წესით დასამოწმებლად არ გამოცხადდა მყიდველი კოტრიკაძე, ამიტომ 2000 წლის 15 ოქტომბერს ბარჯაძემ სახლი იმავე ფასად ანუ 30 000 ლარად მიჰყიდა აბაშიძეს.

კოტრიკაძემ მოითხოვა ბარჯაძისაგან 1000 ლარის უკან დაბრუნება, ხოლო როდესაც ბარჯაძემ ამაზე უარი განაცხადა, კოტრიკაძემ მიმართა სარჩელით სასამართლოს ბარჯაძისაგან 1000 ლარის ამოღებისა და უკან დაბრუნების მოთხოვნით. ბარჯაძე სასამართლოში არ დაეთანხმა კოტრიკაძის მოთხოვნას იმ საფუძველით, რომ წინასწარ გადახდილი 1000 ლარი არის ბე და რადგან ბეს მიმცემის ბრალით აღარ დაიდო ხელშეკრულება, ეს თანხა მას უნდა დარჩენოდა. კოტრიკაძემ კი თავის მხრივ განაცხადა, რომ მას სურდა

დაედო ხელშეკრულება, მაგრამ ვერ შეძლო ამის გაკეთება შეთანხმებულ ვადაში იმ მიზეზით, რომ მისი ქალიშვილი გათხოვდა სხვა ქალაქში და იგი წასული იყო ქორწილში, ხოლო რაც შეეხება ბარჯაძისთვის წინასწარ მიცემულ 1000 ლარს, ის არ შეიძლება, რომ ბედ ჩაითვალოს, რადგან ამის შესახებ საერთოდ არ ყოფილა საუბარი. ეს თანხა მიჩნეულ უნდა იქნეს ავანსად, რომელიც გადაცემულ იქნა ბარჯაძისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული გადასახდელის ანგარიშში ჩასათვლელად და რადგან ამჟამად ხელშეკრულების დადება უკვე შეუძლებელია, ამიტომაც ბარჯაძემ უკან უნდა დააბრუნოს ავანსად მიცემული 1000 ლარი.

როგორ გადავწყვიტოთ დავა?

კ ა ზ უ ს ი № 39

შ.პ.ს. „ინდუსტრიამ“ და შ.პ.ს. „ენერგეტიკოსმა“ დადეს ნასყიდობის ხელშეკრულება. ხელშეკრულების პირობების მიხედვით „ინდუსტრიას“ უნდა მიეწოდებინა „ენერგეტიკოსისათვის“ ელექტრომოწყობილობები 100 000 ლარის ოდენობის, ხოლო „ენერგეტიკოსს“ უნდა აენაზღაურებინა ნაყიდი საქონლის ღირებულება მიღებიდან 10 დღის ვადაში. ხელშეკრულებით მხარეებმა გაითვალისწინეს პირგასამტეხლოც ფულადი თანხის გადახდის ვადის გადაცილებისათვის ყოველ გადაცილებულ დღეზე მთლიანი თანხის 5 პროცენტის დარიცხვის ოდენობით.

გამყიდველმა მყიდველს საქონელი მიაწოდა დათქმულ ვადაში, ხოლო მყიდველმა კი თანხის გადახდა დაავგვიანა 20 დღით. ამასთან დაკავშირებით, გამყიდველმა მიმართა სარჩელით სასამართლოს და მოითხოვა მყიდველისაგან პირგასამტეხლოს გადახდა ფულადი თანხის გადახდის ვადის 20 დღით გადაცილებისათვის. პირგასამტეხლოს ოდენობამ შეადგინა ნაყიდი მოწყობილობების ღირებულების ოდენობა ანუ 100 000 ლარი. მოპასუხემ ანუ შ.პ.ს. „ენერგეტიკოსმა“ სთხ-

ოვა სასამართლოს, რათა მას შეემცივებინა პირგასამტეხლოს ოდენობა, რამეთუ თანხის გადახდის დაგვიანება გამოიწვია იმ საბანკო დაწესებულების გაკოტრებამ, სადაც მყიდველს ჰქონდა გახსნილი ფულადი ანგარიში, თანაც პირგასამტეხლოს ოდენობა ბევრად აღემატება გამყიდველისათვის მიყენებულ რეალურ ზიანს.

შეიძლება თუ არა ამ შემთხვევაში პირგასამტეხლოს ოდენობის შემცირება და ვის აქვს ამის უფლება?

კ ა ზ უ ს ი № 40

თევზაძე და ნიკურაძე შეთანხმდნენ იმის შესახებ, რომ თევზაძე იყიდიდა ნიკურაძისაგან ავტომანქანა „შკოდას“ 5000 ლარად. მან ნიკურაძეს წინასწარ გადაუხადა 500 ლარი. ნიკურაძემ თევზაძეს მისცა ხელწერილი, სადაც იგი მიუთითებდა, რომ მიღებული 500 ლარი არის ბე. მხარეები შეთანხმდნენ, რომ მანქანის გადაფორმება მომხდარიყო ორი კვირის შემდეგ.

ორი დღის შემდეგ ავტოფარეხში მეხის ჩამოვარდნის შედეგად გაჩნდა ხანძარი და ნიკურაძის ავტომანქანა „შკოდა“ დაიწვა. თევზაძემ ამის შესახებ არაფერი იცოდა. როდესაც იგი შეთანხმებულ ვადაში გამოცხადდა მანქანის გადასაფორმებლად და შეიტყო მომხდარის შესახებ, მან მოითხოვა ნიკურაძისაგან უკან 1000 ლარის დაბრუნება, რამეთუ ფიქრობდა, რომ სწორედ ნიკურაძემ ვერ შეძლო მანქანის შენახვის უზრუნველყოფა და მისი დაუდევრობით გაჩნდა ავტოფარეხში ხანძარი. ნიკურაძემ უარი განაცხადა თანხის უკან დაბრუნებაზე.

როგორ გადავწყვიტოთ ღვა?

კახუხი №41

ფერმერულმა მეურნეობამ, რომელიც რეგისტრირებული იყო კოოპერატივის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის სახით, სასამართლოში შეიტანა სარჩელი სააქციო საზოგადოება „კომბაინის“ მიმართ და მოითხოვა მისგან საურავის გადახდა ყოველი გადაცილებული დღისათვის ხელშეკრულების თანხის 0,1%-ის ოდენობით.

თავის სასარჩელო მოთხოვნას ფერმერული მეურნეობა ასაბუთებდა იმით, რომ სს „კომბაინთან“ დადო ნასყიდობის ხელშეკრულება ერთი ცალი კომბაინის შესყიდვის შესახებ, მაგრამ გამყიდველმა გადააცილა ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების ვადას. სასამართლომ არ დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა იმ საფუძველით, რომ ხელშეკრულებაში არაფერი იყო ნათქვამი საურავის შესახებ.

სწორია თუ არა სასამართლოს გადაწყვეტილება?

კახუხი №42

საშუალო სკოლის მასწავლებელმა ნოზაძემ თავის მეუღლეს ქორწინების 5 წლის თავზე საჩუქრად მიართვა ძვირფასი ბეწვის ქურქი. ნოზაძეს შემდეგ უეცრად დასჭირდა ფულადი თანხა, ამიტომაც მან რიჟამაძესთან დადო სესხის ხელშეკრულება 1000 ლარის ოდენობის თანხაზე და სესხის თავისდროულად უკან დაბრუნების უზრუნველსაყოფად რიჟამაძესთან დააგირავა მეუღლისათვის ნაჩუქარი ბეწვის ქურქი. ნოზაძემ ვერ შეძლო დათქმულ ვადაში სესხის უკან დაბრუნება. როდესაც მან რიჟამაძეს მიუტანა უკან სესხად აღებული ფულადი თანხა, გამსესხებელმა უარი განაცხადა ამ თანხის მიღებაზე და მიუთითა, რომ, რადგან მსესხებელმა დროულად ვერ დააბრუნა ვალი, ამიტომაც მან გაყიდა დაგირავებული ბეწვის ქურქი

1000 ლარად, რითაც დაიკმაყოფილა სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე თავისი მოთხოვნა.

ჩათვალა რა რიჟამადის მოქმედება არამართლზომიერად, ნოზა-ბემ სარჩელით მიმართა სასამართლოს. იმავდროულად სასამართლოს სარჩელით მიმართა ნოზაძის მეუღლემაც, რომელიც მოითხოვდა გირავნობის ხელშეკრულების ბათილად ცნობას იმ საფუძველით, რომ მისმა მეუღლემ ყოველგვარი თანხმობის გარეშე დააგირავა ცოლის საკუთრებაში არსებული ქურქი.

როგორ გადავწყვიტოთ დავა?

კ ა ზ უ ს ი № 43

საზღვარგარეთ ხანგრძლივ მივლინებაში წასვლასთან დაკავშირებით ირაკლი დვენოზაშვილმა გადაწყვიტა გაეყიდა საძინებელი ავეჯის გარნიტური (საწოლი, კარადა, ორი ტუმბო). ირაკლის შეუთანხმდა შალვა ხვედელიძე, რომ იყიდიდა მისგან მთელ ავეჯს და წაიღებდა 10 დღის შემდეგ, როდესაც სახლში მორჩებოდა რემონტს. შალვამ იფიქრა, რომ ირაკლიმ შესაძლებელია ამ ათ დღეში სხვას მიჰყიდოს ავეჯი და ამიტომაც მოითხოვა, რომ ნასყიდობის ხელშეკრულება შედგენილიყო წერილობითი ფორმით. ხელშეკრულებაში მხარეებმა აღნიშნეს, რომ შალვა ხვედელიძე ავეჯის მესაკუთრე ხდება ხელშეკრულების დადების მომენტისთანავე, ხოლო ავეჯის ღირებულებას — 5000 ლარს კი შალვა გადაიხდიდა ავეჯის წაღებისთანავე. გარდა ამისა, შალვამ ირაკლის ხელშეკრულების ხელმოწერისთანავე გადასცა 1000 ლარი ბეს სახით. ათი დღის შემდეგ შალვამ ვერ შეძლო ავეჯის წაღება ავადმყოფობის გამო, რაც დადასტურებულ იქნა სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ცნობით. ხელშეკრულების დადებიდან მეთორმეტე დღეს ირაკლის 11 წლის შვილის ელექტროგამაცხლებელთან დაუღვეარი მოპყრობის შედეგად იმ ოთახში, სადაც ავეჯი ეწყო, გაჩნდა ხანძარი და მთელი ავეჯი დაიწვა. შალვა

ხვედელიძემ შეიტყო რა ამის შესახებ, მოითხოვა ირაკლი დვენო-
ზაშვილისაგან ბეს ორმაგად უკან დაბრუნება, თავის მხრივ ირაკლიმ
შალვასგან მოითხოვა დარჩენილი თანხის გადახდა იმ საფუძვლით,
რომ გაფუჭდა ის ავეჯი, რომელიც შალვას საკუთრება იყო და,
შესაბამისად, რადგან შალვამ გადააცილა ავეჯის წაღების ვადას,
დალუპვის რისკი მას აწევს.

როგორ გადაწყვიტოთ დავა?

ქაზუსი №44

1999 წლის 1 მარტს გოგი გელოვანმა ზურაბ მჭედლიშვილისა-
გან 3 თვით ისესხა 5000 ლარი. ხელშეკრულება დაიდო წერილო-
ბითი ფორმით. სესხის თავისდროულად უკან დაბრუნების უზრუნვე-
ლსაყოფად გაფორმდა ასევე თავდებობის ხელშეკრულება, რითაც
თავდებად გოგი გელოვანს დაუდგა თენგიზ ბექაური. გელოვანმა ვერ
შეძლო დათქმულ ვადაში სესხის უკან დაბრუნება. მჭედლიშვილის
არაერთგზის მოთხოვნაზე ვალის უკან დაბრუნების შესახებ გელო-
ვანი იძლეოდა მხოლოდ დაპირებებს, მაგრამ თანხას მაინც ვერ
აბრუნებდა. ამის გამო გამსესხებელმა მიმართა თავდებს – თენგიზ
ბექაურს ვალის დაბრუნების მოთხოვნით, მაგრამ თავდებმა უარი
განაცხადა ამ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე იმ საფუძვლით, რომ
ვალი უნდა გადაიხადოს მოვალემ. ზურაბ მჭედლიშვილმა მიმართა
სარჩელით სასამართლოს და მოითხოვა თავდებისაგან ძირითადი ვა-
ლის – 5000 ლარის, ვალის გადაცილებისათვის კანონით დარიცხ-
ული პროცენტებისა და სასამართლო ხარჯების გადახდა.

როგორი გადაწყვეტილება უნდა მიიღოს სასამართლომ?

ღირსების ორდენის კავალერს პაატა შუბითიძეს სახლის ასაშენებლად ბანკისაგან მიეცა უპროცენტო კრედიტი 20000 ლარის ოდენობით 5 წლის ვადით, ამასთან, სესხის უკან, თავისდროულად დაბრუნების უზრუნველსაყოფად გაფორმდა თავდებობის ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც პაატას ძმისშვილმა დავით შუბითიძემ ივალდებულა ვალის დაბრუნება ბიძის – პაატას მიერ მისი თავის დროზე დაუბრუნებლობის შემთხვევაში.

სესხის აღებიდან სამი წლის შემდეგ პაატა შუბითიძე მოულოდნელად გარდაიცვალა. ამ მომენტისათვის მას ბანკისთვის დაბრუნებული ჰქონდა 10000 ლარი.

ბანკმა მიმართა თავლებს დარჩენილი ვალის 10000 ლარის ვადამდე დაბრუნების მოთხოვნით. მაგრამ თავლებმა უარი განაცხადა თანხის გადახდაზე იმ მოტივით, რომ ეს თანხა უნდა გადაეხადა პაატას შვილს – ქეთევანს, რომელიც იყო პაატას პირველი რიგის ერთადერთი მემკვიდრე, იმავდროულად მეწარმე და ჰქონდა საკმარის შემოსავალი და თუ მემკვიდრეს დააკლდებოდა თანხის ნაწილი, მაშინ იგი, როგორც თავლები გადაიხდიდა ამ თანხას.

პაატას გარდაცვალებიდან ოთხი თვის გასვლის შემდეგ ბანკმა მიმართა სარჩელთ სასამართლოს თავლებისაგან 10000 ლარის გადახდის მოთხოვნით. სასამართლოში საქმის განხილვისას გამოირკვა, რომ დავით შუბითიძე (თავლები) დაავადდა შიზოფრენიით და ცნობილ იქნა ქმედუნაროდ. სასამართლომ უარი განუცხადა ბანკს სარჩელის დაკმაყოფილებაზე, ჩათვალა, რომ თავდებობის ხელშეკრულება შეწყდა მისი შესრულების შეუძლებლობის გამო.

როგორ გადავწყვიტოთ დავა?

დავით აბრამიძემ იკისრა თავდებობა კომერციული ფირმა „მარკეტის“ წინაშე, რომ თუკი მის მეგობარს პეტრე ღვინიანიძეს დანიშნავდნენ ფირმა „მარკეტის“ მთავარ მომარაგებლად და პეტრე თავისი საქმიანობით ფირმას მიაყენებდა ზიანს, მაშინ დავითი ანაზღაურებდა ამ ზიანს პეტრეს ნაცვლად 50 000 ლარის ფარგლებში. კომერციული ფირმის დამფუძნებლებმა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირებმა ამ თავდებობის საფუძველზე პეტრე ღვინიანიძე დანიშნეს მთავარ მომარაგებლად, რომელსაც დაევალა ფირმის საკუთრებაში არსებული სავაჭრო ობიექტების საქონლით მომარაგება.

რამდენიმე თვის შემდეგ შემოწმების შედეგად აღმოჩნდა, რომ პეტრე ღვინიანიძემ მიითვისა ფირმის კუთვნილი თანხა 40 000 ლარის ოდენობით და მისი ადგილსამყოფელი უცნობია. ამასთან დაკავშირებით კომერციული ფირმის ხელმძღვანელობამ მოსთხოვა თავდებს დავით აბრამიძეს პეტრეს მიერ მიყენებული ზიანის – 40 000 ლარის ანაზღაურება.

დავით აბრამიძემ უარი განაცხადა ზიანის ანაზღაურებაზე იმ საფუძველით, რომ თანხა თავდაპირველად ამოღებულ უნდა იქნეს პეტრეს ქონებიდან, რომელიც მას თან არ წაუღია და თუ ამ ქონების ღირებულება არ იქნება საკმარისი ზიანის სრული მოცულობით ასანაზღაურებლად, მაშინ იგი საკუთარი სახსრებით ანაზღაურებს ამ სხვაობას.

კომერციული ფირმის ხელმძღვანელობამ სარჩელით მიმართა სასამართლოს თავდების წინააღმდეგ.

როგორ გადავწყვიტოთ დავა?

ზურაბ გოგიჩაიშვილმა სამშენებლო ფირმა „მშენებელთან“ დადო ხელშეკრულება საცხოვრებელი სახლის აშენების შესახებ. ხელშეკრულების თანახმად სახლი უნდა აშენებულიყო 2000 წლის ოქტომბრის თვეში. აღნიშნულ ვადაში სახლის მშენებლობა ვერ დამთავრდა. გოგიჩაიშვილმა ამის შემდეგ კიდევ ორი თვე მოიცადა და რადგან სახლის მშენებლობის დამთავრებას საშველი არ დაადგა, ახალი ხელშეკრულება დადო სხვა სამშენებლო ფირმასთან სახლის მშენებლობის დამთავრების შესახებ.

იმავედროულად ზურაბ გოგიჩაიშვილმა სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა ფირმა „მშენებლისაგან“ დადგენილი ვადის ყოველი გადაცილებული დღისათვის პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულების ფასის 0,5%-ის ოდენობით, ასევე მიყენებული მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურება.

სასამართლოში საქმის განხილვისას ფირმა „მშენებლის“ წარმომადგენელი არ დაეთანხმა მოსარჩელის მოთხოვნებს შემდეგი გარემოებების გამო: ა) მშენებლობის დამთავრების შეფერხება გამოიწვია იმან, რომ ფირმა „მშენებელს“ მისმა კონტრაგენტებმა დროულად ვერ მიაწოდეს სამშენებლო მასალები; ბ) ხელშეკრულებაში არაფერი იყო მითითებული სამუშაოთა დამთავრების კონკრეტული თარიღის შესახებ; გ) ხელშეკრულებაში არაფერი იყო ასევე ნათქვამი დადგენილ ვადაში სამუშაოს შეუსრულებლობისათვის პირგასამტეხლოს გადახდის შესახებ; დ) მორალური ზიანის ანაზღაურება ხდება მხოლოდ პირადი არაქონებრივი უფლებების დარღვევისათვის, ხოლო დადებული ხელშეკრულება კი ქონებრივ ხასიათს ატარებს.

როგორ გადაწყვიტოთ დავა?

სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებამ „ზურა და კომპანია“ ბანკისაგან აიღო სესხი 100 000 ლარის ოდენობით ექვსი თვის ვადით. სესხის ხელშეკრულებაში აღნიშნულ იქნა, რომ თუ სპს თავისდროულად ვერ დააბრუნებდა სესხად აღებულ თანხას, მაშინ მას ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის უნდა გადაეხადა დაუბრუნებელი თანხის 3%. ხელშეკრულებით დათქმული ვადის გასვლისას სპს შეძლო ბანკისათვის დაებრუნებინა სესხად აღებული თანხის ნახევარი ანუ 50 000 ლარი. ბანკმა რამდენჯერმე წერილობით მოსთხოვა მოვალეს თანხის დარჩენილი ნაწილის დაბრუნებაც, რაზედაც მოვალე მხოლოდ დაპირებებს იძლეოდა. ბანკმა თანხის დაბრუნების ვადის გასვლიდან ორი თვის შემდეგ სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა სპს-გან სესხის თანხის დარჩენილი ნაწილისა და ყოველი გადაცილებული დღისათვის პირგასამტეხლოს გადახდა. სასამართლოში სპს წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ხელშეკრულებაში ბანკის მოთხოვნით დაფიქსირდა პირგასამტეხლოს გაზრდილი ოდენობა და სთხოვა სასამართლოს, რათა მას შეემცირებინა პირგასამტეხლოს ოდენობა.

როგორ გადაწყვიტოთ დავა?

ზაფხულის პერიოდში არნახული გვალვის გამო ფერმერულმა მეურნეობამ ვერ შეძლო მიეწოდებინა შემკვეთისათვის – ზეთის გამოსახდელი ქარხნისათვის 200 ტონა მზესუმზირა, რის შედეგადაც ქარხანამ ზიანი განიცადა, რამეთუ ვერ შეძლო მომხმარებლისათვის მიეწოდებინა საკმარისი რაოდენობის მზესუმზირის ზეთი. ზეთის გამოსახდელი ქარხნის ადმინისტრაციამ შეიტანა სასამართლოში სარჩელი ფერმერული მეურნეობის მიმართ და მოითხოვა

ვალდებულების არაჯეროვანი შესრულებისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს გადახდა და ხელშეკრულების შესრულება ნატურით.

რა გადაწყვეტილება უნდა მიიღოს სასამართლომ?

კ ა ზ უ ს ი № 5 0

გივი ღონღაძემ ოთარ ხაჯომიასაგან სესხად აიღო 30 000 ლარი. სესხის ხელშეკრულება გაფორმებულ იქნა წერილობითი სახით. სესხის უკან თავისდროულად დაბრუნების უზრუნველსაყოფად დადებულ იქნა ასევე იპოთეკის ხელშეკრულება, რითაც გივიმ იპოთეკით დატვირთა საჯარო რეესტრში მის სახელზე რეგისტრირებული საცხოვრებელი სახლი. იპოთეკის ხელშეკრულება დადებულ იქნა წერილობითი ფორმით, მაგრამ არ ყოფილა სანოტარო წესით დამოწმებული.

გივიმ ვერ შეძლო ხელშეკრულებით დათქმულ ვადაში სესხის უკან დაბრუნება. ოთარმა სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა აუქციონზე იპოთეკით დატვირთული სახლის რეალიზაცია თავისი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. სასამართლოს სარჩელით მიმართა ასევე გივი ღონღაძის მეუღლემაც, რომელმაც განაცხადა, რომ იპოთეკით დატვირთული სახლი აშენებულია ქორწინების პერიოდში მეუღლეთა ერთობლივი სახსრებით და წარმოადგენს მეუღლეთა თანასაკუთრებას, ამიტომ, რადგან მას არ მიუცია თანხმობა მეუღლისათვის საცხოვრებელი სახლის კუთვნილი ნაწილის იპოთეკით დატვირთვის შესახებ, ამიტომაც ბათილად ეცნოთ იპოთეკის ხელშეკრულება.

როგორ გადავწყვიტოთ დავა?

კაზუსი №51

კომერციულმა ბანკმა და შ.პ.ს.-მ დადეს საბანკო კრედიტის ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც ბანკმა შპს-ს სესხად მისცა 300 000 ლარი ერთი წლის ვადით. მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებად გამოყენებულ იქნა სხვა კომერციული ბანკის გარანტია. თავის მხრივ, შპს-ს ანუ პრინციპალსა და ბანკ-გარანტს შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლითაც ბანკი-გარანტი კისრულობდა ვალდებულებას გადაეხადა გამსესხებელი ბანკისთვის, ანუ ბენეფიციარისათვის, მოვალის მიერ აღებული ფულადი თანხა, თუკი იგი ვერ შეძლებდა მის გადახდას, ხოლო მოვალე ანუ შ.პ.ს. კი ბანკ-გარანტს საბანკო გარანტიის გაცემისათვის საკუთრებაში გადასცემდა შპს-ს კუთვნილ უძრავ ქონებას სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფულადი თანხის ოდენობით.

ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ პრინციპალმა ანუ შ.პ.ს.-მ ვერ შეძლო ბენეფიციარისათვის ანუ გამსესხებლისათვის სესხად აღებული თანხის გადახდა. მის ნაცვლად თანხა გადაიხადა ბანკმა-გარანტმა, რომელმაც, თავის მხრივ, შპს-გან მიიღო მის ნაცვლად გადახდილი თანხის ტოლფასი უძრავი ქონება.

მართლზომიერია თუ არა ბანკი-გარანტის მოქმედებები?

კაზუსი №51 (ა)

საქართველოში ფირმა „სიმენსის“ წარმომადგენლობამ გასაყიდად შემოიტანა C-35 ტიპის მოდელის მობილური ტელეფონების პარტია 10 000 ცალის ოდენობით. „სიმენსის“ წარმომადგენლობა შიშობდა, რომ ტელეფონები შეიძლება არ გაყიდულიყო, ამიტომაც მან სარეკლამო სააგენტოსთან დადო ხელშეკრულება შემოტანილი მობილური ტელეფონების სასარგებლო თვისებების შესახებ სარეკლამო ბუკლეტის გამოსაშვებად. ხელშეკრულების მიხედვით სარეკლამო ბუკლეტე-

ბი უნდა დამზადებულიყო 2000 წლის 10 ივნისისათვის, მაგრამ სარეკლამო სააგენტომ ეს მოახერხა მხოლოდ 20 ნოემბრისათვის. ამასობაში „სიმენსის“ წარმომადგენლობა დარწმუნდა იმაში, რომ შემოტანილი მობილური ტელეფონის აპარატები სარეკლამო ბუკლეტის გარეშეც კარგად იყიდება და ამიტომაც მან უარი განუცხადა სარეკლამო სააგენტოს შეთანხმებული ვადის დარღვევით დაბეჭდილი სარეკლამო ბუკლეტის ღირებულების ანაზღაურებაზე. სარეკლამო სააგენტომ მოითხოვა გაწეული ხარჯების ანაზღაურება.

შეუძლია თუ არა „სიმენსის“ წარმომადგენლობას, უარი განაცხადოს სარეკლამო ბუკლეტის ღირებულების ანაზღაურებაზე და რა საფუძველით? კაზუსის გადაწყვეტაზე მოახდენს თუ არა გავლენას ის გარემოება, რომ მაღაზია არ აწუხებდა სარეკლამო სააგენტოს თავისი შეკვეთის დროულად დამზადების შესახებ და, შესაბამისად, შემსრულებელს შეუქმნა ისეთი წარმოდგენა, რომ შეკვეთის შესრულების ვადას შემკვეთისათვის დიდი პრინციპული და არსებითი მნიშვნელობა არა აქვს?

კაზუსი №51 (ბ)

1998 წლის 5 თებერვალს ივანიძე სასამართლოს გადაწყვეტილებით ცნობილ იქნა გარდაცვლილად. მთელი მისი ქონება, მათ შორის საცხოვრებელი სახლი და ავტომანქანა მემკვიდრეობით მიიღო პირველი რიგის ერთადერთმა მემკვიდრემ – შვილმა. ორი წლის გასვლის შემდეგ ივანიძე მოულოდნელად ცოცხალი დაბრუნდა სახლში. დადგინდა, რომ მას ავარიაში მოყოლის შედეგად დროებით დაჰკარგოდა მეხსიერება და მკურნალობდა ფსიქიატრიულ საავადმყოფოში, რის შემდეგაც სრულიად განიკურნა და გამოჯანმრთელდა. დაბრუნების შემდეგ მან შვილს განუცხადა, რომ მანქანა მას არ სჭირდებოდა და როგორც უნდოდა ისე მოეხმარა, ხოლო, რაც შეეხება სახლს, სანამ ცოცხალი იქნებოდა, იქ უნდა ეცხოვრა.

2001 წლის მაისში ივანიძე დასასვენებლად გაემგზავრა სანატორიუმში, საიდანაც დაბრუნდა ივნისის ბოლოს და აღმოაჩინა, რომ მის შვილს საცხოვრებელი სახლი გაეყიდა. ივანიძემ სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა.

აქვს თუ არა ივანიძეს უფლება მოითხოვოს სასამართლო წესით ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა?

კ ა ზ უ ს ი № 52

კომერციულმა ბანკმა სააქციო საზოგადოებას სესხის სახით გადასცა 100 000 ლარი. სესხის უკან თავისდროულად დაბრუნების უზრუნველსაყოფად სააქციო საზოგადოებამ კომერციულ ბანკთან დააგირავა ძვირადღირებული ფერადი ლითონის ნაკეთობები, რომლებიც ინახებოდა სააქციო საზოგადოების საწყობში. სესხის ხელშეკრულების მიხედვით, ფერადი ლითონის ნაკეთობები სააქციო საზოგადოების საწყობიდან ხელშეკრულების ხელმოწერიდან სამი დღის განმავლობაში შესანახად უნდა გადატანილიყო ბანკის საწყობში, მაგრამ ამის გაკეთება ვერ მოხერხდა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ბანკის საწყობში ნაკეთობების შესანახად თავისუფალი ადგილი არ აღმოჩნდა. ხელშეკრულების ხელმოწერიდან ხუთი დღის შემდეგ სააქციო საზოგადოების საწყობში შეიპარნენ ქურდები და მოიპარეს 60 000 ლარის ღირებულების ფერადი ლითონის ნაკეთობები. სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელობამ ჩათვალა, რომ მომხდარისათვის პასუხისმგებლობა ბანკს ეკისრება, რამეთუ მან ვერ უზრუნველყო შეთანხმებულ ვადაში ნაკეთობების გადატანა თავის საწყობში. ამიტომაც სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელობამ შეიტანა სასამართლოში სარჩელი და მოითხოვა კომერციული ბანკისაგან მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

სასამართლოში საქმის განხილვისას გამოირკვა, რომ იმ ღამით,

როდესაც საწყობი გაიქურდა, არ მუშაობდა დამცავი სასიგნალო მოწყობილობა, გარდა ამისა, მოპარული ნივთები არც დაზღვეული იყო.

როგორ გადაეწყვიტოს დავა?

კაზუსი №53

კომერციულმა ბანკმა „ფინანსისტმა“ კოოპერატივ „იმედს“ სესხად გადასცა 200 000 ლარი სამი თვის ვადით. მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებად გამოყენებულ იქნა სადაზღვევეო ორგანიზაცია „მომავლის“ გარანტია, რომლითაც გარანტი კისრულობდა ვალდებულებას გადაეხადა გამსესხებლისათვის 200 000 ლარი, იმ შემთხვევაში თუ მოვალე ანუ კოოპერატივი ვერ შეძლებდა დათქმულ ვადაში სესხის უკან დაბრუნებას. საბანკო გარანტია გაცემულ იქნა ოთხი თვის ვადით სესხის ხელშეკრულების დადების დღიდან.

მოვალემ ანუ კოოპერატივმა „იმედმა“ დადგენილ ვადაში ვერ შეძლო სესხის უკან დაბრუნება. გამსესხებელმა მიმართა გარანტს და მოითხოვა მისგან მოვალის ნაცვლად სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფულადი თანხის – 200 000 ლარისა და მასზე დარიცხული სამი თვის პროცენტის – 18 000 ლარის გადახდა. გარანტმა თანხმობა განაცხადა გადაეხადა 200 000 ლარი, ხოლო პროცენტის გადახდაზე კი უარი განაცხადა.

ბანკმა-კრედიტორმა სარჩელით მიმართა სასამართლოს გარანტის მიმართ და მოითხოვა მისგან პროცენტის გადახდაც.

როგორ გადაეწყვიტოს დავა?

კახუსი №54

1999 წლის 5 აპრილს ღურმიშხან ცერცვაძემ პაატა ნაპირელს მიჰყიდა ტელევიზორი 1000 ლარად. პაატამ ღურმიშხანს ტელევიზორის გადაცემისას გადაუხადა 800 ლარი, ხოლო 200 ლარის შესახებ კი სთხოვა, რადგან იმ დროს ფული არ ჰქონდა, ცოტა ხნით ედროვებინა სესხის გადახდა და როგორც კი გამოუჩნდებოდა ფულადი თანხა, მაშინვე გაისტუმრებდა მის ვალს. ღურმიშხანი დასთანხმდა პაატას ამ წინადადებას.

შეწყდა თუ არა ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულება და რა საფუძვლით? ხომ არ წარმოიშვა იმავდროულად ახალი ვალდებულება და რა საფუძვლით? ვალდებულების შეწყვეტის რომელ საფუძველთან გვაქვს საქმე?

კახუსი №55

40 წლის ნათია შუბითიძემ 60 წლის ხანშიშესულ მეზობელს ნელი საყვარელიძეს მიჰყიდა განვადებით ბეწვის ქურქი 1000 ლარად. ნელი საყვარელიძემ ქურქის გადაცემისას ნათიას გადაუხადა 400 ლარი, ხოლო დანარჩენი 600 ლარი კი უნდა გადაეხადა 4 თვის განმავლობაში თანაბარ ნაწილებად ყოველ თვეში 150 ლარის ოდენობით. ნელი საყვარელიძემ პირველ თვეში პატიოსნად გადაიხადა 150 ლარი, მაგრამ შემდგომში მისი ფინანსური მდგომარეობა გაურესდა და მან ნათიას არაერთგზის მოთხოვნის მიუხედავად, მაინც ვერ შეძლო დარჩენილი თანხის ანუ 450 ლარის გადახდა. ნათია შუბითიძეს გადაეწურა რა ვალის დაბრუნების ყველა იმედი, განუცხადა ნელი საყვარელიძეს, რომ იგი ვალს პატიობს.

რა პირობები უნდა იყოს დაცული იმისათვის, რომ ვალის პატიებაში გამოიწვიოს ვალდებულების შეწყვეტა?

რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფმა მეუღლეებმა – დავით და ქეთევან ცუცქირიძეებმა ხასიათების შეუთავსებლობის გამო განქორწინება გადაწყვიტეს. სასამართლომ არასრულწლოვანი შვილი – 8 წლის ირაკლი მიაკუთვნა დედას, ხოლო მამას – დავით ცუცქირიძეს დააკისრა ბავშვის სასარგებლოდ ალიმენტის გადახდა თვეში 30 ლარის ოდენობით.

თანასაკუთრებაში არსებული ქონების გაყოფისას, ქეთევანმა დავითს შესთავაზა, რომ, თუ მას დავითი დაუტოვებდა საკუთრებაში ავტომანქანასა და საძინებელი ავეჯის გარნიტურს, მაშინ იგი ამ ნივთების ღირებულებას ჩაუთვლიდა ბავშვისათვის 10 წლის განმავლობაში გადასახდელი ალიმენტის ოდენობაში და აღარ მოსთხოვდა ალიმენტის გადახდას.

შესაძლებელია თუ არა მოთხოვნათა ასეთი ურთიერთგაქვითვა?

პაზუსი №57

შპს „სათვალეში“ მომუშავე პირველი კატეგორიის ოსტატმა დიმიტრი ძნელაძემ შპს-გან მიიღო უპროცენტო სესხი 5000 ლარის ოდენობით 1 წლის ვადით იმ პირობით, რომ, თუკი დიმიტრი ძნელაძე თავს დაანებებდა შპს-ში მუშაობას და წავიდოდა სხვაგან სამუშაოდ სესხის აღებიდან 1 წლის განმავლობაში, მაშინ მას ვადაძლე უნდა დაებრუნებინა სესხად აღებული ფულადი თანხა. სესხის აღებიდან ხუთი თვის განმავლობაში ძნელაძეს ვერ გადაუხადეს ხელფასი, რის გამოც მან შპს-ს ხელმძღვანელობას მიმართა ორი განცხადებით: ერთი განცხადებით ის ითხოვდა სამუშაოდან გათავისუფლებას, ხოლო მეორე განცხადებით კი იგი მოითხოვდა, რომ ხუთი თვის განმავლობაში მიუღებელი ხელფასის სახით დაგროვილი დავალიანება 1000

ლარის ოდენობით შპს-ს ხელმძღვანელობას მისთვის ჩათვალა სესხად აღებულ თანხაში და, შესაბამისად, ამის საფუძველზე შეწყვეტილიყო სესხის ხელშეკრულება.

დაიშვება თუ არა ასეთ შემთხვევაში ვალდებულების შეწყვეტა ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვით?

კაზუსი №58

გიორგი გოგლიძე, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებით ყოფილ მეუღლეს – გაიპარაშვილს ყოველთვიურად სარჩოს სახით უხდიდა 50 ლარს, საცხოვრებლად გადავიდა სხვა ქალაქში, რის გამოც 7 თვის განმავლობაში ვერ შეძლო ყოფილი მეუღლისათვის სარჩოს გადახდა. დავალიანების თანხამ შეადგინა 350 ლარი. თავის მხრივ, ყოფილ ცოლს გიორგი გოგლიძისათვის უნდა გადაეხადა იმავე რაოდენობის ფულადი თანხა, რომელიც მას ვალად ჰქონდა საერთო ქონების გაყოფის დროს მიღებული ზედმეტი ქონებისათვის.

დაიშვება თუ არა ამ შემთხვევაში ვალდებულების შეწყვეტა ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვით?

კაზუსი №59

ოთარ გიგოშვილს დემურ ხვედელიძისაგან სესხად ჰქონდა აღებული 1000 ლარი, რომელიც მისთვის უნდა დაებრუნებინა 2000 წლის 25 ნოემბრისათვის. 2000 წლის 10 მაისს დემურ ხვედელიძე მოულოდნელად გარდაიცვალა ისე, რომ ვერ მოასწრო ვალის მიღება; დემურს დარჩა შვილი – 18 წლის გიორგი.

შეწყდება თუ არა ვალის დაბრუნების ვალდებულება გამსესხებლის გარდაცვალების გამო?

ცნობილმა მომღერალმა მხატვარ კერესელიძესთან დაღო თავისი პორტრეტის დახატვის ხელშეკრულება. მომღერალმა მხატვარს აენსის სახით წინასწარ გადაუხადა შეპირებული გასამრჯელოს ერთი მესამედი ნაწილი. მხატვარმა დაასრულა პორტრეტზე მუშაობა. მაგრამ ისე, რომ ვერ მოასწრო შეპირებული გასამრჯელოს ორი მესამედის მიღება, იგი მოულოდნელად გარდაიცვალა გულის შეტევით.

შეწყდება თუ არა ვალდებულება მოცემულ შემთხვევაში? შეიცვლებოდა თუ არა ამოცანის პასუხი, თუკი გარდაიცვლებოდა არა მხატვარი, არამედ მომღერალი თანხის გადახდამდე? ჰქონდა თუ არა მხატვარს უფლება ხელშეკრულების დადების შემდეგ პორტრეტის დახატვა დაევალებინა სხვა მხატვრისათვის და დაეთმო მისთვის შეპირებული გასამრჯელოს მიღების მოთხოვნის უფლება?

კაზუსი №61

ილია წიკლაურმა შეიტყო რა, რომ მისმა მარტოხელა მოხუცმა დამ — მარინამ გაყიდა თავისი კუთვნილი ოროთახიანი ბინა, მანქანის შესაძენად მისგან ისეხა 3000 ამერიკული დოლარი ორი წლის ვადით. ერთი წლის შემდეგ ილიას და მოულოდნელად გარდაიცვალა. აღმოჩნდა, რომ მარინას გარდაცვალებამდე შეუდგენია ანდერძი, რომლითაც მთელი თავისი ქონება დაუტოვა თავის ძმას — ილია წიკლაურს.

შეწყდება თუ არა ამ შემთხვევაში ილია წიკლაურის ვალდებულება სესხის დაბრუნების შესახებ და რა საფუძველით?

შეიცვლება თუ არა ამოცანის პასუხი, თუკი მარინას დარჩებოდა მეუღლე და შვილები?

კაზუსი №62

2000 წლის 5 აპრილს ლამარა ბუაძე შპს „ციხარტყელას“ კუთვნილ სუპერმარკეტში პროდუქტების ყიდვისას დაეარდა იატაკზე და მოიტეხა ფეხი. ექსპერტიზამ დაადგინა, რომ მალაზიის იატაკი გაკეთებული იყო პრიალა კაფელით, რომელიც არ იყო ამ მიზნისათვის განკუთვნილი. სასამართლოს გადაწყვეტილებით მალაზიის დამფუძნებლებს დაეკისრათ დაზარალებული ლამარა ბუაძის სასარგებლოდ 5 წლის განმავლობაში ყოველთვიურად 100 ლარის გადახდა მიყენებული მატერიალური და მორალური ზიანისათვის. 2001 წლის 10 მაისს არამომგებიანობის გამო მოხდა მალაზიის ლიკვიდაცია, მაგრამ თანხის გადახდის ვადა ჯერ დამთავრებული არ არის.

შეწყდება თუ არა მალაზიის დამფუძნებლების ვალდებულება — გადაუხადონ ლამარა ბუაძეს ყოველთვიურად დადგენილი ფულადი თანხა? შეიცვლებოდა თუ არა ამოცანის პასუხი, თუკი მოხდებოდა მალაზიის შეერთება სხვა მალაზიასთან? ანდა ასეთი შეერთების შედეგად შეიცვლებოდა დამფუძნებლებისა და ადმინისტრაციის შემაღენლობა?

კაზუსი №63

შეწყდება თუ არა ვალდებულება შემდეგ შემთხვევებში:

ა) მომგებიანი ლატარიის ბილეთის მფლობელმა დადგენილ ვადაში ვერ შეძლო მისი გასანაღლებლად წარდგენა;

ბ) გაკოტრებული საწარმოს კრედიტორმა საწარმოს ლიკვიდაციის პერიოდის განმავლობაში ვერ შეძლო თავისი ფულადი მოთხოვნის დაკმაყოფილება იმის გამო, რომ საწარმოს არ გააჩნდა საკმარისი ფულადი სახსრები;

გ) გემი, რომელსაც გადაჰქონდა ტვირთი ბათუმის პორტიდან გენუის პორტში, ზღვაში რეისის შესრულებისას შეეჯახა წყალქვეშა კლდეს, რამაც გამოიწვია გემის დაზიანება და მის ტრიუმებში

წყლის შესვლა. კაპიტანმა გასცა ბრძანება გემი შესაკეთებლად შესულიყო უახლოეს პორტში. პორტში შესვლისას გემი ცნობილ იქნა უვარგისად შემდგომი ცურვის გასაგრძელებლად;

დ) პეტრიაშვილმა ივანიძეს საკუთრებაში გადასცა საცხოვრებელი სახლი სამისდღემშო რჩენის ხელშეკრულებით. პეტრიაშვილი გარდაიცვალა ხელშეკრულების დადებიდან ორი თვის შემდეგ;

ე) ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, რომელმაც მწერალთან დადო ხელშეკრულება მისი ნაწარმოების დაბეჭდვის შესახებ, მთლიანად დაინგრა მომხდარი მიწისძვრის შედეგად.

კ ა ზ უ ს ი № 6 4

განსაზღვრეთ როდის და რა საფუძვლით შეწყდება ვალდებულება შემდეგ შემთხვევებში:

ა) დალი ნიჟარაძემ ნაცნობისაგან – ქეთევან ლომსაძისაგან შეიძინა ოქროს ბეჭედი ქვით და თვლიდა, რომ ქვა ბრილიანტისაა. ერთი წლის შემდეგ დალიმ ქვა შეამოწმებინა იუველიერს და აღმოჩნდა, რომ იგი არის არა ბრილიანტი, არამედ ჩვეულებრივი უბრალო მარგალიტია;

ბ) სვანიძემ, რომელიც სასამართლოს მიერ ცნობილი იყო შეზღუდულქმედუნარიანად ალკოჰოლური სასმელის ბოროტად გამოყენების გამო, რაც იწვევდა მისი ოჯახის მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში ჩაყენებას, ცოლის თანხმობის გარეშე, როცა იგი დასასვენებლად იმყოფებოდა, მეზობელს მიჰყიდა ტელევიზორი, ხოლო მიღებული ფულადი თანხა კი დახარჯა ალკოჰოლური სასმელების შესაძენად;

გ) ნატო დუმბაძემ თავის 19 წლის შვილს თამაზს უსასყიდლოდ გადასცა საკუთრებაში ქალაქგარეთ მდებარე აგარაკი, გააფორმა რა ეს გადაცემა როგორც ყიდვა-გაყიდვა;

დ) 14 წლის ნიკოლაძემ თავისი ველოსიპედი გაუცვალა 18 წლის დოლიძეს 10 ცალ აუდიოკასეტაში;

ე) კაფე „თოლიას“ დამფუძნებლებმა, რომელიც არსებობდა შპს-ს ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით, შეიძინეს ტყავის ქურთუკების დიდი რაოდენობა და დაიწყეს მათი გაყიდვა ზედმეტ ფასებში, ისე, რომ შპს-ს სადამფუძნებლო დოკუმენტებში ამის შესახებ რაიმე ცვლილება არ შეიტანეს.

კაზუსი №65

ლაშა შარაბიძემ ვახტანგ ხიჯაკაძესთან დადო სესხის ხელშეკრულება. ხელშეკრულებით ლაშამ ვახტანგისაგან ისესხა 5000 ლარი, რომელიც უნდა დაებრუნებინა სამი თვის შემდეგ. სესხის უკან თავისდროულად დაბრუნების უზრუნველსაყოფად ლაშამ ვახტანგთან დააგირავეა ბრილიანტის ბეჭედი. გირავნობის ხელშეკრულებით ბეჭდის ღირებულება განისაზღვრა 8000 ლარით და იგი გადაეცა მოგირავენს ანუ ვახტანგ ხიჯაკაძეს.

ხელშეკრულების დადებიდან ოთხი თვის გასვლის შემდეგ ლაშამ ვახტანგს მიუტანა სესხად აღებული 5000 ლარი. მაგრამ ვახტანგმა უარი განაცხადა ამ თანხის მიღებაზე იმ საფუძველით, რომ მოვალემ გადააცილა ფულადი ვალდებულების შესრულების ვადას და ამიტომ დაგირავებული ბრილიანტის ბეჭედი კრედიტორის საკუთრება გახდა. ამასთან, ვახტანგმა შესთავაზა ლაშას, რომ იგი გადაიხდიდა სხვაობას ბეჭდის ღირებულებასა და სესხად აღებულ თანხებს შორის ანუ $8000 - 5000 = 3000$ ლარს.

ლაშა არ დაეთანხმა ვახტანგის ამ წინადადებას და შეიტანა ნოტარიუსთან დეპოზიტზე 5000 ლარი ვახტანგისათვის გადასაცემად, ასევე მიმართა სასამართლოს სარჩელით ვახტანგის უკანონო მფლობელობიდან ბრილიანტის ბეჭდის გამოთხოვისა და უკან დაბრუნების შესახებ. თავის მხრივ, ვახტანგმა ნოტარიუსთან დეპოზიტზე შეიტანა 3000 ლარი ლაშასთვის გადასაცემად.

როგორ გადაწყვიტოთ დავა?

დავით კილურაძე თავის ცოლთან და სამ არასრულწლოვან შვილთან ერთად ცხოვრობდა ოროთახიან ბინაში. საბინაო პირობების გაუმჯობესების მიზნით მან გადაწყვიტა ბანკიდან გამოეტანა სესხი და შეეტანა მშენებარე სახლის მესაკუთრეთა ამხანაგობაში. დავითმა ბანკისაგან სესხად აიღო 10 000 ლარი. სესხის უკან თავისდროულად დაბრუნების უზრუნველსაყოფად დავითმა ბანკთან იპოთეკით დატვირთა თავისი ოროთახიანი ბინა. იპოთეკის ხელშეკრულება გაფორმებულ იქნა კანონით დადგენილი წესით.

სესხის ხელშეკრულების ვადის გასვლამდე ორი დღით ადრე დავითმა მიმართა ბანკის ხელმძღვანელობას, რომ უკან მიეღოთ სესხის თანხა, მაგრამ ბანკის წარმომადგენლებმა მას განუცხადეს, რომ ნახევარი წლის შედეგების შეჯამების გამო მათ დრო არა აქვთ თანხის მისაღებად და ამიტომ ურჩიეს დავითს თანხა მიეტანა ერთი კვირის შემდეგ და მიუხედავად იმისა, რომ უკვე გასული იქნებოდა სესხის დაბრუნების ვადა, ბანკი დავითის მიმართ არანაირ პრეტენზიას არ განაცხადებდა.

დავითი არ ენდო ბანკის წარმომადგენლების დაპირებას და სესხის თანხა შეიტანა ნოტარიუსთან დეპოზიტზე გამსესხებელი ბანკის სახელზე.

ერთი კვირის შემდეგ დავითი მივიდა ბანკის ადმინისტრაციასთან და მოითხოვა იპოთეკის ხელშეკრულების გაუქმება, მაგრამ ბანკის წარმომადგენლებმა მას განუცხადეს, რომ, რადგან დავითმა გადააცილა სესხის დაბრუნების ვადას, ამიტომაც მოხდებოდა იპოთეკით დატვირთული სახლის რეალიზაცია აუქციონზე.

დავითმა სარჩელით მიმართა სასამართლოს.

როგორ გადავწყვიტოთ დავა?

კაზუსი №67

ძმებმა — დათო, ლევან და გიორგი ცეცხლაძეებმა ნიკა მდინარაძესთან დადეს წყნეთში მდებარე აგარაკის ნასყიდობის ხელშეკრულება. ხელშეკრულებით სახლის ღირებულება განისაზღვრა 9000 ლარით. დათომ და ლევანმა ნიკას გადასცეს 6000 ლარი ხელშეკრულების დადებისას, ხოლო გიორგის კი ხელშეკრულების პირობების მიხედვით ნიკასთვის უნდა გადაეხადა 3000 ლარი ორი თვის შემდეგ ხელშეკრულების დადების დღიდან. სახლის გაყიდვისთანავე ნიკა მდინარაძე საცხოვრებლად გადავიდა ქალაქ ბათუმში, ხოლო დათომ და ლევანმა კი თავიანთი ოჯახები დასასვენებლად აგარაკზე წაიყვანეს. გიორგი ფულს არ იხდიდა, ხოლო შვიდი თვის შემდეგ კი ნიკას მისწერა, რომ უარს აცხადებდა აგარაკის კუთვნილ ნაწილზე. ნიკა მდინარაძემ სარჩელით მიმართა სასამართლოს დათოსა და ლევანისაგან დარჩენილი 3000 ლარის გადახდის მოთხოვნით.

დააკმაყოფილებს თუ არა სასამართლო ნიკა მდინარაძის მოთხოვნას?

კაზუსი №68

სამკერვალო ფაბრიკამ და ხის გადამამუშავებელმა ქარხანამ ერთობლივად შეუკვეთეს სამშენებლო ფირმას მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის აშენება თითოეულის თანაბარი წილობრივი მონაწილეობით. სამშენებლო ფირმამ ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში ააშენა და შემკვეთებს გადასცა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი. ხის გადამამუშავებელმა ქარხანამ სამშენებლო ფირმას გადაუხადა შესრულებული სამუშაოს ღირებულების ნახევარი, ხოლო სამკერვალო ფაბრიკამ კი ვერ შეძლო თანხის მეორე ნახევრის გადახდა.

აქვს თუ არა უფლება სამშენებლო ფირმას, რომ ხის გადამამუშავებელ ქარხანას მოსთხოვოს სამკერვალო ფაბრიკის ნაცვლად დარჩენილი თანხის გადახდა?

კ ა ზ უ ს ი № 69

გიორგაძემ, ჩუბინიძემ და გაფრინდაშვილმა ადგიშვილს მიაყენეს 15 000 ლარის ოდენობის მატერიალური ზიანი. ადგიშვილის სარჩელის საფუძველზე სასამართლომ მათ დააკისრა მიყენებული ზიანის ანაზღაურებისათვის სოლიდარული პასუხისმგებლობა. ადგიშვილს მიყენებული ზიანი სრული მოცულობით აუნაზღაურა გიორგაძემ, რომელსაც უფრო უკეთესი მატერიალური მდგომარეობა ჰქონდა. შემდგომში გიორგაძემ მოითხოვა რეგრესის წესით ჩუბინიძისა და გაფრინდაშვილისაგან მათ ნაცვლად ადგიშვილისათვის გადახდილი თანხის უკან დაბრუნება 5000-5000 ლარის ოდენობით. ჩუბინიძემ თანხმობა განაცხადა გადაეხადა გიორგაძისათვის 2500 ლარი იმ მოტივით, რომ მან უფრო ნაკლები ზიანი მიაყენა ადგიშვილს, ხოლო პეტრიაშვილმა კი – გაცილებით მეტი, ამიტომაც მან ადგიშვილს უნდა გადაუხადოს 7500 ლარი.

როგორ გადავწყვიტოთ დავა?

კახუსი №70

გამომცემლობამ ცნობილ მწერალთან დედო ხელშეკრულება ახალი რომანის დაწერის შესახებ, რისთვისაც მწერალს ავანსის სახით მისცა ხელშეკრულებით გათვალისწინებული საავტორო ჰონორარის 30%. მწერალი რომანის დაწერის დროს მოულოდნელად გარდაიცვალა ისე, რომ ვერ მოასწრო რომანის დამთავრება და მისი გადაცემა გამომცემლობისათვის. გამომცემლობის ადმინისტრაციამ მიმართა სასამართლოს და მოითხოვა მწერლის შვილისაგან გარდაცვლილი მამის მიერ ნაკისრი რომანის დაწერის ვალდებულების შესრულება. სასამართლომ იმ საფუძველით, რომ გარდაცვლილი მწერლის შვილი ასევე მწერალი იყო, დააკმაყოფილა გამომცემლობის მოთხოვნა და დაავალა გარდაცვლილი მწერლის შვილს რომანის დამთავრება და მისი გადაცემა გამომცემლობისათვის.

მართებულია თუ არა სასამართლოს გადაწყვეტილება?

კახუსი №71

მიხეილ წირქვაძემ 1999 წლის 10 ივნისს მალაზიაში შეიძინა პიჯაკი და ფეხსაცმელი, რომლებიც წინასწარ გაიზომა და მოირგო. სახლში მისვლისას მან ჩაიცვა პიჯაკი თეატრში წასასვლელად, მაგრამ მისი მოდელი აღარ მოეწონა. მშობლებთან მოთათბირების შემდეგ მიხეილმა გადაწყვიტა გამოეცვალა პიჯაკი, რომელიც შემდგომ აღარ ჩაუცვამს. 16 ივნისს სამსახურიდან გვიან ღამით სახლში დაბრუნებისას, მიხეილმა ფეხი წამოჰკრა ჩაბნელებულ სადარბაზოში კიბის საფეხურს, ხოლო სახლში ასვლისას კი აღმოაჩინა, რომ ერთ ახალ ფეხსაცმელს ლანჩი ასძვრა. მიხეილმა სამსახურებრივი მოუცლელობის გამო მხოლოდ 28 ივნისს შეძლო მალაზიაში მისვლა და მოითხოვა პიჯაკის გამოცვლა სხვა მოდელის პიჯაკში, ხოლო ფეხსაცმლის უკან დაბრუნება და გადახდილი

თანხის ფარგლებში კი ახალი პერანგის გადაცემა. მაღაზიის ადმინისტრაციამ პიჯაკის გამოცვლაზე უარი განაცხადა იმ საფუძველით, რომ მყიდველმა ვერ აღმოაჩინა მასში რაიმე ნაკლი, ამიტომაც არ არსებობდა გამოცვლის მოთხოვნის საფუძველი. რაც შეეხება ფეხსაცმელს, მიხეილს ანუ მყიდველს არა ჰქონდა პერანგში მისი გამოცვლის მოთხოვნის უფლება, რამეთუ გამყიდველს არ ჰქონდა დადგენილი საგარანტიო ვადა, ხოლო ასეთი ვადა რომც ყოფილიყო, შეიძლებოდა ფეხსაცმლის გამოცვლა მხოლოდ სხვა ფეხსაცმელში.

როგორ გადავწყვიტოთ დავა?

კ ა ზ უ ს ი № 72

გიორგი გორგოძემ მაღაზიაში შეიძინა ფერადი ტელევიზორი. სახლში მიტანისას გიორგიმ ჩართო ტელევიზორი სპორტული შეჯიბრის საყურებლად. ჩართვიდან ორმოცი წუთის გასვლის შემდეგ იგი აფეთქდა, რის შედეგადაც გიორგიმ მიიღო სხეულის დამწვრობა და ერთი თვის განმავლობაში იმყოფებოდა საავადმყოფოში სტაციონარულ მკურნალობაზე. გარდა ამისა, აფეთქების შედეგად გაჩენილმა ხანძარმა გამოიწვია ავეჯის დაზიანება.

საავადმყოფოდან გამოწერის შემდეგ გიორგიმ შეიტყო, რომ ჩატარებულმა ექსპერტიზამ ნაყიდ ტელევიზორში აღმოაჩინა საწარმოო წუნი, რომელმაც გამოიწვია ტელევიზორის აფეთქება, გიორგი გორგოძემ სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა ტელევიზორის დამამზადებელი ქარხნისაგან მიყენებული მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურება, რომელმაც შეადგინა სოლიდური თანხა (მოვლის, კვების, დასვენების ხარჯები). ქარხანამ უარი განაცხადა ზიანის ანაზღაურებაზე იმ მოტივით, რომ იგი არ იმყოფებოდა გიორგისთან არანაირ სახელშეკრულებო ურთიერთობებში, ამიტომაც რადგან ხელშეკრულება დადებულია

მაღაზიასთან, შესაბამისად, ზიანი მაღაზიამ უნდა აანაზღაუროს.

საქმის განხილვისას სასამართლო დაეთანხმა ქარხნის აღმინისტრაციის არგუმენტებს და უარი განუცხადა გიორგის სარჩელის დაკმაყოფილებაზე. ამასთან, სასამართლომ მიუთითა, რომ გიორგის უფლება აქვს აღძრას სარჩელი მაღაზიის მიმართ.

როგორ გადავწყვიტოთ დავა?

კ ა ზ უ ს ი № 73

დავით ნოზაძემ მაღაზია „მელოდიაში“ განვადებით შეიძინა მუსიკალური ცენტრი 1000 ლარად. ნასყიდობის ხელშეკრულება, რომელიც მხარეთა შორის დაიდო 1998 წლის 5 ოქტომბერს, ითვალისწინებდა რომ მყიდველს ანუ დავითს ხელშეკრულების დადებისთანავე უნდა გადაეხადა მუსიკალური ცენტრის ღირებულების 40% (ანუ 400 ლარი), ხოლო დარჩენილი თანხა კი უნდა გადაეხადა ექვსი თვის განმავლობაში ყოველთვიურად ნაწილ-ნაწილ 100 ლარის ოდენობით, ხოლო საბოლოო გადახდის ვადად კი განისაზღვრა 1999 წლის 5 აპრილი.

ხელშეკრულების დადებიდან შემდგომი ორი თვის განმავლობაში მყიდველი კეთილსინდისიერად იხდიდა დადგენილ თანხას – 100 ლარს. 1999 წლის იანვრის თვის დასაწყისში დავით ნოზაძე უბედური შემთხვევის შედეგად მოულოდნელად გარდაიცვალა. აღმოჩნდა, რომ გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე დავითს შეუდგენია ანდერძი, რომლითაც მთელი თავისი ქონება უანდერძა ერთადერთ პირველი რიგის მემკვიდრეს – შვილს – კახას და თანაც ანდერძით კახასთვის დაუკისრებია ნაყიდი მუსიკალური ცენტრის გადაცემა გელა კიკნაძისათვის.

თებერვლის თვეში კახამ მიიღო სამკვიდრო და შეასრულა მასზე დაკისრებული საანდერძო ვალდებულება, რითაც მუსიკალური ცენტრი გადასცა გელა კიკნაძეს თებერვლის თვის ბოლო დღეს.

1999 წლის 5 მარტს მაღაზია „მელოდიაში“ მიმართა დავით ნოზაძის მემკვიდრეს – კახას მოთხოვნით, რომ მას გადაეხადა ორი თვის გადაცილებული დროისათვის თანხა – 200 ლარის ოდენობით, ასევე საურავი გადაცილებული თანხის ოდენობის 0,5% ყოველ გადაცილებულ დღეზე 1998 წლის 6 დეკემბრიდან 1999 წლის 5 მარტის ჩათვლით. მაღაზიის ადმინისტრაციამ კახა ნოზაძისაგან შეიტყო რა, რომ მუსიკალური ცენტრი საანდენძო დანაკისრის ძალით გადაეცა გელა კიკნაძეს, 9 მარტს შეიტანა სარჩელი სასამართლოში მემკვიდრისა და ლეგატარის წინააღმდეგ და მოითხოვა:

ა) ბათილად იქნეს ცნობილი საანდერძო დანაკისრი, რადგან მისი დადება მოხდა მაღაზიის ნებართვის გარეშე;

ბ) ამოღებულ იქნეს გელა კიკნაძისაგან მუსიკალური ცენტრი მაღაზიის სასარგებლოდ, როგორც უსაფუძვლოდ შეძენილი;

გ) დაეკისროს მემკვიდრეს – დავით ნოზაძეს ფულადი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებისათვის საურავის გადახდა 1998 წლის 6 დეკემბრიდან 1999 წლის თებერვლის თვის ჩათვლით, ხოლო გელა კიკნაძეს კი – პირველი მარტიდან ცხრა მარტის ჩათვლით.

როგორ გადავწყვიტოთ დავა?

2000 წლის 10 თებერვალს ლევან სამხარაძემ მალაზია „ტექნიკასთან“ დადო სამკაპერიანი მაცივრის ნასყიდობის ხელშეკრულება. ხელშეკრულების პირობების მიხედვით, ლევანს თანხა უნდა გადაეხადა ხელშეკრულების დადებისთანავე, ხოლო მალაზია „ტექნიკა“ კი ვალდებულებას კისრულობდა თვითონ მიეტანა ლევანისათვის ნაყიდი მაცივარი სახლში ხელშეკრულების დადებიდან ათი დღის განმავლობაში.

ლევანმა თავისი ვალდებულება ჯეროვნად შეასრულა, მაგრამ მალაზიამ კი ვერ შეძლო მისთვის მაცივრის მიტანა სახლში დათქმულ ვადაში. მალაზიის ადმინისტრაციამ ეს იმით ახსნა, რომ გარკვეული პრობლემები შეექმნა საბაჟო სამსახურთან ამ მოდიფიკაციის შემოტანილი მაცივრების განბაჟებისას და სთხოვა ლევანს მიტანის ვადის გაგრძელება კიდევ ათი დღის ვადით. ლევანი დასთანხმდა ამ წინადადებაზე, მაგრამ მალაზიამ ვერც ამ ვადაში შეძლო ლევანისათვის სახლში მაცივრის მიტანა და მიუტანა იგი მხოლოდ 27 დღის შემდეგ ლევანის მიერ მისი ღირებულების გადახდიდან ანუ ხელშეკრულების დადების დღიდან.

ამის გამო, ლევან სამხარაძემ პრეტენზიით მიმართა მალაზია „ტექნიკის“ ადმინისტრაციას და მოითხოვა მათგან მაცივრის მიტანის ვადის გადაცილებისათვის საურავის გადახდა ყოველი გადაცილებული დღისათვის მაცივრის ღირებულების 3%-ის ოდენობით ანუ 17 დღისათვის, რამაც შეადგინა ნაყიდი მაცივრის ღირებულების 51%. მალაზიის ადმინისტრაცია პრინციპში დასთანხმდა ლევანის ამ მოთხოვნას, მაგრამ მოითხოვა საურავის ოდენობის შემცირება, რამეთუ, მათი აზრით, გადაცილებულმა ვადამ შეადგინა მხოლოდ შვიდი დღე და არა ჩვიდმეტი დღე, რადგან ლევანი ანუ მყიდველი თვითონ დასთანხმდა თავდაპირველი ვადის კიდევ ათი დღით გაგრძელებას. ლევანი დაეთანხმა მალაზიის ადმინისტრაციის ამ მოსაზრებას, მიიღო მალაზიისაგან შვიდი დღის საურავი ანუ ნაყიდი მაცივრის ღირებულების 21% და უარი განაცხადა ყველა სხვა მოთხოვნაზე.

თუმცა კი ერთი კვირის გასვლის შემდეგ საზღვაო კრუიზიდან სახლში დაბრუნდა ლევანის მეუღლე ქეთევანი, რომელმაც აღმოაჩინა, რომ მისი თანხმობის გარეშე ლევანის მიერ ნაყიდი მაცივრის ფერი არ შეესაბამება სამხარეულოს ავეჯის გარნიტურს. ლევანს სამხარაძე იძულებული გახდა მიემართა მაღაზია „ტექნიკისათვის“ ნაყიდი მაცივრის უფრო მუქი ფერით შეცვლის მოთხოვნით, რომელიც მაღაზიას ჰქონდა საწყობში, რაზედაც მაღაზიის ადმინისტრაციამ უარი განაცხადა იმ მოტივით, რომ ლევანის მიერ ნაყიდი მაცივარი უკვე ერთი კვირის ნამუშევარი იყო და აღარ გაიყიდებოდა ახალი მაცივრის ფასად.

ლევანს სამხარაძემ სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა ნაყიდი მაცივრის შეცვლა უფრო მუქი ფერის მაცივრით და მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურება. შემდგომში ლევანმა შეცვალა თავისი მოთხოვნა და მაცივრის გამოცვლის ნაცვლად მოითხოვა ნასყიდობის ხელშეკრულების გაუქმება და მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

როგორ გადავწყვიტოთ დავა?

კ ა ზ უ ს ი № 75

დავით ფირცხალავამ იკისრა ვალდებულება, გადაეცა სოსო კერესელიძისათვის 100 წყვილი იმპორტული წარმოების მამაკაცის ფეხსაცმელი, ხოლო სოსო კერესელიძემ კი იკისრა ვალდებულება, მიეღო ფეხსაცმელი და გადაეხადა მისი ღირებულება ხელშეკრულებით განსაზღვრული ფასის მიხედვით.

რა სახის ხელშეკრულება დაიდო ფირცხალავასა და კერესელიძეს შორის? რომელია ამ ხელშეკრულების არსებითი პირობები, რომლის გარეშეც მოცემული ხელშეკრულება არ ჩაითვლება დადებულიად?

თენგიზ ხომერიკმა მეუღლის – თამუნას მიერ მიცემული რწმუნებულებით მისი კუთვნილი ავტომანქანა „მერსედესი“ მიჰყიდა დავით ჭონქაძეს 1999 წლის 20 მაისს 10 000 ლარად. დავით ჭონქაძისათვის ავტომანქანის საკუთრებაში გადაცემიდან ერთი თვის შემდეგ გამოირკვა, რომ გაყიდული ავტომანქანა მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებად დაგირავებული ყოფილა ბანკში, კერძოდ, თენგიზ ხომერიკის მეუღლეს – თამუნას ბანკისაგან სესხად აულია 3000 ამერიკული დოლარი და სესხის უკან თავის დროზე დაბრუნების უზრუნველსაყოფად მან დააგირავა ბანკში ავტომანქანა „მერსედესი“. დავით ჭონქაძემ ამის შესახებ ავტომობილის ყიდვის მომენტში არაფერი იცოდა. მისთვის ამის შესახებ ცნობილი გახდა ბანკისაგან, რომელმაც მოითხოვა მანქანის რეალიზაცია აუქციონზე იმ საფუძვლით, რომ თამუნა ხომერიკმა გადააცილა სესხის დაბრუნების ვადას. დავით ჭონქაძემ ბანკის ამ მოთხოვნაზე უარი განაცხადა. ბანკმა სარჩელით მიმართა სასამართლოს.

როგორ გადავწყვიტოთ დავა?

კაზუსი №77

დავით ძნელაძემ 2000 წლის 10 ივლისს თემურ ცხადაძესთან დადო 50 ცალი ძვირფასი ბეწვის ქურქის ნასყიდობის ხელშეკრულება. ხელშეკრულების მიხედვით, დავითმა თანხა გადაიხადა ხელშეკრულების დადებისთანავე, ხოლო თემურს კი ქურქები მისთვის უნდა გადაეცა 2000 წლის 5 დეკემბრისათვის, რამეთუ დავითს ქურქები თავის მხრივ უნდა გაეყიდა სხვა ქალაქში უფრო მომეტებულ ფასად მოგების მიღების მიზნით. ხელშეკრულებით შეთანხმებულ ვადაში თემურმა დავითს მიაწოდა მხოლოდ 30 ქურქი, ხოლო დანარჩენი 20 ქურქის მიტანას შეპირდა ერთი კვირის შემდეგ,

რაზედაც დავითმა თანხმობა განაცხადა. მაგრამ ერთი კვირის შემდეგ თუმურმა დარჩენილი 20 ქურქი კვლავ არ მიუტანა დავითს და საერთოდ თავი აარიდა დავითთან შეხვედრას.

რა მოქმედებების განხორციელების უფლება აქვს დავით ძნელადქვს ამ შემთხვევაში?

კაზუსი №78

ინდივიდუალურმა მეწარმე თევზაძემ ნასყიდობის ხელშეკრულებით იკისრა ვალდებულება გადაეცა ლევან კობალაძისათვის 200 წყვილი ბავშვის საზაფხულო ფეხსაცმელი 2000 წლის 15 აპრილისათვის. კობალაძემ წინასწარ გადაიხადა ფეხსაცმლის ღირებულება ხელშეკრულებით განსაზღვრული ფასის მიხედვით. შეთანხმებულ ვადაში თევზაძემ კობალაძეს მიაწოდა 250 წყვილი ბავშვის ფეხსაცმელი.

რა მოქმედებების განხორციელების უფლება აქვს ლევან კობალაძეს ამ შემთხვევაში?

კაზუსი №79

თენგიზ ბოლქვაძემ დაღო ნასყიდობის ხელშეკრულება სამკერვალო ატელიესთან 100 ცალი საწვიმარი ლაბადის შესახებ. ხელშეკრულებით მხარეებმა განსაზღვრეს ლაბადების ზომა, ფერი, მაგრამ არ შეთანხმდნენ მის ხარისხზე. თენგიზ ბოლქვაძემ წინასწარ გადაიხადა ლაბადების ღირებულება, ხოლო სამკერვალო ატელიემ კი ლაბადები მყიდველს გადასცა ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში. ლაბადების გადაცემისას მყიდველმა აღმოაჩინა, რომ ისინი შეკერილი იყო დაბალი ხარისხის ძაფით, რომ მისი სიგრძე არ შეესაბამება მოდას, ამასთან, ნაკერები უსწორმასწოროა. თენგიზმა

დაუყოვნებლივ განუცხადა ამის შესახებ პრეტენზია სამკერვალო ატელიეს ადმინისტრაციას, რაზედაც მათ უპასუხეს, რომ ლაბადის ხარისხი ხელშეკრულებით არ იყო განსაზღვრული და რომ მისი ხარისხი შეესაბამება ჩვეულებრივი სარგებლობისათვის წაყენებულ მოთხოვნებს.

რა მოთხოვნების წაყენების უფლება გააჩნია თენგიზ ბოლქვაძეს სამკერვალო ატელიეს მიმართ, თუკი დადგინდება, რომ ლაბადის ხარისხი არ შეესაბამება ხელშეკრულებით ან ჩვეულებრივი სარგებლობისათვის წაყენებულ მოთხოვნებს?

კ ა ზ უ ს ი № 80

ქალაქ თბილისში მცხოვრებმა გია აბესაძემ დაღო ნასყიდობის ხელშეკრულება ქალაქ ფოთში მცხოვრებ დავით ნოზაძესთან. ნასყიდობის ხელშეკრულების მიხედვით გიას დავითისთვის უნდა გადაეცა ოცი ცალი წყალსატუმბი მოწყობილობა, რომელიც უნდა ყოფილიყო შეფუთულ მდგომარეობაში და შესაბამის ტარაში. დავით ნოზაძემ წყალსატუმბი მოწყობილობების ღირებულება წინასწარ გადაიხადა მთლიანად.

გია აბესაძემ შეთანხმებულ ვადაში წყალსატუმბი მოწყობილობები გადასაზიდად ჩააბარა რკინიგზას დავითისათვის გადასაცემად. როდესაც დავითმა წყალსატუმბი მოწყობილობები მიიღო, აღმოჩნდა, რომ ორი მათგანი არ იყო შეფუთულ მდგომარეობაში, ხოლო 5 ცალს კი აკლდა ცალკეული დეტალი.

რა მომენტიდან ჩაითვლება ნაყიდი ნივთები გადაცემულად? რისი მოთხოვნის უფლება აქვს ნოზაძეს?

კაზუსი №81

ლევან სიხარულიძემ ირაკლი სიჭინავასაგან შეიძინა ტელევიზორი 1000 ლარად. ხელშეკრულების შინაარსის მიხედვით, ირაკლი ტელევიზორს გადასცემდა ლევანს ხელშეკრულების დადებისთანავე, ხოლო ლევანს კი ტელევიზორის ღირებულება უნდა გადაეხადა ირაკლის მოთხოვნისთანავე. ხელშეკრულების დადებიდან ერთი თვის გასვლის შემდეგ ირაკლიმ ლევანს მოსთხოვა ტელევიზორის ღირებულების გადახდა, რაზედაც ლევანმა არაფერი უპასუხა. მოთხოვნის წაყენებიდან ერთი კვირის გასვლის შემდეგ ირაკლიმ სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა ლევანისაგან 1000 ლარის გადახდა, ასევე ფულადი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებისათვის კანონით დადგენილი პროცენტებისა და მორალური ზიანის ანაზღაურება.

თუკი ხელშეკრულებით არ არის განსაზღვრული თანხის გადახდის დრო, მაშინ კრედიტორის მოთხოვნიდან რა ვადაში უნდა შეასრულოს მოვალემ თანხის გადახდის ვალდებულება? დააკმაყოფილებს თუ არა სასამართლო ირაკლი სიჭინავას მოთხოვნებს?

კაზუსი №82

მაკა ცეცხლაძემ სარეკლამო გაზეთიდან შეიტყო, რომ მაღაზია „ედელვაისში“ არის სამრეწველო საქონელზე ფასდაკლება 10-დან 50%-მდე. სარეკლამო განცხადების წაკითხვის შემდეგ მაკა ესტუმრა მაღაზიას და 25%-ის ფასდაკლებით შეიძინა თორმეტსანთლიანი ჩეხური წარმოების ბროლის ჭაღი. მაკა ცეცხლაძემ ჭაღი მიიტანა სახლში, გამოიძახა ელექტრომექანიკოსი და ჩამოაკიდებინა იგი სასტუმრო ოთახში. ჭაღის ჩართვის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ორი ნათურა არ ანათებდა. ელექტრომექანიკოსმა შეამოწმა, თუ რა მიზეზით არ ანათებდა ორი ნათურა და დაადგინა, რომ დამწვარი იყო ელექტ-

როსადენი, რის გამოც ნათურებში არ შედიოდა ელექტროდენი. მეორე დღეს მაკა ცეცხლაძემ ჭალი უკან დააბრუნა და მოითხოვა მისი გამოცვლა სხვა ხარისხიან ჭალში, რამეთუ ნაყიდი ჭალის გამოყენება დანიშნულების მიხედვით შეუძლებელი იყო, ასევე მოითხოვა ელექტრომექანიკოსისათვის შესრულებული სამუშაოსათვის გადახდილი გასამრჯელოს ანაზღაურება. მაღაზიის ადმინისტრაციამ უარი განაცხადა მაკას მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე იმ საფუძვლით, რომ ჭალი მათ მაღაზიას არ ეკუთვნოდა. მაკა ცეცხლაძემ ვერ შეძლო იმის დამტკიცება, რომ ჭალი სწორედ იმ მაღაზიაში შეიძინა.

ჩაითვლება თუ არა ოფერტად გაზეთში გამოქვეყნებული სარეკლამო განცხადება? როგორ უნდა დამტკიცოს მაკა ცეცხლაძემ, რომ მან ნაკლის მქონე ჭალი სწორედ იმ მაღაზიაში შეიძინა? როგორ გადაეწყვიტოს დავა?

ქაზუსი №83

ნელი კიკნაძემ მაღაზია „ტექნიკაში“ თავისი დისშვილისათვის შეიძინა საბეჭდი მანქანა და მიუტანა მას საჩუქრად დაბადების დღეზე. როდესაც ნელის დისშვილმა დაიწყო ბეჭდვა, აღმოჩნდა, რომ საბეჭდ მანქანას ჰქონდა ნაკლი, კერძოდ, ზოგიერთი ასო არ გადაჰქონდა ქალაქზე, ასევე დაზიანებული აღმოჩნდა კლავიატურაც. ნელი კიკნაძემ მიმართა მაღაზიას და მოითხოვა მისგან ნაყიდი ნივთის გასაყიდი ფასის შემცირება გამოვლენილი ნაკლის შესაბამისად ანდა ნაკლის გამოსწორება. მაღაზიის ადმინისტრაციამ უარი განაცხადა ნელი კიკნაძის ამ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე იმ საფუძვლით, რომ საბეჭდი მანქანის მიმართ არ იყო დადგენილი არანაირი საგარანტიო ვადა.

ნელი კიკნაძემ სარჩელით მიმართა სასამართლოს.

როგორ გადაეწყვიტოს დავა?

2000 წლის 15 მარტს დალი ქავთარაძემ მაღაზია „სამრეწველო საქონელში“ 1000 ლარად შეიძინა მტკვერსასრუტი. ხუთი დღის შემდეგ მტკვერსასრუტს გადაეწვა ძრავი და მან შეწყვიტა მუშაობა. 2000 წლის 20 მარტს დალი ქავთარაძემ მაღაზიაში უკან მიიტანა ნაკლის მქონე მტკვერსასრუტი და მოითხოვა მისი გამოცვლა ახალ ხარისხიან მტკვერსასრუტში. აღმოჩნდა, რომ იმ დღიდან, როცა დალიმ უკან მიიტანა მაღაზიაში უხარისხო მტკვერსასრუტი, ასეთი მოდელის მტკვერსასრუტის გასაყიდი ფასი შემცირდა 15%-ით და გახდა 850 ლარი. ამ საფუძველით დალიმ მოითხოვა ასევე 150 ლარის უკან დაბრუნება. მაღაზიის ადმინისტრაცია დასთანხმდა გამოეცვალა ნაკლის მქონე მტკვერსასრუტი ახლით, მაგრამ უარი განაცხადა 150 ლარის გადახდაზე იმ მოტივით, რომ დალისთან ნასყიდობის ხელშეკრულების დადებისას მტკვერსასრუტი ღირდა 1000 ლარი.

როგორ გადავწყვიტოთ დავა?

ქეთევან ლომიძემ 2001 წლის 5 მარტს მაღაზია „ელექტრონიკაში“ შეიძინა უცხოური წარმოების ფერადი ტელევიზორი. ტელევიზორის სახლში მიტანის შემდეგ მან წაიკითხა ტელევიზორის სარგებლობის ინსტრუქცია, საიდანაც შეიტყო, რომ ტელევიზორი ისე უნდა დადგმულიყო, რომ ეკრანიდან მაყურებლამდე ყოფილიყო სულ ცოტა სამი მეტრი მანძილი მაინც. ქეთევან ლომიძის საცხოვრებელი ერთობაზიანი ბინის ფართი კი არ იძლეოდა ამის შესაძლებლობას. 10 მარტს ქეთევანმა უკან მიიტანა ტელევიზორი მაღაზია „ელექტრონიკაში“ და მოითხოვა მისი შეცვლა უფრო პატარა ეკრანის მქონე ტელევიზორით, მაგრამ აღმოჩნდა, რომ 10

მარტიდან ყველა ტელევიზორზე ფასები გაიზარდა 20%-ით.

ვალდებულია თუ არა ქეთევან ლომიძე ტელევიზორის შეცვლისას გადაიხადოს დამატებით 20%? როგორ გადავწყვიტოთ დაეა იმ შემთხვევაში, თუკი მაღაზიაში არ აღმოჩნდება ისეთი ტელევიზორი, როგორსაც მოითხოვს ქეთევან ლომიძე?

კახუსი №86

გიორგი შუბლაძემ მაღაზიაში შეიძინა ორკამერიანი მაცივარი იმ პირობით, რომ მაღაზია მიუტანდა მაცივარს სახლში ხელშეკრულებით დათქმულ ვადაში. მაღაზიამ დაარღვია შეთანხმება და მაცივარი მიუტანა გიორგის ხუთი დღის დაგვიანებით შეთანხმებული ვადის გასვლიდან. გიორგიმ გამოიძახა მაცივრის დასადგმელად და ჩასართავად ელექტრომექანიკოსი, რომელსაც შეუთანხმდა შესრულებული სამუშაოსათვის გასამრჯელოს გადახდას. ელექტრომექანიკოსმა მაცივრის ჩართვისას აღმოაჩინა, რომ ელექტროსადენები მაცივარში არ იყო სწორად შეერთებული, რაც იწვევდა მოკლე ჩართვას. ელექტრომექანიკოსის თანდასწრებით მაცივარს დაეწვა ძრავი და გამოვიდა მწყობრიდან. გიორგიმ დაუყოვნებლივ შეატყობინა ამის შესახებ მაღაზიის ადმინისტრაციას.

მაღაზიის დირექტორმა უარი განაცხადა თავიანთი ტრანსპორტით წაეღოთ მაცივარი, გიორგიმ თვითონ დაიქირავა ავტომანქანა და საკუთარი ხარჯით უკან მიიტანა მაღაზიაში მაცივარი. მაღაზიაში მას განუცხადეს, რომ მაცივარს ვერ გამოცვლიან იმ მიზეზით, რომ გაყიდვაში აღარ აქვთ ასეთი მოდელის მაცივრები, მაგრამ, რადგან მაცივრის მიმართ დადგენილი იყო საგარანტიო ვადა, ამიტომაც მას შეაკეთებენ მაღაზიის ხარჯით და შესაკეთებლად დასჭირდებათ ორი კვირა. გიორგი შუბლაძემ მაღაზიას მოსთხოვა, რომ შეკეთების დროის განმავლობაში მისთვის გადაეცათ სხვა მაცივარი დროებით უსასყიდლო ხარვეზლობისათვის, რაზედაც მაღაზიის დირექტორმა უარი

განაცხადა. შეკეთებული მაცივარი გიორგი შუბლაძეს მალაზიამ მიუტანა ოცდაათი დღის გასვლის შემდეგ ანუ შეთანხმებული ვადის გასვლიდან თექვსმეტი დღის დაგვიანებით.

გიორგი შუბლაძემ სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა მალაზიის ადმინისტრაციისაგან იმ ზიანის ანაზღაურება, რომელიც მან განიცადა მაცივრის მიტანასა და დაბრუნებასთან დაკავშირებით, სახელდობრ: ა) ხუთი სამუშაო დღის ანაზღაურება, რაც დაკავშირებულია მაცივრის სახლში მიტანის თავდაპირველი ვადის გადაცილებასთან; ბ) პირგასამტეხლოს გადახდა მიტანის ვადის ხუთი დღის გადაცილებისათვის ყოველ გადაცილებულ დღეზე მაცივრის ღირებულების 3%-ის ოდენობით; გ) ელექტრომექანიკოსის სამუშაოს ღირებულების ანაზღაურება; დ) გაფუჭებული მაცივრის მალაზიაში უკან მიტანის ხარჯების ანაზღაურება; ე) შეკეთების ვადის თექვსმეტი დღით გადაცილებისათვის ჯარიმის გადახდა მაცივრის ღირებულების 25%-ის ოდენობით.

გიორგი შუბლაძის მალაზიის მიმართ მოთხოვნებიდან რომელს დააკმაყოფილებს სასამართლო?

ქ ა ზ უ ს ი № 87

დავით კვიციანიძემ ოთარ გობეჯიას 5000 ლარად მიჰყიდა ლანჩხუთის რაიონში მდებარე ხის ერთსართულიანი საცხოვრებელი სახლი 600 კვ.მ. მიწის ნაკვეთთან ერთად. ნასყიდობის ხელშეკრულება დადებულ იქნა წერილობითი ფორმით, დადასტურდა სანოტარო წესით და გატარდა რეგისტრაციაში საჯარო რეესტრში 2000 წლის 25 მაისს. ოთარმა სახლის მოწყობისას აღმოაჩინა, რომ სახურავი გამოცვლას საჭიროებდა. 2000 წლის 5 ივნისს ოთარს ესტუმრა 80 წლის მოხუცი ეთერ ხორბალაძე, რომელმაც ოთარს განუცხადა, რომ 1998 წლის 10 აპრილს მას დავით კვიციანიძესთან დადებული ჰქონდა სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულება და ამ სახლში ერთი

ოთახი მას ეკუთვნოდა. დავითმა თანხმობა განუცხადა ეთერს, მაგრამ მიმართა სარჩელით სასამართლოს და მოითხოვა დავით კვიციანიძისაგან გასაყიდი ფასის შემცირება იმ საფუძვლით, რომ სახლს სჭირდება სახურავის გამოცვლა, ასევე მის სახლში ცხოვრობს სრულიად უცხო ადამიანი, რომელსაც დავითთან დადებული ჰქონდა სამისდღემშიო რჩენის ხელშეკრულება, რის შესახებაც დავითმა ოთარს არაფერი შეატყობინა ბინის გაყიდვის მომენტში.

მართლზომიერია თუ არა ოთარ გობეჩიას მოთხოვნა დავით კვიციანიძის მიმართ გასაყიდი ფასის შემცირების შესახებ? ვალდებული იყო თუ არა დავით კვიციანიძე, რომ შეეტყობინებინა ოთარ გობეჩიასათვის გაყიდულ სახლზე ეთერ ხორბალაძის უფლებების შესახებ? რა გადაწყვეტილებას მიიღებს სასამართლო?

ქაზუსი №88

ლევან სიხარულიძემ ნასყიდობის ხელშეკრულებით ლაშა ჯანჯღავას გადასცა 2000 კვ. მიწის ნაკვეთი. ხელშეკრულება შედგენილ იქნა წერილობით, დადასტურდა სანოტარო წესით და რეგისტრაციაში გატარდა საჯარო რეესტრში 1999 წლის 20 სექტემბერს. 1999 წლის 27 ნოემბერს ლევან სიხარულიძემ სარჩელით მიმართა სასამართლოს, სადაც მიუთითებდა, რომ იგი პერიოდულად განიცდის გონებრივ დაქვეითებულობას, რითაც ისარგებლა ლაშა ჯანჯღავამ და აიძულა იგი მიეყიდა მისთვის მიწის ნაკვეთი, ამიტომაც ლევანმა სთხოვა სასამართლოს, რათა მას ბათილად ეცნო მიწის ნაკვეთის ნასყიდობის ხელშეკრულება და მიწის ნაკვეთი დაებრუნებინა ლევანისათვის, როგორც მისი კანონიერი მესაკუთრისათვის.

ჩაითვლება თუ არა ლევან სიხარულიძესა და ლაშა ჯანჯღავას შორის მიწის ნაკვეთის ნასყიდობის ხელშეკრულება დადებულიად? იმ შემთხვევაში, თუკი სასამართლო ბათილად ცნობს ნასყიდობის ხე-

ლშეკრულებას იმ საფუძვლით, რომ იგი დადებულია იძულებით, შეუძლია თუ არა ლაშა ჯანჯღავას, რომ მოსთხოვოს ლევან სიხარულიძეს ნასყიდობის ხელშეკრულებით გადახდილი თანხის უკან დაბრუნება?

ქაზუსი № 89

ალექსანდრე ფუტკარაძემ ნასყიდობის ხელშეკრულებით იკისრა ვალდებულება საკუთრებაში გადაეცა გაიოზ კანდელაკისათვის საცხოვრებელი სახლი. ნასყიდობის ხელშეკრულებასთან ერთად მხარეებმა ცალკე დადეს იჯარის ხელშეკრულებაც, რომლითაც ალექსანდრე გაიოზს იჯარით გადასცემდა მიწის ნაკვეთს სამი წლის ვადით. გაიოზს ალექსანდრესათვის ყოველთვიურად უნდა ეხადა საიჯარო ქირა 200 ლარის ოდენობით. სახლის ნასყიდობის ხელშეკრულება მხარეებმა გააფორმეს წერილობით, მაგრამ არ დაუმოწმებიათ სანოტარო წესით. პირველ თვეს გაიოზმა პირნათლად გადაიხადა მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირა, მაგრამ შემდეგ თვეებში შეწყვიტა ქირის გადახდა. გაიოზი დაჟინებით სთხოვდა ალექსანდრეს, რათა სანოტარო წესით გაეფორმებინათ საცხოვრებელი სახლის ნასყიდობის ხელშეკრულება, რომ შემდგომში მას რეგისტრაციაში გაეტარებინა საჯარო რეესტრში ნაყიდ სახლზე საკუთრების უფლების წარმოსაშობად. ალექსანდრე ამაზე უარს არ ეუბნებოდა, მაგრამ იმ პირობით, თუკი გაიოზი წინასწარ გადაიხდიდა მიწის ნაკვეთისათვის მთელ საიჯარო ქირას.

მოცემულ შემთხვევაში ითვლება თუ არა საცხოვრებელი სახლის ნასყიდობის ხელშეკრულება დადებულიად? რა შეუძლია მოიძოქმედოს გაიოზ კანდელაკმა, რათა აიძულოს ალექსანდრე ფუტკარაძე, რომ ხელშეკრულება დაამოწმონ სანოტარო წესით?

რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფმა მიხეილ და ნელი ღოღობერიძეებმა შეიძინეს 5000 კვ.მ. მიწის ნაკვეთი 1999 წლის 20 მაისს, რომელიც საჯარო რეესტრში გაფორმდა მიხეილ ღოღობერიძის სახელზე. ორი წლის შემდეგ მათ ამ მიწის ნაკვეთზე ააშენეს სამსართულიანი საცხოვრებელი სახლი, რომელიც საჯარო რეესტრში გაფორმდა ნელი ღოღობერიძის სახელზე. ორი წლის შემდეგ მიხეილი მოთავსებულ იქნა ფსიქიატრიულ საავადმყოფოში სამკურნალოდ. საავადმყოფოში მკურნალობისას მიხეილის მეუღლემ ქმრის თანხმობის გარეშე გაყიდა საცხოვრებელი სახლი, რომელიც რეგისტრირებული იყო თავის სახელზე და იყიდა სამოთახიანი ბინა მრავალბინიან საცხოვრებელ კორპუსში, რომელიც გააფორმა თავის სახელზე. საავადმყოფოდან გამოწერის შემდეგ გამოჯანმრთლებულმა მიხეილ ღოღობერიძემ სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა მისი მეუღლის მიერ ქმრის თანხმობის გარეშე დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა.

იყო თუ არა საჭირო მიხეილ ღოღობერიძის თანხმობა ნელის მიერ საცხოვრებელი სახლის გასაყიდად? თუკი საჭირო იყო, რა სახით უნდა ყოფილიყო თანხმობა გაფორმებული? რა საფუძველით შეიძლება რომ სასამართლომ დააკმაყოფილოს მიხეილ ღოღობერიძის სარჩელი?

ქაზუსი №91

დოდო თოფურიამ ქ. თბილისში გაყიდა ოროთახიანი ბინა და საცხოვრებლად გადავიდა თავის მშობლებთან ზუგდიდში. დოდოს მიერ გაყიდულ ბინაში მასთან ერთად 20 წლის განმავლობაში ცხოვრობდა მისი მეუღლეც – ოთარიც, რომელიც რეგისტრირებული იყო თავისი მშობლების საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მცხეთაში. თოფურიები ერთად ცხოვრების პერიოდში ხშირად კამათობდნენ და კვირების განმავლობაში ერთმანეთს არ ელაპარაკებოდნენ. სახლის გაყიდვის დროს ოთარი იმყოფებოდა სამსახურებრივ მივლინებაში ქალაქ მოსკოვში.

ჰქონდა თუ არა დოდო თოფურიას უფლება ქმრის თანხმობის გარეშე გაეყიდა საცხოვრებელი ბინა, სადაც ისინი ერთად ცხოვრობდნენ 20 წელი. რა უფლებები გააჩნია გაყიდულ ბინაზე ოთარ თოფურიას? აქვს თუ არა ოთარს უფლება, რომ სასამართლო წესით მოითხოვოს მისი თანხმობის გარეშე დადებული საცხოვრებელი ბინის ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა?

ქაზუსი №92

რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფმა სოსო და ნუნუ მახარაძეებმა მათ თანასაკუთრებაში არსებული ორსართულიანი ხის საცხოვრებელი სახლი, მდებარე ონის რაიონში 5000 ლარად მიჰყიდეს რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფ დავით და ციალა კობახიძეებს. ხელშეკრულება შედგენილ იქნა წერილობით 2000 წლის 10 ოქტომბერს. მხარეებმა გადაწყვიტეს, რომ ხელშეკრულება სანოტარო წესით დაედასტურებინათ 15 ოქტომბერს და ამის შემდეგ გაეტარებინათ რეგისტრაციაში საჯარო რეესტრში. კობახიძეებმა მახარაძეებს თანხა გადასცეს ხელშეკრულების დადებისთანავე ანუ 10 ოქტომბერს. შენაძენის აღსანიშნავად გაშალეს

სუფრა და მოაწყვეს წვეულება, მაგრამ წვეულების დროს ხორციის შეწვისას ელექტროლუმებზე მოხდა მოკლე ჩართვა, გაჩნდა ხანძარი, რომელიც დამსწრე პირებმა ვერ ჩააქრეს და სანამ გამოძახებული სახანძრო მანქანები მოვიდნენ, სახლი მთლიანად დაიწვა. აღმოჩნდა, რომ სახლი დაზღვეული იყო მახარაძეების სახელზე.

დავით და ციალა კობახიძეებმა სარჩელით მიმართეს სასამართლოს და მოითხოვეს მახარაძეებისაგან გადახდილი თანხის – 5000 ლარის დაბრუნება იმ საფუძველით, რომ, რადგან ნასყიდობის ხელშეკრულება სანოტარო წესით არ იყო დადასტურებული, შესაბამისად არ ითვლება დადებული. სასამართლოში მახარაძეები ამტკიცებდნენ, რომ ნასყიდობის ხელშეკრულება უნდა ჩათვლილიყო დადებული, რამეთუ იგი შედგენილ იქნა წერილობით, ხელმოწერილ იქნა ორივე მხარის მიერ და შესაბამისად კობახიძეებმა წერილობით გამოთქვეს თანხმობა, რომ ხუთ დღეში ხელმოწერიდან დაედასტურებინათ სანოტარო წესით, ამიტომაც კობახიძეები ითვლებიან შესაკუთრებად და, შესაბამისად, შემთხვევითი დაღუპვის ან დაზიანების რისკიც მათ აწევთ.

ითვლება თუ არა მახარაძეებსა და კობახიძეებს შორის საცხოვრებელი სახლის ნასყიდობის ხელშეკრულება დადებული? ვის აწევს სახლის შემთხვევითი დაღუპვის ან დაზიანების რისკი? ვის სასარგებლოდ უნდა იქნეს გადახდილი სადაზღვევო ანაზღაურება?

1998 წლის 10 ნოემბერს დაიდო ნასყიდობის ხელშეკრულება სააქციო საზოგადოება „თამბაქოსა“ და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „კოლხეთს“ შორის. ხელშეკრულების პირობების მიხედვით სს შპს საკუთრებაში გადასცემდა თამბაქოს ნაწარმის მწარმოებელ საამქროს, რისთვისაც შპს სს უხდიდა საამქროს ღირებულებას 100 000 ლარის ოდენობით. ხელშეკრულება გაფორმებულ იქნა კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით.

1999 წლის 5 დეკემბერს სს „თამბაქოს“ წარმომადგენლებმა მიმართეს სარჩელით სასამართლოს და შპს „კოლხეთისაგან“ მოითხოვეს დამატებით კიდევ 100000 ლარის გადახდა. თავის ამ მოთხოვნას სს „თამბაქო“ იმით ასაბუთებდა, რომ შპს „კოლხეთისათვის“ საამქროს გადაცემის შემდეგ იქ დამონტაჟებული დაზგების ღირებულება ორმაგად გაიზარდა და ამიტომაც შპს-მ უნდა აანაზღაუროს ფასებს შორის სხვაობა. შპს „კოლხეთის“ წარმომადგენელი არ დაეთანხმა სს „თამბაქოს“ ამ მოთხოვნას იმ საფუძველით, რომ გასაყიდი ნივთის ფასის შეცვლა ხელშეკრულების დადების შემდეგ დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ეს გათვალისწინებულია თვითონ ნასყიდობის ხელშეკრულებით ანდა კანონით დადგენილი წესით, ხოლო ჩვენს შემთხვევაში კი ასეთ რამეს არც ხელშეკრულებით და არც კანონით ადგილი არა აქვს და ამიტომაც უსაფუძველოა სს „კოლხეთის“ მოთხოვნა დამატებით 100 000 ლარის გადახდის შესახებ.

როგორ გადაეწყვიტოთ დავა?

ქაზუსი №94

გელა ბეჟანიშვილმა მალაზია „ტექნიკაში“ განვადებით შეიძინა ფოტოაპარატი ზენიტი 400 ლარად. ხელშეკრულების შინაარსის მიხედვით ბეჟანიშვილმა ფოტოაპარატის გადაცემისას გადაიხდა 100 ლარი, ხოლო დარჩენილი 300 ლარი კი უნდა გადაეხდა ექვსი თვის განმავლობაში ყოველთვიურად 50 ლარის ოდენობით. ხელშეკრულების დადებიდან ერთი თვის შემდეგ გელა ბეჟანიშვილი საკუთარი განცხადების საფუძველზე გათავისუფლდა სამუშაო ადგილიდან და შემდგომი ორი თვის განმავლობაში არ გადაიხდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყოველთვიური 50 ლარი მალაზიის სასარგებლოდ. ამასთან დაკავშირებით მალაზიის ადმინისტრაციამ სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა ბეჟანიშვილისაგან დარჩენილი დავალიანების მთელი თანხის ანუ 300 ლარის ერთდროულად გადახდა, მიუხედავად იმისა, რომ საბოლოო გადახდამდე ჯერ კიდევ სამი თვის ვადა იყო დარჩენილი. სასამართლოში ბეჟანიშვილმა განაცხადა, რომ მისგან მთელი თანხის გადახდა ეწინააღმდეგება ხელშეკრულების შინაარსს, რომელიც ითვალისწინებს მის მიერ ნაყიდი ნივთის ღირებულების ნაწილ-ნაწილ გადახდას.

როგორ გადაწყვიტოთ დავა?

ქაზუსი №95

ივანე დიდებულიძე და ანზორ ხომასურიძე ზეპირად შეთანხმდნენ იმის თაობაზე, რომ ივანე ანზორს საკუთრებაში გადასცემდა ტელევიზორს ფასის გადახდამდე, ხოლო ანზორი კი ტელევიზორის ფასს გადაიხდიდა ნაწილ-ნაწილ ხელშეკრულებით განსაზღვრული დროის შუალედებში.

ჩაითვლება თუ არა ასეთ შემთხვევაში განვადებით ნასყიდობის ხელშეკრულება დადებულიად?

პეტრე ფაილოძემ მალაზია „ტექნიკაში“ შეიძინა მის მიერ მოწონებული მოდელის უკანასკნელი ვერსიის ევრომატური სარეცხი მანქანა, სამუშაო დღის დასასრულს საღამოს ექვს საათზე. გამყიდველებმა სასწრაფოდ შეფუთეს სარეცხი მანქანა და გადასცეს მყიდველს, რომელმაც მეგობრების დახმარებით სარეცხი მანქანა სახლში მიიტანა. სახლში სარეცხი მანქანის მიტანისას პეტრემ აღმოაჩინა, რომ მანქანის ტექნიკურ პასპორტს დარტყმული არ ჰქონდა მალაზიის შტამპი და არ იყო აღნიშნული გაყიდვის თარიღი. გარდა ამისა, პასპორტს აკლდა რამდენიმე გვერდი და მათ შორის საგარანტიო ტალონიც. ტექნიკური მონაცემების წაკითხვისას, პეტრე ფაილოძე დარწმუნდა, რომ საკუთარი ძალებით ვერ შეუერთებდა სარეცხ მანქანას წყალგაყვანილობის მილებს, ხოლო ვისთვის მიემართა დახმარებისთვის კი არ იცოდა, რადგან ტექნიკურ პასპორტს გვერდები აკლდა.

მორე დღეს პეტრემ მიმართა მალაზიის ადმინისტრაციას მოთხოვნით, რომ გამოეცვალათ სარეცხი მანქანის ტექპასპორტი და მიეთითებინათ მასში გაყიდვის დღე. მალაზიის ადმინისტრაციამ უარი განაცხადა დაეკმაყოფილებინა პეტრეს მოთხოვნა იმ საფუძველით, რომ ქალაქში შემოტანილ იქნა ასეთი მოდელის სარეცხი მანქანების დიდი რაოდენობა და სად შეიძინა პეტრემ ეს სარეცხი მანქანა, ძნელი დასადგენია, და თუნდაც იგი შეეძინა ამ მალაზიაში, მათ ზედმეტი ტექპასპორტი მაინც არ ჰქონდათ. ვერ მიაღწია რა თავისი მოთხოვნის დაკმაყოფილებას, პეტრემ სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა მალაზია „ტექნიკასთან“ დადებული სარეცხი მანქანის ნასყიდობის ხელშეკრულების გაუქმება და მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

რა გადაწყვეტილებას მიიღებს სასამართლო?

ოთარ ბრეგვაძემ მაღაზია „ქსოვილში“ შეიძინა ნატურალური შალისაგან დამზადებული ძვირადღირებული ხალიჩა. ხალიჩის შეძენიდან ორი კვირის შემდეგ, როდესაც ოთარის მეუღლემ — ციალამ მტკერსასრუტით გაწმინდა იგი, აღმოჩნდა, რომ ხალიჩას ზოგ ადგილას ქსოვილი ასძვრა, ხოლო ზოგან კი გახუნდა და თავდაპირველი შეფერილობა დაკარგა. ოთარ ბრეგვაძემ მეორე დღესვე პრეტენზიით მიმართა მაღაზიის ადმინისტრაციას უხარისხო ხალიჩის მისთვის მიყიდვასთან დაკავშირებით. ჩატარებულმა ექსპერტიზამ დაადგინა, რომ ხალიჩის ზედაპირის ქსოვილის აძრობა გამოიწვია იმან, რომ ქსოვილი დამაგრებული იყო უხარისხო ძაფით. ოთარმა მოითხოვა მაღაზიის ადმინისტრაციისაგან უხარისხო ხალიჩის გამოცვლა ანალოგიური მოდელის ხარისხიანი ხალიჩით. მაღაზიის ადმინისტრაციამ უარი განაცხადა დაეკმაყოფილებინა ოთარის მოთხოვნა იმ მოტივით, რომ მისთვის მიყიდული ხალიჩა მაღაზიამ საკომისიო ხელშეკრულების საფუძველზე შეიძინა ირაკლი გედენიძისაგან გაყიდვამდე ორი კვირით ადრე, ამიტომაც ოთარის მოთხოვნა უნდა დააკმაყოფილოს ირაკლი გედენიძემ.

ოთარ ბრეგვაძემ სარჩელით მიმართა სასამართლოს.

რა გადაწყვეტილებას მიიღებს სასამართლო?

1999 წლის 10 მაისს დავით სამხარაულმა და ლევან ნოზაძემ დადეს გაცვლის ხელშეკრულება. ხელშეკრულების შინაარსის მიხედვით ლევანი თავის ერთოთახიან საცხოვრებელ ბინას უცვლიდა დავითს ავტომანქანა „ნივაში“, გარდა ამისა, დავითს ლევანისათვის დამატებით კიდევ უნდა გადაეხადა 2000 ლარი, რამეთუ მხარეთა შეთანხმებით სწორედ ამ თანხით აღემატებოდა საცხოვრებელი ბინის ღირებულება მანქანის ღირებულებას. დავითმა და ლევანმა ხელშეკრულება შეადგინეს წერილობითი ფორმით და გადაწყვიტეს დაედსტურებინათ სანოტარო წესით 15 მაისს. სანამ გაცვლის ხელშეკრულებას სანოტარო წესით დაადასტურებდნენ, დავითმა დათვალა ლევანის საცხოვრებელი ბინა და დარწმუნდა, რომ იგი საფუძვლიანი კოსმეტიკური გარემონტების გარეშე საცხოვრებლად არ გამოდგებოდა. დავითმა გადაიანგარიშა გარემონტების ხარჯები, რომელმაც ჯამში შეადგინა 2000 ლარი. ამ გარემოებაზე დაყრდნობით დავითმა ლევანს უარი განუცხადა დამატებით 2000 ლარის გადახდაზე. ლევანი არ დაეთანხმა დავითს და მოითხოვა მანქანის გარდა დამატებით 2000 ლარის გადაცემა იმ საფუძვლით, რომ გაცვლის ხელშეკრულებაში არაფერი იყო ნათქვამი გასაცვლელი საცხოვრებელი ბინის ხარისხის შესახებ.

როგორ გადავწყვიტოთ დავა?

კაზუსი №99

გიორგი გოგოლაძემ და ლევან ნემსაძემ დადეს გაცვლის ხელშეკრულება, რის მიხედვითაც გიორგი ლევანს გადასცემდა 10 000 ლარს მანქანის შესაძენად, ხოლო ლევანი კი გიორგის სანაცვლოდ გადასცემდა სააქციო საზოგადოებაში თავის კუთვნილ აქტივებს 10 000 ლარის ოდენობის.

მართლზომიერია თუ არა ასეთი სახის გაცვლის ხელშეკრულება?

კაზუსი №100

თენგიზ ბექაურმა და ბექა დვალიძემ, რომლებიც ერთმანეთის მეზობლად აშენებდნენ საცხოვრებელ სახლებს, მოილაპარაკეს, რომ დახმარება გაეწიათ ერთმანეთისათვის საშენებლო მასალების შეძენასა და მოტანაში, ამასთან, თენგიზმა იკისრა ვალდებულება შეეძინა და მოეტანა აგური, ხოლო ბექას კი უნდა შეეძინა და მოეტანა ხის მასალა. მხარეებმა შეადგინეს გაცვლის ხელშეკრულება, რომლითაც ერთმანეთისათვის გასაცვლელი ქონების ღირებულება შეაფასეს თანაბრად. თუმცა კი აგურის მიტანა გაცილებით ძვირი დაჯდა, ვიდრე ხის მასალის. ამასთან დაკავშირებით თენგიზმა მოსთხოვა ბექას დამატებითი ხარჯების ნახვერის ანაზღაურება, რაზედაც ბექამ უარი განაცხადა.

რომელია მათ შორის მართალი და რატომ?

კახუსი №101

ნიკა ჯანჯღავამ და თამაზ ქარქაშაძემ დადეს გაცვლის ხელშეკრულება. ხელშეკრულების მიხედვით ნიკა ვალდებულებას კისრულობდა გადაეცა თამაზისათვის გასაყიდად 50 ყუთი არაყი, ხოლო თამაზი კი კისრულობდა გადაეცა ნიკასათვის იმავე თანხის ოდენობის სამრეწველო საქონელი. მხარეებმა საქონლის გაცვლა მოახდინეს შეთანხმებულ ვადაში. თუმცა კი მაკონტროლებელი ორგანოების მიერ თამაზ ქარქაშაძისაგან ამოღებულ და განადგურებულ იქნა 50 ყუთივე არაყი იმ საფუძვლით, რომ იგი ფალსიფიცირებული იყო და მისი რეალიზაცია მომხმარებლის მოწამვლას გამოიწვევდა. ამის შემდეგ თამაზმა სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა ნიკასაგან მიყენებული მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურება.

რა გადაწყვეტილებას მიიღებს სასამართლო?

კახუსი №102

ორმა ინდივიდუალურმა მეწარმემ — კაშიამ და გიორგაძემ მოილაპარაკეს, რომ საქონლის შესაძენად და ჩამოსატანად წასულიყვნენ საზღვარგარეთ სხვადასხვა ქვეყანაში, ხოლო შემდეგ კი იმ მიზნით, რომ შეემცირებინათ ჩამოტანილი საქონლის რეალიზაციის ვადა, მოახდენდნენ ჩამოტანილი სხვადასხვა სახის საქონლის გაცვლას წინასწარ შეთანხმებულ ფასად. გაცვლის ხელშეკრულებაში, რომელიც წერილობითი ფორმით იქნა შედგენილი, მითითებულ იქნა საქონლის ჩამოტანის ვადა. კაშიასა და გიორგაძის მეუღლეები ვაჭრობდნენ სხვადასხვა ქალაქის ბაზრობებზე. კაშიამ შეთანხმებულ ვადაში ჩამოიტანა საქონელი, მაგრამ გიორგაძის მეუღლეს არ გადასცა საქონლის ნაწილი იმის გამო, რომ გიორგაძემ საზღვარგარეთ მთერალ მდგომარეობაში მყოფმა რესტორანში

ატეხა ჩხუბი და იგი საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისთვის დაკავებულ იქნა ადგილობრივი პოლიციის მიერ. როდესაც გიორგაძე სახლში დაბრუნდა, კაშიამ მის წინააღმდეგ სასამართლოში შეიტანა სარჩელი და მოითხოვა მიყენებული ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიაღდა ერთგვაროვანი სახის საქონლის რეალიზაციის ვადის გაჭიმვით, რამეთუ საქონლის ნაწილი უნდა გაეყიდა გიორგაძეს სხვა ქალაქში, ასევე მოითხოვა იმ მოგების ანაზღაურება, რომელიც მას უნდა მიეღო გიორგაძის მიერ ხელშეკრულებით დათქმულ ვადაში რომ ყოფილიყო საქონელი ჩამოტანილი.

რა გადაწყვეტილებას მიიღებს სასამართლო?

კ ა ზ უ ს ი №103

დავით შაშიაშვილმა და შოთა ხარაბაძემ დადეს გაცვლის ხელშეკრულება. ხელშეკრულების მიხედვით დავითი შოთას გადასცემდა ავტომანქანა „ვოლვოს“, ხოლო შოთა კი დავითს გადასცემდა ავტომანქანა „ვოლგას“ და დამატებით კისრულობდა გადაეხადა 5000 ლარი ანუ ის თანხა, რითაც „ვოლვოს“ ღირებულება აღემატებოდა „ვოლგის“ ღირებულებას.

რა მომენტიდან ხდებიან ხელშეკრულების მხარეები გასაცვლელი ავტომანქანების მესაკუთრეები?

1997 წლის 10 დეკემბერს დემურ კახიძემ მემკვიდრეობით მიიღო გარდაცვლილი დედის სახლი ანდერძით. დეკემბრის თვის ბოლოს დემური თავის მეზობელს კახა წიქარიძეს დაჰპირდა, რომ მის შვილს აჩუქებდა მემკვიდრეობით მიღებულ სახლს, როცა კახას შვილი დაამთავრებდა საშუალო სკოლას. 1998 წლის 10 იანვარს ჩუქების დაპირება გაფორმებულ იქნა კანონით დადგენილი წესის მიხედვით. ჩუქების დაპირებიდან ორი წლის შემდეგ კახას შვილმა დაამთავრა საშუალო სკოლა, მაგრამ დემურ კახიძემ უარი განაცხადა დაპირებული საცხოვრებელი სახლის კახას შვილისთვის საჩუქრად გადაცემაზე იმ მოტივით, რომ მას შეეძინა მესამე შვილი, რის გამოც შეიცვალა მისი ოჯახური მდგომარეობა და ამიტომ აღარ შეუძლია სახლის ჩუქება. კახა წიქარიძემ სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა დემურ კახიძისაგან დაპირების იძულებით აღსრულება, ასევე მისთვის და მისი შვილისათვის მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურება. კახა წიქარიძე თავის მოთხოვნებს ასაბუთებდა იმით, რომ, მართალია, დამპირებელს შეეძინა მესამე შვილი, მაგრამ მას ეს საცხოვრებელი სახლი სრულებით არ სჭირდება, რადგან მის გარდა აქვს კიდევ ორი საცხოვრებელი სახლი და, შესაბამისად, მისი ქონებრივი მდგომარეობა არ გაუარესებულა, ხოლო თვითონ იგი კი განიცდის საცხოვრებელი ფართის სივიწროვეს, რამეთუ მრავალშვილიანია და თანაც შრომისუუნარო.

როგორ გადაწყვეტილებას მიიღებს სასამართლო?

მარიამ ხიჯაკაძე თავის შვილთან და შვილიშვილთან ერთად ცხოვრობდა კოოპერატიულ ბინაში. მარიამმა მოახდინა ბინის პრივატიზაცია თავის სახელზე 1997 წელს. 1998 წელს იგი საცხოვრებლად გადავიდა სხვა ქალაქში და გადაწყვიტა შვილისათვის ერუქებინა თავის სახელზე პრივატიზებული ბინა. მარიამმა ჩუქების ხელშეკრულების გასაფორმებლად ნოტარიუსს მიმართა, მაგრამ ნოტარიუსმა მას განუცხადა, რომ ჩუქების ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს ერთდროულად შვილსა და შვილიშვილზე და არ შეიძლება მხოლოდ შვილზე. მარიამ ხიჯაკაძემ ამაზე უარი განაცხადა და აღნიშნა, რომ მას, მართალია, ძალიან უყვარს თავისი შვილიშვილი, მაგრამ სურს რომ ბინა აჩუქოს თავის შვილს, ხოლო მერე შვილმა თვითონ გადაწყვიტოს თავისი შეხედულებისამებრ, მით უმეტეს, რომ მას კიდევ ჰყავს ერთი შვილი წინა ქორწინებიდან, რომელიც სხვაგან ცხოვრობს. მარიამის პასუხის მოსმენის შემდეგ ნოტარიუსმა მას ურჩია, რომ დაეწერა ანდერძი შვილის სახელზე და ამგვარად გადაეცა მისთვის ბინა.

მართლზომიერია თუ არა ნოტარიუსის მოქმედებები?

ჰუმანიტარულმა ორგანიზაციამ უსახლკარო პირთა ღამის გასათენებელ სახლს საქველმოქმელო მიზნით გამოუყო 5000 ლარი 500 ცალი მატყლის საბნის შესაძენად. გამომდინარე იქიდან, რომ ბავშვებს უფრო სჭირდებოდათ ახალი საბნები, ვიდრე უსახლკარო ქუჩაში მაწანწალა პირებს, ღამის გასათენებელი სახლის ადმინისტრაციამ ხელშეკრულება დადო ბავშვთა საავადმყოფოსთან, რომლის მიხედვითაც ბავშვთა საავადმყოფოს გადაეცემოდა შემოწირული თანხიდან 500 ცალი ახალი მატყლის საბანი, ხოლო ბავშვთა

საავადმყოფო კი ღამის გასათენებელ სახლს გადასცემდა 500 ცალს, ოღონდ უკვე გაცვეთილ საბნებს. ორი თვის შემდეგ ჰუმანიტარულმა ორგანიზაციამ შეამოწმა შეწირული თანხის დახარჯვის მიზნობრიობა და როდესაც შეიტყო, რომ თანხა არამიზნობრივად დაიხარჯა, მოითხოვა პირობის შესრულება, რაზედაც ღამის გასათენებელი სახლის ხელმძღვანელობამ თანხების არქონის გამო უარი განაცხადა.

როგორ გადაეწყვიტოთ დავა?

კაზუსი №107

აკაკი სიხარულიძემ 1998 წლის 10 მაისს თავის საკუთრებაში არსებული ოროთახიანი ბინა საჩუქრად გადასცა გიული პავლიაშვილს. ხელშეკრულება გაფორმებულ იქნა კანონით დადგენილი წესით. 1999 წლის 15 აპრილს აკაკი სიხარულიძემ შეიტანა სასამართლოში სარჩელი და მოითხოვა გიული პავლიაშვილთან დადებული ჩუქების ხელშეკრულების გაუქმება იმ საფუძველით, რომ ხელშეკრულების დადებისას იყო დროებითი სულიერი მოშლილობის მდგომარეობაში. მართალია, ამჟამად იგი ისევ იმ გაჩუქებულ ბინაში ცხოვრობს, მაგრამ გიული პავლიაშვილი არანაირ ყურადღებას არ აქცევს და არ ეხმარება, რადგან ცხოვრობს სხვა ქალაქში, მას კიდევ შრომისუუნარობის გამო ესაჭიროება მატერიალური დახმარება. გიული პავლიაშვილმა სარჩელი არ ცნო და სასამართლოს განუცხადა, რომ მან ბინაში ჩაატარა კაპიტალური რემონტი, იხდის ყველანაირ კომუნალურ გადასახადებს და, გარდა ამისა, აკაკი სიხარულიძეს ყოველთვიურად უგზავნის 100 ლარს.

ხომ არ არის დადებული ჩუქების ხელშეკრულება იმ მიზნით, რომ შენიღბულ იქნეს ის გარიგება, რომლის დადებაც სურდათ მხარეებს? რა გადაწყვეტილებას მიიღებს სასამართლო?

ნელი ღოღობერიძემ სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა ჩუქების ხელშეკრულების გაუქმება. სასარჩელო განცხადებაში ნელი ღოღობერიძე აღნიშნავდა, რომ ერთი წლის წინ შეიტყო, რომ დაავადებული იყო ავთვისებიანი სიმსივნით, რაც ცნობილი გახდა მისი ძმისშვილისათვის, რომელმაც არ მოისვენა მანამ, სანამ არ შეადგენინა ანდერძი თავის სასარგებლოდ, შემდეგ კი წაიყვანა ნოტარიუსთან, სადაც მას ეგონა, რომ ხელს აწერდა ანდერძს, სინამდვილეში კი ხელი მოუწერია ჩუქების ხელშეკრულებისათვის. ნელის ძმისშვილმა სარჩელი არ ცნო და სასამართლოს განუცხადა, რომ მამიდამისმა ხელშეკრულების ხელმოწერისას მშვენივრად იცოდა თუ რას აწერდა ხელს და რა სამართლებრივ შედეგებთან იყო ეს დაკავშირებული, რამეთუ ამის შესახებ ნოტარიუსმა მოწმეების თანდასწრებით რამდენჯერმე განუმარტა. ჩუქების ხელშეკრულების საჯარო რეესტრში გაფორმების შემდეგ დასაჩუქრებულმა ბინაში ჩაატარა უმაღლესი დონის ევრორემონტი და შეიძინა ახალი ავეჯი. ამჟამად გამჩუქებელმა ნახა მყიდველი და უნდა რომ მას მიჰყიდოს ბინა.

ცნობს თუ არა სასამართლო საცხოვრებელი ბინის ჩუქების ხელშეკრულებას ბათილად?

ქეთევან სირბილაძემ სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა გელა კიკნაძესთან დადებული ოროთახიანი საცხოვრებელი ბინის ნაჩუქრობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა იმ საფუძველით, რომ ხელშეკრულების დადებისას იგი შეცდომაში იქნა შეყვანილი მის სამართლებრივ შედეგებთან დაკავშირებით. სასარჩელო განცხადებაში ქეთევანმა აღნიშნა, რომ 1999 წლის 20 ივნისს აჩუქა გელა კიკნაძეს თავის საკუთრებაში არსებული ოროთახიანი ბინა იმ პირობით, რომ გელა კიკნაძე აცხოვრებდა მას ამ ბინაში, მოუვლიდა და მატერიალურ დახმარებას გაუწევდა სიცოცხლის ბოლომდე. მაგრამ დასაჩუქრებულმა დაარღვია შეთანხმება და არ უვლის და არც მატერიალურ დახმარებას უწევს მას.

პირველი ინსტანციის სასამართლომ ქეთევან სირბილაძეს სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარი განუცხადა იმ მოტივით, რომ ხელშეკრულების დადებისას ადგილი არ ჰქონია ზეწოლასა და შეცდომაში შეყვანას, მოსარჩელე სრულად აცნობიერებდა თავის მოქმედებებს და, გარდა ამისა, მან ვერ შეძლო სასამართლოსათვის წერილობითი მტკიცებულებების წარდგენა, რომლითაც დაადასტურებდა, რომ ხელშეკრულება დაიდო მოსარჩელის სამისდღემშიო რჩენის პირობით.

მოსარჩელემ გაასაჩივრა სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით. სააპელაციო საჩივარში მან აღნიშნა, რომ ჩუქების ხელშეკრულება დადებულ იქნა იმ პირობით, რომ დასაჩუქრებული გაუწევდა მას მატერიალურ და სხვა სახის დახმარებას, გადაიხდიდა კომუნალური მომსახურების ხარჯებს და რომ მას სურდა გაეფორმებინა ბინა ანდერძით დასაჩუქრებულის სახელზე, მაგრამ დასაჩუქრებულმა მას შესთავაზა, რომ ერუქებინა ბინა ამ პირობებით. ხოლო ის, რომ შეიძლებოდა დადებულიყო სამისდღემშიო რჩენის ხელშეკრულება, მოსარჩელემ არ იცოდა. სასამართლოს მიერ დაკითხულმა მოწმეებმა თავიანთ ჩვენებაში განმარტეს, რომ მოსარჩელის სიტყვებიდან მათთვის ცნობილი იყო, რომ ხელშეკრულება არ იყო უსასყ-

იღლო, რომ გადაცემული ბინისათვის გელა კიკნაძემ იკისრა ვალდებულება მატერიალური დახმარება გაეწია მოსარჩელისათვის სიცოცხლის ბოლომდე, მაგრამ არ ასრულებს თავის დაპირებას. გელა კიკნაძემ უარყო მასსა და გამჩუქებელს შორის სხვა რაიმეზე შეთანხმება და აღნიშნა, რომ ქეთევან სირბილაძემ ყოველგვარი დამატებითი ვალდებულების შესრულების პირობის გარეშე გადასცა მას საჩუქრად საცხოვრებელი ბინა.

ამის საპასუხოდ ქეთევან სირბილაძემ დამატებით აღნიშნა, რომ გაჩუქებული ბინა არის მისი ერთადერთი ძვირფასი ქონება, რომლის ხარჯზეც უნდა იარსებოს მან, რადგან შრომისუუნაროა და არანაირი სხვა შემოსავლის წყარო მას არ გააჩნია, ამიტომაც იგი ვერავის ვერ გადასცემდა მას უსასყიდლოდ საკუთრებაში სამისდღემშოო რჩენის პირობის გარეშე.

ზომ არ არის ჩუქების ხელშეკრულება თვალთმაქცური?

რა გადაწყვეტილებას მიიღებს სასამართლო საქმის ხელახალი განხილვისას?

კ ა ზ უ ს ი № 110

მარტოხელა და ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებული გ. ჯანჯიბუხაშვილი წერილობითი ფორმით დაჰპირდა თავის დიდი ხნის მეგობარს გ. ქემოკლიძეს, რომ აჩუქებდა თავის საკუთრებაში მყოფ ოროთახიან საცხოვრებელ ბინას, რომელიც დასაჩუქრებულის საკუთრებაში გადავიდოდა გამჩუქებლის გარდაცვალების შემდეგ.

გახდება თუ არა გ. ქემოკლიძე საცხოვრებელი ბინის მესაკუთრე გ. ჯანჯიბუხაშვილის გარდაცვალების შემდეგ?

კახუსი №111

ომარ თევზაძემ თავის დისშვილს საქორწილო საჩუქრის სახით გადასცა მიწის ნაკვეთი 3000 კვ.მ. ფართობის. ჩუქების ხელშეკრულება გაფორმებულ იქნა წერილობით და დასაჩუქრებულმა თანხმობა განაცხადა მიეღო საჩუქრად მიწის ნაკვეთი. საგაზაფხულო სამუშაოების ჩატარებისას გამოირკვა, რომ ნაჩუქარი მიწის ნაკვეთი დაჭაობებული იყო, რომლის ამოშრობასაც სჭირდებოდა დიდი ხარჯები. რადგან დასაჩუქრებულს ამის მატერიალური შესაძლებლობა არ გააჩნდა, ამიტომაც მან ზეპირი ფორმით უარი განაცხადა ნაჩუქარ მიწის ნაკვეთზე.

ითვლება თუ არა ჩუქების ხელშეკრულება დადებულიად?

როგორი ფორმით უნდა მომხდარიყო ჩუქების ხელშეკრულების გაუქმება?

კახუსი №112

ზაზა ნეფარიძემ წერილობითი ფორმით შეადგინა ჩუქების ხელშეკრულება, რის მიხედვითაც ზაზა თავისი მეუღლის მკურნალ ექიმს მაღლიერების ნიშნად საჩუქრად გადასცემდა ოქროს ბეჭედს ბრილიანტის ქვებით. მკურნალმა ექიმმა თანხმობის ნიშნად ხელი მოაწერა ხელშეკრულებას. ზაზა დაჰპირდა ექიმს, რომ საჩუქარს მიუტანდა ორ დღეში, მაგრამ, როდესაც შეთანხმებულ ვადაში გამჩუქებელმა დასაჩუქრებულს მიუტანა ნაჩუქარი ბეჭედი, დასაჩუქრებულმა წერილობითი ფორმით უარი განაცხადა საჩუქრის მიღებაზე.

მართლზომიერია თუ არა გამჩუქებლისა და დასაჩუქრებულის მოქმედებები? რა საფუძველით შეიძლება რომ დასაჩუქრებულს განეცხადებინა უარი საჩუქრის მიღებაზე?

კახუსი №113

ნათია ს-მ თავისი ქმრის თანხმობის გარეშე მეგობარს საჩუქრად გადასცა ქმართან ერთად შეგროვილი 150 ცალი ძველი წიგნების ბიბლიოთეკა. ჩუქების ხელშეკრულება გაფორმებულ იქნა წერილობითი ფორმით, სადაც დასაჩუქრებულმა თანხმობა განაცხადა საჩუქრის მიღებაზე. ხანგრძლივი სამსახურეობრივი მიეღინებოდნენ დაბრუნების შემდეგ ნათიას მეუღლემ აღმოაჩინა, რომ ბიბლიოთეკა მისი თანხმობის გარეშე სხვას გადაეცა, მან სარჩელით მიმართა სასამართლოს ნათიას წინააღმდეგ და მოითხოვა გაჩუქებული წიგნების უკან დაბრუნება და მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურება.

ვალდებული იყო თუ არა ნათია შეეთანხმებინა ჩუქების ხელშეკრულება მეუღლესთან? დააკმაყოფილებს თუ არა სასამართლო სარჩელს?

კახუსი №114

დ. ქათამაძემ თავის მეგობარ ზ. ნავაძეს წერილობითი სახით გაფორმებული ხელშეკრულებით საჩუქრად გადასცა ფულადი დანაზოგი, რომელიც მას ჰქონდა ერთ-ერთ კომერციულ ბანკში. ზ. ნავაძემ მიმართა ბანკს ფულადი დანაზოგის გამოსატანად, თუმცა კი ბანკმა უარი განაცხადა მიეცა ფულადი დანაზოგი დასაჩუქრებულისათვის იმ საფუძველით, რომ ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე მას არ შეეძლო ფულადი თანხის გაცემა.

მართლზომიერია თუ არა ბანკის მოქმედება? პასუხი დაასაბუთეთ.

კაზუსი №115

გიორგი კახაძემ თემურ ცინცაძესთან დადო ხელშეკრულება, რომლითაც იკისრა ვალდებულება თემურ ცინცაძის ნაცვლად გადაეხადა მისი ვალი კომერციული ბანკისათვის, რომელიც წარმოიშვა სესხის უკან თავისდროულად არდაბრუნების შედეგად. გიორგიმ და თემურმა მათ შორის დადებულ ხელშეკრულებას უწოდეს ჩუქების ხელშეკრულება.

ჩაითვლება თუ არა დადებული ხელშეკრულება ჩუქების ხელშეკრულებად?

კაზუსი №116

ნათია პ-მ თავისი მცირეწლოვანი შვილის პეტრეს სახელით, რომელსაც სხეულის დამბლის გამო მთლიანად წართქმეული ჰქონდა მოძრაობისა და მეტყველების უნარი, წერილობით გაფორმებული ხელშეკრულებით საჩუქრად გადასცა მზია დ.-ს უცხოური წარმოების იმპორტული ტელევიზორი, რომელიც ადრე აჩუქეს პეტრეს სპონსორებმა საავადმყოფოში მკურნალობისას. დასაჩუქრებულმა მიიღო საჩუქარი. სპონსორმა შეიტყო რა მოგვიანებით ამის შესახებ, სასამართლოში შეიტანა სარჩელი ნათია პ-ს წინააღმდეგ და მოითხოვა ტელევიზორის უკან დაბრუნება, ასევე პეტრესთვის მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურება, რომელიც ჩუქების ხელშეკრულების დადების დროს იმყოფებოდა საავადმყოფოში სამკურნალოდ.

მართლზომიერია თუ არა ნათია პ-ს მოქმედებები? დააკმაყოფილებს თუ არა სასამართლო სპონსორის სასარჩელო მოთხოვნას?

გია თვალაძემ თავის ძმასთან დავითთან წერილობითი სახით დადო ჩუქების ხელშეკრულება, რის მიხედვითაც გია დავოს საჩუქრად გადასცემდა საკუთარ ერთოთახიან ბინას, თუმცა დავითმა ზეპირი ფორმით უარი განაცხადა საჩუქარზე და არ გამოარჩვა ძმას ოთახის გასაღები. მეორე დღეს გია თვალაძის მიერ ძმისთვის ნაჩუქარ ბინაში დაზიანებული ონკანიდან გადმოიღვარა წყალი, რომელმაც დაასველა ოთახში დაგებული პარკეტი და ჩავიდა ქვედა სართულზე მცხოვრებ მეზობლებთან, რომლებსაც დაუზიანა საცხოვრებელი ბინის ჭერი და იატაკი. გია თვალაძემ შეიტანა სასამართლოში სარჩელი ძმის, დავითის წინააღმდეგ და მოითხოვა მისგან იმ ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიაღება ძმის მიერ ნაჩუქარ ბინაზე და იქ საცხოვრებლად გადასვლაზე უარის თქმის შედეგად.

რა გადაწყვეტილებას მიიღებს სასამართლო?

გ. პეტრიაშვილმა თავის ინვალიდ მეგობარს ო. ნემსაძეს საჩუქრად გადასცა ავტომანქანა. ჩუქების ხელშეკრულებაში მხარეებმა ურთიერთშეთანხმებით ჩაწერეს, რომ ო. ნემსაძის გარდაცვალების შემთხვევაში მისი ნათესავები ნაჩუქარ მანქანას უკან დაუბრუნებდნენ გამჩუქებელს — გ. პეტრიაშვილს. ჩუქების ხელშეკრულების დადებიდან ერთი წლის შემდეგ ო. ნემსაძე გარდაიცვალა, ხოლო მისმა მემკვიდრემ — შვილმა კი უარი განაცხადა გ. პეტრიაშვილისათვის მანქანის უკან დაბრუნებაზე. გ. პეტრიაშვილმა სარჩელი მიმართა სასამართლოს ო. ნემსაძის მემკვიდრის წინააღმდეგ და მოითხოვა გაჩუქებული ავტომანქანის უკან დაბრუნება ნაჩუქრობის ხელშეკრულების შინაარსის შესაბამისად.

დააკმაყოფილებს თუ არა სასამართლო გ. პეტრიაშვილის მოთხოვნას?

დ. ღონღაძე წერილობით დაჰპირდა თავის შვილიშვილს, რომ ქორწილის დღეს საჩუქრად გადასცემდა საცხოვრებელ სახლს. ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს ორივე მხარემ და დაადასტურებინეს სანოტარო წესით. პაპამ და შვილიშვილმა გადაწყვიტეს ხელშეკრულების დადება აღენიშნათ პატარა წვეულებით. წვეულებაზე მათ დალიეს ალკოჰოლური სასმელი. შემთვრალმა პაპამ შვილიშვილს ჰკითხა, თუ რატომ არ ჰყავდა 25 წლის ახალგაზრდას მეგობარი გოგონა და ხომ არ ჰქონდა რაიმე ბიოლოგიური გადახრა. შვილიშვილი ამ კითხვაზე გაბრაზდა, დაავლო დანას ხელი და პაპას მიაყენა სხეულის მსუბუქი დაზიანება. გამოჯანმრთელების შემდეგ პაპამ ცალმხრივად გააუქმა ჩუქების დაპირება და უარი განაცხადა შეპირებული სახლის საჩუქრად გადაცემაზე.

ჰქონდა თუ არა დ. ღონღაძეს ამ მოქმედების განხორციელების უფლება სამოქალაქო კოდექსის მიხედვით?

თამარ დოლიძე სისტემატურად აგვიანებდა სამსახურში მალევიძარა საათის არქონის გამო. მისმა დეიდამ ნათელამ თამარს საჩუქრად გადასცა ძვირფასი მალევიძარა საათი იმ მიზნით, რომ თამარს აღარ დაეგვიანა სამსახურში, მიუხედავად იმისა, რომ ახლა უკვე ჰქონდა მალევიძარა საათი, თამარი ზოგჯერ მაინც იგვიანებდა სამსახურში, სადაც მას არაერთგზის მისცა შენიშვნა ადმინისტრაციამ დაგვიანებისათვის. თამარის დეიდამ მოითხოვა გაჩუქებული საათის უკან დაბრუნება იმ მოტივით, რომ თამარი არ ასრულებდა იმას, რისთვისაც საათი გადაეცა საჩუქრად. თამარმა უარი განაცხადა ნაჩუქარი საათის უკან დაბრუნებაზე. ნათელამ სარჩელით მიმართა სასამართლოს თამარისაგან მალევიძარა საათის იძულებით უკან დაბრუნების მოთხოვნით. სასამართლომ უარი გა-

ნუცხადა მოსარჩელეს სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

სწორი გადაწყვეტილება მიიღო თუ არა სასამართლომ?

ქაზუსი №121

კომერციული ბანკის დირექტორმა ხელოვნების მუზეუმს საჩუქრად გადასცა ცნობილი მხატვრის ორიგინალი ნახატი, რომელიც შეძენილი იყო ბანკის კუთვნილი სახსრებით. ჩუქების ხელშეკრულება კანონის მოთხოვნათა დაცვით ხელმოწერილ იქნა სამი თვით ადრე ამ კომერციული ბანკის გაკოტრებამდე. ბანკის მენაბრეებმა როგორც კი შეიტყვეს ჩუქების ხელშეკრულების არსებობის შესახებ, სარჩელით მიმართეს სასამართლოს და მოითხოვეს ჩუქების ხელშეკრულების გაუქმება და სურათის რეალიზაცია აუქციონზე თავიანთი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, რამეთუ ბანკს არ ჰქონდა სხვა საკმარისი ქონება მენაბრეების მიერ შეტანილი ფულადი თანხების დასაბრუნებლად. სასამართლომ დააკმაყოფილა მენაბრეების სარჩელი.

სწორი გადაწყვეტილება მიიღო თუ არა სასამართლომ?

ქაზუსი №122

მ. ბადრიძემ თავის შვილიშვილს არჩილს აჩუქა ანტიკვარული გიტარა, რომელიც მემკვიდრეობით ჰქონდა მიღებული თავისი პაპისაგან. ნაჩუქრობის ხელშეკრულება გაფორმებულ იქნა წერილობითი ფორმით, ხელმოწერილ იქნა ორივე მხარის მიერ და შვილიშვილმა მიიღო საჩუქარი. საჩუქრის გადაცემიდან დიდი ხანი არც კი იყო გასული, რომ მ. ბადრიძემ შეამჩნია არჩილი უგულისყუროდ ეკიდებოდა გიტარას, დაკვრის შემდეგ უდიერად მიაგდებდა ხოლმე, პაპის შენიშვნებზე არავითარ ყურადღებას არ ამახვილებდა, ხოლო ერთხელ კი გიტარა გახუმრების მიზნით თავში ჩაარტყა მეგობარს.

მ. ბადრიძე დარწმუნდა, რომ ასეთი მოპყრობით გიტარა დაზიანდებოდა, არადა იგი ოჯახურ რელიკვიას წარმოადგენდა, ამიტომაც მ. ბადრიძემ სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა შვილიშვილთან დადებული ჩუქების ხელშეკრულების გაუქმება და გაჩუქებული გიტარის უკან დაბრუნება.

რა გადაწყვეტილებას მიიღებს სასამართლო?

კაზუსი №123

ნ. მჭედლიძემ ბაზრობაზე შეიძინა იმპორტული წარმოების ძვირფასი ქსოვილის კაბა ლამაზი ნაქარგებით, რომელიც იქვე მოიზომა და ჩაიცვა. სახლი მისვლისას საღამოთი მან აღმოაჩინა, რომ კანი ხელებსა და კისერზე გაუწითლდა და ჩათვალა, რომ მას ალერგია ჰქონდა ამ სახის ქსოვილზე. ნ. მჭედლიძემ შემდგომში აღარ ჩაიცვა ნაყიდი კაბა, ხოლო ორი კვირის შემდეგ კი იგი საჩუქრად მიუტანა თავის მეგობარს იას დაბადების დღეზე. იამ ჩაიცვა კაბა, მოეწონა და ატარებდა მას რამდენიმე დღე, თანაც საღამოობით კაბის გახდისას ყურადღებას არ აქცევდა იმას, რომ კისერი გაწითლებული ჰქონდა, მალე მან მთელ ტანზე შენიშნა წითელი გამონაყარი. იამ მიმართა პოლიკლინიკას, საიდანაც იგი გააგზავნეს ინფექციურ საავადმყოფოში დიაგნოზით – მუნი. საავადმყოფოდან გამოწერის შემდეგ იამ შეიტანა სასამართლოში სარჩელი ნ. მჭედლიძის მიმართ და მოითხოვა მისგან დაავადებული ქსოვილის ნაჩუქარი კაბით მიყენებული მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურება. სასამართლომ დააკმაყოფილა იას სასარჩელო მოთხოვნა.

სწორი გადაწყვეტილება მიიღო თუ არა სასამართლომ? პასუხი დაასაბუთოთ.

80 წლის თ. გიორგაძე ხშირად ავადმყოფობდა, რის გამოც სახლში იძახებდა სასწრაფო-სამედიცინო დახმარებისათვის მედპერსონალს. თ. გიორგაძის მეზობლად ცხოვრობდა მედდა ნ. კიკნაძე, რომელიც ყოველ საღამოს სახლში შეუვლიდა ხოლმე მოხუც მეზობელს და უწევდა სამედიცინო დახმარებას. მაღლიერების ნიშნად თ. გიორგაძემ ნ. კიკნაძეს განუცხადა, რომ გადაწყვეტილი ჰქონდა მისთვის ზამთარში ძვირფასი ბეწვის ქურქი ერუქებიანა, რადგან თვითონ ავად იყო და ქურქი აღარ დასჭირდებოდა, ხოლო იმისთვის, რომ დაერწმუნებინა თავის სიტყვების გულწრფელობაში, თ. გიორგაძემ 1999 წლის 10 ოქტომბერს ჩუქების დაპირება გააფორმა კანონით დადგენილი წესით.

1999 წლის 30 ნოემბერს თ. გიორგაძე გარდაიცვალა ისე, რომ ვერ მოასწრო ნ. კიკნაძისათვის დაპირებული ბეწვის ქურქის საჩუქრად გადაცემა. თ. გიორგაძის შვილმა უარი განუცხადა ნ. კიკნაძეს ქურქის გადაცემაზე. ნ. კიკნაძემ სარჩელით მიმართა სასამართლოს თ. გიორგაძის შვილის მიმართ და მოითხოვა მისგან დედის მიერ დადებული ჩუქების დაპირების ხელშეკრულების შესრულება.

რა გადაწყვეტილებას მიიღებს სასამართლო? პასუხი დაასაბუთეთ.

ინდივიდუალურმა მეწარმე დ. რაზმაძემ ონკოლოგიურ საავადმყოფოს შეწირულობის სახით გადასცა მიკროავტობუსი იმ მიზნით, რათა ექიმები სახლში მისულიყვნენ ავადმყოფებთან გამოძახების შემთხვევაში. ნაჩუქრობის ხელშეკრულებაში ჩაწერილ იქნა შეწირულობის მიზანი. მაგრამ ონკოლოგიური საავადმყოფოს მედპერსონალმა დაიწყო მიკროავტობუსის გამოყენება პირადი მიზნებისათვის. დ. რაზმაძე შეწირულობის განხორციელებიდან ერთი თვის გასვლის შემდეგ მოულოდნელად დაიღუპა ავტოკატასტროფაში. მისმა შვილმა შეიტყო რა, რომ ონკოლოგიური საავადმყოფო არ ასრულებს იმ მიზანს, რა მიზნისთვისაც განხორციელდა მისი გარდაცვლილი მამის მიერ მიკროავტობუსის შეწირულობა, შეიტანა სასამართლოში სარჩელი და მოითხოვა შეწირულობის გაუქმება და მიკროავტობუსის მისთვის გადაცემა.

აქვს თუ არა გარდაცვლილი დ. რაზმაძის მემკვიდრეს უფლება მოითხოვოს შეწირულობის გაუქმება? რა გადაწყვეტილება უნდა მიიღოს სასამართლომ?

პეტრე ხარაბაძემ გიორგი შარაბიძესთან დადო საცხოვრებელი ბინის ქირავნობის ხელშეკრულება, რის მიხედვითაც გიორგი პეტრეს სარგებლობაში გადასცემდა ხუთოთახიან საცხოვრებელ სახლს ხუთი წლის ვადით, ხოლო პეტრე კი კისრულობდა გადაეხადა სარგებლობისათვის დადგენილი ქირა ყოველთვიურად. ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ პეტრემ გიორგისთან შეთანხმებით, ქვექირავნობის ხელშეკრულების საფუძველზე, ორი ოთახი მიაქირავა ლევან კობალაძეს იმავე ვადით, რა ვადითაც ქირავნობის ხელშეკრულება იყო დადებული.

ქვემოქირავენ მთვითნებურად გამოანგრია კუთხის კედელი, ჩააყენა მასში კარები და მოაწყო ცალკე გასასვლელი. ქირავნობის ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ გიორგიმ უარი განუცხადა პეტრეს ხელშეკრულების გაგრძელებაზე, თუმცა კი სამი თვის გასვლის შემდეგ სახლი შალვა ცეცხლაძეს მიაქირავა.

პეტრე ხარაბაძემ შეიტანა სასამართლოში სარჩელი გიორგი შარაბიძის მიმართ და მოითხოვა მის მიერ შალვა ცეცხლაძესთან დადებული ქირავნობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა და მასთან ხელშეკრულების დადებაზე უარის თქმის შედეგად მისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება. გაბრაზებულმა გიორგი შარაბიძემ თავის მხრივ შეიტანა სასამართლოში სარჩელი და მოითხოვა პეტრე ხარაბაძისაგან ლევან კობალაძის მიერ თვითნებურად დანგრეული კედლის აღდგენაზე გაწეული ხარჯების ანაზღაურება. ლევან კობალაძის ადგილსამყოფელის დადგენა ამ დროისათვის შეუძლებელი იყო იმ მიზეზით, რომ არავინ იცოდა სად გაემგზავრა იგი.

რა გადაწყვეტილებას მიიღებს სასამართლო თითოეულ სარჩელთან დაკავშირებით? პასუხი დაასაბუთეთ.

კ ა ვ უ ს ი №127

ლევან სიხარულიძეს გიორგი კერესელიძისაგან სამი წლის ვადით დაქირავებული ჰქონდა ოროთახიანი საცხოვრებელი ბინა. ლევანს სოფლიდან სტუმრად ჩამოუვიდა ორი მეგობარი, რომლებმაც შემთხვევით იმ ქალაქში, სადაც ლევანი ცხოვრობდა, იშოვეს სამუშაო და რადგან საცხოვრებელი ბინა არ ჰქონდათ, ამიტომაც ცხოვრობდნენ ლევანთან ერთ წელზე ცოტა მეტი ხნის ვადით. გიორგი კერესელიძემ, როგორც კი შეიტყო ამის შესახებ, მიმართა სარჩელით სასამართლოს ლევან სიხარულიძის მიმართ და მოითხოვა საცხოვრებელი ბინის ქირავნობის ხელშეკრულების ვადად შეწყვეტა

იმ მოტივით, რომ დამქირავებელმა მისი თანხმობის გარეშე ბინაში საცხოვრებლად შეუშვა სხვა პირები, გარდა ამისა, გამქირავებელმა მოითხოვა ასევე, რომ სასამართლოს დაეკისრებინა დამქირავებლისათვის მისი სტუმრების მიერ დანაგვიანებული ოთახის რემონტის ხარჯები.

რა გადაწყვეტილებას მიიღებს სასამართლო?

კაზუსი №128

გელა კიკნაძემ ქირაუნობის ხელშეკრულების საფუძველზე გიორგი შელიას მიაქირავა ოროთახიანი ბინა. დამქირავებელმა ბინაში მოაწყო მძაფრსუნიანი, ცეცხლსაშიში საქონლის საწყობი, რომლითაც იგი ვაჭრობდა ბაზრობაზე. გელა კიკნაძეს მეზობლებმა უთხრეს ამის შესახებ. გელამ სარჩელით მიმართა სასამართლოს გიორგი შელიას მიმართ და მოითხოვა ბინის ქირაუნობის ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტა და მიყენებული ზიანის ანაზღაურება, ასევე მეზობლებისათვის მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურება, რამეთუ მათ შიშით ღამე არ ეძინათ, რადგან ფიქრობდნენ, რომ საწყობში მოთავსებული საქონელი შეიძლება აფეთქებულიყო.

მართლზომიერია თუ არა გელა კიკნაძის მოთხოვნები? რა გადაწყვეტილებას მიიღებს სასამართლო?

ბინის მესაკუთრე საკანდელიძემ თავისი სამოთახიანი საცხოვრებელი ბინა ხუთი წლის ვადით მიაქირავა ჭიკაიძეს. ხელშეკრულების დადებიდან ორი წლის გასვლის შემდეგ საკანდელიძემ გაქირავებული ბინა მიჰყიდა ლეონიძეს. ლეონიძემ საკანდელიძესა და ჭიკაიძეს შორის დადებული ბინის ქირავნობის ხელშეკრულება შეწყვეტილად ჩათვალა და მოითხოვა ჭიკაიძისაგან ბინის დაცლა, რაზედაც ჭიკაიძემ უარი განაცხადა. ლეონიძემ სარჩელით მიმართა სასამართლოს ჭიკაიძის მიმართ და მოითხოვა მისი ბინიდან გამოსახლება და მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურება.

რა გადაწყვეტილებას მიიღებს სასამართლო?

გიორგი გორგაშვილი სპორტსაზოგადოება „ჩემპიონში“ მუშაობდა მწვრთნელად. მას არ გააჩნდა საკუთარი საცხოვრებელი ბინა, ამიტომაც სპორტსაზოგადოება „ჩემპიონმა“ გიორგის მიაქირავა ორმოთახიანი ბინა. ხელშეკრულების დადებისას გამქირავებელმა მასში შეიტანა პირობა იმის შესახებ, რომ ხელშეკრულება დადებულია ოთხი წლის ვადით და ამ ვადის გასვლის შემდეგ დამქირავებელს უნდა დაეცალა დაქირავებული ბინა, თუკი მასთან დადებული მწვრთნელად მუშაობის შესახებ კონტრაქტის ვადა არ გაგრძელდებოდა. გამქირავებელმა ხელშეკრულებაში შეიტანა კიდევ პირობა იმის შესახებ, რომ დაქირავებულ ბინაში იცხოვრებდნენ მხოლოდ გიორგი და მისი მეუღლე და რომ დამქირავებელს არა აქვს უფლება სხვა პირებსაც მისცეს დაქირავებულ ბინაში ცხოვრების უფლება. ქირავნობის ხელშეკრულებიდან ერთი წლის გასვლის შემდეგ გიორგისთან დაქირავებულ ბინაში საცხოვრებლად გადავიდნენ მისი ძმისშვილები, რომლებმაც წარმატებით ჩააბარეს მისაღები გამოცდები

უმაღლეს სასწავლებელში და არ გააჩნდათ საკუთარი საცხოვრებელი ადგილი ამ ქალაქში. გამჭირავებელმა, როგორც კი შეიტყო ამის შესახებ, დაუყოვნებლივ მოსთხოვა გიორგის მასთან მცხოვრები სტუმრების გამოსახლება, რამეთუ ამით ირღვეოდა ხელშეკრულების პირობა. გიორგიმ უარი განაცხადა დამჭირავებლის ამ მოთხოვნაზე იმ საფუძვლით, რომ მოქმედი სამოქალაქო კანონმდებლობით სხვა პირთა ცხოვრება დაჭირავებულ ბინაში აკრძალული არ არის.

გამჭირავებელმა მიმართა სარჩელით სასამართლოს და მოითხოვა დამჭირავებელთან დადებული საცხოვრებელი ბინის ქირავნობის ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტა.

როგორ გადაწყვეიტოთ დავა?

ქაზუსი №131

ლევან სიხარულიძემ აკაკი მიქაბერიძესთან დადო ქირავნობის ხელშეკრულება, რის მიხედვითაც აკაკი მიქაბერიძე ლევანს დროებით სარგებლობაში გადასცემდა საკუთარი სახლის ნაწილს სამი წლის ვადით. ხელშეკრულებით განისაზღვრა გადასაცემი ფართის ოდენობა – 160 კვმ. დამჭირავებლის მიერ გადასახდელი ქირა განისაზღვრა ერთ კვადრატულ მეტრზე ორი ლარის ოდენობით, რომელიც უნდა გადახდილიყო ყოველთვიურად.

ერთ თვის შემდეგ დამჭირავებელმა გადაიხადა ქირა 120 ლარის ოდენობით, რომელიც ბევრად ნაკლები იყო შეთანხმებული ქირის ოდენობაზე. გამჭირავებელმა მოითხოვა ქირის გადახდა სრული ოდენობით, რაზედაც დამჭირავებელმა განუცხადა, რომ იგი თანახმაა გადაიხადოს შეთანხმებული ქირა მხოლოდ 60 კვმ. ფართის სარგებლობისათვის, რადგან სწორედ ამდენია დაჭირავებულ სახლში საცხოვრებლად ვარგისი ფართი, ხოლო დანარჩენი 100 კვმ. ფართი კი არის არასაცხოვრებელი, რამეთუ დაკავებული აქვს სამზა-

რეულოს, სხვენსა და სარდაფს. დამქირავებელმა გამოთქვა მზადყოფნა გადაეხადა არასაცხოვრებელი ფართით სარგებლობისათვის ქირა, მაგრამ შეთანხმებულზე ორჯერ ნაკლები, ე.ი. ერთი ლარი ერთ კვადრატულ მეტრზე.

გამქირავებელმა მიმართა სარჩელით სასამართლოს და მოითხოვა დამქირავებლისაგან შეთანხმებული ქირის სრული მოცულობით გადახდა.

რა გადაწყვეტილებას მიიღებს სასამართლო?

კაზუსი №132

ოთარ ბერიძემ, რომელსაც დაქირავებული ჰქონდა ოთხოთახანი საცხოვრებელი ბინა, გადაწყვიტა გადაეკეთებინა ორი ოთახი ერთ დიდ ოთახად და მოეწყო მასში შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ოფისი, რომლის ერთ-ერთი დამფუძნებელი თვითონ იყო, და დაქირავებული ბინის მისამართი გაეტარებინა როგორც შპს იურიდიული მისამართი.

ოთარი თავისი განზრახვის შესახებ შეუთანხმდა ბინის მესაკუთრეს ბექა ძაგნიძეს, რომელმაც ოთარს წერილობითი თანხმობა განუცხადა, მაგრამ გააფრთხილა, რომ ეს გამოიწვევდა შეთანხმებული ქირის ორმაგად გაზრდას. როდესაც დაიწყო ბინის გადაკეთების სამუშაოები, მოულოდნელად ჩამოვიდა დამქირავებლის სრულწლოვანი შვილი დათო, რომელიც იმყოფებოდა საზღვარგარეთ მივლინებაში და არაფერი იცოდა მამის მიერ ბინის გადაკეთებაზე ნებართვის მიცემის შესახებ.

დათომ მოითხოვა ბინის აღდგენა პირვანდელ მდგომარეობაში, რამეთუ პრივატიზაციის ხელშეკრულებით მას დაქირავებულ ბინაში ეკუთვნის ორი ოთახი და ცოლის მოყვანასთან დაკავშირებით სურდა მოეთხოვა თავისი წილის ნატურით გამოყოფა.

რადგანაც დათოს მამა არ დაეთანხმა შვილის მოთხოვნას,

ამიტომაც დავითმა სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა საცხოვრებელი ბინის გადაკეთების შეწყვეტა და ბინაში თავისი წილის ნატურით გამოყოფა.

რა გადაწყვეტილებას მიიღებს სასამართლო?

კ ა ზ უ ს ი №133

დავით გურეშიძის საცხოვრებელ სახლში ორი იზოლირებული ოთახი ბინის ქირავენობის ხელშეკრულების საფუძველზე სარგებლობისათვის გადაცემული ჰქონდა ილია ხორბალაძეს, რომელიც დაქირავებულ ოთახებში ცხოვრობდა თავის მეუღლესთან ერთად. როდესაც ილიას ოჯახს შეეძინა შვილი, მათ გადაწყვიტეს საცხოვრებლად გადმოეყვანათ ილიას და თამარი თავისი სამი წლის ბავშვთან ერთად, რომელიც დაეხმარებოდა რძალს ახალშობილის გაზრდაში. როდესაც ამის შესახებ შეიტყო გამქირავებელმა, მან კატეგორიული უარი განუცხადა დამქირავებელს და თანაც გააფრთხილა, რომ, თუკი ბინაში სხვა პირები გადმოვიდოდნენ საცხოვრებლად, მაშინ იგი ვადამდე შეწყვეტდა ბინის ქირავენობის ხელშეკრულებას და გამოასახლებდა დამქირავებლის მთელ ოჯახს სასამართლოს ძალით.

გამქირავებლის წინააღმდეგობის მიუხედავად, ილიამ მაინც გადმოიყვანა თავისთან საცხოვრებლად და სამი წლის ბავშვით. ერთი კვირის შემდეგ დავით გურეშიძემ შეიტანა სარჩელი სასამართლოში და მოითხოვა ბინის ქირავენობის ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტა და დამქირავებლის გამოსახლება თავის ოჯახთან და მათთან მცხოვრებ პირებთან ერთად.

რა გადაწყვეტილებას მიიღებს სასამართლო?

გიორგი პეტრიაშვილმა ოთარ მუსერიძისგან ხუთი წლის ვადით იქირავა ოროთახიანი საცხოვრებელი ბინა. ქირავნობის ხელშეკრულების დადებიდან ერთი წლის გასვლის შემდეგ გიორგიმ ცოლი ითხოვა და საცხოვრებლად დაქირავებულ ბინაში მიიყვანა. რვა თვის გასვლი შემდეგ გიორგი მოულოდნელად დაიღუპა ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად. გიორგის დაკრძალვის შემდეგ გამქირავებელმა მოსთხოვა დამქირავებლის მეუღლეს ბინის დაცლა, რამეთუ წყვეტდა ხელშეკრულებას დამქირავებლის გარდაცვალების გამო.

გიორგის მეუღლემ სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა გარდაცვლილი ქმრის მიერ დაქირავებული ბინით სარგებლობის უფლება ქირავნობის ხელშეკრულების ვადის გასვლამდე იმ საფუძველით, რომ იგი რვა თვე ცხოვრობდა ქმართან ერთად დაქირავებულ ბინაში.

რა გადაწყვეტილებას მიიღებს სასამართლო?

რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი გ. ობოლაძე და ლ. მსხილაძე ერთად ცხოვრობდნენ სამოთახიან ბინაში. განქორწინების გამო სასამართლოს გადაწყვეტილებით მოხდა მათი სამოთახიანი ბინის გაყოფა, რის შედეგადაც ლ. მსხილაძეს (ცოლს) გადაეცა ორი ოთახი, ხოლო გ. ობოლაძეს (ქმარს) – ერთი. სულ მალე ლ. მსხილაძემ სარჩელით მიმართა სასამართლოს, სადაც მოითხოვა, რომ მის ყოფილ მეუღლეს თავისი კუთვნილი ერთი ოთახი გაეცვალა სხვა ანალოგიური ტიპის ოთახში, რომელსაც მოსარჩელე აძლევდა მას ქალაქის სხვა რაიონში. თავის მოთხოვნას ლ. მსხილაძე იმით ასაბუთებდა, რომ ყოფილ მეუღლესთან ეთიკური მოსაზრებების გამო მას ცხოვრება არ შეეძლო, რადგან გათხოვებას

აპირებდა და სურდა მასთან მეორე ქმარს ეცხოვრა. გარდა ამისა, მის ახალ მეუღლეს კარგად იცნობდა ყოფილი მისი მეუღლე, მასთან მტრულ დამოკიდებულებაში იმყოფებოდა და მათი ერთ სახლში ცხოვრება ხშირ კონფლიქტს გამოიწვევდა. გ. ობოლაძემ უარი განაცხადა შეთავაზებულ ბინაში თავისი კუთვნილი ერთი ოთახის გაცვლაზე იმ მოტივით, რომ არ სურდა საცხოვრებლად სხვა უბანში გადასულიყო.

როგორ გადავწყვიტოთ დავა?

კაზუსი №136

ლევან სიხარულიძეს, რომელიც სამოთახიან დაქირავებულ ბინაში ცხოვრობდა მეუღლესთან ერთად, მოულოდნელად ჩამოუვიდა სოფლიდან ახლო ნათესავი და სთხოვა მას, რომ სამსახურებრივი საქმეების მოგვარებადღე მიეცა ოთხი თვით მასთან ცხოვრების უფლება, ზოლო პატივისცემის ნიშნად კი ლევანის მეუღლეს გადასცა ბეწვის ქურქი და სოფლის მეურნეობის პროდუქტები. ლევანმა გამოუყო თავის ნათესავს საცხოვრებლად პატარა საძინებელი ოთახი. ნათესავის მიერ შეთავაზებულ ქირაზე ლევანმა უარი განაცხადა.

ბინაში საცხოვრებლად მისულმა ნათესავმა სულ მალე ლევანსა და მის მეუღლეს თავი მოაწყინა და შეაწუხა, რამეთუ მასთან ხშირად მიდიოდნენ სტუმრები, რომლებთანაც ერთად იგი სვამდა და თვრებოდა, უზნეოდ იქცეოდა, ილანძღებოდა, აწუხებდა მეზობლებსაც. ორი თვის შემდეგ ლევანმა ნათესავს მოსთხოვა ბინის დაცლა და სხვაგან გადასვლა. ნათესავმა უარი განაცხადა იმ მოტივით, რომ მან ლევანთან დაღო ქვექირავნობის ხელშეკრულება და ამიტომაც სანამ შეთანხმებული ოთხი თვის ვადა არ გავიდოდა, იგი არსად წასვლას არ აპირებდა.

როგორ გადავწყვიტოთ დავა?

ი. მგელაძეს ოთარ გიორგობიანისაგან დაქირავებული ჰქონდა ოროთახიანი საცხოვრებელი ბინა. მამის გარდაცვალებასთან დაკავშირებით, რომელიც ცხოვრობდა სხვა ქალაქში თავის საკუთარ საცხოვრებელ სახლში, ი. მგელაძემ გადაწყვიტა საცხოვრებლად გადასულიყო მემკვიდრეობით მიღებულ მამისეულ სახლში. ი. მგელაძემ განუცხადა გამქირავებელს, რომ სხვა ქალაქში საცხოვრებლად გადასვლასთან დაკავშირებით წყვეტს ბინის ქირავნობის ხელშეკრულებას. გამქირავებელს დამქირავებლის მიმართ არანაირი პრეტენზია არ განუცხადებია.

ექვსი თვის შემდეგ ი. მგელაძეს მოუვიდა სასამართლო შეტყობინება, რომლითაც იგი გამოძახებულ იქნა მოპასუხედ ო. გიორგობიანის მიერ შეტანილ სარჩელთან დაკავშირებით. სასარჩელო განცხადებაში ოთარი ი. მგელაძისაგან მოითხოვდა დარჩენილი სამი თვის ქირის გადახდას, ასევე ბინის ქირავნობის ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტით მიყენებული ზიანის ანაზღაურებას, რამეთუ მან ექვსი თვის განმავლობაში მსურველის არყოფნის გამო ვერ შეძლო ბინის კვლავ გაქირავება.

ი. მგელაძემ უარი განაცხადა ქირის გადახდაზე იმ მოტივით, რომ მან იგი გაუქვითა გამქირავებელს მის ნაცვლად შესრულებული ბინის კოსმეტიკურ რემონტში, ხოლო ზიანის ანაზღაურებას იგი საერთოდ არ აპირებდა, რამეთუ თვითონ გამქირავებლის ბრალია, რომ მან ექვსი თვე ვერ გააქირავა ბინა.

როგორ გადაწყვიტოთ დავა?

ლაშა მანჯგალაძე თავის ცოლთან და ორ მცირეწლოვან შვილთან ერთად ცხოვრობდა სამოთახიან დაქირავებულ ბინაში. ბინის ქირავნობის ხელშეკრულება დადებულ იქნა სამი წლის ვადით.

ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ გამქირავებელმა მოსთხოვა ლაშას დაქირავებული ბინის დაცლა ანდა ქირავნობის ხელშეკრულების მოქმედების ვადის კიდევ სამი წლით გაგრძელება, ოღონდ იმ პირობით, რომ ლაშა გადაიხდიდა ორმაგად ქირას. ლაშამ ქირავნობის ხელშეკრულების ახალი მისთვის გაუარესებული პირობით დადებაზე უარი განაცხადა და გამქირავებელს მიუთითა, რომ სამოქალაქო კოდექსის მიხედვით მას აქვს ბინის შემდგომში დაქირავების უპირატესი უფლება ორი წლის ვადით იმავე პირობებით, რამეთუ გამქირავებელმა იგი ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ გააფრთხილა ორი თვის გასვლის შემდეგ ქირავნობის ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტიდან.

გამქირავებელმა სარჩელით მიმართა სასამართლოს ლაშასა და მასთან მცხოვრები პირების ბინიდან გამოსახლების შესახებ. თავის სასარჩელო მოთხოვნას მან საფუძვლად დაუდო ის გარემოება, რომ გავიდა ქირავნობის ხელშეკრულების მოქმედების ვადა და მან მიიღო გადაწყვეტილება, საერთოდ აღარ გააქირავოს ბინა.

რა გადაწყვეტილებას მიიღებს სასამართლო?

გია თვალაძე თავის ოჯახთან ერთად ცხოვრობდა ხუთოთახიან დაქირავებულ საცხოვრებელ ბინაში, რომელიც მდებარეობდა ათსართულიანი საცხოვრებელი სახლის პირველ სართულზე. ბინის გამქირავებელმა ქირავნობის ხელშეკრულების ვადის გასვლამდე ბინა მიჰყიდა კომერციულ ორგანიზაციას, რომელსაც სურდა იქ სავაჭრო კომპლექსის მოწყობა.

გამქირავებელმა შესთავაზა გია თვალაძეს, რომ იგი თავის ოჯახთან ერთად საცხოვრებლად გადასულიყო სხვა საცხოვრებელ ბინაში. გია თვალაძემ ქირავნობის ხელშეკრულების ვადის გასვლამდე უარი განაცხადა საცხოვრებლად სხვა ბინაში გადასვლაზე, იმ მოტივით, რომ შეთავაზებული ბინა მდებარეობდა ქალაქის ბოლოში, სამოთახიანია და უფრო ნაკლებად კეთილმოწყობილი, გარდა ამისა, მას უბრალოდ არ სურს სხვაგან გადასვლა.

გამქირავებელმა სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა გ. თვალაძის გადასვლა სხვა შეთავაზებულ ბინაში და თანაც იგი ვალდებულებას კისრულობდა გადაეხადა დამქირავებლისათვის ფულადი კომპენსაცია იმისათვის, რომ შეთავაზებული ფართობი გაცილებით ნაკლები იყო, ვიდრე დამქირავებელს ჰქონდა დაკავებული.

რა გადაწყვეტილებას მიიღებს სასამართლო?

ლიზინგის ხელშეკრულებით ნემსაძე ვალდებულებას კისრულობდა შეეძინა ხორბალადისაგან ათი ცალი სათამაშო ავტომატი და გადაეცა იგი ბახტაძისათვის დროებით სარგებლობაში 10 წლის ვადით. ნემსაძემ თავისი ვალდებულება ჯეროვნად შეასრულა და ლიზინგის საგანი გადასცა ბახტაძეს, რომელმაც სათამაშო ავტომატები განათავსა კინოთეატრის ვესტიბიულში.

სათამაშო ავტომატების დამონტაჟებიდან ერთი კვირის შემდეგ ერთ-ერთი ავტომატი გაფუჭდა. რადგანაც სათამაშო აგრეგატი მწყობრიდან გამოვიდა საგარანტიო ვადის გასვლამდე, ამიტომაც ბახტაძემ ხორბალაძეს მოსთხოვა ავტომატის შეკეთება ანდა ანალოგიური სახის სათამაშო ავტომატით მისი შეცვლა; ხორბალაძემ ამ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარი განაცხადა. მაშინ ბახტაძემ მოითხოვა ხორბალაძისაგან ნასყიდობის ხელშეკრულების გაუქმება და ნემსაძის მიერ მასში გადახდილი თანხის უკან დაბრუნება.

რა საფუძველით შეეძლო, რომ ბახტაძეს ხორბალაძისაგან მოეთხოვა გაფუჭებული სათამაშო ავტომატის შეკეთება ან გამოცვლა, თუკი მყიდველი არის არა იგი, არამედ ნემსაძე? მართლზომიერია თუ არა ბახტაძის მოთხოვნა?

როგორ გადავწყვიტოთ დავა?

ინდივიდუალური მეწარმე ნოზაძე სამი წლის განმავლობაში ბეჭდავდა პოპულარული ავტორების წიგნებს სტამბაში, რომელიც მას გადაცემული ჰქონდა დროებით სარგებლობაში ბურკაძისაგან ლიზინგის ხელშეკრულების საფუძველზე. როდესაც გავიდა ლიზინგის ხელშეკრულების ვადა, ნოზაძემ სთხოვა ბურკაძეს, რომ გაეგრძელებინათ ხელშეკრულების მოქმედების ვადა კიდევ სამი წლით,

რაზედაც ბურკაძემ უარი განაცხადა. უარის თქმიდან ექვსი თვის გასვლის შემდეგ ბურკაძემ სტამბა ლიზინგის ხელშეკრულებით გადასცა გაფრინდაშვილს, ოღონდ უფრო სხვა პირობებით, კერძოდ, სალიზინგო საზღაურის ოდენობა ორმაგად უნდა გაზრდილიყო, ვიდრე ნოზაძესთან დადებულ ხელშეკრულებით იყო განსაზღვრული. როდესაც ნოზაძემ შეიტყო, რომ ბურკაძემ სტამბა სხვას გადასცა ლიზინგის ხელშეკრულებით, მან მიმართა სარჩელით სასამართლოს და მოითხოვა გაფრინდაშვილთან ნოზაძის მიერ დადებული ლიზინგის ხელშეკრულების გაუქმება და იმ ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიაღდა ნოზაძის მიერ მასთან ლიზინგის ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელებაზე უარის თქმის შედეგად.

რა ფორმით უნდა ეცნობებინა ნოზაძეს ბურკაძისათვის, რომ სურდა ლიზინგის ხელშეკრულების ვადის გაგრძელება და რა ვადაში? ჰქონდა თუ არა ბურკაძეს უფლება შეეთავაზებინა ნოზაძისათვის ახალი ხელშეკრულების დადება ოღონდ შეცვლილი პირობებით? რა საფუძვლით შეიძლება, რომ ნოზაძემ ბურკაძეს მოსთხოვოს გაფრინდაშვილთან დადებული ლიზინგის ხელშეკრულების გაუქმება და მიყენებული ზიანის ანაზღაურება?

ბ ა ზ უ ს ნ ი № 142

ანდლულაძემ ჩიგოგიძესთან დადო ლიზინგის ხელშეკრულება. ხელშეკრულების მიხედვით ანდლულაძე კისრულობდა ვალდებულებას შეეძინა ოცი ცალი საკერავი მანქანა ქარხანა-დამამზადებლისაგან, რომელიც მიუთითა ჩიგოგიძემ და გადაეცა ისინი ჩიგოგიძისათვის სასყიდლით ღროებით სარგებლობაში სამეწარმეო საქმიანობისათვის.

ანდლულაძემ შეკვეთა მისცა ქარხანას საკერავი მანქანების დასამზადებლად და წინასწარ გადაიხადა მათი ღირებულება, თუმცა ქარხანამ შეთანხმებულ ვადაში ვერ შეძლო შეკვეთილი საკერ-

ავი მანქანების დამზადება და მათი გადაცემა ჩიგოგიძისათვის, რის გამოც ჩიგოგიძემ ზიანი განიცადა, რამეთუ ვერ შეძლო შეკვეთების დროულად შესრულება.

ჩიგოგიძემ სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა ანდლულადქესთან დადებული ლიზინგის ხელშეკრულების გაუქმება, ასევე მიყენებული მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურება.

რა პასუხისმგებლობა ეკისრება ქარხანა-დამამზადებელს ანდლულადქის წინაშე საკერავი მანქანების არადროული დამზადებისათვის? მართლზომიერია თუ არა ჩიგოგიძის მოთხოვნა?

როგორ გადავწყვიტოთ ღვა?

ქაზუსი №143

ფოთის ნავსადგურმა, რომელსაც ესაჭიროებოდა მგზავრთა გადასაყვანად ახალი გემი და არ გააჩნდა მისი შესაძენი სახსრები, მიმართა სპეციალიზებულ სალიზინგო კომპანიას თხოვნით, რათა მას შეეძინა და ფოთის ნავსადგურისათვის ლიზინგის ხელშეკრულებით სარგებლობაში გადაეცა ახალი გემი. სალიზინგო კომპანიამ დააკმაყოფილა ნავსადგურის თხოვნა. შეიძინა გემი და გადასცა ნავსადგურს ლიზინგის ხელშეკრულებით 1998 წელს. ხელშეკრულების მიხედვით გემი გამოყენებული უნდა ყოფილიყო მხოლოდ და მხოლოდ მგზავრების გადასაყვანად, ხოლო ხელშეკრულების დადებიდან შეიდი წლის შემდეგ კი გემი ლიზინგის მიმღების საკუთრება გახდებოდა. 2001 წლის დაწყებიდან მგზავრთა სიმცრის გამო გემი თითქმის ცარიელი ასრულებდა შეთანხმებულ რეისებს, რის გამოც ნავსადგური ყოველდღიურად განიცდიდა 25 000 ლარის ზარალს, გარდა ამისა, 2000 წელს გემის შეკეთებაზე დაიხარჯა ნახევარი მილიონი ლარი. ამასთან დაკავშირებით, ლიზინგის მიმღებმა თხოვნით მიმართა ლიზინგის გამცემს ლიზინგის ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის შესახებ. ლიზინგის გამცემს

პრინციპში უარი არ უთქვამს ხელშეკრულების შეწყვეტაზე, მაგრამ მოსთხოვა ლიზინგის მიმღებს დარჩენილი სალიზინგო საზღაურის ერთდროულად გადახდა, რაზედაც ლიზინგის მიმღებმა უარი განაცხადა.

როგორ გადაწყვეითთ დავა?

კაზუსი №144

ორმა პარტნიორმა – შპს „ხორცის პროდუქტებმა“ და შპს „რძემ“ მიიღეს გადაწყვეტილება, რომ თბილისში აეშენებინათ ხორცის გადამამუშავებელი კომბინატი და აღეჭურვათ იგი უახლესი უცხოური წარმოების მოწყობილობა-დანადგარებით. მშენებლობის დასაფინანსებელი სახსრების მოძიება ივალდებულა შპს „ხორცის პროდუქტებმა“, ხოლო შპს „რძემ“ კი ივალდებულა მოეძებნა უცხოელი ინვესტორი, რომელიც მიაწვდიდა მათ საჭირო დანადგარებს. არ გააჩნდათ რა საკმარისი ფულადი სახსრები, პარტნიორებმა თხოვნით მიმართეს კომერციულ ბანკს ერთი მილიონი ლარის კრედიტის გამოყოფის შესახებ, რაზედაც ბანკმა თანხმობა განაცხადა. პარტნიორებმა ასევე ხელშეკრულება დადეს გერმანულ ფირმასთან მოწყობილობა-დანადგარების მიწოდების შესახებ, რომლის ღირებულებაც გადახდილი უნდა ყოფილიყო წინასწარ. კომერციული ბანკის თანხმობის მიუხედავად, გამოიყო კრედიტი, მაგრამ მხოლოდ 50% – 500 000 ლარი, ხოლო მოწყობილობა-დანადგარების ღირებულებამ კი შეადგინა 800000 ლარი, სხვაობა ანუ 300 000 ლარი პარტნიორებმა გადაიხადეს საკუთარი სახსრებით.

პარტნიორებს არ გააჩნდათ რა სასაქონლო საწყობი, სადაც შეინახავდნენ მიწოდებულ მოწყობილობა-დანადგარებს, თხოვნით მიმართეს კომერციულ ბანკს, ვისგანაც მათ კრედიტი მიიღეს, რომ მოწყობილობა-დანადგარები ბანკის კუთვნილ საწყობში შეენახათ, რომელმაც ამაზე თანხმობა განაცხადა.

მშენებლობის დასამთავრებლად საჭირო გახდა ბანკისაგან დარჩენილი კრედიტის თანხის 500 000 ლარის მიღება, რის გამოყოფაზეც ბანკმა ფინანსური პრობლემების მომიზეზებით უარი განაცხადა. მაშინ პარტნიორებმა ბანკს მიმართეს წინადადებით, რომ შეეძინა მოწყობილობა-დანადგარები, რომელიც მასთან ინახებოდა საწყობში, მაგრამ არა 800 000, არამედ 1500 000 ლარად, რაზედაც ბანკმა თანხმობა განაცხადა, შედგა წერილობითი ხელშეკრულება და ხელმოწერილ იქნა მხარეთა წარმომადგენლების მიერ. ერთი კვირის შემდეგ კომერციულმა ბანკმა პარტნიორებს გაუგზავნა შეტყობინება, სადაც იგი ცალმხრივად აცხადებდა უარს დადებულ ხელშეკრულებაზე და დაუყოვნებლივ მოითხოვდა კრედიტის დაბრუნებას 500 000 ლარის ოდენობით და პროცენტს, რომლის თანხა, ბანკის აზრით, შეადგენდა 50 000 ლარს. ბანკმა ასევე თავისი თავი ჩათვალა ხორცის გადამამუშავებელი მოწყობილობებისა და დანადგარების მესაკუთრედ, რომელიც მასთან ინახებოდა საწყობში და დადო ლიზინგის ხელშეკრულება, რომლითაც მოწყობილობა-დანადგარები სარგებლობაში გადასცა კოოპერატივ „ძეხვეულს“.

შპს „ხორცის პროდუქტმა“ და შპს „რძემ“ სარჩელით მიმართეს სასამართლოს კომერციული ბანკის მიმართ და მოითხოვეს ლიზინგის ხელშეკრულების გაუქმება, რამეთუ მოწყობილობა-დანადგარები არის მათი და არა ბანკის საკუთრება. ასევე ბანკის მიერ კრედიტის დროულად არაგამოყოფისა და ნასყიდობის ხელშეკრულებაზე ცალმხრივად უარის შედგად მიყენებული მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურება.

რა გადაწყვეტილებას მიიღებს სასამართლო?

დავით ნემსაძემ, რომელსაც ჰყავდა მონადირე ძაღლები, თანხმობა განუცხადა თავის მეგობარ მონადირეს ლევან პატარიძეს, რომ ნადირობის სეზონზე სამი დღით ათხოვებდა ორ მონადირე ძაღლს. დავითის მეგობარი ცხოვრობდა სხვა ქალაქში. ნადირობის სეზონის დაწყებისას დავითის მეგობარმა დაჯავშნა სასტუმროში ადგილი, რომელიც მდებარეობდა სანადირო სავარგულებთან ახლოს, შეიძინა ნადირობისათვის აუცილებელი საგნები, რაშიც დახარჯა 500 ლარი და ჩავიდა სანადირო ადგილას. ლევანი მთელი სამი დღის მანძილზე უშედეგოდ ელოდა დავითისაგან შეპირებული მონადირე ძაღლების გადაცემას, რის შედეგადაც დელიკატურად შეახსენა დავითს დადებული გარიგების შესახებ. ამის საპასუხოდ დავითმა განუცხადა, რომ არანაირი გარიგება მას ლევანთან არ დაუდია, გარდა ამისა, ძაღლები დასჭირდა მის ძმას, რომელიც ასევე თავგამოდებული მონადირეა და სურს ისარგებლოს გახსნილი სანადირო სეზონით.

ლევან პატარიძემ სარჩელთ მიმართა სასამართლოს და მოითხოვა დავით ნემსაძისაგან ხელშეკრულების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ხარჯების (მგზავრობის, სასტუმროს) ანაზღაურება.

რა გადაწყვეტილებას მიიღებს სასამართლო?

კონსერვატორიის ასპირანტმა გიორგი კიკნაძემ თავის მეგობარს – ილია ბურკაძეს, რომელიც იყო თეატრის სოლისტი, მომღერალ-შემსრულებლების კონკურსში მონაწილეობის მისაღებად დროებით გამოართვა ფრაკი. ილია ბურკაძე თეატრის კოლექტივთან ერთად გასტროლებზე წავიდა საზღვარგარეთ და რადგან გიორგისაც დასჭირდა დროებით ქალაქიდან გასვლა, ამიტომ მან ნათხოვარი ფრაკი წერილობითი ხელშეკრულების საფუძველზე შესანახად ჩააბარა თავისი დაქირავებული ბინის დიასახლისს, რომელიც ძალიან კარგად იცნობდა ორივე მუსიკოსს. როდესაც ერთი თვის შემდეგ გიორგი კიკნაძე დაქირავებულ ბინაში დაბრუნდა, მან სთხოვა დიასახლისს, რომ დაებრუნებინა შესანახად მიბარებული ფრაკი, მაგრამ დიასახლისმა უარი განუცხადა ფრაკის უკან დაბრუნებაზე იმ მოტივით, რომ იგი გიორგისი კი არა, არამედ ილიასია, გარდა ამისა, დიასახლისმა განუცხადა, რომ იგი არ დააბრუნებდა ფრაკს მანამდე, სანამ გიორგი მთლიანად არ დაფარავდა ბინის ქირის დავალიანებას.

როდესაც ილია გასტროლებიდან დაბრუნდა გიორგიმ შეატყობინა მას მომხდარის შესახებ. ილიამ მიმართა ბინის დიასახლისს (მესაკუთრეს) ფრაკის უკან დაბრუნების მოთხოვნით, მაგრამ პასუხად მიიღო, რომ მას არაფერი არ ჩაუბარებია შესანახად და რასაკვირველია თუ რის დაბრუნებას ითხოვს.

გიორგი კიკნაძემ სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა ბინის მესაკუთრისაგან ყოველგვარი პირობის გარეშე შესანახად მიბარებული ფრაკის უკან დაბრუნება.

რა გადაწყვეტილებას მიიღებს სასამართლო?

მხატვარმა სოსო კობალაძემ სთხოვა თავის მეგობარ გიორგის, რომელიც ეწეოდა სახვითი ხელოვნების ნაწარმოებებით ვაჭრობას, რომ გამოეფინა მის მიერ დახატული სურათი თავის მაღაზიასალონში. სოსო კობალაძემ დამატებით სთხოვა გიორგის, რომ სურათი ვიტრინაში გამოეფინა ერთი თვე მაინც. გიორგი დასთანხმდა მეგობარს, რის გამოც იგი იძულებული შეიქნა აღარ მიეღო სხვა მხატვრის (რომელიც მას ეხმარებოდა სარეკლამო საქმიანობაში) ნახატი.

ერთი თვის შემდეგ სოსო მივიდა გიორგისთან და თან მიიყვანა დათო, რომელმაც თანხმობა განაცხადა შეეძინა სოსოს მიერ დახატული სურათი, რომელიც გამოფენილი იყო გიორგის მაღაზიასალონში, მაგრამ გიორგიმ უარი განუცხადა სურათის უკან დაბრუნებაზე მანამ, სანამ სოსო მას არ აუნაზღაურებდა იმ შემოსავალს, რომელიც გიორგიმ დაკარგა სოსოს სურათის გამოფენის გამო, რამეთუ ვერ შეძლო სხვა მხატვრების სურათების გამოფენა.

სოსომ უარი განაცხადა გიორგის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე იმ მოტივით, რომ მათ შორის არანაირი წერილობითი ფორმის ხელშეკრულება არ დადებულა და მან გიორგის მოქმედება მეგობრულ, უსასყიდლო დახმარებად ჩათვალა.

როგორ გადავწყვიტოთ დავა?

გიორგი ბერიძემ ისე, რომ არ მიუთითა თუ რა სახის ნაკლი ჰქონდა, თხოვების ხელშეკრულების საფუძველზე ელექტროხერხი გადასცა ნოდარ ჩხეიძეს, რომელიც აშენებდა საცხოვრებელ სახლს. ხის მორის დახერხვისას ნოდარმა შეამჩნია, რომ ხერხი ფიცარს არათანაბრად ხერხავდა, გარდა ამისა, ძრავაც გაჭირვებით მუშაობდა და იგი უცნაურ ხმას გამოსცემდა. გიორგისთან შეთანხმებით ნოდარმა გამოცვალა ელექტროხერხის ძრავა. თხოვების ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ ნოდარმა მოსთხოვა გიორგის ნათხოვარი ნივთის გაუმჯობესებაზე გაწეული ხარჯების ანაზღაურება, რაზედაც გიორგიმ უარი განაცხადა იმ მოტივით, რომ დადებული ხელშეკრულება იყო უსასყიდლო სარგებლობის ხელშეკრულება და, შესაბამისად, არავითარ სასყიდლიან ანაზღაურებაზე საუბარი არც შეიძლებოდა.

როგორ გადაწყვიტოთ დავა?

ომარ მდინარაძემ თავის მეზობელს ალექსი ველთაურს ათხოვა სრულ წესრიგში მყოფი სატვირთო ავტომანქანა, რათა მას ბაზარში გასაყიდად წაეღო საზამთრო. ალექსი ჩავიდა ბაზარში, მოახდინა საზამთროს რეალიზაცია, მაგრამ უკან წამოსვლისას გზაზე ავტომანქანა უეცრად გაჩერდა და ალექსიმ ვერანაირად ვერ შეძლო მისი ძრავის ამუშავება.

ალექსი იძულებული შეიქნა გაფუჭებული მანქანა ჩაება სხვა მანქანისათვის, რომლის მძღოლსაც მან გადაუხადა ფულადი თანხა და ისე მიეყვანა ომარ მდინარაძისათვის. განმათხოვებელმა მოსთხოვა მონათხოვრეს, რომ მას საკუთარი სახსრებით შეეკეთებინა ავტომანქანა და მოეყვანა იმავე მდგომარეობაში, როგორშიც იგი

იყო ხელშეკრულების დადებისას. თავის მხრივ, მონათხოვრემ განმათხოვებელს მოსთხოვა მანქანის უკან მიყვანაზე გაწეული ხარჯების ანაზღაურება.

ვალდებულია თუ არა მონათხოვრე, რომ მანქანა შეაკეთოს საკუთარი სახსრებით?

ვალდებულია თუ არა განმათხოვებელი, რომ აუნაზღაუროს მონათხოვრეს მანქანის უკან მიყვანაზე გაწეული ხარჯები?

როგორ გადაწყვიტოთ დავა?

კაზუსი №150

დალი ხვედელიძემ თავის მეგობარს ნათია კოტრიკაძეს ათხოვა ბეწვის ქურქი. ნათია ნათხოვარი ბეწვის ქურქით წავიდა ბაზრობაზე ტანსაცმლის შესაძენად, სადაც ხალხმრავლობა იყო. როდესაც ნათია სახლში დაბრუნდა, შეამჩნია, რომ ბეწვის ქურქი მარჯვენა მხარეს ძლიერ დაზიანებულიყო და შეკეთების გარეშე მისი ჩაცმა არ შეიძლებოდა.

ნათიამ დაზიანებული ქურქი უკან დაუბრუნა დალის. დალიმ ნათიას მოსთხოვა თავისი სახსრებით დაზიანების გამოსწორება, რაზედაც ნათიამ უარი განაცხადა იმ მოტივით, რომ მას ბრალი არ მიუძღოდა ქურქის დაზიანებაში.

როგორ გადაწყვიტოთ დავა?

გამარჯვების დღესთან დაკავშირებით უნიკალური საფოსტო მარკების კოლექციონერმა გია ვეფხვაძემ საგამოფენო სალონის დირექტორთან ირაკლი კილურაძესთან დადებული თხოვნების ხელშეკრულების საფუძველზე ერთ-ერთ საგამოფენო სალონში მოაწყო თავისი მარკების გამოფენა. საგამოფენო სალონის მუშაკების ბრალით (უყურადღებოდ დატოვეს ქსელში ჩართული ელექტროლუმები) შენობაში გაჩნდა ხანძარი. მუშები შეუდგნენ სალონიდან ძვირფასი მოწყობილობების გამოტანას, ხოლო მარკების კოლექცია კი მთლიანად დაიწვა. გია ვეფხვაძემ სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა ირაკლი კილურაძისაგან დამწვარი მარკების კოლექციის შედეგად მიყენებული მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურება.

რა უნდა გადაერჩინათ საგამოფენო სალონის მუშაკებს პირველ რიგში ხანძრის გაჩენის შემდეგ?

მართლზომიერია თუ არა გია ვეფხვაძის მოთხოვნა ირაკლი კილურაძის მიმართ?

რა გადაწყვეტილებას მიიღებს სასამართლო?

ნათელა მ.-მ გადაწყვიტა თეატრში წასულიყო გახმაურებული სპექტაკლის სანახავად. ნათელამ სთხოვა თავის მეზობელს თამარს, რომ ერთი ღამით ეთხოვებინა მისთვის ოქროს ძეწკვი თავის კულონთან ერთად. თამარმა თანხმობა განუცხადა.

როდესაც ნათელა თეატრიდან გვიან ღამით სახლში დაბრუნდა, შეამჩნია, რომ ოქროს ძეწკვი თავის კულონთან ერთად დაჰკარგოდა. მეორე დღეს ნათელამ თამარს დაკარგული ძეწკვის ნაცვლად შესთავაზა ოქროს ბეჭედი ძვირფასი ქვით, მაგრამ თამარმა ამაზე უარი

განუცხადა და მოსთხოვა ნათელას დაკარგული ოქროს ძეწკვისა და კულონის ღირებულების ანაზღაურება.

როგორ გადავწყვიტოთ დავა?

კაზუსი №153

ინდივიდუალურმა მეწარმე რაზმაძემ კოოპერატივ „პროდუქტი-საგან“ იჯარით აიღო სატვირთო ავტომანქანა ხილ-ბოსტნეულის ბაზარზე წასაღებად და სარეალიზაციოდ. იჯრის ხელშეკრულებაში მხარეებმა აღნიშნეს, რომ მეიჯარე მოიჯარეს გადასცემდა ავტომანქანას ტექნიკურ ღოკუმენტაციასთან ერთად. თუმცა კი სატვირთო მანქანის გადაცემისას მეიჯარემ მოიჯარეს არ გადასცა მანქანის ტექნიკური ღოკუმენტაცია.

რაზმაძემ წაიღო პროდუქტები ბაზარში. იგი გზაზე გააჩერა ავტონისპექტის მუშაკმა და აღმოაჩნა რა, რომ რაზმაძეს არ გააჩნდა მანქანაზე არანაირი ტექნიკურ ღოკუმენტაცია, ამიტომაც ჩამოართვა მანქანა, გადაიყვანა საჯარიმო მოედანზე მანქანის შესაკუთრის დადგენამდე, მანქანაში მოთავსებული ტვირთი ამასობაში გაფუჭდა და უვარგისი გახდა სარეალიზაციოდ. რაზმაძემ სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა მეიჯარისაგან პროდუქტის დაზიანების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

მართლზომიერია თუ არა რაზმაძის მოთხოვნა მეიჯარის მიმართ?

როგორ უნდა მოქცეულიყო რაზმაძე, როდესაც მას იჯარით აღებული სატვირთო ავტომანქანა გადასცეს ტექნიკური ღოკუმენტაციის გარეშე?

როგორ გადავწყვიტოთ დავა?

თენგიზ ბექაურმა იჯარის ხელშეკრულება დადო თამაზ ძნელაძესთან. ხელშეკრულების მიხედვით მეიჯარე მოიჯარეს იჯარით გადასცემდა ორსართულიან შენობას საქონლის შესანახი საწყობის მოსაწყობად, ხოლო მეიჯარეს კი უნდა გადაეხადა საიჯარო ქირა წინასწარ შენობის გადაცემამდე. მოიჯარემ თავისი ვალდებულება ჯეროვნად შეასრულა, მაშინ, როდესაც მეიჯარემ მას არ გადასცა იჯარით აღებული შენობა შეთანხმებულ ვადაში, რადგან ხანგრძლივ სამსახურებრივ მივლინებაში იმყოფებოდა. თენგიზ ბექაურმა ამით განიცადა დიდი ზარალი, რამეთუ იძულებულ იქნა საქონელი განეთავსებინა სხვადასხვა საწყობებში. როდესაც თამაზ ძნელაძე მივლინებიდან დაბრუნდა, თენგიზმა მოსთხოვა მას ხელშეკრულების დარღვევის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

მართლზომიერია თუ არა მოიჯარის მოთხოვნა მეიჯარის მიმართ? როგორ გადაწყვეტილიყო დავა?

დავით ნოზაძემ სერგო ბარჯაძისაგან იჯარით აიღო საცხოვრებელი აგარაკი ზაფხულიდან შემოდგომის ჩათვლით. დავითმა იჯარით აღებულ სახლში აღმოაჩინა, რომ სააბაზანო ოთახში დაზიანებული იყო აბაზანა, საიდანაც იღვრებოდა წყალი. დავითმა საკუთარი ხარჯებით შეცვალა დაზიანებული აბაზანა და გაწეული ხარჯები გაუქვითა სერგოს საიჯარო ქირაში ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ. სერგო ამაზე არ დაეთანხმა დავითს და მოითხოვა საიჯარო ქირის სრული ოდენობით გადახდა.

რისი მოთხოვნის უფლება ჰქონდა მოიჯარეს მეიჯარისაგან, როდესაც აღმოაჩინა რომ აბაზანა დაზიანებული იყო?

აქვს თუ არა უფლება მოიჯარეს, რომ აბაზანის შეკეთების ხარჯები გაქვითოს საიჯარო ქირაში?

კაზუსი №156

ირაკლი კილურაძემ დავით ნემსაძეს იჯარით გადასცა ავტომანქანა. ავტომანქანის გადაცემისას აღმოჩნდა, რომ მისი სამუხრუჭე მოწყობილობა გამართულად არ მუშაობდა. მეიჯარემ შესთავაზა მოიჯარეს შეეწყვიტათ იჯარის ხელშეკრულება, რაზედაც მოიჯარემ უარი განაცხადა იმ მოტივით, რომ მას ძალიან სჭირდებოდა იჯარით აღებული ავტომანქანა. ორი კვირის გასვლის შემდეგ მოიჯარემ მიმართა მეიჯარეს ავტომანქანის დაზიანებული მუხრუჭის გამოცვლის მოთხოვნით, რაზედაც მეიჯარემ უარი განაცხადა.

ვისი მოქმედაბაა მართლზომიერი – მეიჯარისა თუ მოიჯარის და რატომ?

ვისი ხარჯით უნდა მოხდეს სამუხრუჭე მოწყობილობის გამოცვლა – მეიჯარისა თუ მოიჯარის?

კაზუსი №157

მიწის ნაკვეთის იჯარის ხელშეკრულების დადებისას მეიჯარემ მოიჯარეს არ შეატყობინა, რომ მიწის ნაკვეთი ფაქტობრივად ეკუთვნის 80 წლის მოხუცს თამარ დიდებულს, რომელმაც მეიჯარეს ნებართვა მისცა ესარგებლა მიწის ნაკვეთით უსასყიდლოდ. მიწის ნაკვეთით სარგებლობის ნებართვა თამარმა მეიჯარეს მისცა წერილობით. როდესაც მოიჯარემ ამის შესახებ შეიტყო, მოითხოვა მეიჯარისაგან საიჯარო ქირის ორჯერ შემცირება.

მართალია თუ არა მოიჯარე და რატომ?

დავით ნემსაძემ, რომელსაც ექვსი თვის ვადით იჯარით ჰქონდა აღებული სასაქონლო საწყობი ლევან ხორბალაძისაგან, ქვეიჯარის ხელშეკრულების საფუძველზე იჯარით აღებული საწყობი ერთი წლით გადასცა ზურაბ მდინარაძეს. ზურაბ მდინარაძემ საწყობში მოაწყო სამკერვალო ატელიე, დადგა რამდენიმე საკერავი მანქანა და დაიწყო ფეხსაცმლის შეკერვა. შეიტყო თუ არა ამის შესახებ ლევან ხორბალაძემ, მან დავით ნემსაძეს მოსთხოვა იჯარის ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტა და მთელი დარჩენილი საიჯარო ქირის ერთდროულად გადახდა.

**მართლზომიერია თუ არა ლევან ხორბალაძის მოთხოვნა?
როგორ გადავწყვიტოთ დავა?**

ო. გუნთაძემ გიორგი კიკნაძისაგან იჯარით აიღო სახნავი ტრაქტორი თავის მიწის ნაკვეთზე საგაზაფხულო სამუშაოების ჩასატარებლად, რათა დაეთესა შემდეგ მარცვლეული კულტურები. ო. გუნთაძე იჯარის ხელშეკრულების ვადის გასვლამდე მოულოდნელად გარდაიცვალა. მას დარჩა მემკვიდრე – შვილი, რომელიც ძალიან ცუდად ერკვეოდა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკაში, ამიტომაც იგი გარდაცვლილი მამის მიერ იჯარით აღებულ ტრაქტორს ტოვებდა გარეთ, ღია ცის ქვეშ, რაც იწვევდა ტრაქტორის დაჟანგვას. გიორგი კიკნაძე ამაზე აღშფოთდა და სასამართლო წესით მოითხოვა გარდაცვლილი ო. გუნთაძის შვილისაგან იჯარის ხელშეკრულების შეწყვეტა და დაჟანგული ტრაქტორის შესაღებად საჭირო საღებავის ღირებულების ანაზღაურება.

მართლზომიერია თუ არა გიორგი კიკნაძის მოთხოვნები?

გია თვალაძემ ქირავნობის ხელშეკრულებით გოგი კენჭაძეს ერთი წლით გადასცა ტელევიზორი დროებით სარგებლობისათვის. ხელშეკრულების დადებიდან რვა თვის გასვლის შემდეგ ტელევიზორის ეკრანიდან დაიკარგა გამოსახულება. გოგი კენჭაძემ მოსთხოვა გია თვალაძეს ტელევიზორის ეკრანის შეკეთება ანდა დაზიანებულის ნაცვლად სხვა ვარგისი ტელევიზორის გადაცემა. გიამ უარი განაცხადა გოგის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე იმ მოტივით, რომ ტელევიზორი ხელშეკრულების დადებისას ვარგისი იყო და იგი შემდგომში დაზიანდა, შესაბამისად, დაზიანება უნდა გამოასწოროს თვითონ გოგიმ საკუთარი ხარჯით.

როგორ გადავწყვიტოთ დავა?

იჯარის ხელშეკრულებით დავით ნემსაძემ ილია გიორგაძეს ერთი წლის ვადით დროებით სარგებლობაში გადასცა ელექტროხერხი. მოიჯარეს მეიჯარისათვის ყოველთვიურად უნდა გადაეხადა სარგებლობისათვის დათქმული საიჯარო ქირა. მოიჯარემ მეიჯარეს გადაუხადა ერთი თვის საიჯარო ქირა, ხოლო შემდგომ კი გაემგზავრა სოფელში, რათა ადგილობრივი მოსახლეობისათვის მოეჭრა ზამთრისათვის ტყეში შეშა. სოფელში მოჭრილი ხეების მანქანაზე დადებისას ერთ-ერთი ხის მორი ჩამოვარდა და დაეცა ილია გიორგაძეს ფეხში. საავადმყოფოში მიყვანისას ილიას აღმოაჩნდა მარჯვენა ფეხის მოტეხილობა და საჭირო შეიქმნა მისი ერთი თვით თაბაშირში ჩასმა. ილიას ბიძაშვილმა დარწმუნდა რა იმაში, რომ ილია ერთი თვის ვადაში ველარ შეძლებდა შეშის ჭრას, სთხოვა ილიას, რომ მისთვის გადაეცა ელექტროხერხი, რათა მის ნაცვლად ემუშავა და მოეჭრა ხეები. ილია ამაზე დასთანხმდა. ერთი კვირის

შემდეგ ილიას ბიძაშვილს მოჰპარეს ელექტროხერხი. როდესაც ილია გამოჯანმრთელდა, აღმოჩნდა, რომ მას მეიჯარისათვის გადასახდელი ჰქონდა სამი თვის საიჯარო ქირა.

მეიჯარემ შეიტყო რა ელექტროხერხის დაკარგვის შესახებ, შეიტანა სასამართლოში სარჩელი და მოითხოვა ილია გიორგაძის-აგან დაკარგული ელექტროხერხის ღირებულების ანაზღაურება, ასევე სამი თვის საიჯარო ქირისა და ფულადი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებისათვის კანონით დარიცხული პროცენტის გადახდა.

რა გადაწყვეტილებას მიიღებს სასამართლო?

ქაზუსი №162

ბადრი გეგეჭკორმა ქირავნობის ხელშეკრულების საფუძველზე ოთარ გიორგაძეს ერთი წლის ვადით სარგებლობაში გადასცა ორი ორკამერიანი მაცივარი, ხოლო ოთარი კი ვალდებულებას კისრულობდა გადაეხადა სარგებლობისათვის დადგენილი ქირა ყოველთვიურად. ოთარმა ერთი მაცივარი დაიტოვა თავისთვის, ხოლო მეორე კი ქონებრივი შენატანის სახით შეიტანა კოოპერატივის საწესდებო კაპიტალში. შეიტყო რა ამის შესახებ ბადრი გეგეჭკორმა, მან ოთარ გიორგაძეს მოსთხოვა ქირავნობის ხელშეკრულების დაუყოვნებლივ შეწყვეტა, ოთართან არსებული მაცივრის უკან დაბრუნება, ხოლო ოთარის მიერ კოოპერატივის საწესდებო კაპიტალში ქონებრივი შენატანის სახით შეტანილი მაცივრის ღირებულების სამმაგი ოდენობით ანაზღაურება.

ჰქონდა თუ არა ოთარ გიორგაძეს უფლება, რომ ქირავნობის ხელშეკრულების საფუძველზე გადაცემული მაცივარი შეეტანა კოოპერატივის საწესდებო კაპიტალში ქონებრივი შენატანის სახით? მართლზომიერია თუ არა ბადრი გეგეჭკორის მოთხოვნები?

ინდივიდუალურმა მეწარმემ რაზმაძემ სატრანსპორტო ორგანიზაცია „ავტოტრანსთან“ დადო იჯარის ხელშეკრულება. ხელშეკრულების მიხედვით „ავტოტრანსი“ რაზმაძეს გადასცემდა ავტომანქანას საზღვარგარეთიდან ხორციის პროდუქტების შემოსატანად სპეციალური აღჭურვილობით, ხოლო რაზმაძე კი ვალდებულია კისრულობდა ყოველთვიურად გადაეხადა შეთანხმებული საიჯარო ქირა. ხელშეკრულება დადებულ იქნა ერთი წლის ვადით.

როდესაც რაზმაძეს იჯარით აღებული ავტომანქანით იტალიიდან შემოჰქონდა ხორცი და ხორცის პროდუქტები, ფოთში შემოსვლისას რაზმაძის მიერ დაქირავებულ მძღოლს გადალლილობის გამო საჭესთან ჩაეძინა, სატვირთო ავტომანქანა შეეჯახა გზის ნაპირას მდგარ ელექტროგანათების ბოძს და დაამტვრია იგი, რასაც თან მოჰყვა ელექტროგადამცემი ხაზების ჩამოვარდნა და დაზიანება. შეჯახების შედეგად ასევე დაზიანდა ავტომანქანის წინა მარჯვენა ნაწილი.

მეიჯარემ მოსთხოვა მოიჯარეს, რომ აენაზღაურებინა დაზიანებული მანქანის შეკეთების, ასევე დამტვრეული ელექტროგანათების ბოძისა და ჩამოვარდნილი ელექტროგადამცემი ხაზების აღდგენასთან დაკავშირებული ხარჯები. მოიჯარემ უარი განაცხადა მეიჯარის მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე იმ მოტივით, რომ ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა მძღოლის ბრალით და, შესაბამისად, მძღოლს უნდა დაეკისროს მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

როგორ გადავწყვიტოთ დავა?

იჯარის ხელშეკრულებით საზღვაო ნავსადგურმა ინდივიდუალურ მეწარმე ბახტაძეს ერთი თვის ვადით დროებით სარგებლობაში გადასცა გემი ეკიპაჟთან ერთად. ხელშეკრულების მიხედვით, ბახტაძეს იჯარით აღებული გემით უნდა შემოეტანა საზღვარგარეთიდან საქართველოში შაქრის ლერწამი. ნავსადგურში გემის ჩატვირთვისას კაპიტანმა გემბანზე მიიღო და დაატვირთინა ასევე ბანანის ყუთები, რათა მომეტებულ ფასად გაეყიდა საქართველოში. ზედმეტმა ტვირთმა გემის გადატვირთვა გამოიწვია.

ზღვაში რეისის შესრულებისას გემი მოჰყვა ათბალიან ქარიშხალში. რაიმე წინასწარი გაფრთხილება მოსალოდნელი ქარიშხლის შესახებ კაპიტანს ტვირთის ჩამტვირთავე ნავსადგურისაგან არ მიუღია. ქარიშხლის შედეგად გამოწვეულმა ძლიერმა რყევებმა გამოიწვია გემის გადაბრუნება და ჩაძირვა, ხოლო მაშველად მოსულმა სხვა გემებმა კი შეძლო ეკიპაჟის წევრების გადარჩენა.

მეიჯარემ სასამართლო წესით მოითხოვა მოიჯარისაგან იჯარით გადაცემული გემის ჩაძირვის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება. მოიჯარემ კი მთელი პასუხისმგებლობა დააკისრა გემის კაპიტანს, რომლის ბრალითაც მოხდა გემის გადატვირთვა, ხოლო კაპიტანმა კი, თავის მხრივ, პასუხისმგებლობა დააკისრა ნავსადგურს, რომელმაც არ შეატყობინა მოსალოდნელი ქარიშხლის შესახებ. კაპიტანმა განაცხადა, რომ მას თუკი წინასწარ ეცოდინებოდა ამინდის ცვლილების შესახებ, აღარ შევიდოდა ღია ზღვაში და ნავსადგურში დარჩებოდა.

როგორ გადაწყვიტოთ დავა?

ირაკლი კილურაძემ ლაგოდების ავტოსატრანსპორტო გაერთიანებისაგან იჯარით აიღო სატვირთო ავტომანქანა. ხელშეკრულების მიხედვით ირაკლის ლაგოდებიდან თბილისში უნდა ჩამოეტანა და ბაზარში გაეყიდა მის მიერ მოწეული სოფლის მეურნეობის პროდუქცია და უნდა გადაეხადა მეიჯარისათვის შეთანხმებული საიჯარო ქირა. ხელშეკრულება დადებულ იქნა ერთ კვირის ვადით.

საგარეჯოში შემოსვლისას იჯარით აღებულ ავტომანქანას გაუფუჭდა საჭე, რის გამოც საჭირო შეიქნა მისი გადაყვანა ავტოპროფილაქტიკაში, სადაც მანქანის საჭის შეკეთებას თითქმის მთელი დღე დასჭირდა, თანაც ირაკლიმ გადაიხადა შეკეთების ხარჯები 200 ლარის ოდენობით. გარდა ამისა, ნაწილობრივ დაზიანდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაც, რომელიც მოთავსებული იყო ავტომანქანის ძარაზე, რის გამოც ირაკლი იძულებული გახდა პროდუქცია გაეყიდა იმაზე დაბალ ფასად, ვიდრე ბაზარში ანალოგიური სახის პროდუქციის ფასი იყო.

მოიჯარემ გადააცილა იჯარით აღებული ავტომანქანის დაბრუნების ვადას ოთხი დღით. მეიჯარემ მოსთხოვა მას ვადის გადაცილებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება. თავის მხრივ, მოიჯარემ მეიჯარეს მოსთხოვა ავტომანქანის შეკეთების ხარჯებისა და პროდუქტის გაფუჭებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

მართლზომიერია თუ არა მეიჯარის მოთხოვნა?

მართლზომიერია თუ არა მოიჯარის მოთხოვნა?

როგორ გადაწყვიტოთ დავა?

თენგიზ ბექაურმა რუსეთის ჩრდილოეთ ნაწილში ხილ-ბოსტნეულის ჩასატანად თბილისის ავიაკომპანიისაგან იჯარით აიღო თვითმფრინავი ეკიპაჟთან ერთად. იჯარის ხელშეკრულებით ავიაკომპანია ვალდებული იყო შეთანხმებულ ვადაში ჩაეტანა ხილ-ბოსტნეული დანიშნულების ადგილას, აგრეთვე დაეზღვია ის ზიანი, რომელიც შეიძლება მიჰყენებოდა თვითმფრინავს ექსპლოატაციის შედეგად.

საჰაერო რეისის შესრულებისას თვითმფრინავის ძრავში ნავთობის მიმწოდებელი სისტემის დაზიანების გამო შეწყდა ნავთობის მიწოდება, ამიტომაც ეკიპაჟი იძულებული შეიქნა ექსტრემალური დაფრენა მოეხდინა უახლოეს აეროპორტში. სათანადო ნაწილების ადგილზე არქონის გამო, ნავთობის მიმწოდებელი სისტემის შეკეთებას დასჭირდა სამი დღე, ხოლო თვითმფრინავი როგორც კი ჩავიდა დანიშნულების ადგილას, აღმოჩნდა, რომ სამი დღის გაჩერების გამო ხილ-ბოსტნეულის დიდი ნაწილი დამპალიყო და სარეალიზაციოდ აღარ ვარგოდა.

მოიჯარემ მოითხოვა მეიჯარისაგან იმ ზიანის ანაზღაურება, რომელიც მან განიცადა თვითმფრინავის ცუდი ტექნიკური მომზადების შედეგად.

ვინ უნდა აუნაზღაუროს მოიჯარეს ზიანი — მეიჯარემ თუ სადაზღვევო ორგანიზაციამ? ვინ უნდა აანაზღაუროს თვითმფრინავის ნავთობის მიმწოდებელი სისტემის შეკეთების ხარჯები?

როგორ გადავწყვიტოთ დავა?

ავეჯის ფაბრიკამ ინდივიდუალურ მეწარმე ნიკოლაძეს გაუგზავნა წერილობითი სახის ოფერტი, რომლითაც ავეჯის ფაბრიკა წინადადებას აძლევდა ნიკოლაძეს, რომ მას იჯარით გადაეცა თავის საკუთრებაში არსებული შენობა ფაბრიკისათვის, რათა იქ შეენახათ დამზადებული მზა პროდუქცია. ნიკოლაძემ განიხილა რა ავეჯის ფაბრიკის მიერ წაყენებული პირობები, გაუგზავნა მას შეტყობინება (აქცეპტი), სადაც მიუთითა, რომ იგი ფაბრიკას დროებითი სარგებლობისათვის – ექვსი თვის ვადით – გადასცემდა შენობას. ნიკოლაძემ ოფერენტს ასევე შეატყობინა, რომ ის მიწის ნაკვეთი, რომელზეც განლაგებულია შენობა, ეკუთვნის ფუტკარაძეს, რომელთანაც მას დადებული აქვს ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც მიწის ნაკვეთზე მძიმე სატვირთო მანქანების გავლა აკრძალულია. ამიტომაც ფაბრიკამ უნდა დადოს ფუტკარაძესთან მიწის ნაკვეთის იჯარის ხელშეკრულება, რომლითაც მას მიეცემა ნებართვა გაატაროს მიწის ნაკვეთზე მძიმე სატვირთო ავტომანქანები.

ითვლება თუ არა ოფერტისა და აქცეპტის საფუძველზე ავეჯის ფაბრიკასა და ნიკოლაძეს შორის შენობის შესახებ იჯარის ხელშეკრულება დადებულიად?

დავით თვალაძემ იკისრა ვალდებულება იჯარის ხელშეკრულებით, ხუთი წლის ვადით, დროებით სარგებლობაში გადაეცა ლევან ნიკოლაძისათვის თავის საკუთრებაში არსებული შენობა, რომელიც მდებარეობდა ზღვასთან ახლოს. ხელშეკრულების მიხედვით მოიჯარეს იჯარით აღებულ შენობაში უნდა მოეწყო ტანსაცმლის გასახდელი ოთახები და გადაეხადა მეიჯარისათვის საიჯარო ქირა, რომლის ოდენობაც განისაზღვრებოდა ანალოგიური სახის შენობების იჯარი-

სათვის დადგენილი ტარიფების მიხედვით. მხარეებმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას, დაადასტურეს სანოტარო წესით და მიმართეს საჯარო რეესტრის სამსახურს ხელშეკრულების რეგისტრაციაში გასატარებლად. მაგრამ საჯარო რეესტრის სამსახურმა უარი განაცხადა ამ ხელშეკრულების რეგისტრაციაში გატარებაზე.

რა საფუძველით შეეძლო ეთქვა უარი საჯარო რეესტრის სამსახურს თვალაძისა და ნიკოლაძის მიერ ხელმოწერილი შენობის იჯარის ხელშეკრულების რეგისტრაციაში გატარებაზე?

ქ ა ზ უ ს ი №169

ი. გიორგაძემ და ო. ბრეგვაძემ დადეს იჯარის ხელშეკრულება, რის საფუძველზეც, გიორგაძე ბრეგვაძეს გადასცემდა ღროებით სარგებლობაში თავის საკუთრებაში არსებულ შენობას, სადაც ბრეგვაძეს უნდა მოეწყო კომპიუტერული თამაშების ოთახები და გადაეხადა გიორგაძისათვის შეთანხმებული საიჯარო ქირა. ხელშეკრულება დადებულ იქნა სამი წლის ვადით.

იჯარის ხელშეკრულების დადებიდან ექვსი თვის გასვლის შემდეგ მოიჯარე უბედური შემთხვევის შედეგად მოულოდნელად გარდაიცვალა. მეიჯარემ მის მემკვიდრეს მოსთხოვა იჯარის ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტა, რაზედაც მემკვიდრემ უარი განაცხადა და მოითხოვა იჯარის ხელშეკრულების გაგრძელება შეთანხმებულ ვადამდე.

აქვს თუ არა გარდაცვლილი მოიჯარის მემკვიდრეს უფლება, მოსთხოვოს მეიჯარეს ხელშეკრულების გაგრძელება? აქვს თუ არა მეიჯარეს უფლება მოითხოვოს მოიჯარის გარდაცვალების შემთხვევაში იჯარის ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტა?

როგორ გადავწყვიტოთ დავა?

გია პეტრიაშვილმა იჯარის ხელშეკრულებით თავის საკუთრებაში არსებული შენობა ხუთი წლის ვადით საოფისედ გადასცა ინდივიდუალურ მეწარმე ტალახაძეს. ხელშეკრულებაში მხარეებმა აღნიშნეს, რომ შენობის კაპიტალური რემონტი განხორციელდება მოიჯარის სახსრებით. ხელშეკრულების დადებიდან სამი წლის გასვლის შემდეგ, მეიჯარემ მოიჯარისათვის გადაცემული შენობა მიჰყიდა ბურკაძეს, ხოლო ერთი კვირის შემდეგ კი მოულოდნელად გარდაიცვალა.

აქვს თუ არა უფლება ბურკაძეს მოსთხოვოს ტალახაძეს იჯარის ხელშეკრულების ვადაზე შეწყვეტა? ბათილია თუ არა ბურკაძესა და პეტრიაშვილს შორის დადებული იჯარით გადაცემული ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება, რადგან იგი დადებულია ტალახაძის თანხმობის გარეშე? აქვს თუ არა მოიჯარეს უფლება, რომ იჯარის ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ გარდაცვლილი მეიჯარის მემკვიდრეებს მოსთხოვოს შენობის გარემონტებაზე დახარჯული სახსრების ანაზღაურება?

გიორგი ხელაიამ იჯარის ხელშეკრულებით ინდივიდუალურ მეწარმე კერესელიძეს დროებით სარგებლობაში სამი წლის ვადით გადასცა სილამაზის სალონი, მოიჯარემ ასევე იკისრა მეიჯარის ნაცვლად სილამაზის სალონის კრედიტორებისათვის – თავაძისა და ნიკორაძისათვის ფულადი დავალიანების გადახდა. ვალის გადაკისრების შესახებ ეცნობა მხოლოდ ერთ კრედიტორს – თავაძეს, რომელმაც თანხმობა განაცხადა ამის შესახებ; რაც შეეხება ნიკორაძეს, მან ვალის გადაკისრების შესახებ შეიტყო მხოლოდ მას შემდეგ, რაც სილამაზის სალონი გადაცემულ იქნა იჯარით.

ნიკორაძე შეუთანხმდა თავაძეს და მათ ცალ-ცალკე შეიტანეს სარჩელი მოიჯარის – კერესელიძის მიმართ და მოითხოვეს მისგან ვადაძლე გადაეხადა მათთვის სილამაზის სალონის ვალები.

რა გადაწყვეტილებას მიიღებს სასამართლო?

კაზუსი №172

ოთარ ფუტკარაძემ იჯარის ხელშეკრულებით 3 წლის ვადით დროებით სარგებლობაში გადასცა ლევან სიხარულიძეს ავეჯის ფაბრიკა თავისი მოწყობილობებითა და დაზგებით. გარდა ამისა, მოიჯარემ იკისრა გადაეხადა ავეჯის ფაბრიკის კრედიტორისათვის – ი. შვანგირაძისათვის არსებული ფულადი დავალიანება. მეიჯარესა და მოიჯარეს შორის გაფორმებული ვალის გადაკისრების შესახებ შეთანხმება არ ეცნობა ფაბრიკის კრედიტორს და მას ამაზე თანხმობა არ განუცხადებია.

ჰქონდა თუ არა მეიჯარეს უფლება კრედიტორის თანხმობის გარეშე მოიჯარისათვის გადაეკისრებინა ვალი? ჰქონდა თუ არა მოიჯარეს უფლება მეიჯარის ნაცვლად ეკისრა ვალის გადახდა?

კაზუსი №173

შპს „ოლიმპიელმა“ იჯარის ხელშეკრულებით დ. ნიკოლაძეს დროებით სარგებლობაში სამი წლის ვადით გადასცა სავაჭრო კომპლექსი სპორტული ნაწარმის გასაყიდად. შპს „ოლიმპიელმა“ წერილობით შეატყობინა თავის კრედიტორს – კომერციულ ბანკს „ოაზისს“, სავაჭრო კომპლექსის იჯარით გადაცემის შესახებ, ასევე ის, რომ ბანკის ვალის გადახდა იკისრა მოიჯარემ. ბანკმა ამაზე თანხმობა განაცხადა. ხელშეკრულების ხელმოწერისა და სავაჭრო

კომპლექსის გადაცემის შემდეგ, მოიჯარემ მოახდინა მისი რეკონსტრუქცია. რეკონსტრუქციის შედეგად სავაჭრო კომპლექსში ორმაგად გაიზარდა ვაჭრობის მოცულობა. ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ მოიჯარემ მეიჯარეს მოსთხოვა რეკონსტრუქციაზე გაწეული ხარჯების ანაზღაურება.

აქვს თუ არა უფლება მოიჯარეს, რომ მოსთხოვოს მეიჯარეს იჯარით აღებული სავაჭრო კომპლექსის რეკონსტრუქციაზე გაწეული ხარჯების ანაზღაურება იჯარის ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ?

კ ა ზ უ ს ნ ი №174

იჯარის ხელშეკრულებით ა. მგელაძემ ი. კაცსაძეს ხუთი წლის ვადით ღროებით სარგებლობაში გადასცა ფეხსაცმლის შესაკერი ატელიე. გარდა ამისა, მეიჯარემ მოიჯარეს დაუტოვა ფეხსაცმლის შესაკერი ტყავის მასალა, რომელიც საკმარისი იყო ექვსი თვის მუშაობისათვის. მოიჯარემ კი იკისრა ვალდებულება გადაეხადა სარგებლობისათვის დათქმული საიჯარო ქირა.

ატელიეს გადაცემიდან ერთი წლის შემდეგ მოიჯარემ მისი ნაწილი ქვეიჯარით გადასცა ო. ნოზაძეს ავტომანქანის დაზიანებული ბორბლების აღსადგენად. იჯარის ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ კაცსაძემ მგელაძეს მოსთხოვა ხელშეკრულების ვადის გაგრძელება კიდევ ხუთი წლის ვადით, რაზედაც მგელაძემ უარი განაცხადა.

ჰქონდა თუ არა მოიჯარეს უფლება, რომ იჯარით აღებული ატელიეს ნაწილი გადაეცა ქვეიჯარით? აქვს თუ არა მეიჯარეს უფლება, რომ უარი განუცხადოს მოიჯარეს იჯარის ხელშეკრულების ვადის გაგრძელებაზე?

ინდივიდუალურმა მეწარმე ნოზაძემ შპს „თანადგომასთან“ დალო იჯარის ხელშეკრულება, რის მიხედვითაც ნოზაძე შპს „თანადგომას“ ხუთი წლით დროებით სარგებლობაში გადასცემდა შენობას, ხოლო მოიჯარე კი კისრულობდა ვალდებულებას, რომ იჯარით აღებულ შენობაში გაეხსნა სასადილო და გადაეხადა ყოველთვიურად საიჯარო ქირა დადგენილი ოდენობით. რადგანაც ადრე შენობაში ფუნქციონირებდა სილამაზის სალონი, ამიტომაც მოიჯარემ დამატებით იკისრა ვალდებულება თავისი სახსრებით მოეხდინა შენობის გადაკეთება და გარემონტება. თუმცა კი ამ სამუშაოთა ჩატარება დროში სულ უფრო და უფრო იწვედა, ხოლო ერთი თვის გასვლის შემდეგ კი შპს „თანადგომამ“ იჯარით აღებულ შენობაში განათავსა თავისი საჭიროებისამებრ შეძენილი ავეჯი, სხვადასხვა სახის ინვენტარი და მოწყობილობები. ამასთან დაკავშირებით მოიჯარემ შეამცირა საიჯარო ქირის ოდენობა, რამეთუ იჯარით აღებულ შენობას იყენებდა არა სასადილოდ, არამედ საწყობად. მეიჯარემ მოიჯარეს მოსთხოვა საიჯარო ქირის გადახდა ხელშეკრულებით შეთანხმებული ოდენობით. მოიჯარემ უარი განაცხადა ამ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე და მეიჯარეს უპასუხა, რომ იჯარით აღებული შენობის გამოყენება საწყობად ყველაზე უფრო სწორი გადაწყვეტილება, რადგანაც მისი გადაკეთება სასადილოდ დაკავშირებულია დიდ მატერიალურ დანახარჯებთან, ხოლო სასადილო კი მან განათავსა სხვა შენობაში, რომელსაც არანაირი გადაკეთება არ სჭირდება.

მეიჯარემ მიმართა სარჩელით სასამართლოს და მოითხოვა მოიჯარისაგან იჯარის ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტა და მიყენებული მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურება.

რა გადაწყვეტილებას მიიღებს სასამართლო?

კოოპერატივმა „იმედმა“ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შესანახად ი. მინდიაშვილისაგან აიღო იჯარით სასაქონლო საწყობი, რომელიც განთავსებული იყო სარდაფში. ხელშეკრულების მიხედვით მეიჯარე მოიჯარეს დროებით სარგებლობაში 3 წლის ვადით გადასცემდა 100 კვ.მ. ფართობის მქონე სარდაფს, ხოლო მოიჯარე კი კისრულობდა ვალდებულებას გადაეხადა საიჯარო ქირა შეთანხმებულ ვადაში. ხელშეკრულების დადებიდან ერთი თვის გასვლის შემდეგ იჯარით აღებულ სარდაფში გასკდა საკანალიზაციო მილი და მთელი სარდაფი დაიტბორა, რამაც გამოიწვია შესანახად არსებული ერთი ტონა სოფლის მეურნეობის პროდუქციის გაფუჭება. მოიჯარემ მეიჯარეს მოსთხოვა მიყენებული ზიანის ანაზღაურება. მეიჯარემ უარი განაცხადა მოიჯარის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე იმ მოტივით, რომ სარდაფი იმყოფებოდა მოიჯარის მფლობელობასა და სარგებლობაში და ამიტომაც მეიჯარეს არ შეეძლო სცოდნოდა საკანალიზაციო მილების გაუმართაობის შესახებ.

როგორ გადაწყვიტოთ დავა?

დავით ნემსაძემ ირაკლი კობლაძესთან დადო იჯარის ხელშეკრულება, რის მიხედვითაც ირაკლი დავითს დროებით სარგებლობაში გადასცემდა სამშენებლო ტექნიკას, ხოლო დავითი კი კისრულობდა ვალდებულებას, გადაეხადა შეთანხმებული საიჯარო ქირა და ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ მეიჯარისათვის უკან დაებრუნებინა იჯარით აღებული ტექნიკა.

იჯარის ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ მოიჯარემ ქონება უკან არ დაუბრუნა მეიჯარეს. ორი თვის შემდეგ მეიჯარემ წერილობით მოსთხოვა მოიჯარეს იჯარით აღებული ტექნიკის უკან

დაბრუნება. ტექნიკის დაბრუნებისთანავე მეიჯარემ სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა მოიჯარისაგან ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ იჯარით აღებული ქონებით სარგებლობისათვის საიჯარო ქირის გადახდა და დაბრუნებულ ტექნიკაში აღმოჩენილი დაზიანებების გამო მიყენებული ზიანის ანაზღაურება. მოიჯარემ უარი განაცხადა საიჯარო ქირის გადახდაზე იმ მოტივით, რომ ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ მეიჯარემ დაუყოვნებლივ არ მოითხოვა საიჯარო ქონების უკან დაბრუნება, ხოლო, რაც შეეხება ტექნიკის დაზიანებას, იგი გამოწვეულია ნორმალური სამეურნეო ცვეთით და, შესაბამისად, ანაზღაურებას არ ექვემდებარება.

რა გადაწყვეტილებას მიიღებს სასამართლო?

კ ა ზ უ ს ი №178

შპს „ტექნიკამ“ ინდივიდუალურ მეწარმე ტაბატაძესთან დადო იჯარის ხელშეკრულება. ხელშეკრულების მიხედვით ტაბატაძე შპს „ტექნიკას“ დროებით სარგებლობაში ერთი წლის ვადით გადასცემდა ასფალტის სათხრელ ბურღს, ხოლო მოიჯარე კი კისრულობდა ვალდებულებას დადგენილ ვადაში გადაეხადა საიჯარო ქირა.

ხელშეკრულების დადებიდან ორი თვის შემდეგ ბურღი ნორმალური სამეურნეო ცვეთის შედეგად დაზიანდა და საჭირო შეიქნა მისი კაპიტალური შეკეთება. მოიჯარემ საკუთარი სახსრებით შეაკეთა დაზიანებული ბურღი და უფრო გააუმჯობესა. ოთხი თვის განმავლობაში მოიჯარე მეიჯარეს აღარ უხდიდა საიჯარო ქირას, რამეთუ იგი გაქვითა ბურღის შეკეთების ხარჯებში. მეიჯარე ამაზე არ დაეთანხმა მოიჯარეს იმ საფუძველით, რომ მოიჯარემ დაზიანებული ბურღი შეაკეთა და გააუმჯობესა მეიჯარის თანხმობის გარეშე, ამიტომაც მას მთლიანად უნდა გადაეხადა საიჯარო ქირა.

როგორ გადაწყვეტოთ დავა?

ი. კუპრაძემ ო. მერაბიშვილისაგან ერთი წლის ვადით იქირავა პიანინო. ხელშეკრულების დადებიდან ორი თვის შემდეგ კუპრაძე სამი თვით გააგზავნეს სამსახურებრივი მივლინებით საზღვარგარეთ. საზღვარგარეთ გამგზავრებასთან დაკავშირებით კუპრაძემ პიანინო ღროებით სარგებლობისათვის — სამი თვით გადასცა თავის კარის მეზობელს ნ. ნაკაშიძეს იმ პირობით, რომ სამი თვის ქირას, ანუ სანამ პიანინო მის სარგებლობაში იქნებოდა, გადაიხდიდა ნაკაშიძე. ნაკაშიძემ პიანინო გადაიტანა თავისთან და დადგა ცენტრალური გათბობის მილთან ახლოს. ამის შემდეგ სულ მალე პიანინო უკანა მხარეს ორგან გასკდა. კუპრაძე ჩამოვიდა მივლინებიდან, დაიბრუნა ნაკაშიძისაგან პიანინო და ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ უკან დაუბრუნა მერაბიშვილს. პიანინოს მიღებისას მერაბიშვილმა დაათვალიერა იგი და როდესაც ორ ადგილას აღმოაჩინა ბზარი, მოსთხოვა კუპრაძეს მიეყენებული ზიანის ანაზღაურება. კუპრაძემ უარი განაცხადა მერაბიშვილის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე იმ მოტივით, რომ პიანინოს დაზიანებაში მას ბრალი არ მიუძღვის და იგი ნაკაშიძემ დააზიანა.

როგორ გადაწყვიტოთ დავა?

შპს „ინსტრუმენტა“ დ. მაისურაძისაგან იჯარით აიღო 100 კვმ. ფართის შენობა საოფისედ ხუთი წლის ვადით. ხელშეკრულების დადების შემდეგ მოიჯარის მიერ მოწვეულმა სპეციალისტებმა აღმოაჩინეს, რომ იჯარით აღებული შენობა საჭიროებდა კაპიტალურ შეკეთებას და შემდგომ კი გადაკეთებას დასახული მიზნით გამოსაყენებლად. მოიჯარემ შეიჯარეს მოსთხოვა იჯარით აღებულ შენობაში კაპიტალური რემონტის ჩატარება და გააფრთხილა, რომ

სამუშაოთა წარმოების პროცესში შეუწყვეტდა საიჯარო ქირის გადახდას.

მეიჯარემ უარი განაცხადა მოიჯარის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე იმ მოტივით, რომ იჯარის ხელშეკრულების დადებისას მოიჯარემ დაათვალიერა იჯარით გადასაცემი შენობა, მოიწონა და არავითარი პრეტენზია არ გამოუთქვამს, და თანაც ეს რომც არ ყოფილიყო, იჯარის ხელშეკრულებაში არაფერია ნათქვამი გადასაცემი შენობის ხარისხის შესახებ.

როგორ გადავწყვიტოთ დავა?

ბ ა ზ უ ს ი №181

შპს „მექანიკამ“ ი. დვალიშვილთან დადო იჯარის ხელშეკრულება. ხელშეკრულების მიხედვით ი. დვალიშვილი შპს „მექანიკას“ ხუთი წლის ვადით სარგებლობაში გადასცემდა 50 კვ.მ. ფართის მქონე ავტოფარეხს, ხოლო მოიჯარე კი კისრულობდა მეიჯარესთან შეთანხმებით მოეხდინა ავტოფარეხის რეკონსტრუქცია, სახელდობრ, 30 კვ.მ. ფართობში დაეყენებინა ორი ავტომანქანა, ხოლო 20 კვ.მ. ფართობი კი გადაეკეთებინა მძლოლების საცხოვრებელ ოთახად და გადაეხადა შეთანხმებული საიჯარო ქირა დადგენილ ვადაში. ყველა სამუშაო უნდა დამთავრებულიყო ხელშეკრულების დადებიდან ექვსი თვის ვადაში. შეთანხმებულ ვადაში მოიჯარემ მოახდინა ავტოფარეხის რეკონსტრუქცია, მაგრამ არ გადაიხადა საიჯარო ქირა. მეიჯარემ მოსთხოვა მოიჯარეს გადაუხდელი საიჯარო ქირის გადახდა, რაზედაც მოიჯარემ უარი განაცხადა იმ მოტივით, რომ რეკონსტრუქციაზე გაწეული ხარჯები უნდა გადაეხადა მეიჯარეს და ამიტომაც მოიჯარემ ეს ხარჯები გაქვითა საიჯარო ქირაში.

როგორ გადავწყვიტოთ დავა?

ო. ფუტკარაძემ გამჭირავებელი სააგენტოსაგან იჯარით აიღო მსუბუქი ავტომანქანა ერთი თვის ვადით. მეზობელ ქალაქში გამგზავრებისას ფუტკარაძემ ვიწრო გზაზე ვერ დაიმორჩილა საჭე და შეეჯახა გზის ნაპირას მღვარ ხეს, რის შედეგადაც გატყდა მანქანის საქარე მინა და დაზიანდა მარჯვენა წინა კარები. საგზაო ინსპექტორების მიერ შედგენილ საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის აქტში მითითებულ იქნა, რომ მინისა და კარების გარდა, დაზიანებულია მანქანის ძრავაც. ფუტკარაძემ თანხმობა განაცხადა აენაზლაურებინა ავტომანქანების გამჭირავებელი სააგენტოსათვის დაზიანებული მანქანის საქარე მინისა და მარჯვენა წინა კარების შეკეთების ხარჯები, მაგრამ უარი განაცხადა მანქანის ძრავის რემონტის ხარჯების ანაზლაურებაზე, იმ მოტივით, რომ ძრავა დაზიანებული იყო ჯერ კიდევ ხელშეკრულების დადებისას, რის შესახებაც ფუტკარაძემ ზეპირად განუცხადა გამჭირავებელი სააგენტოს წარმომადგენელს და მოსთხოვა მანქანის შეცვლა, რაზედაც უარი მიიღო იმ მოტივით, რომ სააგენტოს იმ დროისათვის სხვა ავტომანქანა არ ჰქონდა გაქირავებაში.

მართლზომიერია თუ არა მოიჯარის მოქმედება?

კალათბურთელთა გუნდმა „იმედმა“ სპორტის სასახლის ღირექციასთან დადო იჯარის ხელშეკრულება. ხელშეკრულების მიხედვით ღირექცია კლუბ „იმედს“ სამი თვის ვადით სავარჯიშოდ გადასცემდა საკალათბურთო მოედანს, ხოლო მოიჯარე კი კისრულობდა ვალდებულებას დადგენილ ვადაში გადაეხადა შეთანხმებული ქირა. ხელშეკრულების მოქმედების ვადად განისაზღვრა 1999 წლის დეკემბრიდან 2000 წლის თებერვლის ჩათვლით პერიოდი.

იმასთან დაკავშირებით, რომ მეიჯარე პერიოდულად ვერ ახერხებდა იჯარით გადაცემული სპორტული კომპლექსის გათბობას, კალათბურთელები სიცივის გამო ვერ ვარჯიშობდნენ. მოიჯარემ შეწყვიტა მეიჯარისათვის საიჯარო ქირის გადახდა და მოსთხოვა მას იჯარის ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტა. მეიჯარემ, თავის მხრივ, მოიჯარეს მოსთხოვა დარჩენილი საიჯარო ქირის გადახდა და იმ მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურება, რომელიც მას უნდა მიეღო საკალათბურთო მოედანი სხვა მიზნებისათვის რომ გამოეყენებინა.

როგორ გადავწყვიტოთ დავა?

პ ა ზ უ ს ი №184

გ. მესხიძემ სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა ვ. ხუცურაულისაგან იჯარით გადაცემული არასაცხოვრებელი ფართით სარგებლობისათვის ათი თვის გადასახდელი საიჯარო ქირისა და მასზე კანონით დარიცხული პროცენტების გადახდა. სარჩელის ფასის განსაზღვრისას მოსარჩელე მესხიძე ხელმძღვანელობდა იმ ნორმატიული აქტით, რომელიც განსაზღვრავდა არასაცხოვრებელი ფართით სარგებლობისათვის 1 კვ.მ. დადგენილ საიჯარო ქირას. მოპასუხემ უარი განაცხადა მოსარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე იმ მოტივით, რომ მან, მართალია, ხელი მოაწერა იჯარის ხელშეკრულებას არასაცხოვრებელი ფართის სარგებლობაში გადაცემის შესახებ, მაგრამ ხელშეკრულებაში არ იყო განსაზღვრული საიჯარო ქირის ოდენობა. მოსარჩელის აზრით, ეს პირობა მოცემული იყო მხარეთა შორის დადებული იჯარის ხელშეკრულებაში. საქმის მასალების შესწავლით დადგინდა, რომ იჯარის ხელშეკრულების პირველი პუნქტი ითვალისწინებდა მეიჯარის ვალდებულებას სასყიდლით გადაეცა მოიჯარისათვის 100 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართობი დროებით სარგებლობაში. ხელშეკრულებაში

განსაზღვრული იყო ასევე სარგებლობის ვადა, რაც შეეხება საიჯარო ქირას, ხელშეკრულებაში მითითებული იყო, რომ იგი განისაზღვრება გადახდის მომენტიდან ნორმატიული აქტით დამტკიცებული ტარიფის მიხედვით.

სასამართლომ მოსარჩელის მოთხოვნა მართლზომიერად მიიჩნია და დააკმაყოფილა სარჩელი.

სწორი გადაწყვეტილება მიიღო თუ არა სასამართლომ?

კ ა ზ უ ს ნ ი №185

ი. კოპაძემ ლ. გუნთაძისაგან ორი წლის ვადით იქირავა სამოთახიანი საცხოვრებელი ბინა. ხელშეკრულებით მხარეებმა განსაზღვრეს, რომ საბინაო ქირის გადახდის ნაცვლად, დამქირავებლის მიერ დაქირავებულ ბინაში შეტანილი ქონება ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ უნდა გადასულიყო დამქირავებლის საკუთრებაში. ამასთან, თუკი კოპაძე უფრო ადრე გარდაიცვლებოდა, ვიდრე ქირავნობის ხელშეკრულების ვადა გავიდოდა, მის მემკვიდრეებს არ ჰქონდათ უფლება გამოეთქვათ რაიმე პრეტენზია დაქირავებულ ბინაში შეტანილ ქონებაზე.

ქირავნობის ხელშეკრულების დადებიდან ერთი წლის გასვლის შემდეგ ი. კოპაძე მოულოდნელად გარდაიცვალა. მისმა მემკვიდრეებმა შეიტანეს სასამართლოში სარჩელი და მოითხოვეს დაქირავებულ ბინაში შეტანილი ქონების გადაცემა, რამეთუ ქირავნობის ხელშეკრულება იმ ნაწილში, რომ დამქირავებელს დამქირავებლის გარდაცვალების შემდეგ დარჩებოდა დაქირავებულ ბინაში შეტანილი ქონება, ბათილია, რადგან ეწინააღმდეგება ქირავნობის ხელშეკრულების არსს.

სასამართლომ დამქირავებელსა და გარდაცვლილ დამქირავებელს შორის შეთანხმება ქონების გადაცემის შესახებ მიიჩნია პირგასამტეხლოს შესახებ შეთანხმებად და ამ მოტივით უარი უთხრა

მემკვიდრეებს სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

სწორი გადაწყვეტილება მიიღო თუ არა სასამართლომ?

ქაზუსი №186

ინდივიდუალურ მეწარმე ბადრიძემ ცნობილ ლუდის მწარმოებელ ფირმა „ოქროს კასრთან“, რომელიც მდებარეობდა თბილისში, დადო ფრენშაიზინგის ხელშეკრულება. ხელშეკრულების მიხედვით ბადრიძემ ქალაქ ბათუმში ააშენა იმავე სახელწოდების ლუდის ჩამოსასხმელი ქარხანა და გამოუშვა ლუდი ფრენშაიზის გამცემის ტექნოლოგიის მიხედვით. ფრენშაიზინგის ხელშეკრულება დადებულ იქნა ხუთი წლის ვადით.

სამი წლის შემდეგ ფირმა „ოქროს კასრის“ მესაკუთრე, ანუ ფრენშაიზის გამცემი, მოულოდნელად გარდაიცვალა, ხოლო მისმა შვილმა კი, რომელმაც მემკვიდრეობით მიიღო ფირმა, შეუცვალა მას სახელი და დაარქვა „დათო და კომპანია“. ფრენშაიზის მიმღებმა ბადრიძემ ხელშეკრულების პირობების მიხედვით ასევე შეუცვალა ბათუმში მდებარე ლუდის ჩამოსასხმელ ქარხანას სახელი და მას „ოქროს კასრის“ ნაცვლად უწოდა „დათო და კომპანია“. ამან გამოიწვია ის, რომ ბადრიძის მიერ გამოშვებული პროდუქცია აღარ გაიყიდა, რამეთუ „ოქროს კასრის“ სავაჭრო ნიშანს მომხმარებელი კარგად იცნობდა, ხოლო თუ რა იყო „დათო და კომპანია“ მომხმარებელმა არ იცოდა.

ფრენშაიზის მიმღებმა მიმართა სარჩელით სასამართლოს და მოითხოვა ფრენშაიზის გამცემის მემკვიდრისაგან ფრენშაიზინგის ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტა და მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურება.

მართლზომიერია თუ არა ბადრიძის მოთხოვნა ფრენშაიზის გამცემის მემკვიდრის მიმართ საფირმო სახელწოდების შეცვლასთან დაკავშირებით ფრენშაიზინგის ხელშეკრულების ვადამდე შეწყვე-

ტისა და მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ?

რა გადაწყვეტილებას მიიღებს სასამართლო?

კ ა ზ უ ს ნ ი № 187

შპს „ნაყინმა“, რომელიც თავისი საკუთარი საფირმო სახელწოდებითა და სპეციალურად შემუშავებული ტექნოლოგიის მიხედვით თბილისში აწარმოებდა მაღალხარისხოვან ნაყინს, ფრენშიაზინგის ხელშეკრულება დადო ინდივიდუალურ მეწარმე გიორგაძესთან ქალაქ ქუთაისში ანალოგიური სახის ნაყინის გამოშვების შესახებ. ხელშეკრულების მიხედვით ფრენშიაზინს გამცემი გადასცემდა ფრენშიაზინს მიმღებს სამი წლის ვადით ნაყინის დამზადების ტექნოლოგიას, სასაქონლო ნიშნებს, ხოლო ფრენშიაზინს მიმცემი ვალდებულებას კისრულობდა დაეცვა ნაყინის დამზადების ტექნოლოგიის საიდუმლოება და გადაეხადა შეთანხმებული საზღაური.

ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ ფრენშიაზინს მიმღებმა დაიწყო ნაყინის გამოშვება საკუთარი საფირმო სახელწოდებით. მიუხედავად იმისა, რომ წარმოებული ნაყინი იმავე ხარისხის იყო, იგი მაინც არ იყიდებოდა ახალი სასაქონლო ნიშნის გამო. ფრენშიაზინს მიმღებმა სთხოვა ფრენშიაზინს გამცემს ახალი ფრენშიაზინგის ხელშეკრულების დადება კიდევ სამი წლის ვადით, რაზედაც ფრენშიაზინს გამცემმა უარი განაცხადა და უკვე თვითონ დაიწყო თბილისში წარმოებული ნაყინის რეალიზაცია ქუთაისში. ამის შემდეგ ფრენშიაზინს მიმღებმა გიორგაძემ ხელშეკრულება დადო სხვა სახის ნაყინის მწარმოებელ ფირმასთან ხუთი წლის ვადით. შეიტყო რა ამის შესახებ შპს „ნაყინმა“, სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა ინდივიდუალური მეწარმე გიორგაძისაგან იმ ზიანის ანაზღაურება, რომელიც მან განიცადა ათვისებულ სავაჭრო ტერიტორიაზე კონკურენტის გამოჩენის შედეგად.

მართლზომიერია თუ არა გიორგაძის მოთხოვნა შპს „ნაყინის“ მიმართ ფრენშაიზინგის ხელშეკრულების ვადის სამი წლით გაგრძელების შესახებ?

მართლზომიერია თუ არა შპს „ნაყინის“ მოქმედება ხელშეკრულების ვადის გაგრძელებაზე უარის თქმის შესახებ?

მართლზომიერია თუ არა შპს „ნაყინის“ მოთხოვნა ინდივიდუალურ მეწარმე გიორგაძის მიმართ ათვისებულ სავაჭრო ტერიტორიაზე კონკურენტის გამოჩენასთან დაკავშირებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ?

კ ა ზ უ ს ი №188

სააქციო საზოგადოება „ქსოვილმა“ შპს „შალთან“ განუსაზღვრელი ვადით დადო ფრენშაიზინგის ხელშეკრულება. ხელშეკრულების მიხედვით სს „ქსოვილი“ ვალდებულიებას კისრულობდა გადაეცა შპს „შალისათვის“ სასაქონლო (სავაჭრო) ნიშნები, ნიმუშები, საქონლის წარმოების, შექმნის, გასაღებისა და საქმიანობის ორგანიზაციის კონცეფცია, ასევე ის ინფორმაცია, რომელიც საჭიროა პროდუქციის გასაღების ხელშესაწყობად, ხოლო ფერენშაიზინგის მიმღები კი ვალდებულიებას კისრულობდა კეთილსინდისიერი მეწარმის გულისხმიერებით აქტიურად განეხორციელებინა საქმიანობა, მიელო მომსახურება და შეეძინა საქონელი ფრენშაიზინგის მიმცემის მეშვეობით და გადაეხადა შეთანხმებული საზღაური.

ხელშეკრულების დადებიდან ორი თვის შემდეგ ფრენშაიზინგის გამცემმა შეატყობინა ფრენშაიზინგის მიმღებს, რომ წყვეტს ფრენშაიზინგის ხელშეკრულებას. ფრენშაიზინგის მიმღებმა შეწყვიტა პროდუქციის წარმოება ფრენშაიზინგის ხელშეკრულების საფუძველზე, მაგრამ გააგრძელა უკვე დამზადებული პროდუქციის რეალიზაცია მყიდველ-კონტრაგენტებთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე.

სს „ქსოვილმა“ შპს „შალის“ ეს მოქმედებები ჩათვალა როგორც

მისი უფლებების შემლახავი საქმიანობა და მოითხოვა ზიანის ანაზღაურება. შპს „შალმა“ ზიანის ანაზღაურებაზე უარი განაცხადა იმ მოტივით, რომ პროდუქცია დამზადებული იყო ფრენშაიზინგის ხელშეკრულების შეწყვეტამდე და რომ მისი რეალიზაციის ხელშეკრულებები დაიდო ასევე ფრენშაიზინგის ხელშეკრულების მოქმედების ფარგლებში, ამიტომაც მის მიერ განხორციელებული მოქმედებები არის მართლზომიერი და ეს უფლება მას მინიჭებული ჰქონდა ფრენშაიზინგის ხელშეკრულების საფუძველზე.

როგორ გადავწყვიტოთ დავა?

კ ა ზ უ ს ი №189

ი. ნოზაძემ ო. პატარიძეს ერთი წლის ვადით უპროცენტო სესხის ხელშეკრულების საფუძველზე სესხად გადასცა 1000 ლარი. ხელშეკრულება შედგენილ იქნა წერილობითი ფორმით და ხელმოწერილ იქნა ორივე მხარის მიერ.

ხელშეკრულების დადებიდან სამი თვის გასვლის შემდეგ გამსესხებელმა მსესხებელს მოსთხოვა პროცენტის გადახდა იმ ოდენობით, რომელიც დადგენილი იქნებოდა ეროვნული ბანკის ან ბანკთაშორისი საკრედიტო აუქციონის მიერ. მსესხებელმა ამაზე უარი განაცხადა იმ მოტივით, რომ დადებული სესხის ხელშეკრულება უპროცენტოა.

ექვემდებარება თუ არა გამსესხებლის მოთხოვნა მოცემულ შემთხვევაში დაკმაყოფილებას?

კაზუსი №190

ი. მგელაძემ ო. მიქაძისაგან ერთი წლის ვადით ისესხა ორი ათასი ლარი და დასატებით იკისრა ვალდებულება ყოველთვიურად გადაეხადა პროცენტი ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოდენობის შესაბამისად. ექვსი თვის განმავლობაში მსესხებელი ჯეროვნად იხდიდა პროცენტს, ხოლო შემდეგ კი შესთავაზა გამსესხებელს სესხად აღებული მთლიანი თანხის ვადამდე უკან დაბრუნება. გამსესხებელმა ამაზე უარი განაცხადა და მსესხებელს განუმარტა, რომ იგი თანხას უკან დააბრუნდება მხოლოდ მას შემდეგ, როცა ხელშეკრულების ვადა გავიდოდა.

ვალდებულია თუ არა ამ შემთხვევაში მსესხებელი, რომ კვლავ უხადოს ყოველთვიურად გამსესხებელს სესხისთვის პროცენტი?

კაზუსი №191

ი. მინდაძემ ა. ბურკაძისაგან ერთი წლის ვადით ისესხა 1200 ლარი პროცენტის სესხის სახით. მსესხებელმა იკისრა ვალდებულება, რომ სესხად აღებული თანხა უკან დაებრუნებინა ნაწილ-ნაწილ ყოველთვიურად 100 ლარის ოდენობით ხელშეკრულებით განსაზღვრულ პროცენტთან ერთად. მსესხებელი სამი თვის განმავლობაში ჯეროვნად ასრულებდა თავის მოვალეობას, მაგრამ შემდგომში ვეღარ შეძლო თანხის გადახდა იმ მოტივით, რომ გაკოტრდა და აღარ გააჩნდა გადახდის საშუალება. გამსესხებელმა მოსთხოვა მსესხებელს დარჩენილი თანხისა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროცენტების ერთდროულად გადახდა.

აქვს თუ არა გამსესხებელს ამ შემთხვევაში უფლება, რომ მოსთხოვოს მსესხებელს სესხის უკან ვადამდე დაბრუნება?

კახუსი №192

ინდივიდუალურმა მეწარმე არველაძემ კომერციული ბანკისაგან სამი წლის ვადით აიღო მიზნობრივი სესხი პურის პროდუქტების წარმოების განსავითარებლად. მსესხებელმა პურპროდუქტების წარმოების განვითარების ნაცვლად, ბანკისაგან აღებული სესხით დაიწყო ალკოჰოლური სასმელების წარმოება.

როდესაც ბანკის წარმომადგენლები მსესხებელს ესტუმრნენ, რათა შეემოწმებინათ რამდენად მიზნობრივად დაიხარჯა სესხად აღებული თანხა, აღმოაჩინეს, რომ მსესხებელმა იგი გამოიყენა არამიზნობრივად. ამასთან დაკავშირებით, ბანკმა არველაძეს მოსთხოვა სესხად აღებული ფულადი თანხისა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროცენტების ვადამდე უკან დაბრუნება.

**მართლზომიერია თუ არა გამსესხებლის მოთხოვნა?
როგორ გადაწყვიტოთ დავა?**

კახუსი №193

ი. მდინარაძემ შპს „ტექნიკისაგან“ იჯარით აღებული ქონება გააუმჯობესა, რაზეც გაწია 2000 ლარის ხარჯი. მოიჯარემ მეიჯარეს მოსთხოვა იჯარით აღებული ქონების გაუმჯობესებაზე გაწეული ხარჯების ანაზღაურება. მეიჯარე დასთანხმდა მოიჯარეს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, მაგრამ განაცხადა, რომ მას არა აქვს ფულადი სახსრები და სთხოვა მოიჯარეს, რომ გაეფორმებინათ ერთწლიანი ვადით სესხის ხელშეკრულება, რომლის გასვლის შემდეგაც კისრულობდა ვალდებულებას გადაეხადა მოიჯარისათვის 2000 ლარი.

მართლზომიერია თუ არა მეიჯარის წინადადება მოიჯარის მიმართ?

კახუსი №194

ინდივიდუალურმა მეწარმე ბახტაძემ კომერციულ ბანკთან დადო სესხის ხელშეკრულება. როდესაც ბახტაძე ხელშეკრულებით დათქმულ ვადაში ბანკში გამოცხადდა სესხად აღებული ფულადი თანხის მისაღებად, მან ბანკის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ აღარ სჭირდება ამდენი თანხა და თანახმაა წაიღოს სესხის თანხის მხოლოდ ნახევარი. ბანკმა ამაზე უარით უპასუხა და შესთავაზა მსესხებელს ხელშეკრულებით განსაზღვრული მთლიანი ფულადი თანხის წაღება.

ვინ არის მართალი ამ შემთხვევაში – კომერციული ბანკი თუ მსესხებელი?

კახუსი №195

ირაკლი კილურაძემ ექვსი თვის ვადით საფინანსო კომპანიას, რომელიც აფინანსებდა სავაჭრო გარიგებებს, სესხად მისცა 20000 ლარი ყოველთვიურად ხუთი პროცენტის დარიცხვით. სამი თვის შემდეგ ირაკლიმ გადაწყვიტა შეემოწმებინა, თუ როგორ იყენებდა საფინანსო კომპანია მის მიერ სესხად მიცემულ თანხას, მაგრამ მსესხებელმა უარი განუცხადა რაიმე ინფორმაციის გაცემაზე იმ მოტივით, რომ იგი კონფიდენციალური ხასიათის იყო და საფინანსო კომპანიის კომერციულ საქმიანობას უკავშირდებოდა.

ირაკლი კილურაძემ მსესხებელს მიმართა მოთხოვნით სესხად აღებული ფულადი თანხის ვადამდე უკან დაბრუნების შესახებ, რაზედაც მსესხებელმა უარი განაცხადა.

როგორ გადავწყვიტოთ დავა?

ა. ნემსაძემ ო. ჩუბინიძესთან დადო სესხის ხელშეკრულება. ხელშეკრულების მიხედვით ჩუბინიძე ნემსაძეს ერთი წლის ვადით უპროცენტო სესხის სახით გადასცემდა 1000 ლარს, ხოლო მსესხებელი კი ვალდებულებას კისრულობდა ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ უკან დაებრუნებინა გამსესხებლისათვის სესხად აღებული ფულადი თანხა. სესხის ხელშეკრულება დადებულ იქნა ზეპირი ფორმით სამი მოწმის თანდასწრებით.

ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ მსესხებელმა თანხა უკან არ დააბრუნა, ხოლო გამსესხებლის მოთხოვნაზე სესხის დაბრუნების შესახებ უარი განაცხადა იმ მოტივით, რომ მას არავითარი ხელშეკრულება არ დაუდვია და მისთვის გაუგებარია, თუ რა თანხის დაბრუნებას სთხოვენ. გამსესხებელმა სარჩელით მიმართა სასამართლოს მსესხებლისაგან სესხად მიცემული 1000 ლარის დაბრუნების შესახებ და თან მიუთითა, რომ სესხის ხელშეკრულების დადების ფაქტს წერილობითი ფორმით ადასტურებდა სამი სრულწლოვანი მოწმე. სასამართლომ დააკმაყოფილა გამსესხებლის სასარჩელო მოთხოვნა.

სწორი გადაწყვეტილება მიიღო თუ არა სასამართლომ? პასუხი დაასაბუთოთ.

ნათელა კობალაძემ სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა თავისი ძმისშვილის – გიორგისაგან 5000 ლარის დაბრუნება. სასარჩელო მოთხოვნას ნ. კობალაძე იმით ასაბუთებდა, რომ ძმისშვილს სახლის მშენებლობის დასამთავრებლად ასესხა აღნიშნული თანხა, რომელიც მსესხებელს უნდა დაებრუნებინა ორი წლის განმავლობაში. სესხის მიცემის შესახებ ხელწერილი მან მსესხებელს არ გამოართვა იმიტომ, რომ ერთმანეთთან ნათესაური კავ-

შირ-ურთიერთობა ჰქონდათ. მიუხედავად იმისა, რომ სესხის მიცემიდან გავიდა სამ წელზე მეტი, მსესხებელი მაინც არ აბრუნებდა თანხას, ამიტომაც გამსესხებელმა მიმართა საჩივრით პოლიციას, სადაც მსესხებელმა მიცემულ ახსნა-განმარტებაში აღიარა ვალის არსებობა და იკისრა მისი გადახდის ვალდებულება, თანაც გამსესხებელს გადასცა 1000 ლარი.

გიორგიმ სასამართლოს სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ არანაირი ვალი მამიდისაგან არ აულია, ხოლო პოლიციაში მიცემულ ახსნა-განმარტებაში კი მან ვალდებულება იკისრა აენაზლაურებინა მამიდისათვის ის მატერიალური დახმარება, რომელიც მან მასზე გასწია უნივერსიტეტში სწავლის განმავლობაში.

სასამართლომ იმ მოტივით, რომ მოპასუხემ უარყო სესხის აღების ფაქტი და თანაც სესხის ხელშეკრულება გაფორმებულ არ იქნა წერილობითი სახით, უარი უთხრა მოსარჩელეს თავისი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

სწორი გადაწყვეტილება მიიღო თუ არა სასამართლომ?

კ ა ზ უ ს ი №198

ა. ორაგველიძემ სარჩელით მიმართა სასამართლოს ვ.სიღამონიძის მიმართ და მოითხოვა სესხის ხელშეკრულებით აღებული ფულადი თანხის დაბრუნება. ორაგველიძემ სასამართლოს წარუდგინა სიღამონიძის მიერ გაცემული სავალო საბუთი, რომელიც გაცემული იყო 1997 წლის 30 ნოემბერს. ამ ხელშეკრულებით მსესხებელი კისრულობდა ვალდებულებას დაებრუნებინა გამსესხებლისათვის 5000 ლარი მოთხოვნისთანავე. მოსარჩელემ სასამართლოს განუმარტა, რომ მოსთხოვა მსესხებელს ვალის დაბრუნება 2000 წლის 10 აპრილს, რაზედაც მოპასუხემ უარი განაცხადა, ამიტომაც მოსარჩელე მოითხოვდა ვალის დაბრუნებას იმ კურსით, რომელიც ვალდებულების წარმოშობის დროს არსებობდა.

თავის შესაგებელში მოპასუხებ მიუთითა, რომ, მართალია, მოსარჩელისაგან ისესხა 5000 ლარი, მაგრამ მან იგი დიდი ხნის წინ – 1999 წლის 5 მაისს დააბრუნა, ხოლო გამსესხებლის მიერ გაცემული საბუთი თანხის დაბრუნების შესახებ კი, დაკარგა.

რა გადაწყვეტილებას მიიღებს სასამართლო?

კაზუსი №199

ინდივიდუალურმა მეწარმემ – ნიკოლაძემ თხოვნით მიმართა შპს „აგურს“, რომელსაც ჰქონდა აგურის დიდი პარტია, ესესხებინა მისთვის რამდენიმე თვით ოცი ათასი ცალი აგური. ხელშეკრულების პირობების მიხედვით აგურის ტრანსპორტირება უნდა მომხდარიყო მსესხებლის ხარჯზე. ხელშეკრულების დადებიდან ექვსი თვის გასვლის შემდეგ გამსესხებელმა მსესხებელს მოსთხოვა აგურის დაუყოვნებლივ უკან დაბრუნება, რაზედაც მსესხებელმა უპასუხა, რომ იგი აგურს მხოლოდ ორი თვის შემდეგ დააბრუნებდა.

გამსესხებელმა, რომელსაც თვითონ დასჭირდა აგური სამრეწველო კომპლექსის მშენებლობის დასამთავრებლად, მსესხებლისაგან უარის მიღების შემდეგ სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა გასესხებული აგურის დაუყოვნებლივ უკან დაბრუნება და ნასესხი ქონების სარგებლობისათვის კანონით დადგენილი პროცენტის გადახდა.

ინდივიდუალურმა მეწარმე ნიკოლაძემ გამსესხებლის მოთხოვნა არ ცნო შემდეგი გარემოებების გამო: ა) სესხის ხელშეკრულებაში არ იყო მითითებული სესხად აღებული ქონების უკან დაბრუნების კონკრეტული თარიღი, ამიტომაც მას უფლება აქვს თვითონ გადაწყვიტოს თუ როდის დააბრუნებს სესხად აღებულ ქონებას; ბ) სესხის ხელშეკრულება უნდა ჩაითვალოს უსასყიდლოდ, რამეთუ მასში არაფერია მითითებული პროცენტის შესახებ.

როგორ გადაწყვიტოთ დავა?

შპს „მშენებელსა“ და კომერციულ ბანკს შორის დადებული სესხის ხელშეკრულებით, კომერციული ბანკი „მშენებელს“ 12 თვის ვადით სესხად გადასცემდა 50000 ლარს სახლის მშენებლობისათვის. ხელშეკრულების მიხედვით მსესხებელს უნდა გადაეხადა პროცენტი ყოველთვიურად, თუმცა კი მსესხებელმა თანხის უქონლობის მოტივით ვერ შეძლო პირველი ორი თვეს პროცენტის გადახდა. გამსესხებელმა მსესხებელი გააფრთხილა, რომ მესამე თვეს გადაეხადა სამი თვის პროცენტი, რაზედაც მსესხებელმა თანხმობა განაცხადა.

მსესხებელმა ვერც სამი თვის შემდეგ შეძლო პროცენტის გადახდა. გამსესხებელმა სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა მსესხებლისაგან ნასესხი თანხის ვადამდე დაბრუნება, თორმეტი თვის პროცენტის ერთდროულად გადახდა და მიყენებული ზიანის ანაზღაურება მიუღებელი შემოსავლისათვის.

რა გადაწყვეტილებას მიიღებს სასამართლო?

ო. მიქაძემ დ. მაჭავარიანისაგან სამი წლის ვადით აიღო პროცენტიანი სესხი კომბაინის შესაძენად. ხელშეკრულების დადებიდან ერთი წლის გასვლის შემდეგ, მსესხებელი მოულოდნელად გარდაიცვალა უბედური შემთხვევის შედეგად. გამსესხებელმა მიმართა მსესხებლის მემკვიდრეებს გარდაცვლილი მამკვიდრებლის მიერ სესხად აღებული თანხის ვადამდე უკან დაბრუნების მოთხოვნით. მსესხებლის მემკვიდრეებმა უარი განაცხადეს გამსესხებლის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე იმ მოტივით, რომ სესხის უკან დაბრუნების ვადა ჯერ არ იყო დამდგარი.

როგორ გადაეწყვიტოს დავა?

კავსნი №202

ინდივიდუალურმა მეწარმე ნიკოლაძემ შპს „რკინიგზასთან“ დადო გადაზიდვის ხელშეკრულება. ხელშეკრულების მიხედვით „რკინიგზას“ უნდა გადაეზიდა ლაგოდეხიდან ფოთში გამგზავნის მიერ გადასაზიდად ჩაბარებული ოცი ტონა პომიდორი. გადამზიდველმა ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადას სამი დღით გადააცილა, რამაც გამოიწვია პომიდორის გადამწიფება და ლპობა, რის გამოც გამგზავნმა ზიანი განიცადა. გამგზავნმა სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა გადამზიდველისაგან მიტანის ვადის გადაცილებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება. გადამზიდველმა უარი განაცხადა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე იმ მოტივით, რომ მიტანის ვადის გადაცილება გამოიწვია მეწყერის ჩამოწოლამ და 500 მეტრი რკინიგზის ლიანდაგის დაზიანებამ.

რა გადაწყვეტილებას მიიღებს სასამართლო?

კავსნი №203

დ. ხიჯაკაძემ აეროპორტის სალაროში უკან ჩააბარა ნაყიდი ბილეთი, რადგან თვითმფრინავმა, რომელიც მიფრინავდა თბილისი-მოსკოვის მიმართულებით, გაფრენა დააგვიანა რვა საათით და ამიტომაც იგი მოსკოვში ვეღარ ასწრებდა გადაჯდომას ჩიკაგოს რეისზე, სადაც მას უკვე წინასწარ ჰქონდა დაჯავშნული ბილეთი. ამასთან, დ. ხიჯაკაძემ მოითხოვა არა მარტო ბილეთის ღირებულების ანაზღაურება, არამედ ასევე იმ ჯარიმის ანაზღაურება, რომელიც მას უნდა გადაეხადა შეკვეთილი ბილეთის გაუქმებისათვის. აეროპორტის ადმინისტრაციამ უარი განაცხადა დ. ხიჯაკაძის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე იმ მოტივით, რომ თვითმფრინავის გაფრენა შეაგვიანა, საწვავის ჩამსხმელი მუშების გაფიცვამ და ამიტომაც ადმინისტრაციას არავითარი ბრალი არ მიუძღვის.

ექვემდებარება თუ არა დ. ზიჯაკაძის მოთხოვნა დაკმაყოფილებას?

შეიცვლება თუ არა ამოცანის პასუხი იმ შემთხვევაში, თუკი გაფრენა შეგვიანდებოდა თვითმფრინავის ტექნიკური გაუმართაობის გამო?

კაზუსი №204

სატრანსპორტო ექსპედიციის ხელშეკრულებით, რომელიც დადებული იქნა ინდივიდუალურ მეწარმე ხვედელიძესთან, ექსპედიტორი ვალდებულია კისრულობდა გადაეტანა რკინიგზით შემკვეთის მიერ გადასაზიდად ჩაბარებული ტვირთი 1999 წლის 10 მაისიდან 20 მაისის ჩათვლით. ხელშეკრულებაში მითითებულ იქნა გადასაზიდა თანხა დამტკიცებული ტარიფების შესაბამისად. ხვედელიძემ ექსპედიტორს შეთანხმებული საზღაური გადაუხადა წინასწარ. გადაზიდვის ხელშეკრულების გაფორმებისას 1999 წლის 11 მაისს გამოირკვა, რომ ტვირთის გადაზიდვის ფასი ამ დღიდან გაიზარდა 25%-ით. ექსპედიტორმა ამის შესახებ არაფერი შეატყობინა გამგზავნს და თვითონ გადაიხადა საკუთარი სახსრებიდან 25% სხვაობა გადაზიდვის ფასს შორის. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შემდეგ ექსპედიტორმა ხვედელიძისაგან მოითხოვა მის ნაცვლად გადახდილი გადასახადი თანხის დაბრუნება, მაგრამ ხვედელიძემ უარი განაცხადა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე იმ მოტივით, რომ მან წინასწარ გადაიხადა შეთანხმებული გადაზიდვის თანხა, ამიტომაც იგი ვალდებული არ იყო აენაზღაურებინა ექსპედიტორის მიერ გადახდილი თანხა, რამეთუ ექსპედიტორს წინასწარ უნდა შეეტყობინებინა მისთვის გადაზიდვის საზღაურის გაზრდის შესახებ.

როგორ გადავწყვიტოთ დავა?

ი. კილურაძემ ინდივიდუალურ მეწარმე ხარაბაძესთან დადო ექსპედიციის ხელშეკრულება, რის მიხედვითაც ექსპედიტორი ვალდებულიებას კისრულობდა გადაეზიდა რკინიგზით კილურაძის მიერ გადაცემული 200 ყუთი კონიაკი თბილისიდან პრალაში. ექსპედიტორის მოვალეობებში შედიოდა: შემკვეთისაგან ტვირთის მიღება, ავტომანქანებში ჩატვირთვა-გადმოტვირთვა და ასევე ჩატვირთვა სარკინიგზო შემადგენლობის ვაგონებში, საბაჟო დოკუმენტაციის გაფორმება, დანიშნულების ადგილას ტვირთის ჩატანისას მისი გადმოტვირთვა ვაგონებიდან და მიმღებისათვის გადაცემა, ყველანაირი გადასახადების გადახდა და ტვირთის უსაფრთხოების უზრუნველყოფა. საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე საბაჟო შემოწმებისას მებაჟემ ერთ-ერთ ყუთში კონიაკის ნაცვლად აღმოაჩინა ანტიკვარული ძვირფასი ნივთები. ამ ფაქტთან დაკავშირებით კონიაკის მთელი პარტია დაკავებულ და გადაცემულ იქნა შესანახად საბაჟოს ტერმინალში საქმის გარემოებების გარკვევამდე.

ექსპედიტორმა სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა ი. კილურაძისაგან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა მომსახურებისათვის გაწეული ხარჯებისა და შეპირებული გასამრჯელოს სრული ოდენობით ანაზღაურება. კილურაძე სასამართლოში ვერ გამოცხადდა იმასთან დაკავშირებით, რომ იგი დაკავებული იყო და ძვირფასეულობის კონტრაბანდის ბრალდებით წინასწარ პატიმრობაში იმყოფებოდა. მისმა წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ი. კილურაძე თანახმაა, ექსპედიციას აუნაზღაუროს მხოლოდ იმ მომსახურების ხარჯები, რომელიც მან გასწია საქართველოს ტერიტორიაზე.

რა გადაწყვეტილებას მიიღებს სასამართლო?

შპს „სურსათმა“ ავიაკომპანია „ავიახაზებს“ შესთავაზა დაედოთ სასოფლო-სამეურნეო წარმოების პროდუქტების გადაზიდვის ხელშეკრულება. ოფერენტმა საჭიროდ ჩათვალა, რომ ხელშეკრულების პროექტში აღნიშნულიყო შემდეგი ძირითადი პირობები: გადასაზიდი ტვირთის ზუსტი რაოდენობა, გადაზიდვის ვადა, ხელშეკრულების თითოეული მხარის პასუხისმგებლობა შეთანხმებული პირობების დარღვევისათვის. გარდა ამისა, შპს „სურსათი“ დაჟინებით მოითხოვდა, რომ ხელშეკრულების ტექსტში შეტანილიყო მთელი რიგი დამატებითი პირობები: მის მიერ ჩაბარებულ პროდუქციას უპირატესობა უნდა ჰქონდეს სხვების მიერ ჩაბარებულ საქონელთან, გადაზიდვა უნდა განხორციელდეს სხვა თვითმფრინავში გადატვირთვის გარეშე პირდაპირი რეისით და ტვირთს თან უნდა ახლდეს ოფერენტის წარმომადგენელი, გარდა ამისა, გადამზიდველი ვალდებული იყო ტვირთი მიეღო გამგზავნის საწყობში, თვითონ მიეტანა აეროპორტში და ჩაეტვირთა თვითმფრინავში.

ავიაკომპანია დასთანხმდა ოფერენტს, რომ ხელშეკრულებაში შეეტანათ ძირითადი პირობები, ხოლო დამატებითი პირობების შეტანაზე კი უარი განაცხადა იმ მოტივით, რომ ისინი მოქმედ კანონმდებლობას ეწინააღმდეგებოდა. გადამზიდველი დაჟინებით მოითხოვდა ასევე, ხელშეკრულების ტექსტში დაფიქსირებულიყო, რომ ტვირთის ყოველი გადაზიდვა გაფორმდებოდა ცალკე ზედნადებით და თუკი შეუძლებელი იქნებოდა მთელი ტვირთის გადაზიდვა ერთი თვითმფრინავით, მაშინ ტვირთი გადაიგზავნებოდა ნაწილ-ნაწილ და თითოეულ ნაწილზე შედგებოდა ცალკე ზედნადები. შპს „სურსათმა“ უარი განაცხადა ხელშეკრულების ტექსტში ამ პირობების შეტანაზე.

ჩაითვლება თუ არა შპს „სურსათსა“ და ავიაკომპანია „ავიახაზებს“ შორის გადაზიდვის ხელშეკრულება დადებულიად?

ინდივიდუალურმა მეწარმე რაზმაძემ ავიაკომპანია „ავიანაზებთან“ ტვირთის საჰაერო გადაზიდვის ხელშეკრულების დადებისას მოითხოვა, რომ ხელშეკრულების ტექსტში შეტანილიყო პირობა იმის შესახებ, რომ გადამზიდველი პასუხს აგებდა გადასაზიდი ტვირთის დაკარგვის, დანაკლისის ან დაზიანებისათვის გადასაზიდი ტვირთის ღირებულების ფარგლებში. ავიაკომპანია პრინციპში დასთანხმდა გადამზიდველის პასუხისმგებლობის შესახებ პირობას, მაგრამ განაცხადა, რომ ხელშეკრულებაში ამ პირობის შეტანა არ იყო მიზანშეწონილი, რამეთუ ასეთი პირობა მოცემულია საჰაერო კოდექსში. გამგზავნი მაინც დაჟინებით მოითხოვდა, რომ პასუხისმგებლობის შესახებ პირობა აუცილებლად მითითებულიყო ხელშეკრულებაში, რამეთუ, მისი აზრით, ნებისმიერი პირობა, რომელზეც თუნდაც ერთი მხარის მოთხოვნით მიიღწევა შეთანხმება, არსებით პირობად ითვლება და ამიტომაც იგი უნდა შეტანილიყო ხელშეკრულებაში.

მართლზომიერია თუ არა გამგზავნის მოთხოვნა?

გამგზავნის მიერ გადაზიდვის ხელშეკრულების საფუძველზე გადამზიდველისთვის გადასაზიდად ჩაბარებულ იქნა ოცი ტონა ტვირთი. გადაზიდვაში მონაწილეობას იღებდა ორი გადამზიდველი ერთი სატრანსპორტო ლოკუმენტის საფუძველზე. როდესაც პირველმა გადამზიდველმა ტვირთი მიიტანა შეთანხმებულ ადგილას და გადასცა მეორე გადამზიდველს, ამ უკანასკნელმა მოითხოვა მასთან ცალკე დამოუკიდებელი ხელშეკრულების დადება, რამეთუ დადგენილ იქნა გადასაზიდი ტვირთის დანაკლისი ორი ტონის მოცულობით ზედნადებში აღნიშნულ რაოდენობასთან შედარებით. პირველმა გადამზიდველმა განაცხადა, რომ არა აქვს ასეთი სახის ხელშეკრულების

დადების უფლება, რამეთუ თვითონაც გამოდის გადაზიდველის როლში, რაც შეეხება დანაკლისს, მის შესახებ კი უნდა შედგეს კომერციული აქტი. მეორე გადაზიდველმა მოითხოვა გამგზავნის მისვლა და ახალი ხელშეკრულების დადება, რაზედაც გამგზავნმა ტელეფონით საუბრისას განაცხადა, რომ მან უკვე დალო გადაზიდვის ხელშეკრულება რამდენიმე გადაზიდველთან და ამიტომაც იგი აღარ მიიჩნევს საჭიროდ მეორე გადაზიდველთან ახალი ხელშეკრულების დადებას, ხოლო გადაზიდველთა შორის წამოჭრილი დავა კი უნდა გადაწყდეს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

როგორ გადავწყვიტოთ დავა?

კ ა ზ უ ს ნ ი № 209

შპს „რკინიგზა“ სარკინიგზო გადაზიდვის ხელშეკრულებით ახორციელებდა ოზურგეთიდან თბილისში დაფასოებული ჩაის გადაზიდვას. 1999 წლის 20 მაისს მიმღების სახელზე თბილისში ჩამოტანილ იქნა თხუთმეტი ტონა ჩაი. გადაზიდვის ხელშეკრულების შინაარსის თანახმად, გადაზიდველმა მიმღებს ტვირთის ჩამოტანის შესახებ აცნობა მეორე დღეს. შეტყობინება გადაცემულ იქნა ტელეფონით მიმღებისათვის. ხელშეკრულების მიხედვით ტვირთი მიმღებს უნდა დაეცალა მიტანიდან ხუთი დღის ვადაში. თუმცა მიმღებმა ხუთი დღის ვადაში არაფერი მოიმოქმედა ტვირთის გადმოსატვირთად ვაგონებიდან, ჩაი კი გაიტანა რკინიგზის სადგურიდან შეტყობინებიდან მეცხრე დღეს. ამასთან დაკავშირებით, რკინიგზის სადგურზე შეიქმნა სიძნელები სხვა ტვირვების გადმოტვირთვისას, რამეთუ რკინიგზის ლიანდაგზე ჩაით დატვირთული ვაგონების გაჩერების გამო, რკინიგზის სადგურის ადმინისტრაციამ ვერ შეძლო სხვა სარკინიგზო შემადგენლობების დროული მიღება და გადმოტვირთვა.

ამასთან დაკავშირებით, გადაზიდველმა გამგზავნს მოსთხოვა ტვირთის შენახვის ხარჯების სამმაგად ანაზღაურება და ვაგონების

მოცდენისათვის საურავის გადახდა ყოველ გადაცილებულ დღეზე, ხელშეკრულების ფასის სამი პროცენტის ოდენობით. გამგზავნმა უარი განაცხადა გადამზიდველის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე იმ მოტივით, რომ პასუხისმგებლობა ეკისრება არა მას, არამედ მიმღებს.

მიმღებმა თავის მხრივ განაცხადა, რომ იგი თანახმაა აანაზღაუროს მხოლოდ ტვირთის შენახვის ხარჯები, მაგრამ არ არის ვალდებული საურავი გადაიხადოს, რამეთუ ხელშეკრულებაში არაფერი იყო მითითებული საურავის შესახებ.

როგორ გადავწყვიტოთ დავა?

კასუსი №210

მალაზია „პროდუქტმა“ სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა გამგზავნისა და გადამზიდველისაგან ათი ათასი ლარის ოდენობით იმ ზიანის ანაზღაურება, რომელიც მან განიცადა მიტანის ვადის გადაცილების შედეგად გადასაზიდი ათი ტონა ყურძნის გაფუჭების გამო. გადამზიდველმა სარჩელი არ ცნო იმ მოტივით, რომ ტვირთი მიტანილ იქნა დადგენილ ვადაში, რაც შეეხება გამგზავნს, მანაც უარი განაცხადა იმ მოტივით, რომ ყურძნის გაფუჭებაში ბრალი გადამზიდველს მიუძღოდა. საქმის გარემოებების განხილვისას დადგინდა, რომ გამგზავნმა გადასაზიდად ჩააბარა დაზიანებული და ლპობის პირას მისული ყურძენი, ხოლო გადამზიდველმა კი გადასაზიდად გამოიყენა ღია და გადაუხურავი სატრანსპორტო საშუალება, რომელმაც ხელი შეუწყო გადასაზიდი ტვირთის კიდევ უფრო გაფუჭებას. სასამართლომ დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა და გადამზიდველსა და გამგზავნს დააკისრა წილობრივი პასუხისმგებლობა თითოეულს 5000-5000 ლარის ოდენობით.

სწორი გადაწყვეტილება მიიღო თუ არა სასამართლომ?

სატრანსპორტო გაერთიანებასა და ინდივიდუალურ მეწარმე ნოზაძეს შორის დაიდო ტვირთის გადაზიდვის ხელშეკრულება. ხელშეკრულების მიხედვით ნოზაძე გადამზიდველს გადასაზიდად გადასცემდა ათი ათას ცალ აგურს. ხელშეკრულებით დათქმულ ვადაში ტვირთი არ იქნა დანიშნულების ადგილას მიტანილი. შეთანხმებული ვადის გასვლიდან ოცდაათი დღის შემდეგ გამგზავნმა ტვირთი დაკარგულად ჩათვალა და გადამზიდველს დაკარგული ტვირთის ღირებულების სრული ოდენობით ანაზღაურება მოსთხოვა. გადამზიდველმა უარი განაცხადა გამგზავნის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე იმ მოტივით, რომ ტვირთი იძებნებოდა და იგი მოგვიანებით დაუბრუნდებოდა მიმღებს. თუმცა კი ტვირთი ვერ იქნა ნაპოვნი და გადამზიდველმა დააკმაყოფილა გამგზავნის მოთხოვნა მიტანის შეთანხმებული ვადის გასვლიდან ორი თვის შემდეგ. გამგზავნმა დამატებით მოითხოვა იმ ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა გადასაზიდად ჩაბარებული ტვირთის დაკარგვით.

როგორ გადაწყვიტოთ დავა?

დალი ხვედელიძემ სამკერვალო ატელიეს შეუკვეთა კაბის შეკერვა ატელიეს მასალით და წინასწარ გადაიხადა შეკვეთილი კაბის საფასური. კაბის შეკერვის პროცესში მენარდემ შემკვეთს მოსთხოვა თანხის დამატება იმ მოტივით, რომ კაბის შესაკერი მასალის ღირებულება გაიზარდა, რამაც, შესაბამისად, გამოიწვია ხარჯების გადიდებაც. დალი ხვედელიძემ უარი განაცხადა დამატებით თანხის გადახდაზე და სარჩელით მიმართა სასამართლოს მენარდის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და მორალური ზიანის დაკისრების შესახებ.

რა გადაწყვეტილება უნდა მიიღოს სასამართლომ?

გიორგი გოგიჩაიშვილმა სამშენებლო ფირმა „მშენებელთან“ დადო საცხოვრებელი სახლის მშენებლობის ხელშეკრულება. ხელშეკრულების თანახმად სახლის მშენებლობა უნდა დამთავრებულიყო 2000 წლის ნოემბრის თვეში. აღნიშნულ ვადაში სახლის მშენებლობა ვერ დამთავრდა. გიორგიმ კიდევ ორი თვე მოიცადა და რადგან მშენებლობის დამთავრებას საშუელი არ დაადგა, ახალი ხელშეკრულება დაიდო სხვა სამშენებლო ორგანიზაციასთან სახლის მშენებლობის დამთავრების შესახებ. იმავდროულად გიორგიმ მიმართა სასამართლოს სარჩელით და მოითხოვა ფირმა „მშენებლისაგან“ ხელშეკრულებით განსაზღვრული მშენებლობის დამთავრების ვადის გადაცილებისთვის ყოველ გადაცილებულ დღეზე პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულების ფასის 0,5%-ის ოდენობით, ასევე მიყენებული მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურება.

სასამართლოში საქმის განხილვისას ფირმა „მშენებლის“ წარმომადგენელი არ დაეთანხმა შემკვეთის მოთხოვნას შემდეგი გარემოებების გამო: ა) მშენებლობის დამთავრების შეფერხება გამოიწვია იმან, რომ ფირმა „მშენებელს“ მისმა კონტრაგენტებმა ღროულად ვერ მიაწოდეს სამშენებლო მასალები; ბ) ხელშეკრულებაში მითითებული არ იყო სამუშაოთა დამთავრების კონკრეტული თარიღი; გ) ხელშეკრულებაში არაფერი იყო ნათქვამი შეთანხმებულ ვადაში მშენებლობის დაუმთავრებლობის შემთხვევაში პირგასამტეხლოს გადახდის შესახებ; დ) მორალური ზიანის ანაზღაურება კი ხდება მხოლოდ პირადი არაქონებრივი ხასიათის უფლებების დარღვევისთვის, ხოლო ხელშეკრულება კი ამ შემთხვევაში ატარებს ქონებრივ ხასიათს.

რა გადაწყვეტილება უნდა მიიღოს სასამართლომ?

ნარდობის ხელშეკრულებით ლეონიძეს რუხადისათვის უნდა აეშენებინა აგარაკი. ლეონიძემ ააშენა აგარაკი და გადასცა რუხადეს 2000 წლის 5 აგვისტოს. რუხადემ აღმოაჩინა, რომ შესრულებულ სამუშაოს გააჩნდა ნაკლი, რამეთუ ჭერის სიმაღლე არ შეესაბამებოდა დამტკიცებულ პროექტს. მან პრეტენზია განუცხადა ლეონიძეს 2000 წლის 10 ოქტომბერს და მოსთხოვა ნაკლის გამოსწორება დამატებითი შესრულების სახით. ლეონიძემ რუხადის ამ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარი განაცხადა იმ მოტივით, რომ შემკვეთმა გაუშვა მენარდისათვის პრეტენზიის წაყენების ვადა. რუხადემ მიმართა სარჩელით სასამართლოს და მოითხოვა ლეონიძისაგან შესრულებული სამუშაოს ნაკლის გამოსწორება, ასევე მიყენებული მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურება.

როგორ გადაწყვეტილებას მიიღებს სასამართლო?

გიორგი ლომიძემ სამშენებლო ორგანიზაციის მუშაკებთან – ყიფიანთან, ძნელაძესთან და გიორგაძესთან დადო ხელშეკრულება, რომლებსაც მხარეებმა შრომის ხელშეკრულება უწოდეს. დადებული ხელშეკრულების მიხედვით, აღნიშნულ მუშებს გიორგი ლომიძის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთზე უნდა აეშენებინათ საცხოვრებელი სახლი როგორც ლომიძის სამშენებლო მასალით, ისე ნაწილობრივ თავიანთი ხის მასალით. თუ ვის რა და რა რაოდენობის მასალა უნდა მიეწოდებინა, გათვალისწინებულ იქნა ხელშეკრულებით. სახლის მშენებლობის დამთავრების ვადად განისაზღვრა 20 ივნისი. 18 ივნისისათვის სამუშაო თითქმის მთლიანად იყო შესრულებული, დარჩა მხოლოდ უმნიშვნელო სახის შიდა კოსმეტიკური სამუშაო, მაგრამ იმ ღამით მოვიდა კოკისპირული წვიმა, რასაც თან მოჰყვა

მეხის ჩამოვარდნა, გაჩენილმა ხანძარმა კი მნიშვნელოვნად დააზიანა თითქმის უკვე აშენებული სახლი, რომელიც თავიდან გახდა ასაშენებელი, რამეთუ სახლისაგან დარჩა მხოლოდ საძირკველი და კედლები. მუშებმა გიორგი ლომიძისაგან მოითხოვეს შეპირებული გასამრჯელოსა და დაღუპული ხის მასალის ღირებულების ანაზღაურება იმ მოტივით, რომ დაღებულნი ხელშეკრულება არის არა შრომის, არამედ ნარდობის ხელშეკრულება, ლომიძემ უარი განაცხადა როგორც გასამრჯელოს გადახდაზე, რამეთუ სამუშაოს შედეგი მის მიერ მიღებულ არ იქნა, ასევე ხის მასალის ღირებულების ანაზღაურებაზე, რადგან იგი დაიღუპა მისი ბრალის გარეშე და, შესაბამისად, მასალის დაღუპვის რისკი მასალის მიმცემ მხარეს უნდა დაჰკისრებოდა.

ყიფიანმა, ძნელაძემ და გიორგაძემ სარჩელით მიმართეს სასამართლოს და მოითხოვეს ლომიძისაგან მიყენებული მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურება.

რა გადაწყვეტილებას მიიღებს სასამართლო?

კ ა ზ უ ს ს ი №216

დათო მაჭავარიანმა სამშენებლო ორგანიზაციასთან დადო საცხოვრებელი სახლის აშენების ხელშეკრულება. ხელშეკრულების მიხედვით სახლი უნდა აშენებულიყო მდინარის ნაპირას. სამუშაო უნდა შესრულებულიყო მენარდის მასალით, ხოლო შემკვეთი კი კისრულობდა ვალდებულებას სამუშაოს შედეგის ჩაბარებისთანავე აენაზღაურებინა მასალის ღირებულება და გაწეული ხარჯები მენარდისათვის. თებერვლის თვეში მენარდემ მშენებლობის ადგილას მიიტანა სამშენებლო მასალები, მათ შორის 10 ტონა ცემენტიც, მაგრამ გაზაფხულზე ხშირმა კოკისპირულმა წვიმებმა გამოიწვიეს მდინარის ადიდება, იგი გადმოვიდა კალაპოტიდან და მთელი სამშენებლო

მასალა დატბორა, რამაც უვარგისი გახადა ცემენტი თავისი დანიშნულებით გამოსაყენებლად. მენარდემ მოსთხოვა შემკვეთს გაფუჭებული ცემენტის ღირებულების ანაზღაურება იმ მოტივით, რომ შემკვეთმა სახლის მშენებლობა შეუკვეთა მდინარის ნაპირთან ახლოს, მაშინ, როდესაც სახლი უნდა აშენებულიყო უფრო მოშორებით. შემკვეთმა უარი განაცხადა მენარდის ამ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე იმ მოტივით, რომ მენარდეს შეეძლო ცემენტი შეენახა სამშენებლო მიწის ნაკვეთის მეორე მხარეს, რომელიც უფრო მოშორებული იყო მდინარისაგან.

ექვემდებარება თუ არა მენარდის მოთხოვნა დაკმაყოფილებას?

კ ა ზ უ ს ი №217

ფერმერულმა მეურნეობამ ხორცის გადამამუშავებელ კომბინატთან დადო ნარდობის ხელშეკრულება. ხელშეკრულების მიხედვით ფერმერული მეურნეობა გადასცემდა ხორცის კომბინატს ოცდაათ მსხვილფეხა რქოსან პირუტყვს დასაკლავად და მათი ხორცისაგან ქილებში კონსერვის დასამზადებლად. თავისი ვალდებულების შესასრულებლად ხორცის კომბინატმა დახმარება სთხოვა საკონსერვო ქარხანას. დამზადებული მოთუშული ხორცის კონსერვის მიღებისას, შემკვეთმა გახსნა ერთ-ერთი მათგანი და აღმოაჩინა, რომ მასში მოთავსებული ხორცი საკვებად უვარგისი იყო. საკონსერვო ქარხანამ აღიარა, რომ ერთ-ერთი მაცივარი გაუფუჭდა და ამან გამოიწვია დამზადებული ხორცის კონსერვის უმნიშვნელო ნაწილის გაფუჭება, ხოლო სხვა მაცივარში მოთავსებული კონსერვის ზარისხი შეესაბამებოდა დადგენილ სტანდარტებს. ფერმერული მეურნეობის წარმომადგენლობამ საერთოდ უარი განაცხადა დამზადებული კონსერვის ქილების მიღებაზე და სარჩელით მიმართა სასამართლოს ხორცის კომბინატის მიმართ და მოითხოვა მისგან ოცდაათი

მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ღირებულებისა და ნარდობის ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

ვის მიმართ უნდა შეიტანოს შემკვეთმა სარჩელი – ხორცის კომბინატის ანუ გენერალური მენარდისა თუ საკონსერვო ქარხნის ანუ ქვემენარდის მიმართ?

რა გადაწყვეტილებას მიიღებს სასამართლო?

კ ა ზ უ ს ი № 218

საავადმყოფომ სამკერვალო ფაბრიკასთან დადო ნარდობის ხელშეკრულება 1000 ცალი ზეწრის შეკერვის შესახებ. ხელშეკრულების მიხედვით, ზეწარი უნდა ყოფილიყო 150 x 200 სმ-ზე და უნდა შეკერილიყო მენარდის მასალით. შემკვეთმა წინასწარ გადაიხადა სამუშაოს ღირებულება. სამკერვალო ფაბრიკამ ზეწრები, მართალია, შეკერა ხელშეკრულებით დათქმულ ვადაში, მაგრამ 140 x 190 სმ-ზე, ხოლო ეკონომიის შედეგად დაზოგილი ფულადი თანხა კი დაურიგა თავის მუშებს პრემიის სახით. საავადმყოფომ სამკერვალო ფაბრიკას მოსთხოვა დაზოგილი თანხის უკან დაბრუნება ანდა იმ ზომის ახალი ზეწრების შეკერვა, როგორც ეს ნარდობის ხელშეკრულებაში იყო მითითებული.

ექვემდებარება თუ არა დაკმაყოფილებას შემკვეთის მოთხოვნები?

გიორგი შელიამ დავით მაჭავარიანთან დადო ნარდობის ხელშეკრულება. ხელშეკრულების მიხედვით დავითს გიორგისთვის უნდა აეშენებინა საკუჭნაო და შეეღება ეზოს მესერი გიორგის სამშენებლო მასალით. მენარდემ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს დასრულების შემდეგ დარჩენილი სამშენებლო მასალები გაყიდა და მიღებული თანხით შეიძინა ალკოჰოლური სასმელი. ყველაფერი ეს მოხდა გიორგი შელიას მეზობლების თანდასწრებით, რომლებმაც დაუყოვნებლივ შეატყობინეს გიორგის მომხდარის შესახებ. გიორგიმ ამ ამბის შეტყობისთანავე შეუმცირა მენარდეს გასამრჯელოს ოდენობა იმ თანხის ოდენობით, რომელიც მენარდემ მიიღო სამშენებლო მასალის უნებართვოდ გაყიდვის შედეგად და დაემუქრა მენარდეს, რომ თუკი იგი რაიმე პრეტენზიას განაცხადებდა, მაშინ გიორგი მიმართავდა სამართალდამცავ ორგანოებს მენარდის მიერ სამშენებლო მასალების ქურდობის შესახებ.

მართლზომიერია თუ არა გიორგი შელიას მოქმედებები? როგორ უნდა მოქცეულიყო მენარდე იმ შემთხვევაში, როდესაც მას დარჩა შექვეთისაგან მიწოდებული სამშენებლო მასალა?

ნარდობის ხელშეკრულებით ლიანა გაბელიამ სამკერვალო ატელიეში შეიკერა კაბა თავისი მასალით. შეკვეთილი სამუშაოს მიღებიდან ექვსი თვის შემდეგ კაბა გაირღვა და გამოუსადეგარი გახდა ჩასაცმელად. ლიანამ მიმართა სამკერვალო ატელიეს და მოითხოვა მისგან კაბის ხელახლა შეკერვა გამძლე და არა ისეთი უხარისხო ძაფით, რომლითაც კაბა იქნა შეკერილი. სამკერვალო ატელიემ უარი განაცხადა სამუშაოს უსასყიდლოდ შესრულებაზე.

აქვთ თუ არა უფლება ლიანა გაბელიას მოითხოვოს შესრულე-

ბული სამუშაოს შედეგად აღმოჩენილი ნაკლის უსასყიდლოდ გამოსწორება?

კ ა ზ უ ს ს ი № 221

პირველი ჯგუფის ინვალიდმა ო. მოსიძემ ნარდობის ხელშეკრულება დადო ფერმერ დ. კილურაძესთან. ხელშეკრულების მიხედვით დ. კილურაძე კისრულობდა ვალდებულებას, რომ წინასწარ შეთანხმებული ფასის მიხედვით, მოუხნავდა და დაუთესავდა ო. მოსიძეს ერთ ჰექტარ მიწის ნაკვეთს 2000 წლის 5 აპრილიდან 10 აპრილამდე ვადაში. დ. კილურაძემ შეთანხმებულ ვადაში ვერ შეძლო თავისი ვალდებულების შესრულება იმ მიზეზით, რომ მწყობრიდან გამოვიდა სახნავი ტრაქტორი. ო. მოსიძე იძულებული შეიქნა დაედო ახალი ხელშეკრულება ი. მესხთან, რომელმაც ისარგებლა რა მოსიძეს გამოუვალი მდგომარეობით, ორჯერ უფრო მეტი გასამრჯელო მოსთხოვა შესასრულებელი სამუშაოსთვის, ვიდრე მოსიძეს კილურაძისთვის უნდა გადაეხადა. მესხმა დათქმულ ვადაში ჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო.

ო. მოსიძემ მიმართა სარჩელით სასამართლოს და მოითხოვა დ. კილურაძისაგან ფასებს შორის იმ სხვაობის ანაზღაურება, რომელიც წარმოიქმნა თავდაპირველად შეთანხმებულ გასამრჯელოსა და შემდეგ ი. მესხისათვის გადახდილ გასამრჯელოს ოდენობებს შორის იმ მოტივით, რომ დ. კილურაძემ დათქმულ ვადაში არ შეასრულა ნარდობის ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული მოვალეობა.

რა გადაწყვეტილებას მიიღებს სასამართლო?

ქაზუსი №222

ნარდობის ხელშეკრულებით ო. ცერცვაძემ სამკერვალო ატელიეს შეუკვეთა პიჯაკისა და შარვლის შეკერვა. სამუშაო უნდა შესრულებულიყო ატელიეს მასალით. სამკერვალო ატელიემ შემკვეთს პიჯაკისა და შარვლის გარდა შეუკერა ჟილეტიც და მოსთხოვა შემკვეთს ჟილეტის ღირებულების ანაზღაურებაც. ო. ცერცვაძემ თანხმობა განაცხადა გადაეხადა პიჯაკისა და შარვლის ღირებულება, ხოლო ჟილეტის ღირებულების გადახდაზე კი უარი განაცხადა იმ მოტივით, რომ მხარეთა შორის დადებულ ნარდობის ხელშეკრულებაში საერთოდ არ ყოფილა საუბარი ჟილეტის შესახებ.

როგორ გადაწყვიტოთ დავა?

ქაზუსი №223

ნათელა ჭოხონელიძემ სამკერვალო ატელიეს შეუკვეთა მის მიერ დამზადებული ესკიზის მიხედვით ქურქის შეკერვა. ხელშეკრულების მიხედვით ქურქი შეკერილი უნდა ყოფილიყო შემკვეთის მასალით 5 დღეში, რადგან შემკვეთი ხარგრძლივი სამსახურებრივი მივლინებით მიდიოდა საზღვარგარეთ, თანაც შემკვეთი შეუთანხმდა სამკერვალო ატელიეს ადმინისტრაციას, რომ გადაუხდიდა სამუშაოსთვის ორმაგ გასამრჯელოს. ქურქის შეკერვისას, მკერავმა მ. მაკარიძემ აღმოაჩინა, რომ შემკვეთის მიერ გადაცემულ შესაკერ მასალას ჰქონდა ლაქა, რომელიც ვერაფრით ვერ მოაშორა, ხოლო თუკი ქურქი შეკერილი იქნებოდა იმგვარად, როგორც შეკვეთილი იყო, იგი იქნებოდა ნაკლის მქონე, რამეთუ ზურგის მხარეს დაემჩნეოდა ლაქა. მ. მაკარიძე ვერანაირად ვერ დაუკავშირდა ნათელა ჭოხონელიძეს, რომ შეეტყობინებინა აღმოჩენილი ლაქის შესახებ და თანაც, რადგან შეკვეთის შესრულების ვადაც იწურებოდა, ამიტომაც მკერავმა შეკერა სხვა ფორმის ქურქი, რომელსაც, მართა-

ლია, ლაქა არ ემჩნეოდა, მაგრამ არსებითად განსხვავდებოდა შეკვეთილი ქურქისაგან.

ხელშეკრულებით დათქმულ ვადაში შემკვეთი მივიდა ნამუშევრის წამოსაღებად, მაგრამ, როდესაც მას შეკვეთილის ნაცვლად სულ სხვა ფასონის ქურქი გადასცეს, შემკვეთმა უარი განაცხადა მის მიღებაზე და ყურად არ იღო სამკერვალო ატელიეს წარმომადგენლის მოსაზრებები, თუ რატომ შეკერეს სხვა ფასონის ქურქი. შემკვეთმა სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა სამკერვალო ატელიესაგან მიყენებული მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურება.

რა გადაწყვეტილებას მიიღებს სასამართლო?

კაზუსი №224

ზურაბ მაჭარაძემ ავეჯის საამქროსთან დადო ნარდობის ხელშეკრულება. ხელშეკრულების მიხედვით ავეჯის საამქროს უნდა დაემზადებინა მისთვის საძინებელი ავეჯის გარნიტური მის მიერ მიტანილი ესკიზის მიხედვით. სამუშაო შესრულებული უნდა ყოფილიყო მენარდის მასალით. ხელშეკრულებით მხარეებმა განსაზღვრეს, რომ მასალა უნდა ყოფილიყო კაკლის ხის, სამუშაო უნდა შესრულებულიყო 2000 წლის 15 მაისისთვის, ამასთან, შემკვეთმა წინასწარ გადაიხადა შესრულებული სამუშაოს ღირებულების 50%. მენარდემ სამუშაო ფაქტობრივად შეასრულა 20 მაისისათვის. სამუშაოს შედეგის მიღებისას შემკვეთმა აღმოაჩინა, რომ საწოლის ერთი ფეხი სხვა ფორმის იყო, ვიდრე მეორე, ამიტომაც მოსთხოვა მენარდეს ნაკლის გამოსწორება და ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულების ვადის გადაცილებისათვის პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ გადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ფასის 3%-ის ოდენობით. ავეჯის საამქრომ შემკვეთის ამ მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე უარი განაცხადა, უფრო მეტიც, თავის

მხრივ. მოსთხოვა შემკვეთს შეთანხმებული გასამრჯელოს 50%-ით გაზრდა, იმ მოტივით, რომ ნარდობის ხელშეკრულების დადებიდან ათი დღის შემდეგ კაკლის მასალა გაძვირდა 50%-ით.

ზურაბ მაჭარაძემ სარჩელით მიმართა სასამართლოს.

რა გადასწყვეტილებას მიიღებს სასამართლო?

კაზუსი №225

ნარდობის ხელშეკრულებით გია ხერკელაძემ იკისრა ვალდებულება გაეკრა არჩილ ოქრუაშვილის აბაზანაში კაფელის ფილები. სამუშაო შესრულებულ იქნა მენარდის მასალით დათქმულ ვადაში. შემკვეთმა შესრულებული სამუშაო მოიწონა და მენარდეს გადაუხადა შეპირებული გასამრჯელო და კაფელის ფილების ღირებულება. სამუშაოს შესრულებიდან სამი დღის შემდეგ კედლიდან ჩამოვარდა ხუთი ცალი კაფელის ფილა, რომლებიც კაფელის იატაკზე დაცემისას დაიმსხვრა. ერთ-ერთი ფილა მახვილი კუთხით დაეცა აბაზანაში მობანავე არჩილს მუცელზე და მსუბუქად გაუჭრა კანი.

არჩილმა მოსთხოვა გიას უსასყიდლოდ გამოესწორებინა შესრულებული სამუშაოს ნაკლი. გია დათანხმდა, მაგრამ იმ პირობით, რომ არჩილი თვითონ იყიდოდა საკუთარი სახსრებით დამტკრეული კაფელის ფილების ნაცვლად ახალს. არჩილმა ამაზე უარი განაცხადა, ხოლო გია უარს აცხადებდა თავისი სახსრებით შეეძინა ახალი კაფელის ფილები. არჩილმა სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა მენარდისაგან გადახდილი გასამრჯელოს 50%-ის უკან დაბრუნება სამუშაოს უხარისხო შესრულებისთვის, რაც იმაში გამოიხატა, რომ მენარდემ კაფელის ფილებს დამჭერი წებო წაუსვა მხოლოდ შუაგულში და არა კუთხეებში, რამაც გამოიწვია კიდევაც ფილების ჩამოვარდნა.

ვალდებულია თუ არა არჩილი, რომ საკუთარი სახსრებით იყიდოს ახალი ფილები?

მართლზომიერია თუ არა არჩილის მოთხოვნა გადახდილი გასამრჯელოს 50%-ის უკან დაბრუნების შესახებ სამუშაოს არაჯეროვანი შესრულების გამო?

რა გადაწყვეტილებას მიიღებს სასამართლო?

კ ა ზ უ ს ნ ი № 226

დავით ლომიძემ გადაწყვიტა, რომ ჩაეტარებინა თავის საცხოვრებელ ბინაში მიმდინარე რემონტი ზაფხულში, შვებულების დროს. ამ მიზნით მან ნარდობის ხელშეკრულება დადო ირაკლი სიხარულიძესთან. ნარდობის ხელშეკრულებით მენარდე კისრულობდა შეეღება თეთრი ემალით შემკვეთის ბინაში კარ-ფანჯრები და ჭერი შემკვეთის მასალით, ხოლო შემკვეთი კი კისრულობდა ვალდებულას, გადაეხადა მენარდისათვის შეპირებული გასამრჯელო სამუშაოთა წარმოების დამთავრებისთანავე. მუშაობის პროცესში, როდესაც მენარდე ემალს ასხამდა გამხსნელ სითხეს, მას ხელიდან დაუვარდა ბოთლი, რომელშიც სითხე იყო მოთავსებული, სითხე დაიღვარა ხის იატაკზე და გამოიწვია იატაკის შეფერილობის გახუნება, ხოლო მეორე დღეს კი იატაკი ამოიყარა.

შემკვეთმა მოსთხოვა მენარდეს, რომ მას თავისი საკუთარი სახსრებით შეეძინა დაქცეულის ნაცვლად სხვა გამხსნელი სითხე, ასევე შეეკეთებინა დაზიანებული ხის იატაკი და მოეყვანა იგი პირვანდელ მდგომარეობაში. მენარდემ უარი განაცხადა და შეწყვიტა სამუშაოთა წარმოება. დავით ლომიძემ სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა ირაკლი სიხარულიძისგან სამუშაოთა არაჯეროვანი შესრულების გამო მიყენებული მატერიალური და შვებულების უსარგებლო დაკარგვის გამო მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურება.

რა გადაწყვეტილებას მიიღებს სასამართლო?

ფეხის სისხლძარღვებით დაავადებულმა ლ. ქობალაძემ ფეხსაცმლის ატელიეს შეუკვეთა სპეციალური ფეხსაცმლის შეკერვა. ნარდობის ხელშეკრულების გაფორმებისას ქობალაძემ შეარჩია ნიმუშების მიხედვით შესაბამისი ფერის ტყავის მასალა და წინასწარ გადაიხადა როგორც მასალის, ისე შესასრულებელი სამუშაოს ღირებულება. მაგრამ ატელიემ შეთანხმებულ ვადაში შეკვეთა ვერ შეასრულა იმ მიზეზით, რომ არ ჰქონდა ქობალაძის მიერ შერჩეული ფერის შესაკერი ტყავის მასალა. დამატებით შეთანხმებულ ვადაში ატელიემ ფეხსაცმელი შეკერა, მაგრამ ლ. ქობალაძემ ფეხსაცმლის ფეხზე მორგებისას აღმოაჩინა, რომ მარჯვენა ფეხსაცმლის ყელი ვიწროა და ფეხი ვერ ეტევა თავისუფლად, თანაც მისი გახდისას მას გაუფუჭდა ელვა შესაკრავი.

ლ. ქობალაძემ მოსთხოვა სამკერვალო ატელიეს ადმინისტრაციას მარჯვენა ფეხსაცმლის მეორედ შეკერვა, რათა მასში ისევე თავისუფლად ჩაედგა ფეხი, როგორც მარცხენა ფეხსაცმელში. ატელიეს ადმინისტრაცია არ დაეთანხმა ლ. ქობალაძის მოთხოვნას, შესთავაზა რა მას ახალი ფეხსაცმლის დამზადების ნაცვლად, უკვე დამზადებული მარჯვენა ფეხსაცმლისათვის ყელის გადაკეთება, რასაც არ დაეთანხმა შემკვეთი იმ მიზეზით, რომ გადაკეთება გამოიწვევდა ფეხსაცმლის ხარისხის გაუარესებას. ლ. ქობალაძემ სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა სამკერვალო ატელიესაგან გადახდილი თანხის უკან დაბრუნება და ასევე მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურება.

რა გადაწყვეტილებას მიიღებს სასამართლო?

შპს „რძის კომბინატმა“ სამშენებლო ფირმა „მშენებელთან“ 1999 წლის 10 აპრილს დადო ნარდობის ხელშეკრულება. ხელშეკრულების მიხედვით მენარდეს შემკვეთის მასალით, შეთანხმებულ საზღაურად უნდა აეშენებინა საძეხვე საამქრო და უნდა დაემონტაჟებინა ძეხვის დამუასოებელი ხაზი. სამუშაოთა დასრულების ვადად განისაზღვრა 1999 წლის 10 ოქტომბერი.

სამუშაოთა წარმოების პროცესში მენარდემ შემკვეთის მიერ გადაცემულ ტექნიკურ დოკუმენტაციაში აღმოაჩინა შეცდომები და შეიტანა მასში ცვლილებები. ამ ცვლილებებმა გამოიწვია დამატებითი სამუშაოების განხორციელების საჭიროება, რამაც განაპირობა ხელშეკრულებით გათვალისწიებული ხარჯთაღრიცხვის 20%-ით გაზრდა. მენარდემ მოსთხოვა შემკვეთს დამატებითი ხარჯების ანაზღაურება, რაზეც შემკვეთმა უარი განაცხადა. მენარდემ შეაჩერა სამუშაოთა წარმოება, სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა შემკვეთისაგან ტექნიკური დოკუმენტაციის შეცდომის შედეგად წარმოშობილი დამატებითი ხარჯების ანაზღაურება.

რა გადაწყვეტილება უნდა მიიღოს სასამართლომ?

შპს „ფრინველმა“ სამშენებლო ფირმა „მშენებელთან“ 2000 წლის 5 აპრილს დადო ნარდობის ხელშეკრულება. ხელშეკრულების მიხედვით მენარდე ვალდებულია კისრულობდა შეთანხმებულ ვადაში აეშენებინა შემკვეთისთვის ახალი საფრინველე, ხოლო შემკვეთს დროებით უნდა მიეწოდებინა მენარდისათვის სამშენებლო მასალები და აენაზღაურებინა შესრულებული სამუშაო.

სამუშაოთა მიმდინარეობის პროცესში მენარდემ აღმოაჩინა, რომ შემკვეთის მიერ მიწოდებული აგური უხარისხოა, ხოლო ცემენტი კი გამოუსადეგარი გარეთა მოსაპირკეთებელი სამუშაოებისთვის. მენარდემ დაუყოვნებლივ შეატყობინა შემკვეთს გადაცემულ სამშენებლო მასალაში გამოვლენილი ნაკლის შესახებ და მოსთხოვა მისი შეცვლა ხარისხიანი მასალით, რამეთუ ნაკლის მქონე მასალის გამოყენების შემთხვევაში, შესრულებული სამუშაო უხარისხო იქნებოდა. შემკვეთმა მენარდეს უარი განუცხადა სამშენებლო მასალის შეცვლაზე იმ მოტივით, რომ მან ძვირად შეიძინა და მისი გამოცვლის სახსრები არ გააჩნდა. მენარდემ ამის შემდეგ ცალმხრივად შეწყვიტა ხელშეკრულება და მიმართა სასამართლოს სარჩელით – შემკვეთისაგან უკვე შესრულებული სამუშაოს ნაწილის ღირებულების ანაზღაურებისა და შეთანხმებული გასამრჯელოს გადახდის შესახებ. თავის მოთხოვნას მენარდე იმით ასაბუთებდა, რომ უხარისხო მასალით აშენებული საფრინველე ვერ გაუძლებდა სულ მცირე ძალის მქონე მიწისძვრასაც კი და ამიტომ მას არ სურდა, რომ შემდგომში პასუხისმგებლობა შენობის უხარისხოდ აშენებისთვის მას დაჰკისრებოდა. თავის მხრივ, შემკვეთმა სასამართლოს სხდომაზე მენარდისაგან მოითხოვა ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

მართლზომიერია თუ არა მენარდის მოთხოვნა?
 მართლზომიერია თუ არა შემკვეთის მოთხოვნა?
 როგორ გადავწყვიტოთ დავა?

შპს „მინამ“ სამშენებლო ფირმა „მშენებელთან“ 2000 წლის 10 მაისს დადო ნარდობის ხელშეკრულება. ხელშეკრულების მიხედვით მენარდეს შემკვეთისთვის შეთანხმებულ ვადაში უნდა აეშენებინა მინის ტარის მწარმოებელი ქარხანა, ხოლო შემკვეთს კი უნდა გადაეხადა მენარდისათვის შეთანხმებული საზღაური სამუშაოთა დამთავრების შემდეგ.

შემკვეთის მიერ გამოყოფილ სამშენებლო ტერიტორიაზე საძირკვლის გათხრის შემდეგ მენარდემ აღმოაჩინა, რომ მიწის გრუნტი მერყევი და ფხვიერია და მისი გამაგრება საჭიროებს დამატებით ხარჯებს. მენარდემ შეაჩერა სამუშაოთა წარმოება და შეატყობინა შემკვეთს, რომ არსებობდა მისგან დამოუკიდებელი გარემოება, რომელიც ხელს უშლიდა სამუშაოთა წარმოებაში და მოსთხოვა შემკვეთს ხარვეზების აღმოფხვრა ათი დღის ვადაში. შემკვეთმა მენარდეს დათქმულ ვადაში არ შეატყობინა პასუხი. ამის შემდეგ მენარდემ საკუთარი სახსრებით ჩაატარა გასამაგრებელი სამუშაოები, რისთვისაც გასწია ხარჯები და გააგრძელა სამუშაოთა წარმოება.

ქარხანა აშენებულ და ჩაბარებულ იქნა შემკვეთისათვის შეთანხმებულ ვადაში. შემკვეთმა გადაუხადა მენარდეს მხოლოდ თავდაპირველად შეთანხმებული გასამრჯელო. მენარდემ დამატებით მოსთხოვა შემკვეთს საძირკვლის გასამაგრებლად გაწეული გაუთვალისწინებელი ხარჯების ანაზღაურება, რაზედაც შემკვეთმა უარი განაცხადა იმ მოტივით, რომ მისი ანაზღაურება ხელშეკრულებით არ ყოფილა შეთანხმებული.

მენარდემ სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა შემკვეთისაგან დამატებითი გაუთვალისწინებელი ხარჯებისა და სამუშაოთა წარმოების ათი დღით შეჩერებისათვის მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურება. თავის მოთხოვნას მენარდე ასაბუთებდა იმით, რომ გასამაგრებელ სამუშაოთა ჩატარების გარეშე აშენებული ნაგებობა უმოკლეს დროში დაინგრეოდა.

აქვს თუ არა მენარდეს უფლება მოითხოვოს შემკვეთისაგან იმ დამატებითი ხარჯების ანაზღაურება, რომელიც შეთანხმებული არ ყოფილა შემკვეთთან?

როგორ გადავწყვიტოთ დავა?

ქაზუსი №231

სამკერვალო ფაბრიკამ სამშენებლო ფირმა „მშენებელთან“ დადო ნარდობის ხელშეკრულება. ხელშეკრულების მიხედვით მენარდეს უნდა აეშენებინა საცხოვრებელი სახლი სამკერვალო ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეებისათვის შემკვეთის მიერ გამოყოფილ მიწის ნაკვეთზე და შემკვეთისავე სამშენებლო მასალით, ხოლო შემკვეთი კი ვალდებულებას კისრულობდა დროულად მიეწოდებინა მენარდისათვის სამშენებლო მასალა და დამატებული ტექნიკურ-საპროექტო დოკუმენტაცია, გადაეხადა შეპირებული გასამრჯელო სამუშაოთა ცალკეული ეტაპის დასრულებისთანავე. მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის დამთავრების ვადად განისაზღვრა 1999 წლის 7 ოქტომბერი.

მენარდემ შეძლო სამუშაოთა დამთავრება შეთანხმებულ ვადაში. შემკვეთმა სახლის ჩაბარებისას აღმოაჩნია, რომ ზოგიერთი ოთახის იატაკზე ხის პარკეტის ფილები არათანაბრად იყო დაგებული, ასევე უხარისხოდ იყო შეღესილი კედლები, ხოლო ზოგიერთი ფანჯარა კი საერთოდ არ იღებოდა. შემკვეთმა უარა განაცხადა სახლის ჩაბარებისა და მიღების აქტის ხელმოწერაზე მანამ, სანამ მენარდე საკუთარი სახსრებით უსასყიდლოდ არ გამოასწორებდა შესრულებულ სამუშაოში გამოვლენილ ნაკლს.

მენარდემ ცალმხრივად მოაწერა ხელი სამუშაოს ჩაბარების აქტს და დაურთო მას ორივე მხარის მიერ ხელმოწერილ სამუშაოთა ცალკეული ეტაპის წინასწარი ჩაბარება-მიღების აქტები. მეორედ ღდეს მოხდა მიწისძვრა, რასაც შედეგად მოჰყვა აშენებული შენო-

ბის ნაწილობრივი დაზიანება. შემკვეთმა მოითხოვა მენარდისაგან სახლის დაზიანებული ნაწილის უსასყიდლოდ შეკეთება. მენარდემ უარი განაცხადა როგორც დაზიანების უსასყიდლოდ გამოსწორებაზე, ასევე შემკვეთის მიერ შენობაში გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოფხვრაზე იმ მოტივით, რომ წინასწარი ჩაბარების აქტებით შემკვეთს მიღებული აქვს სამუშაოს შედეგი, შესაბამისად, იგი არის მესაკუთრე და ამიტომაც შემთხვევითი დაღუპვის ან დაზიანების რისკიც მას ეკისრება.

შემკვეთმა სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა მენარდისაგან დამატებითი სამუშაოების განხორციელება მენარდის სახსრებით, ასევე მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურება.

შეიძლება თუ არა სასამართლომ მენარდის მიერ ცალმხრივად ხელმოწერილი სამუშაოს შედეგის გადაცემის აქტი ჩათვალოს ნამდვილად?

ვინ უნდა აანაზღაუროს შენობაში გამოვლენილი ნაკლის გამოსწორების ხარჯები?

ვინ უნდა აანაზღაუროს მიწისძვრის შედეგად შენობის დაზიანებული ნაწილის აღდგენის ხარჯები?

როგორ გადაწყვიტოთ დავა?

ქ ა ზ უ ს ი № 232

დავით ნემსაძემ გაიგო, რომ მისი მეზობელი გია იმედაძე იღებს შეკვეთებს ხის ავეჯის დასამზადებლად. დავითი მივიდა გიასთან და მიუტანა სამზარეულოს ავეჯის ნახატი და შეეკითხა გიას, შეეძლო თუ არა მას ამ ნახატის მიხედვით დავითისთვის დაემზადებინა ავეჯი. გიამ თანხმობა განაცხადა. დავითმა გიასთან დადო ნარდობის ხელშეკრულება. ხელშეკრულების მიხედვით ავეჯი უნდა დამზადებულიყო მენარდის მიერ წაბლის ხის მასალით, ხოლო შემკვეთი კი კისრულობდა ვალდებულებას სამუშაოს შედეგის მიღების

შემდეგ აენაზღაურებინა შესრულებული სამუშაოს ღირებულება 2500 ლარის ოდენობით.

ავეჯის დამზადების პროცესში გია წააწყდა გარკვეულ სირთულეებს ცალკეული დეტალის დამზადების დროს. ამიტომ მან თავის მხრივ, ივანე საყვარელიძესთან დადო ხელშეკრულება, რითაც ივანემ იკისრა ავეჯის იმ დეტალების დამზადება, რომელსაც ვერ ამზადებდა გია. გარდა ამისა, რადგან ასეთი ტიპის ავეჯს გია პირველად ამზადებდა, იგი იძულებული შეიქნა შეეძინა ახალი დაზგა.

ავეჯი დამზადებულ იქნა შეთანხმებულ ვადაში. როდესაც შემკვეთი მივიდა ავეჯის წამოსადებად და მენარდისათვის გასამრჯელოს მისაცემად, მენარდემ მას განუცხადა, რომ გასამრჯელოს სახით ეკუთვნოდა 4000 ლარი. თავისი მოთხოვნა მენარდემ იმით დაასაბუთა, რომ შეთანხმებული 2500 ლარი იყო მხოლოდ მიახლოებული თანხა, რადგან ავეჯის დამზადებისას მან გამოიყენა სხვა მენარდეც, რომელსაც გადაუხადა 500 ლარი, გარდა ამისა, შეძენილ დაზგაში გადაიხადა 1000 ლარი და, შესაბამისად, გასწია 4000 ლარის ხარჯი.

შემკვეთი არ დაეთანხმა მენარდის ამ მოთხოვნას იმ საფუძველით, რომ ხელშეკრულების მიხედვით მენარდემ იკისრა სამუშაოს შესრულება 2500 ლარად, ხოლო თუ მან უფრო მეტი ხარჯი გასწია, რეალურად, ამაში შემკვეთს არანაირი ბრალი არ მიუძღოდა.

მართლზომიერია თუ არა მენარდის მოთხოვნა და შემკვეთის მოქმედება მენარდის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ?

როგორ გადავწყვიტოთ დავა?

ლამარა მსხილაძემ მიმართა სარჩელით სასამართლოს შპს „ქიმ-წმენდის“ მიმართ ზიანის ანაზღაურების შესახებ. სასარჩელო განცხადებაში მოსარჩელე მიუთითებდა, რომ მოპასუხეს ნარდობის ხელშეკრულების საფუძველზე გასაწმენდად ჩააბარა ძვირადღირებული პიჯაკი, რომელიც გაწმენდის შედეგად ზოგიერთ ადგილას გაუფერულდა და გამოუსადეგარი გახდა გამოსაყენებლად.

სასამართლო სხდომზე მოპასუხე არ დაეთანხმა მოსარჩელის მოთხოვნას იმ მოტივით, რომ დადებულ ნარდობის ხელშეკრულებაში შემკვეთი გაფრთხილებულ იქნა წინასწარ იმის შესახებ, რომ ასეთი პიჯაკი გაწმენდის შედეგად ზოგჯერ ფერს იცვლის, მაგრამ შემკვეთმა მაინც მოითხოვა პიჯაკის გაწმენდა, ამიტომაც მენარდეს არ შეიძლება დაეკისროს არანაირი ზიანის ანაზღაურება, რამეთუ ასეთს ადგილი არც ჰქონია.

მოსარჩელის მოთხოვნით, სასამართლომ დანიშნა ექსპერტიზა, რომელმაც დაადგინა, რომ პიჯაკი სხვადასხვაფერად, არათანაბრად იყო შეღებილი. ექსპერტის დასკვნის მიუხედავად, სასამართლომ არ დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა იმ მოტივით, რომ მისთვის ნარდობის ხელშეკრულებით წინასწარ იყო ცნობილი, რომ გაწმენდის შედეგად პიჯაკს შეიძლება ფერი დაჰკარგვოდ, მაგრამ მას უარი არ უთქვამს თავის შეკვეთაზე.

სწორი გადაწყვეტილება მიიღო თუ არა მოსამართლემ?

გიორგი ბუზალაძემ დავით ხაჭაპურიძესთან დადო ნარდობის ხელშეკრულება. ხელშეკრულების მიხედვით მენარდეს თავისი მასალით უნდა ჩაეტარებინა შემკვეთის სამოთახიან ბინაში კოსმეტიკური რემონტი, ხოლო შემკვეთს კი უნდა გადაეხადა მენარდისათვის გასამრჯელო 1000 დოლარის ოდენობით. სამუშაო უნდა დაწყებულიყო 1999 წლის 10 ივნისს და დამთავრებულიყო 15 ივნისს.

1999 წლის 9 ივნისს დავითმა გიორგის დაურეკა და სთხოვა, რომ სხვა საქმეზე წასვლასთან დაკავშირებით, ვერ მოახერხებდა სამუშაოს დაწყებას 10 ივნისს და მოითხოვა ვადის გადაწევა 14 ივნისისათვის. გიორგიმ ამაზე კატეგორიული უარი განაცხადა იმ მოტივით, რომ მან თავის ხარჯზე აიღო ერთკვირიანი შვებულება და დავითს შეთანხმებულ დროს ელოდებოდა.

მენარდემ ვერ შეძლო სამუშაოს დაწყება 10 ივნისს და დაიწყო მხოლოდ 12 ივნისს და დაამთავრა 20 ივნისს. შემკვეთმა მას გასამრჯელოს სახით გადაუხადა 500 ლარი, ხოლო დანარჩენი 500 ლარის გადახდაზე უარი განუცხადა იმ მოტივით, რომ მან მენარდის მიერ სამუშაოს შესრულების ვადის გადაცილებით განიცადა ზიანი და ამ თანხას ზიანის ანაზღაურების ანგარიშში უქვითავდა.

მენარდემ სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა შემკვეთისაგან ხელშეკრულებით შეთანხმებული გასამრჯელოს გადახდა და მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურება.

რა გადაწყვეტილებას მიიღებს სასამართლო?

შპს „მშენებელმა“ სარჩელით მიმართა სასამართლოს კოოპერატივ „იმედისაგან“ მიყენებული ზიანის სახით 10000 ლარის გადახდის მოთხოვნით. სასარჩელო განცხადებაში მოსარჩელე თავის მოთხოვნას იმით ასაბუთებდა, რომ მან მოპასუხესთან დადო ნარდობის ხელშეკრულება, რითაც მისთვის უნდა აეშენებინა რძის ნაწარმის გადამამუშავებელი საამქრო, ხოლო მოპასუხეს კი უნდა გადაეხადა შეპირებული გასამრჯელო შეთანხმებულ ვადაში. მოსარჩელემ სამუშაო ჯეროვნად და დროულად შეასრულა, ხოლო მოპასუხემ კი გადააცილა თანხის გადახდის ვადას ოცდაათი დღით. ნარდობის ხელშეკრულებაში გათვალისწინებული იყო პირსაგამტეხლოს გადახდა შემკვეთის მიერ ფულადი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებისათვის ყოველ გადაცილებულ დღეზე მთლიანი თანხის 0,5%-ის ოდენობით. მართალია, შემკვეთმა მენარდეს გადაუხადა პირსაგამტეხლო, მაგრამ მისმა ოდენობამ მთლიანად ვერ დაფარა ის ზიანი, რაც მენარდემ განიცადა და სხვაობამ შეადგინა 10000 ლარი.

მოპასუხე არ დაეთანხმა მოსარჩელეს მოთხოვნას იმ მოტივით, რომ პირსაგამტეხლო მან გადაიხადა სწორედ მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად და იგი აღარ არის ვალდებული დამატებით კიდევ რაიმე გადაუხადოს მოსარჩელეს.

მართლზომიერია თუ არა მენარდის (მოსარჩელის) მოთხოვნა? რა გადაწყვეტილებას მიიღებს სასამართლო?

1999 წლის 10 მაისს გიორგი კვიციანი და შპს „გზას“ შორის დაიდო ნარდობის ხელშეკრულება. ხელშეკრულების მიხედვით მენარდე კისრულობდა ვალდებულებას შემკვეთის სახლიდან გაეყვანა ერთი კილომეტრის სიგრძის მოასფალტებული გზა ცენტრალურ მაგისტრალთან დასაკავშირებლად, ხოლო შემკვეთი კი კისრულობდა ვალდებულებას გადაეხადა მენარდისათვის შეპირებული გასამრჯელო და ანაზღაურებინა შესრულებული სამუშაოს ღირებულება.

მენარდე ჯეროვნად ასრულებდა თავის ვალდებულებას, ხოლო შემკვეთმა კი ორჯერ გადააცილა თანხის ნაწილის გადახდის ვადებს. იმისათვის, რომ ამალღებულიყო შემკვეთის პასუხისმგებლობა და შემდგომში მასაც დროულად უზრუნველყო თავისი მოვალეობის შესრულება, მენარდემ მას მოსთხოვა ნარდობის ხელშეკრულებაში დამატებითი პირობის სახით შეეტანათ შემკვეთის მიერ პირსაგამტეხლოს გადახდის ვალდებულება შესრულებული სამუშაოს ღირებულების გადახდის ვადის გადაცილებისათვის ყოველ გადაცილებულ დღეზე დავალიანების თანხის 0,5%-ის დარიცხვის შესახებ. მენარდის ამ მოთხოვნაზე შემკვეთმა კატეგორიული უარი განაცხადა. უარის მიღების შემდეგ მენარდემ ცალმხრივად შეწყვიტა ხელშეკრულება და მოითხოვა შემკვეთისაგან როგორც შეპირებული გასამრჯელოს გადახდა, ისე მიყენებული ზიანის ანაზღაურება. თავის მხრივ, შემკვეთმა მოსთხოვა მენარდეს ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შედეგად მისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

როგორ გადაწყვიტოთ დავა?

ნარდობის ხელშეკრულების მიხედვით, შემკვეთი ვალდებული იყო გადაეცა მენარდისათვის ასაშენებელი საცხოვრებელი სახლის ტექნიკურ-საპროექტო დოკუმენტაცია 1999 წლის 25 ივლისისთვის, რაც მან ფაქტობრივად განახორციელა მხოლოდ 29 ივლისს. 1999 წლის 10 სექტემბერს მენარდემ მიმართა შემკვეთს მოთხოვნით, გადაეხადა მისთვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლო ტექნიკურ-საპროექტო დოკუმენტაციის გადაცემის ვადის გადაცილებისთვის. მენარდის აზრით, გადაცილების ვადამ შეადგინა ორმოცდახუთი დღე, რამეთუ მისთვის 29 ივლისს გადაცემულ ტექნიკურ დოკუმენტაციაში არაფერი იყო მითითებული სამშენებლო მასალებისა და მოწყობილობების მიწოდების გრაფიკის შესახებ, რომლითაც მენარდეს უნდა აეშენებინა შენობა. ეს ხარვეზი კი შემკვეთმა მენარდის არაერთგზის მოთხოვნის მიუხედავად გამოასწორა და აღმოფხვრა მხოლოდ 8 სექტემბერს.

შემკვეთმა თანხმობა განაცხადა გადაეხადა პირგასამტეხლო ოთხი გადაცილებული დღისათვის – 25 ივლისიდან 29 ივლისამდე, თანაც მენარდეს განუცხადა, რომ, მართალია, გადაცემულ დოკუმენტაციაში არ იყო მითითებული სამშენებლო მასალებისა და მოწყობილობების მიწოდების გრაფიკი, მაგრამ ამას არაერთგზის მოხდენა არ შეეძლო მენარდის მუშაობაზე, რამეთუ გრაფიკით გათვალისწინებული სამშენებლო მასალები და მოწყობილობები მენარდეს სჭირდება ოქტომბრისთვის, ხოლო რაც შეეხება გრაფიკის გადაცემის დაგვიანებას, ეს გამოიწვია იმან, რომ შემკვეთს უარი განუცხადა ფირმა „ცემენტმა“, რომელთანაც მას ჰქონდა სამშენებლო მასალებისა და მოწყობილობების მიწოდების ხელშეკრულება და ამიტომაც შემკვეთი იძულებული გახდა სხვასთან დაედო ხელშეკრულება.

როგორ გადაწყვიტოთ დავა?

გიორგი მჭედლიშვილმა სამშენებლო-სარემონტო ფირმა „სერვისთან“ დადო ნარდობის ხელშეკრულება. ხელშეკრულების მიხედვით მენარდეს შემკვეთის ხუთოთხიან ბინაში უნდა ჩაეტარებინა კოსმეტიკური სარემონტო სამუშაოები (ჭერის, იატაკის კარ-ფანჯრების შეღებვა, ორ საძინებელში კარ-ფანჯრის შეცვლა და ლინოლეუმის დაგება). მენარდემ სამუშაო შეასრულა ჯეროვნად, ხარისხიანად და დათქმულ ვადაში, ხოლო შემკვეთმა კი მას გადაუხადა შეპირებული გასამრჯელო.

ერთი თვის შემდეგ კი გიორგის ბავშვებს, ხოლო ცოტა მოგვიანებით კი მის მეუღლესაც დაეწყოთ სულის ხუთვა და სუნთქვის შეკვრა, რამაც თანდათანობით უფრო და უფრო ინტენსიური ხასიათი მიიღო. გიორგის ცოლ-შვილმა მიმართა ექიმს, რომელმაც დაადგინა, რომ მათ სულის ხუთვასა და სუნთქვის შეკვრას იწვევს ქიმიური წარმოშობის მომწამლავი ნივთიერებების თავმოყრა. მოწამვლის წყაროს დასადგენად გიორგიმ დასახმარებლად მიმართა სანეპიდსადგურს, რომლის წარმომადგენლების მიერ გიორგის სახლში ჩატარებულმა ექსპერტიზამ დაადგინა, რომ მომწამლავ ქიმიურ ნივთიერებებს გამოყოფს ფირმა „სერვისის“ (ანუ მენარდის) მიერ დაგებული ლინოლეუმი, რამაც გამოიწვია სწორედ გიორგის ცოლ-შვილის დაავადება.

გიორგი მჭედლიშვილმა სარჩელით მიმართა სასამართლოს ფირმა „სერვისის“ წინააღმდეგ და მოითხოვა ჯანმრთელობის დაზიანებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება, რომელიც გამოიწვია მენარდის მიერ მომწამლავი ნივთიერებების შემცველი ლინოლეუმის გამოყენებამ. სასამართლო სხდომაზე ფირმა „სერვისის“ წარმომადგენელი არ დაეთანხმა მოსარჩელის მოთხოვნას იმ მოტივით, რომ ლინოლეუმის დამამზადებელი არის შპს „პლასტიკატი“ და, შესაბამისად, მან უნდა აანაზღაუროს ზიანი, ხოლო რაც შეეხება თვითონ მას, მან ჯეროვნად და დათქმულ დროში შეასრულა ნარდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო და არც

შეიძლება, რომ სკოლნოდა გამოყენებული ლინოლეუმის ფარული
მაენე თვისებების შესახებ.

როგორ გადაწყვიტოთ დავა?

კაზუსი №239

პირველი ჯგუფის ინვალიდმა ბურკაძემ, რომელსაც საკუთრე-
ბაში ჰქონდა ხუთი ათასი კვადრატული მეტრის ხეხილიანი მიწის
ნაკვეთი, თავის მეზობელ ხურცილავასთან დაღო დავალების ხე-
ლშეკრულება. ხელშეკრულების თანახმად ხურცილავას ბაზარში
უნდა გაეყიდა ბურკაძის მიერ მოწეული ხილი, ხოლო ბურკაძეს კი
ხურცილავასთვის უნდა გადაეხადა შეპირებული გასამრჯელო. ხილს
კრეფდა ხურცილავა და ინახავდა ბურკაძის სარდაფში, საიდანაც
მიჰქონდა ნაწილ-ნაწილ ბაზარში სარეალიზაციოდ. ხურცილავას
შვილმა, ვალის გადახდის მიზნით, მამას სასწრაფოდ გააყიდვინა
საცხოვრებელი სახლი, ამიტომაც ხურცილავა საცხოვრებლად გა-
დავიდა თავის შვილთან სხვა ქალაქში.

ხურცილავამ მისწერა წერილი ბურკაძეს და შეატყობინა, რომ
წყვეტს ხელშეკრულებას, რამეთუ ვერ ახერხებს სხვა ქალაქიდან
ჩამოსვლას, ხოლო უკვე რეალიზებული ხილიდან მიღებულ თანხას
კი ფოსტით გაუგზავნიდა ბურკაძეს. ბურკაძეს ჯანმრთელობა გა-
უუარესდა ავადმყოფობის გამო და ამიტომ ორი კვირის განმავლო-
ბაში ვერ შეძლო ხურცილავას შემცვლელის მოძებნა. სარდაფში
შენახული ხილი ამასობაში ნაწილობრივ გაფუჭდა და გამოუსადე-
გარი გახდა სარეალიზაციოდ. გამოჯანმრთელების შემდეგ კი ბურკაძემ
სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა ხურცილავასაგან
ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შედეგად მიყენებული
ზიანის ანაზღაურება.

როგორ გადაწყვეტილებას მიიღებს სასამართლო?

ო. მარგებაძემ შპს „სოფლის მეურნეობის პროდუქტთან“ დადო დავალების ხელშეკრულება. ხელშეკრულების მიხედვით მარგებაძე ვალდებულებას კისრულობდა მარწმუნებლისათვის მისი სახელითა და ხარჯით დასავლეთ საქართველოში შეეძინა თხილი. დავალების ხელშეკრულებაში გათვალისწინებული იყო დაკისრებული მოქმედების სხვისთვის გადანდობის შესაძლებლობა. მეუღლის ავადმყოფობის გამო, მარგებაძემ ვერ შეძლო დავალების შესრულება და ამიტომაც მარწმუნებელთან შეთანხმებით, თავისი უფლებამოსილება დაკისრებულ დავალებასთან დაკავშირებით, გადაანდო პ. ციმაკურიძეს. ციმაკურიძემ შეასრულა დავალება. თუმცა ერთი თვის შემდეგ მარწმუნებელმა ო. მარგებაძეს სასამართლო წესით მოსთხოვა იმ მატერიალური ზიანის ანაზღაურება, რომელიც მან განიცადა ციმაკურიძის მიერ თხილის მწარმოებლებთან დადებულ ხელშეკრულებაში მარწმუნებლისთვის არახელსაყრელი პირობების შეტანის შედეგად.

ვალდებული იყო თუ არა მარგებაძე შეეტყობინებინა მარწმუნებლისათვის დაკისრებული მოქმედების შესრულების სხვისთვის გადანდობის შესახებ, თუკი დავალების ხელშეკრულებაში გათვალისწინებული იყო გადანდობის შესაძლებლობა?

ათავისუფლებს თუ არა მარგებაძეს პასუხისმგებლობისაგან ის გარემოება, რომ მან ციმაკურიძეს დავალების შესრულება გადაანდო მარწმუნებლის თანხმობით?

როგორ გადაწყვიტოთ დავა?

ა. კაპანაძემ ლიტერატურული მუზეუმის სახელითა და მისი ხარჯით მწერლის, №-ის, რომელიც გარდაიცვალა 1905 წელს, მეძველდრისგან — კ. მხეიძისაგან, შეიძინა გარდაცვლილი მწერლის კუთვნილი ნივთები. ნივთებს შორის იყო საწერი მაგიდაც, რომელიც მხეიძის მტკიცებით, ეკუთვნოდა გარდაცვლილ მწერალს. ნაყიდი საწერი მაგიდის რესტავრირების შედეგად დადგინდა, რომ მაგიდა დამზადებული იყო 1915 წელს და, შესაბამისად, არ შეიძლებოდა, რომ მწერლის საკუთრება ყოფილიყო.

ლიტერატურულმა მუზეუმმა სარჩელით მიმართა სასამართლოს ა. კაპანაძის წინააღმდეგ იმ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით, რომელიც მან განიცადა დავალების ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულების შედეგად. თავის მოთხოვნას მარწმუნებელი იმით ასაბუთებდა, რომ რწმუნებულს უნდა შეემოწმებინა საწერი მაგიდის დამზადების წელი.

იმავედროულად მარწმუნებელმა მიმართა სარჩელით სასამართლოს და მოითხოვა კ. მხეიძესთან დადებული გარიგების ბათილად ცნობა იმ მოტივით, რომ იგი დადებულია მოტყუებით, რამეთუ მხეიძემ მას მიჰყიდა ის საწერი მაგიდა, რომელიც არასდროს არ ეკუთვნოდა გარდაცვლილ მწერალს, №-ს, და მიყენებული ზიანის ანაზღაურება. მხეიძემ მარწმუნებლის მოთხოვნაზე განაცხადა, რომ მას იგი არ მოუტყუებია, რამეთუ მასთან სახლში ყველა დარწმუნებულია, რომ საწერი მაგიდა მწერალ №-ს ეკუთვნოდა.

აქვს თუ არა უფლება მარწმუნებელს ჩათვალოს, რომ რწმუნებულმა დავალება შეასრულა არაჯეროვნად და მოითხოვოს მისგან მატერიალური ზიანის ანაზღაურება?

რა გადაწყვეტილებას მიიღებს სასამართლო მარწმუნებლის სარჩელებთან დაკავშირებით?

ი. მანჯგალაძემ მ. ბექაურთან დადო დავალების ხელშეკრულება. ხელშეკრულების მიხედვით ბექაურს მანჯგალაძისთვის წინასწარ შეთანხმებულ ფასად უნდა შეეძინა სახნავი ტრაქტორი. ბექაური ავად გახდა და მოათავსეს საავადმყოფოში, რის გამოც პირადად ვერ შეძლო დავალების შესრულება. ბექაურმა დაკისრებული დავალების შესრულება გადაანდო ბიწაძეს და მისცა მას რწმუნებულება. რწმუნებულება დადასტურებულ იქნა სამეურნეო დარგში იმ საავადმყოფოს მთავარი ექიმის მოადგილის მიერ, სადაც მკურნალობდა და მოთავსებული იყო ბექაური. არავითარი ინფორმაცია თავისი მოქმედებების შესახებ ბექაურმა მანჯგალაძეს არ შეატყობინა. ბიწაძემ შეიძინა მანჯგალაძისათვის ტრაქტორი, მაგრამ უფრო მომეტებულ ფასად, ვიდრე ეს წინასწარ იყო შეთანხმებული. გარდა ამისა, გამოირკვა, რომ ბიწაძემ ტრაქტორი შეიძინა ნემსაძისაგან, რომელსაც ბიწაძისათვის მიცემული ჰქონდა ტრაქტორის გაყიდვის რწმუნებულება. მანჯგალაძემ უარი განაცხადა მისი სახელით ნაყიდი ტრაქტორის მიღებასა და ღირებულების ანაზღაურებაზე.

ბიწაძემ სარჩელით მიმართა, სასამართლოს და მოითხოვა მანჯგალაძისაგან ნაყიდი ტრაქტორის მიღება, მისი ღირებულებისა და მიტანის ხარჯების ანაზღაურება და რწმუნებულისათვის შეპირებული გასამრჯელოს გადახდა.

რა გადაწყვეტილებას მიიღებს სასამართლო?

ი. მესხიძემ, რომელიც ალკოჰოლური სასმელების ბოროტად გამოყენების საფუძველზე (რაც ოჯახს აყენებდა მძიმე მატერი-ალურ მდგომარეობაში), სასამართლოს მიერ ცნობილი იყო. შეზღუდულქმედუნარიანად, ბუკინისტურ მაღაზიაში გასაყიდად ჩააბარა 1800 წელს გამოცემული უნიკალური წიგნების კომპლექტი. მაღაზიამ წიგნები შეაფასა 500 ლარად და გამოფინა გასაყიდად. ამასთან ერთად, საკომისიო ხელშეკრულებაში მხარეებმა აღნიშნეს, რომ მესხიძეს ფულადი თანხა მიეცემოდა წიგნების რეალიზაციის შემდეგ.

ორი დღის შემდეგ მესხიძის მეუღლემ, ნათიამ, აღმოაჩინა, რომ წიგნები აღარ იყო სახლში და დაადგინა, რომ ისინი მისმა ქმარმა ჩააბარა ბუკინისტურ მაღაზიაში. ნათია მივიდა მაღაზიაში, წარადგინა თავისი ქმრის შეზღუდულქმედუნარიანობის დამადასტურებელი საბუთი და მოითხოვა საკომისიო ხელშეკრულების გაუქმება. მაგრამ აღმოჩნდა, რომ ამ დროისათვის წიგნების კომპლექტი უკვე გაყიდული იყო. მაღაზიამ შესთავაზა ნათიას მიეღო წიგნების რეალიზაციის შედეგად მიღებული ფულადი თანხა საკომისიო გასამრჯელოს გამოკლებით. ნათიამ უარი განაცხადა თანხის მიღებაზე და სარჩელით მიმართა სასამართლოს მაღაზიის წინააღმდეგ და მოითხოვა ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა, წიგნების კომპლექტის უკან დაბრუნება და მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურება.

ვალდებული იყო თუ არა ბუკინისტური მაღაზია, შეემოწმებინა რომ მესხიძე იყო შეზღუდულქმედუნარიანი?

მართლზომიერია თუ არა მესხიძის მეუღლის მოთხოვნა ბუკინისტური მაღაზიის მიმართ უკვე გაყიდული წიგნების კომპლექტის უკან დაბრუნების შესახებ?

შეიცვლებოდა თუ არა ამოცანის პასუხი იმ შემთხვევაში, თუკი

მესხიძე შეზღუდულქმედუნარიანად იქნებოდა ცნობილი მას შემდეგ, როდესაც უკვე ჩააბარა წიგნების კომპლექტი ბუკინისტურ მაღაზიაში?

რა გადაწყვეტილებას მიიღებს სასამართლო?

კაზუსი №244

ნელი გულიაშვილმა საკომისიო მაღაზიაში შეიძინა ძვირფასი ბეწვის ქურქი. ერთი თვის შემდეგ გულიაშვილმა ჩაიცვა ნაყიდი ქურქი. ქურქის ჩაცმისას აღმოჩნდა, რომ იგი მარჯვენა შიგნითა მხარეს გაცვეთილი იყო და სიცივეს ატარებდა, გარდა ამისა, საყელოზე აღმოჩნდა დიდი ლაქა. ნაკლის გამოვლენა მხოლოდ ერთი თვის შემდეგ შეძენიდან აიხსნებოდა იმით, რომ როდესაც ნელიმ საკომისიო მაღაზიაში ქურქი შეიძინა, იქ სუსტი განათება იყო, ხოლო სახლში კი შენამძენი არ დაუთვალა იერებია, რამეთუ იმავე დღეს გაემგზავრა სამსახურებრივ მივლინებაში. ნელიმ მიმართა საკომისიო მაღაზიის დირექტორს მოთხოვნით, უკან დაებრუნებინა ნაკლის მქონე ქურქი ანდა შეემცილებინა ქურქის გასაყიდი ფასი 25%-ით. დირექტორი არ დაეთანხმა ამ მოთხოვნას იმ მოტივით, რომ მყიდველს მოთხოვნა უნდა წაეყენებინა შეძენიდან ერთი კვირის ვადაში, მანამ, სანამ მოხდებოდა თანხის გადაცემა კომიტენტისათვის.

ნ. გულიაშვილმა სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა საკომისიო მაღაზიისაგან ქურქის უკან მიღება და გადახდილი თანხის დაბრუნება.

ვალდებული იყო თუ არა საკომისიო მაღაზია ქურქის გასაყიდად მიღებისას შეემოწმებინა მისი ხარისხი?

რა გადაწყვეტილებას მიიღებს სასამართლო?

მ. ნოზაძემ საკომისიო მალაზიაში გასაყიდად ჩააბარა „მადონას“ სადილის სერვიზი თორმეტ პერსონაზე. სერვიზი შეფასებულ იქნა 600 ლარად. საკომისიო ხელშეკრულებაში მითითებულ იქნა, რომ მალაზიას უფლება ჰქონდა ყოველი ოცი დღის გასვლის შემდეგ 10%-ით შეემცირებინა სერვიზის გასაყიდი ფასი, თუკი, რა თქმა უნდა, სერვიზი არ გაიყიდებოდა. ოცი დღის გასვლის შემდეგ სერვიზის ფასი შემცირდა 10%-ით და შეადგინა 540 ლარი. ამის შემდეგ მეორე დღეს მყიდველმა ნ. ლობჯანიძემ სერვიზის დათვალიერებისას გატეხა დიდი საინი. მალაზიის დირექტორმა ლობჯანიძემ გატეხილი საინისათვის მოსთხოვა 100 ლარის გადახდა. თავისი მოთხოვნა დირექტორმა იმით დაასაბუთა, რომ საინი წარმოადგენდა სერვიზის ყველაზე ძვირფას საგანს და რომ მან უნდა შეამციროს სერვიზის გასაყიდი ფასი 15%-ით, ხოლო გატეხილი საინისათვის მიღებული თანხა კი უნდა გადასცეს სერვიზის მესაკუთრეს. ლობჯანიძემ გადაიხადა 100 ლარი, ხოლო მალაზიამ კი სერვიზის გასაყიდი ფასი შეამცირა 440 ლარამდე.

მ. ნოზაძე სამი დღის გასვლის შემდეგ მივიდა საკომისიო მალაზიაში, რათა გაეგო გაიყიდა თუ არა მის მიერ ჩაბარებული სერვიზი. აღმოაჩინა, რომ დიდი საინი აღარ დევს, ხოლო გასაყიდი ფასი კი შემცირებულია 440 ლარამდე. მან ახსნა-განმარტება მოსთხოვა მალაზიის დირექტორს. დირექტორმა განუცხადა, რომ დიდი საინი გატყდა და შესთავაზა მისი ღირებულების გადახდა 100 ლარის ოდენობით. მ. ნოზაძემ თანხის მიღებაზე უარი განაცხადა და სარჩლით მიმართა სასამართლოს საკომისიო მალაზიის წინააღმდეგ და მოითხოვა ჩაბარებული სერვიზისათვის 600 ლარის გადახდა, რამეთუ მალაზიამ ვერ შეძლო მისი დაცვის უსაფრთხოება.

რა გადაწყვეტილებას მიიღებს სასამართლო?

დ. ნემსაძემ და ი. კახიძემ 2000 წლის თებერვლის თვეში დადეს მომსახურების გაწევის ხელშეკრულება. ხელშეკრულების მიხედვით ნემსაძე ვალდებულია კისრულობდა, ერთი თვის ვადაში გაეწვრთნა კახიძის გერმანული ნაგაზი, ხოლო კახიძე კი წინასწარ გადაუხდიდა ნემსაძეს გაწეული მომსახურებისათვის შეპირებულ გასამრჯელოს. კახიძეს ნემსაძესთან ორი კვირის განმავლობაში ყოველდღე მიჰყავდა ნაგაზი გასაწვრთნელად და მას უხდებოდა მდინარეზე გადებულ საცალფეხო ხიდზე გადასვლა. გაზაფხულის წყალდიდობამ ხიდი წაიღო და ძაღლის გაწვრთნა შეუძლებელი გახდა. როცა მდინარეში წყლის დონემ დაიწია და ხიდი აღდგენილ იქნა, დაზიანებიდან ერთი თვის გასვლის შემდეგ, ნემსაძემ უარი განაცხადა ძაღლის გაწვრთნაზე იმ მოტივით, რომ იგი მივლინებით მიემგზავრებოდა სხვა ქალაქში. კახიძემ ნემსაძეს მოსთხოვა გადახდილი გასამრჯელოს ნაწილის უკან დაბრუნება, რაზედაც ნემსაძემ უარი განაცხადა.

ვინ არის მართალი – ნემსაძე თუ კახიძე და რატომ?

სამედიცინო ინსტიტუტის დოცენტმა – ტყემალაძემ იკისრა ვალდებულება მოემზადებინა ნოზადის შვილი – ლევანი ქიმიაში სამედიცინო ინსტიტუტში მისაღები გამოცდების ჩასაბარებლად. ხელშეკრულებაში აღინიშნა, რომ მეცადინეობები უნდა ჩატარებულიყო ნოზადის ბინაში ყოველდღიურად, ორი საათის ხანგრძლივობით ერთი თვის განმავლობაში, ხოლო ნოზაძეს კი ჩატარებული მეცადინეობების ღირებულება უნდა აენაზღაურებინა ყოველი კვირის ბოლოს.

მეცადინეობის დაწყებიდან მეორე კვირის ბოლოს ნოზაძემ შეამჩნია, რომ მისი შვილი იყენებდა ფსიქოტროპულ ნივთიერებებს.

ნოზაძემ დასაჯა შვილი და ჩაკეტა ბოქლომით თავის ოთახში. როდესაც ტყემალაძე მივიდა მომდევნო მეცადინეობის ჩასატარებლად, ლევანი არ დაუხვდა იმ ოთახში, სადაც მას მეცადინეობას უტარებდა. ნოზაძემ ტყემალაძეს განუცხადა, რომ ლევანი მეგობართან იყო წასული. ასე გაგრძელდა სამის დღის განმავლობაში, ამიტომაც ტყემალაძემ ნოზაძეს მოსთხოვა ხელშეკრულების შეწყვეტა მისი შესრულების შეუძლებლობის გამო, რომელიც წარმოიშვა შემკვეთის ბრალით და ასევე დარჩენილი ორი კვირის გასამრჯელოს სრული ოდენობით ანაზღაურება. ნოზაძემ თანხმობა განაცხადა აენაზღაურებინა მხოლოდ სამი დღის ჩაუტარებელი მეცადინეობის ღირებულება.

მართლზომიერია თუ არა ტყემალაძის მოთხოვნა ნოზაძის მიმართ დარჩენილი მეცადინეობების ღირებულების სრული მოცულობით ანაზღაურების შესახებ?

მართლზომიერია თუ არა ნოზაძის მოქმედება ანაზღაუროს მხოლოდ სამი დღის განმავლობაში ჩაუტარებელი მეცადინეობის ღირებულება?

როგორ გადაეწყვიტოს დავა?

კ ა ზ უ ს ი № 248

თ. გურგენიძე ჩაეწერა ცნობილ პროფესორთან – ბარაბაძესთან მიღებაზე, რომელიც ავადმყოფებს იღებდა ფასიან პოლიკლინიკაში. გურგენიძეს სურდა, რომ მიეღო კვალიფიციური კონსულტაცია თავისი ავადმყოფი მარჯვენა თირკმელის ოპერაციის შესახებ. დათქმულ დღესა და საათზე გურგენიძე მივიდა პოლიკლინიკაში, გადაიხადა კონსულტაციის ღირებულება და შევიდა ქირურგიულ კაბინეტში. თუმცა კი კაბინეტში პროფესორი ბარაბაძის ნაცვლად მას დახვდა ქირურგი გიორგაძე, რომელიც ბარაბაძის დავალებით ახორციელებდა ავადმყოფების მიღებასა და კონსულტაციების გაწევას. გურ-

გენიძემ უარი განაცხადა გიორგაძის კონსულტაციის მიღებაზე და მოითხოვა გადახდილი თანხის უკან დაბრუნება იმ მოტივით, რომ მან თანხა გადაიხადა იმისთვის, რომ მიეღო კონსულტაცია ბარაბაძისაგან. იმის შესახებ, რომ ბარაბაძის ნაცვლად ავადმყოფების მიღებას აწარმოებდა გიორგაძე, მას არაფერი აცნობეს პოლიკლინიკის რეგისტრატურაში. თუმცა კი გურგენიძეს თანხა უკან არ დაუბრუნეს იმ მოტივით, რომ მან თავისი ვიზიტით ქირურგ გიორგაძეს დააკარგვინა დრო.

მართლზომიერია თუ არა გურგენიძის მოთხოვნა გადახდილი ფულადი თანხის უკან დაბრუნების შესახებ იმ მოტივით, რომ ბარაბაძის ნაცვლად იგი მიიღო გიორგაძემ?

მართლზომიერია თუ არა პოლიკლინიკის უარი – დაუბრუნოს გურგენიძეს ფულადი თანხა?

როგორ გადაწყვეტოთ ღვა?

კაზუსი №249

ხორცის კომბინატმა ნიკოლაძესთან სამი წლის ვადით დალო დაეალები ხელშეკრულება. ხელშეკრულების მიხედვით ნიკოლაძეს აღმოსავლეთ საქართველოს მთიან რეგიონებში უნდა შეეძინა მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი და მიეყვანა ხორცის კომბინატისათვის. მარწმუნებლის მიერ გაცემულ რწმუნებულებაში საქონლის შეძენის გარიგებების დადების ვადად მითითებული იყო ორი წელი. როდესაც გავიდა რწმუნებულების ვადა, ნიკოლაძემ მიმართა ხორცის კომბინატს და სთხოვა მას ახალი რწმუნებულების გაცემა სამი წლის ვადით, რაზედაც მარწმუნებელმა თანხმობა განაცხადა. სამი წლის შემდეგ ხელშეკრულების დადებიდან ხორცის კომბინატში დაიწყო სარემონტო სამუშაოები, რის შესახებაც მან რწმუნებულს არაფერი აცნობა იმის გამო, რომ გასული იყო რწმუნებულების მოქმედების ვადა.

ნიკოლაძემ ორი დღის შემდეგ ზორცის კომბინატს მიუყვანა საქონლის მორიგი პარტია, რის მიღებაზეც ზორცის კომბინატმა უარი განაცხადა იმ მოტივით, რომ გასული იყო დავალების ხელშეკრულების მოქმედების ვადა და რომ რწმუნებულს არ ჰქონდა უფლება მარწმუნებლის სახელით დაეღო ნასყიდობის ხელშეკრულება. რწმუნებულმა მოითხოვა საქონლის შექენაზე გაწეული ხარჯების ანაზღაურება იმ მოტივით, რომ მარწმუნებელმა არ შეატყობინა ხელშეკრულების ვადის გასვლის შესახებ, რის გამოც რწმუნებულმა ავტომატურად ჩათვალა ხელშეკრულება განუსაზღვრული ვადით გაგრძელებულად.

როგორ გადავწყვიტოთ დავა?

კ ა ზ უ ს ი №250

ი. კილურაძემ ა. ბრეგვაძესთან დადო დავალების ხელშეკრულება. ხელშეკრულების მიხედვით ბრეგვაძეს წინასწარ შეთანხმებულ ფასად უნდა შეეძინა და ოცდაათი დღის განმავლობაში ხელშეკრულების დადებიდან მიეტანა კილურაძის ოფისში ათი კომპიუტერი – „ჰენტიუმ-3“. დავალების ხელშეკრულების დადებიდან მეორე დღეს რწმუნებული მოთავსებულ იქნა საავადმყოფოში გულის ინფარქტის დიაგნოზით. იმისათვის, რომ არ დაერღვია დავალების ხელშეკრულება, მან დაკისრებული მოქმედების შესრულება გადაანდო თავის მეგობარს – მინდაძეს. გადანდობა დაადასტურა საავადმყოფოში მიწვეულმა ნოტარიუსმა.

მინდაძე, რომელიც მუშაობდა ახლად გაკოტრებულ ბანკში, შეუთანხმდა ბანკის გენერალურ დირექტორს, რომ იყიდოდა ბანკის კუთვნილ ათ ცალ კომპიუტერს – „ჰენტიუმ-3“ დაბალ ფასებში, რომელთაც ჯერ კიდევ არ ჰქონდათ გასული საგარანტიო ვადა. ბანკის გენერალურმა დირექტორმა ამაზე თანხმობა განაცხადა. მინდაძემ კომპიუტერები გადასცა ამასობაში საავადმყოფოდან გამოწ-

ერილ ბრეგვაძეს წინასწარ შეთანხმებულ ფასად, ხოლო დაზოგილი ფულადი თანხა კი თვითონ მიითვისა.

მარწმუნებელმა კომპიუტერების მიღებისას შეამჩნია, რომ ისინი ახლები არ იყო და მოითხოვა რწმუნებულისაგან დაზოგილი ფულადი თანხის უკან დაბრუნება და ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულების გამო უარი განაცხადა მისთვის გასამარჯელოს მიცემაზე.

ვალდებული იყო თუ არა ბრეგვაძე ეცნობებინა კილურაძისათვის დაკისრებული მოქმედების შესრულების მინდაძისათვის გადანდობის შესახებ?

მართლზომიერია თუ არა კილურაძის მოთხოვნა დაზოგილი თანხის უკან დაბრუნებისა და შეპირებული გასამარჯელოს გადაცემაზე უარის თქმის შესახებ?

ქაზუსი №251

შპს „ქსოვილმა“ გ. არჩვაძესთან დადო დავალების ხელშეკრულება. ხელშეკრულების მიხედვით არჩვაძეს წინასწარ შეთანხმებულ ფასად სასაქონლო ბირჟაზე მარწმუნებლისთვის უნდა შეეძინა უმაღლესი ხარისხის ნატურალური ტყავის ნედლეული. თუმცა კი აღმოჩნდა, რომ ტყავის ნედლეულის ფასი ბირჟაზე იმაზე მეტი იყო, ვიდრე ეს დავალების ხელშეკრულებით იყო განსაზღვრული. არჩვაძემ შეატყობინა ამის შესახებ მარწმუნებელს, მაგრამ მისგან გონივრულ ვადაში პასუხი ვერ მიიღო. არჩვაძემ იფიქრა, რომ ტყავის ნედლეულის ფასი შესაძლებელია კიდევ გაზრდილიყო, ამიტომაც მარწმუნებლის სახელით ბირჟაზე დადო ნასყიდობის ხელშეკრულება და თანხმობა განაცხადა გადაეხადა ტყავის ნედლეულის ღირებულება იმაზე მეტ ფასად, ვიდრე ეს ხელშეკრულებაში იყო მითითებული. მას შემდეგ, რაც მარწმუნებელმა მიიღო ტყავის ნედლეული, მან მისი ღირებულება რწმუნებულს აუნაზღაურა იმ

ფასად, რაც წინასწარ იყო შეთანხმებული დავალების ხელშეკრულებაში.

ვინ უნდა აანაზღაუროს ფასებს შორის სხვაობა – მარწმუნებელმა თუ რწმუნებულმა?

კ ა ზ უ ს ი № 252

ი. კილურაძემ დრამატულ თეატრთან დადო ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც იგი ვალდებულია კისრულობდა უზრუნველყო მსახიობების მოთავსება სასტუმროში მათი გასტროლების დროს. ხელშეკრულებაში მითითებულ იქნა მაქსიმალური ფასი, რომლის ზევითაც კილურაძეს არ შეეძლო სასტუმროს ნომერში გადაეხადა. მიიღო რა თეატრისაგან მორიგი დავალება, დაეჯავშნა ბილეთები მსახიობებისათვის ბათუმში გასტროლების დროს, კილურაძემ ვერ შეძლო მისი შესრულება იმასთან დაკავშირებით, რომ მოჰყვა ავტოსაგზაო შემთხვევაში და მიიღო სხეულის დაზიანება. მან თეატრს ამის შესახებ არაფერი აცნობა. როდესაც მსახიობები ჩავიდნენ ბათუმში, მათ სასტუმროში ვერ ნახეს თავისუფალი ადგილი ღამის გასათევად, რამეთუ ყველა ნომერი დაკავებული იყო, ამიტომაც იძულებულნი გახდნენ, ღამე გაეთიათ კერძო სახლებში და გადაიხადეს უფრო მეტი თანხა, ვიდრე ეს კილურაძესთან დადებულ ხელშეკრულებაში იყო დაფიქსირებული. თეატრმა ზარალი განიცადა და ამიტომ შეწყვიტა კილურაძესთან დადებული დავალების ხელშეკრულება. კიურაძისათვის შეპირებული გასამრჯელოს გადახდისას, თეატრმა გასამრჯელოს ოდენობა შეამცირა იმ თანხით, რომელიც მან გადაიხადა მსახიობებისათვის ბათუმში გასტროლების დროს და რომელიც აღემატებოდა ხელშეკრულებაში მითითებულ სასტუმროს ნომერში გადასახდელ მაქსიმალურ ფასს.

მართლზომიერია თუ არა თეატრის მოქმედებები?

ა. ნოზაძემ საკომისიო მალაზიას გასაყიდად ჩააბარა ვიდეომაგნიტოფონი, რომლის გასაყიდი ფასიც განისაზღვრა 500 ლარით. ხელშეკრულების დადებისას, კომისიონერმა კომინტანტი გააფრთხილა გასაყიდი ფასის შესაძლო შემცირების შესახებ იმ შემთხვევაში, თუკი მაგნიტოფონი სამ თვეში ვერ გაიყიდებოდა. აღნიშნულ ვადაში ვიდეომაგნიტოფონი ვერ გაიყიდა. მალაზიის დირექტორმა ნოზაძეს გაუგზავნა წერილობითი შეტყობინება თხოვნით, რომ ოცი დღის ვადაში გამოცხადებულიყო მალაზიაში, რათა შეემცირებინათ ვიდეომაგნიტოფონის გასაყიდი ფასი, მაგრამ ნოზაძე დადგენილ ვადაში მალაზიაში არ გამოცხადდა. მაშინ მალაზიის დირექტორმა თვითონ შეამცირა ვიდეომაგნიტოფონის გასაყიდი ფასი 350 ლარამდე და ამის შემდეგ მაგნიტოფონი მეორე დღესვე გაიყიდა.

ვიდეომაგნიტოფონის გაყიდვის შემდეგ ა. ნოზაძე გამოცხადდა მალაზიაში და მოითხოვა ხელშეკრულებით გათვალისწინებული თავდაპირველი თანხის – 560 ლარის გადახდა იმ მოტივით, რომ იგი არ იყო თანახმა გასაყიდი ფასის შემცირებისა, ხოლო შეტყობინების მიღების შემდეგ კი იმიტომ ვერ გამოცხადდა მალაზიაში, რომ სასწრაფოდ მოუწია წასვლა სამსახურებრივ მივლინებაში. მალაზიის დირექტორმა თანხმობა განაცხადა გადაეხადა ნოზაძისათვის მხოლოდ 350 ლარი, ხოლო თავდაპირველად შეთანხმებული თანხის გადახდაზე კი უარი განაცხადა იმ მოტივით, რომ ნოზაძეს აუცილებლად უნდა შეეტყობინებინა მისთვის მივლინებაში წასვლის შესახებ.

როგორ გადაწყდება დავა?

ნინო ბერიძემ საკომისიო მაღაზიაში შეიძინა ბეწვის ქურქი. სახლში მიტანიდან ერთი კვირის შემდეგ აღმოაჩინა, რომ ზოგიერთ ადგილას ბეწვი შეჭმული იყო ჩრჩილის მიერ. ამასთან დაკავშირებით, ნინომ მიმართა კომისიონერს და მოითხოვა ბეწვის ქურქის უკან მიღება და გადახდილი თანხის დაბრუნება ანდა გასაყიდი ფასის შემცირება. კომისიონერმა ამ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარი განაცხადა იმ მოტივით, რომ საკომისიო მაღაზიაში ნაყიდი ნივთები უკან დაბრუნებას არ ექვემდებარება, რამეთუ მაღაზიაში გამოკრულია წარწერა: „გაყიდილი საქონელი უკან არ მიიღება“, ამასთან, გამორიცხული არ არის, რომ ქურქი შემძენის მიერ იყო დაზიანებული. ნ. ბერიძემ სარჩელით მიმართა სასამართლოს. სასამართლოს მიერ დანიშნულმა ექსპერტიზამ დაადგინა, რომ ქურქი უკვე დიდი ხნის დაზიანებულია და იგი საკომისიო მაღაზიაში მიღებისთანავეა გასაყიდად უვარგისი. კომისიონერმა განაცხადა, რომ რადგან ქურქი არ არის დაზიანებული მაღაზიის ბრალით, ამიტომაც იგი პასუხს არ აგებს. სასამართლოში მოწმის სახით დაბარებულ იქნა ქურქის ყოფილი მესაკუთრე თ. მანჯგალაძე, რომელმაც განაცხადა, რომ მის მიერ საკომისიო მაღაზიაში ჩაბარებულ ქურქს არავითარი დეფექტი არ ჰქონია და ჩაბარებისას კომისიონერს მასში არ აღმოუჩენია რაიმე ნაკლი.

როგორ გადაწყვიტოთ დავა?

ი, ნემსაძე ერთი წლის ვადით მივლინებულ იქნა საზღვარგარეთ კვალიფიკაციის ასაძალღებლად. საზღვარგარეთ გამგზავრებამდე ნემსაძემ თავის მეზობელ კავაძესთან დადო საკუთრების მინდობის ხელშეკრულება ერთი წლის ვადით 1998 წლის 1 ოქტომბრიდან 1999 წლის 1 ოქტომბრამდე. ხელშეკრულებით ნემსაძემ კავაძეს სამართავად გადასცა თავის საკუთრებაში არსებული ქონება (საცხ-ოვრებელი სახლი და ავტომანქანა).

1999 წლის 10 სექტემბერს კავაძემ ნემსაძეს გაუგზავნა წერილობითი შეტყობინება, რომლითაც სთხოვდა მას გაეთავისუფლებინა ქონების შემდგომი მართვის მოვალეობისაგან, რამეთუ საცხ-ოვრებლად გადადიოდა სხვა ქალაქში. 1999 წლის 2 ოქტომბერს კავაძემ ნემსაძისაგან მიიღო წერილობითი შეტყობინება, სადაც ნემსაძე სთხოვდა, რომ დაეზღვია მისი კუთვნილი უძრავი და მოძრავი ქონება, რამეთუ გავიდა მათი დაზღვევის ხელშეკრულების ვადა. 1999 წლის 5 დეკემბერს ნემსაძე დაბრუნდა საზღვარგარეთ მივლინებიდან სახლში და შეიტყო, რომ 1999 წლის 20 ნოემბერს მომხდარი ხანძრის შედეგად დაიწვა მისი სახლი და ავტომანქანა. რადგან მთელი ქონება აღმოჩნდა დაუზღვეველი, ნემსაძემ სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა კავაძისაგან იმ თანხის გადახდა, რომლითაც ქონება აღრე იყო დაზღვეული. კავაძემ სარჩელი არ ცნო იმ მოტივით, რომ, როდესაც მან მიიღო თხოვნა ქონების დაზღვევის შესახებ, საკუთრების მინდობის ხელშეკრულების მოქმედების ვადა უკვე გასული იყო და, შესაბამისად, იგი არ იყო ვალდებული, რომ შეესრულებინა ნემსაძის მითითება.

რა გადაწყვეტილებას მიიღებს სასამართლო?

დ. ნემსაძეს მ. მალრაძემ საკუთრების მინდობის ხელშეკრულებით 5 წლის ვადით გადასცა ორსართულიანი შენობა. ხელშეკრულების მიხედვით მინდობილ მესაკუთრეს საკუთრების მიმდობის ინტერესების შესაბამისად, შეეძლო განეხორციელებინა სამართავად გადაცემული შენობის მიმართ ნებისმიერი სახის ფაქტობრივი და იურიდიული მოქმედებები. გასამრჯელოს სახით ნემსაძეს ეკუთვნოდა შენობის ექსპლუატაციის შედეგად მიღებული შემოსავლის ათი პროცენტი. ნემსაძემ შენობა იჯარით გადასცა საკონდიტრო მაღაზიას, ასევე ბანკისაგან აიღო კრედიტი და შენობას დააშენა კიდევ ორი სართული, სადაც მოაწყო რვა ოთახი, რომლებსაც აქირავებდა ხანმოკლე ვადით ჩამოსულ პირებზე. სახლის ექსპლუატაციის შედეგად მიღებულ მთელ შემოსავალს ნემსაძე უხდიდა კომერციულ ბანკს აღებული კრედიტის დასაფარავად, ხოლო მალრაძეს კი აწვდიდა მხოლოდ წერილობით ანგარიშს თავისი საქმიანობის შესახებ. მალრაძემ ნემსაძესთან თავისი ურთიერთობა არახელსაყრელად ჩათვალა და მოითხოვა ხელშეკრულების ვადამდე შეწყვიტა და ნემსაძისაგან ქონების მართვის დროს მიღებული შემოსავლის ანაზღაურება.

ჰქონდა თუ არა მინდობილ მესაკუთრეს სამართავად გადაცემული შენობის გადაკეთების უფლება?

მართლზომიერია თუ არა საკუთრების მიმდობის მოთხოვნა ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტისა და მიღებული შემოსავლის ანაზღაურების შესახებ?

როგორ გადავწყვიტოთ დავა?

ი. მგელაძემ ღამით მეტროთი მგზავრობისას მატარებლის ვაგონში აღმოაჩინა უმთევალყურეოდ დატოვებული ქალის ხელჩანთა, რომელშიც აღმოჩნდა შუბითიძის სახელზე გაცემული პირადობის მოწმობა, სტუდენტის ბილეთი, ორი გასაღები და ასი ლარის ოდენობის თანხა. მგელაძემ შუბითიძეს პირადობის მოწმობაში მითითებულ მისამართზე გაუგზავნა წერილი, რომელშიც შესთავაზა ნაპოვნი ნივთების დაბრუნება იმ პირობით, თუკი შუბითიძე მას გადაუხდოდა იმ ჯილდოს, რომელსაც თვითონ შესთავაზებდა.

მართლზომიერია თუ არა მგელაძის მოთხოვნა ნაპოვნი ჩანთის იმ პირობით დაბრუნების შესახებ, თუკი შუბითიძე მისცემდა მას ჯილდოს, მაშინ, როდესაც შუბითიძეს საჯაროდ არ გამოუცხადებია დაკარგული ჩანთის პოვნისათვის ჯილდოს დაწესების შესახებ?

რა უნდა მოიმოქმედოს შუბითიძემ იმ შემთხვევაში, თუკი მგელაძე ჯილდოს სახით მოითხოვს დიდი ღირებულების ჯილდოს?

ქენსიონერმა თ. არველაძემ სახლში მიიყვანა სამი წლის გოგონა — მაია, რომელიც დაიკარგა დიდ სუპერმარკეტში. რამდენიმე დღის შემდეგ ტელევიზორში გამოცხადებულ იქნა ის ტელეფონის ნომრები, რომლებზეც შეიძლებოდა, რომ დაერეკათ დაკარგული ბავშვის ადგილსამყოფელის შესახებ, ასევე დაწესებულ იქნა ჯილდო ინფორმაციის მიმწოდებლისათვის. თ. არველაძემ მაიას მშობლებს შეატყობინა, რომ ბავშვი იმყოფება მასთან და მოსთხოვა მათ შეპირებული ჯილდოს გადაცემის გარდა, იმ ხარჯების ანაზღაურებაც, რომელიც მან განიცადა ბავშვის შენახვასა და მოვლასთან დაკავშირებით.

ქონდა თუ არა თ. არველაძეს უფლება, რომ ნაპოვნი ბავშვი სახლში მიეყვანა და იქ ჰყოლოდა?

მართლზომიერია თუ არა თ. არველაძის მოთხოვნა გაწეული ხარჯების ანაზღაურების შესახებ?

კ ა ზ უ ს ი №259

მარტოხელა მოხუცმა გ. ხომერიკმა ქუჩაში იპოვა ტაქსას ჯიშის ძაღლი. რამდენიმე დღის შემდეგ მან გაზეთში წაიკითხა განცხადება, სადაც გამოცხადებული იყო, რომ დაკარგული ძაღლის მპოვნელი დასაჩუქრდებოდა და მითითებული იყო ტელეფონის ნომერი. ხომერიკმა დარეკა მითითებულ ტელეფონის ნომერზე. მას ქალმა უპასუხა, თუ სად უნდა მიეყვანა ძაღლი. ბინის მეპატრონე აღმოჩნდა თ. მესხიძე, რომელმაც დაადასტურა, რომ ძაღლი მას ეკუთვნოდა, მაგრამ არავითარი განცხადება არ გამოუქვეყნებია, ხოლო განცხადებაში მითითებული ტელეფონის ნომერი მის მეზობელს, ქეთევანს ეკუთვნოდა, რომელთანაც მესხიძეს ცუდი დამოკიდებულება აქვს და მასთან უსიამოვნო ურთიერთობაში იმყოფება.

ვალდებულია თუ არა თ. მესხიძე, რომ დაიბრუნოს ნაპოვნი ძაღლი და გადაუხადოს მპოვნელს გასამრჯელო?

როგორ უნდა მოიქცეს გ. ხომერიკი იმ შემთხვევაში, თუკი მესხიძე და მისი მეზობელი ქეთევანი უარს აცხადებენ მისთვის გასამრჯელოს გადახდაზე?

მწერალთა კავშირმა სახელგანთქმული მწერლის გარდაცვალების შემდეგ მისი სახელის უკვდავსაყოფად გამოაცხადა კონკურსი მწერლის ბრინჯაოს ძეგლის შესაქმნელად. კონკურსის პირობებით გათვალისწინებული იყო, რომ მწერალი გამოსახული უნდა ყოფილიყო მჯდომარე მდგომარეობაში თავის საყვარელ სავარძელში და ხელში უნდა სჭეროდა საწერკალამი და რვეული. ნამუშევრები უნდა წარედგინათ 1998 წლის 10 ივნისიდან 1998 წლის 10 დეკემბრის ჩათვლით. 1998 წლის 15 აგვისტოს მწერალთა კავშირმა პრესაში გამოაქვეყნა ინფორმაცია კონკურსის პირობების შეცვლის შესახებ, სახელდობრ, მწერალი გამოსახული უნდა ყოფილიყო ფეხზე მდგომარე და ხელში უნდა სჭეროდა ლექსების გადაშლილი წიგნი. მოქანდაკე ივანიძემ ამ დროისათვის უკვე დაამზადა მწერლის ძეგლი კონკურსის თავდაპირველი პირობების შესაბამისად და წარუდგინა იგი მწერალთა კავშირის საკონკურსო კომისიას.

აქვს თუ არა უფლება ივანიძეს, მოითხოვოს კონკურსის გამომცხადებლებისაგან იმ ხარჯების ანაზღაურება, რომელიც მან გასწია ძეგლის დასამზადებლად მანამდე, სანამ გამოცხადებული იქნებოდა კონკურსის პირობებში ცვლილებების შეტანის შესახებ?

რა შემთხვევაში თავისუფლდება პირი, რომელმაც გამოაცხადა კონკურსი, მაგრამ შემდგომში მის პირობებში შეიტანა ცვლილებები, კონკურსში მონაწილე პირების მიერ ცვლილებების გამოცხადებამდე გაწეული ხარჯების ანაზღაურების მოვალეობისაგან?

შპს „არქიტექტორმა“ გამოაცხადა კონკურსი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის შექმნის შესახებ. კონკურსის ერთ-ერთ პირობად მითითებული იყო, რომ პროექტი გამზადებული უნდა ყოფილიყო კონკურსის გამოცხადებიდან ექვსი თვის ვადაში. კონკურსის გამოცხადებიდან ოთხი თვის შემდეგ შპს არქიტექტორმა“ გააუქმა იგი. თუმცა კი ხუთმა არქიტექტორმა ამ დროისათვის უკვე წარუდგინა კონკურსის გამომცხადებელს თავიანთი ნამუშევრები და მოითხოვს მათ შორის კონკურსის ჩატარება.

დაარღვია თუ არა შპს „არქიტექტორმა“ გამოცხადებული კონკურსის გაუქმების ვადა?

ვალდებულია თუ არა კონკურსის გამომცხადებელი, რომ ჩაატაროს კონკურსი ხუთ მონაწილეს შორის, რომლებმაც ნამუშევრები წარადგინეს კონკურსის გაუქმებამდე და გადასცეს პრიზი გამარჯვებულს?

ჟურნალმა „მსახიობმა“ გამოაცხადა თეატრისა და კინოს ცნობილი მსახიობებისთვის კონკურსი მათ მიერ მცირე მოცულობის მოთხრობის დაწერის შესახებ, სადაც გადმოცემული იქნებოდა მათი პროფესიული ცხოვრებისეული კურიოზები და სასაცილო შემთხვევები. კონკურსში გამარჯვებულისათვის დაწესებული იყო პრიზი ვერცხლის თასის სახით, გარდა ამისა, კონკურსის გამომცხადებელი იღებდა უპირატეს უფლებას, გამოექვეყნებინა თავის ჟურნალში საუკეთესოდ ცნობილი ნაწარმოები. კონკურსი ჩატარდა გამოცხადებულ ვადაში, თუმცა კი, მისი შედეგები გამოქვეყნდა ორი დღის დაგვიანებით, საიდანაც გაირკვა, რომ პრიზი მიენიჭა ორ კონკურსანტს.

იქონიებს თუ არა გავლენას კონკურსის ნამდვილობაზე ის გარემოება, რომ კონკურსის შედეგები გამოქვეყნდა ორი დღის დაგვიანებით?

როგორ შეიძლება, რომ ორმა გამარჯვებულმა ერთმანეთში გაინაწილოს პრიზი?

კაზუსი №263

2000 წლის მაისის თვეში დაგეგმილი იყო სილამაზის კონკურსის ჩატარება. კონკურსის ორგანიზატორებმა ერთ-ერთ სპონსორთან დადეს ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც სპონსორი გამოყოფდა კონკურსის ჩასატარებლად დაქირავებული შენობის ქირის გადასახდელად ფულად სახსრებს და კონკურსში გამარჯვებულს გადასცემდა „მერსედესის“ ფირმის მსუბუქ ავტომანქანას. 2000 წლის 29 აპრილს, როდესაც უნდა დადებულიყო დარბაზის ქირავნობის ხელშეკრულება, სპონსორმა კონკურსის ორგანიზატორებს შეატყობინა, რომ გარემოებების შეცვლის გამო, იგი თანახმაა კონკურსში გამარჯვებულს გადასცეს ავტომანქანა „მერსედესის“ ნაცვლად ავტომანქანა „ნივა“. კონკურსის ორგანიზატორებმა მოითხოვეს ხელშეკრულების პირობების შესრულება, რამეთუ კონკურსის გამოცხადებისას გამარჯვებულისთვის პრიზის სახით დაწესებული იყო ავტომანქანა „მერსედესი“. სპონსორი კი ამტკიცებდა, რომ რადგანაც გაიზარდა არასაცხოვრებელი ფართის ქირავნობისათვის დადგენილი ქირის ტარიფი, ხელშეკრულებით შეთანხმებული ფულადი თანხის ჯამი უცვლელი რჩება და, შესაბამისად, მან თავისი ვალდებულება ჯეროვნად შეასრულა. კონკურსის ორგანიზატორებმა სარჩელით მიმართეს სასამართლოს.

რა გადაწყვეტილებას მიიღებს სასამართლო?

ნ. კალანდია, რომელიც დასასვენებლად იმყოფებოდა სანატორიუმში, სანატორიუმის შემნახველი საკნიდან გამოიტანა ოქროს სამკაულები, რათა გაეკეთებინა ისინი საღამოსათვის საზეიმო შეხვედრაზე და შეინახა თავის სასტუმრო ოთახში. სანატორიუმის კაფეში ვახშმობის შემდეგ ნ. კალანდია ავიდა თავის ოთახში სამკაულების გასაკეთებლად, მაგრამ აღმოაჩინა, რომ ისინი მოპარული იყო. ნ. კალანდიამ მიმართა სასტუმროს ადმინისტრაციას, მაგრამ ნაქურდული ნივთების პოვნა ვერ მოხერხდა. ერთი კვირის შემდეგ ნ. კალანდიამ სანატორიუმის დირექტორისაგან მოითხოვა მოპარული ძვირფასეულობის ღირებულების ანაზღაურება. დირექტორმა უარი განაცხადა კალანდიას მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე იმ მოტივით, რომ სანატორიუმი პასუხს აგებს მხოლოდ იმ ნივთებისათვის, რომლებიც შესანახად არის მისთვის ჩაბარებული და რადგანაც ნ. კალანდიამ ძვირფასეულობა გამოიტანა შემნახველი საკნიდან, შესაბამისად, იგი თავად აგებს პასუხს ნივთების დაკარგვისათვის.

ნ. კალანდიამ სარჩელით მიმართა სასამართლოს.

რა გადაწყვეტილებას მიიღებს სასამართლო?

დ. ნემსაძემ რკინიგზის სადგურის შემნახველ საკანში შეინახა ჩემოდანი და ჩანთა, რომლებშიც იღო ძვირფასი ტანსაცმელი, აკრიფა შემნახველი საკნის შიფრი, ჩაიწერა მისი ნომერი, რის შემდეგაც სადგურის ადმინისტრატორმა მისცა მას ჟეტონი და ჩართო სიგნალიზაცია. სამი დღის შემდეგ, გამგზავრების დღეს, ნემსაძე მივიდა ნივთების წამოსაღებად, გადასცა ადმინისტრატორს ჟეტონი, აკრიფა საკნის შიფრი, მაგრამ საკანი არ გაიღო. მაშინ ნემსაძის

მოთხოვნით, ადმინისტრატორმა თავისი გასაღებით გააღო შემნახველი საკანი, მაგრამ იქ ნემსაძის ნივთები არ აღმოჩნდა და საკანი ცარიელი იყო. დ. ნემსაძემ მიმართა რკინიგზის სადგურის ხელმძღვანელობას დაკარგული ნივთების ღირებულების ანაზღაურების მოთხოვნით, რაზეც რკინიგზის ადმინისტრაციამ უარი განაცხადა იმ მოტივით, რომ იგი პასუხს არ აგებს შემნახველ საკანში არსებული ნივთების დაკარგვისათვის.

დ. ნემსაძემ სარჩელით მიმართა სასამართლოს.

რა გადაწყვეტილებას მიიღებს სასამართლო?

კ ა ზ უ ს ი № 266

შვებულებაში წასვლამდე ერთი კვირით ადრე მ. ლებანიძემ დადო მიბარების ხელშეკრულება. ხელშეკრულების მიხედვით ლებანიძეს 1999 წლის 10 ივლისს შემნახველისათვის შესანახად უნდა გადაეცა ძვირფასეულობა, ვერცხლის დანა-ჩანგალი, ბეწვის ქურქი და გადაეხადა შეთანხმებული გასამრჯელო. ხელშეკრულება დადებულ იქნა ერთი თვის ვადით. თუმცა კი მოხდა ისე, რომ იმ ქარხანაში, სადაც მუშაობდა მ. ლებანიძე, საწარმოო აუცილებლობის გამო, მას შვებულება მისცეს ერთი თვის დაგვიანებით. თავისი ნივთები მ. ლებანიძემ შემნახველს მიუტანა 12 აგვისტოს, მაგრამ მან უარი განაცხადა ნივთების მიღებაზე ადრე დადებული ხელშეკრულების მიხედვით, იმ მოტივით, რომ ხელშეკრულების ვადა უკვე გავიდა და მიმბარებელმა უნდა აუნაზღაუროს მას ის ზიანი, რომელიც განიცადა არშემდგარი შენახვის შედეგად და შესთავაზა ახალი მიბარების ხელშეკრულების დადება. ლებანიძემ დადო ახალი მიბარების ხელშეკრულება, მაგრამ უარი განაცხადა ძველი ხელშეკრულებით გათვალისწინებული გასამრჯელოს გადახდაზე. მიბარების ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ შესანახად ჩაბარებული ნივთების უკან წაღებისას, მ. ლებანიძემ აღმოაჩნია, რომ ბეწვის ქურქი

ზოგიერთ ადგილას დაზიანებული იყო ჩრჩილის მიერ, ხოლო ვერცხლის დანა-ჩანგალი კი — გაშავებული. მ. ლებანიძემ შემნახველს მოსთხოვა ქურქის რესტავირებისა და დანა-ჩანგლის გაწმენდის სამუშაოების ღირებულების ანაზღაურება, უარი განაცხადა შეთანხმებული გასამრჯელოს გადახდაზე, მანამ, სანამ შემნახველი არ დააკმაყოფილებდა მის მოთხოვნებს, ხოლო არშემდგარი შენახვისათვის გასამრჯელოს გადახდას კი, საერთოდ, არც აპირებდა. შემნახველმა უარი განაცხადა მიმბარებლის მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე და თავის მხრივ, მოითხოვა შეთანხმებულ გასამრჯელოს გადახდა და არშემდგარი შენახვის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

აქვს თუ არა შემნახველს უფლება, რომ უარი განაცხადოს ნივთების შესანახად მიღებაზე იმ შემთხვევაში, თუკი ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში მიმბარებელმა არ გადასცა ისინი მას?

აქვს თუ არა მიმბარებელს უფლება, რომ მოითხოვოს შემნახველისაგან იმ ზიანის ანაზღაურება, რომელიც მან განიცადა შესანახად ჩაბარებული ნივთების დაზიანების შედეგად?

კა'ს'სსი №267

ი. კილურაძემ თ. მეგრელიშვილს შესანახად მიაბარა ვიდეოაპარატურა. ხელშეკრულება დადებულ იქნა სამი თვის ვადით. ორი თვის შემდეგ იმ საწყობში, სადაც ინახებოდა ვიდეოაპარატურა, გასკდა წყლის მილი, რამაც გამოიწვია საწყობის დატბორვა და იქ მოთავსებული ნივთებისა და მათ შორის ვიდეოაპარატურის დაზიანებაც. თ. მეგრელიშვილმა დაზიანებული ვიდეოაპარატურა მიიტანა აპარატურის შემკეთებელ სახელოსნოში, სადაც იგი გაწმინდეს და გააშრეს, რის შედეგადაც ვიდეოაპარატურა გამოსადეგი გახდა სარგებლობისათვის. ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ შემნახველმა მიმბარებელს მოსთხოვა მის მიერ ვიდეოაპარა-

ტურის შეკეთებაზე გაწეული გაუთვალისწინებელი ხარჯების ანაზღაურება იმ მოტივით, რომ თუკი იგი ვიდეოაპარატურას დაუყოვნებლივ არ შეაკეთებდა, მაშინ იგი გამოუსადეგარი გახდებოდა სარგებლობისათვის. ი. კილურაძემ უარი განაცხადა დამატებითი ხარჯების ანაზღაურებაზე იმ მოტივით, რომ ვიდეოაპარატურის დაზიანებაში ბრალი მიუძღოდა თვითონ შემნახველს, რამეთუ თუკი იგი აპარატურას შეინახავდა თაროზე და არა იატაკზე, მაშინ ვიდეოაპარატურა საერთოდ არ დაზიანდებოდა.

**ვინ არის მართალი – მიმბარებელი თუ შემნახველი?
როგორ გადავწყვიტოთ დავა?**

კ ა ზ უ ს ს ი № 268

ო. პავლიაშვილმა რკინიგზის სადგურის შემნახველ საკანში შესანახად ჩააბარა ბარგი. მატარებლის გასვლის მოლოდინში პავლიაშვილი სადგურიდან გარეთ გამოვიდა, მაგრამ მოულოდნელად წაბორძიკდა და მოიტეხა მენჯის ძვალი. ო. პავლიაშვილი მკურნალობდა ოთხი თვის განმავლობაში. როგორც კი შეძლო დამოუკიდებლად სიარული, იგი მივიდა რკინიგზის სადგურში, საკანში ჩაბარებული თავისი ბარგის უკან წასადებად. რკინიგზის ადმინისტრაციამ მას აცნობა, რომ საკანში მის მიერ ჩაბარებული ნივთები უკვე გაიყიდა და შესთავაზა მათი რეალიზაციის შედეგად მიღებული თანხა.

**მართლზომიერია თუ არა შემნახველის მოქმედებები?
როგორ უნდა მოიქცეს ო. პავლიაშვილი მოცემულ სიტუაციაში?**

თეატრის გარდერობში მისი მომსახურის – ბ. რაზმაძის ბრალით, რომელმაც ჩართული დატოვა ელექტროგამაცხელებელი, გაჩნდა ხანძარი, რომელიც, მართალია, სწრაფად ჩააქრეს, მაგრამ დააზიანა თეატრში სპექტაკლის სანახავედ მოსული მაყურებლის – ნოზაძის ქურქი. ნოზაძემ თეატრის ადმინისტრაციას მოსთხოვა ქურქის ღირებულების ანაზღაურება. თეატრის ადმინისტრაციამ თანხმობა განაცხადა აენაზღაურებინა ქურქის რესტავრირების ხარჯები, მაგრამ უარი თქვა დაზიანებული ქურქის მთლიანი ღირებულების ანაზღაურებაზე.

მართლზომიერია თუ არა ნოზაძის მოთხოვნა?

ვინ უნდა აანაზღაუროს ზიანი – ბ. რაზმაძემ თუ თეატრის ადმინისტრაციამ?

ზ. შველიძემ სასტუმროს ნომრის აღებისას რეგისტრაციაში გატარების დროს ხელი მოაწერა, რომ გაეცნო სასტუმროს წესებს. მათში აღნიშნული იყო, რომ სასტუმრო პასუხს არ აგებს იმ ზიანისათვის, რომელიც მიადგება სტუმარს იმ ქონების დაკარგვით, განადგურებით ან დაზიანებით, რომელიც მას თან ჰქონდა. ღამით ზ. შველიძის ნომრიდან მოიპარეს ტყავის ქურთუკი, ძვირფასი ფეხსაცმელი და ელექტროსაპარსი. ზ. შველიძემ სასტუმროს ადმინისტრაციას მოსთხოვა მოპარული ნივთების ღირებულების ანაზღაურება. სასტუმროს ადმინისტრაციამ უარი განაცხადა შველიძის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე იმ მოტივით, რომ იგი გაეცნო სასტუმროს მიერ დადგენილ წესებს, დაეთანხმა მათ, რაც დაადასტურა თავისი ხელმოწერით.

გაათავისუფლებს თუ არა სასტუმროს პასუხისმგებლობისაგან

ის გარემოება, რომ მან წინასწარ განაცხადა იმის შესახებ, რომ პასუხს არ აგებს სტუმრის ნივთების დაკარგვის ან დაზიანებისათვის?

აქვს თუ არა სტუმარს უფლება, რომ მოსთხოვოს ადმინისტრაციას სასტუმროს ოთახიდან დაკარგული ნივთების ღირებულების ანაზღაურება, თუკი მან წინასწარ იცის, რომ სასტუმრო ამისათვის პასუხს არ აგებს?

კ ა ზ უ ს ი №271

ი. მესხიძემ კომერციულ ბანკში ანაბრის ხელშეკრულების საფუძველზე შეიტანა 10000 ლარი სამი წლის ვადით. ხელშეკრულების დადებისას, მხეიძემ ბანკის ადმინისტრაციას მოსთხოვა, მიეწოდებინათ მისთვის ინფორმაცია ბანკის ლიკვიდურობისა და ბონიტეტის შესახებ. მიღებულმა ინფორმაციამ მხეიძე დააკმაყოფილა. ანაბრის ხელშეკრულებით განისაზღვრა, რომ შეტანილ ფულად თანხას ყოველთვიურად დაერიცხებოდა სამი პროცენტი. ხელშეკრულების დადებიდან ექვსი თვის შემდეგ აუდიტორული შემოწმების შედეგებმა აჩვენა, რომ ბანკის აქტივები მნიშვნელოვნად შემცირდა, რომ ბანკს ნახევარი წლის განმავლობაში არანაირი მოგება არ მიუღია და შეექმნა საფრთხე შეტანილი ანაბრის უკან თავისდროულად დაბრუნებას. ი. მესხიძემ კომერციული ბანკისაგან მოითხოვა შეტანილი ანაბრის დაუყოვნებლივ უკან, ვადამდე დაბრუნება, სამი წლის განმავლობაში დასარიცხი პროცენტების ერთდროულად გადახდა და იმ ზიანის ანაზღაურება, რომელიც შეანაბრეს მიადგა ბანკის ლიკვიდურობის შესახებ არასწორი ინფორმაციის გაცემის შედეგად.

მართლზომიერია თუ არა შეანაბრის მოთხოვნები ბანკის მიმართ? როგორ გადაეწყვიტოს დავა?

ინდივიდუალურმა მეწარმემ, კილურაძემ, რომელიც ჰოლანდიაში აწარმოებდა შებოლილი ხორცის შესყიდვასა და საქართველოში გაყიდვას, კომერციულ ბანკში გახსნა ანგარიში. ბანკის მენეჯერმა კილურაძეს არ შეატყობინა, რომ ჰოლანდიასთან მათ არ ჰქონდათ საკორესპონდენტო კავშირურიერთობები. ამის შემდეგ ერთი თვის გასვლიდან კილურაძემ კომერციულ ბანკს მისცა დავალება, რომ მისი ანგარიშიდან ჰოლანდიაში გახსნილ საბანკო ანგარიშზე გადაერიცხათ 50000 ათასი ამერიკული დოლარი და თვითონ კი გაემგზავრა ჰოლანდიაში შებოლილი ხორცის მორიგი პარტიის შესაძენად. თუმცა კი კომერციულმა ბანკმა კილურაძეს ჰოლანდიაში ვერ გადაურიცხა თანხა და ამიტომაც მან ვერ შეძლო ხორცის შესყიდვა და ზარალი განიცადა. როდესაც კილურაძე საქართველოში დაბრუნდა, სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა კომერციული ბანკისაგან ჰოლანდიაში მის საბანკო ანგარიშზე ფულადი თანხის არგადარიცხვის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

როგორ გადაწყვეტილებას მიიღებს სასამართლო?

ი. მოდებაძემ, რომელსაც კომერციულ ბანკში გახსნილი ჰქონდა ანგარიში, მისცა ბანკს განკარგულება, რომ მისი ფულადი ანგარიშიდან ა. მინდაძის ფულად ანგარიშზე გადაერიცხა 40000 ლარი. ფულის გადარიცხვის შესახებ მოდებაძემ შეატყობინა მინდაძეს. ორი კვირის შემდეგ მინდაძემ პრეტენზიით მიმართა მოდებაძეს მისგან ფულადი თანხის მიუღებლობის შესახებ და მოსთხოვა იმ ზიანის ანაზღაურება, რომელიც მან განიცადა ფულადი სახსრების არქონის გამო ჩაშლილი გარიგების შედეგად. გაირკვა, რომ კომერციულმა ბანკმა, რომელშიც მოდებაძეს ჰქონდა გახსნილი ანგარიში, მისი

განკარგულება ფულადი თანხის გადარიცხვის შესახებ შეასრულა თორმეტი დღის დაგვიანებით. თავის მხრივ, ი. მოდებამე მიმართა კომერციულ ბანკს მოთხოვნით, იმ ზიანის ანაზღაურების შესახებ, რომელიც წარმოიშვა მისი ანგარიშიდან მინდაძის ანგარიშზე ფულადი თანხის დაგვიანებით გადარიცხვის შედეგად. კომერციულმა ბანკმა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარი განაცხადა იმ მოტივით, რომ მოდებამისგან განკარგულების მიღების შემდეგ ბანკს არ ჰქონდა შესაბამისი რაოდენობის თავისუფალი ფულადი თანხა.

როგორ გადავწყვიტოთ დავა?

კ ა ზ უ ს ი №274

თ. ტყემალაძე, რომელსაც კომერციულ ბანკში შეტანილი ჰქონდა ანაბარი, უბედური შემთხვევის შედეგად მოულოდნელად გარდაიცვალა. ტყემალაძეს დარჩა ორი პირველი რიგის მემკვიდრე — ქმარი და შვილი, რომლებმაც კომერციულ ბანკს მიმართეს მოთხოვნით, მიეცა მათთვის ანგარიშზე არსებული ფულადი თანხა და წარადგინეს თ. ტყემალაძის საშემნახველო წიგნაკი, მისი გარდაცვალების მოწმობა და დოკუმენტები, რომლებიც მათ ნათესაურ კავშირს ადასტურებდა. კომერციულმა ბანკმა უარი განაცხადა მათი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე იმ მოტივით, რომ თ. ტყემალაძის მიერ უშუალოდ ბანკში განცხადებულ საანდერძო განკარგულებით, ანაბრის მიმღებად მითითებული იყო სულ სხვა პირი, რომლის ვინაობის დასახელებაზეც ბანკმა თ. ტყემალაძის მემკვიდრეებს უარი განუცხადა.

მართლზომიერია თუ არა კომერციული ბანკის უარი — გადასცეს თ. ტყემალაძის პირველი რიგის მემკვიდრეებს ანაბარი?

აქვთ თუ არა მემკვიდრეებს უფლება, რომ კომერციული ბანკისაგან შეიტყონ, თუ ვის სასარგებლო იქნა გაკეთებული საანდერძო განკარგულება ანაბრის შესახებ?

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების წევრთა საერთო კრებამ მიიღო ხმათა უმრავლესობით გადაწყვეტილება, რომ საზოგადოების გენერალურ დირექტორს, ი. მაისურაძეს ჩამორთმეოდა უფლება, ხელი მოეწერა საზოგადოების საგადამხდელო დოკუმენტებზე. შპს შედგებოდა სამი დამფუძნებლისაგან, რომელთაგანც ორს ეკუთვნოდა საწესდებო კაპიტალის 80%, ხოლო ი. მაისურაძეს, რომელიც იმავდროულად გენერალური დირექტორიც იყო, ეკუთვნოდა საწესდებო კაპიტალის 20% და იგი წევრთა საერთო კრებას არ ესწრებოდა.

კრების გადაწყვეტილება გადაეცა იმ კომერციულ ბანკს, რომელშიც შპს-ს გახსნილი ჰქონდა ანგარიში. ამის შემდეგ, მეორე დღეს, ი. მაისურაძემ ბანკში წარადგინა სათანადოდ გაფორმებული საგადამხდელო დავალება 10000 ლარის გადახდის შესახებ შპს-ის ანგარიშიდან. ბანკმა უარი განაცხადა დავალების შესრულებაზე იმ მოტივით, რომ საერთო კრებამ ი. მაისურაძეს ჩამოართვა საგადამხდელო დოკუმენტებზე საზოგადოების სახელით ხელის მოწერის უფლება. ამის საპასუხოდ ი. მაისურაძემ ბანკს განუცხადა, რომ შპს-ის წესდებაში წერია, რომ საერთო კრება უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუკი მას ესწრება ყველა დამფუძნებელი და რადგანაც იგი არ ესწრებოდა კრებას, შესაბამისად, კარების მიერ მიღებული გადაწყვეტილება უკანონოა.

როგორ გადაწყვიტოთ დავა?

კომერციულმა ბანკმა „ბიზნესმა“ მიიღო საგადამხდელი დავალება თავისი კლიენტის, ი. მგელაძის ანგარიშიდან 20000 ლარის გადახდის შესახებ. საგადამხდელი დავალება მიცემული იყო ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის მიერ და მითითებული ფულადი თანხა შეადგენდა იმ ზიანს, რომელიც მიყენებული იყო ი. მგელაძის მიერ ხანძარსაწინააღმდეგო წესების უხეში დარღვევის შედეგად. კომერციულმა ბანკმა მიღებული დავალების საფუძველზე, მგელაძის საბანკო ანგარიშიდან მოახდინა აღნიშნული ფულადი თანხის ჩამოწერა. ი. მგელაძემ სარჩელით მიმართა სასამართლოს და კომერციული ბანკისაგან მოითხოვა მის ანგარიშზე ჩამოწერილი ფულადი თანხის აღდგენა იმ მოტივით, რომ საგადამხდელი დავალება ბანკისათვის მიცემული იყო არაუფლებამოსილი ორგანოს მიერ.

როგორ გადაწყვეტილებას მიიღებს სასამართლო?

კომერციულმა ბანკმა „ბიზნესმა“ თავისი კლიენტისაგან მიიღო ვეროვნად გაფორმებული საგადამხდელი დავალება. ბანკის თანამშრომლის შეცდომის შედეგად კლიენტის ანგარიშიდან ფულადი თანხას ვადარიცხვა მოხდა სამი დღის შემდეგ საგადამხდელი დავალებას მიღებიდან. კლიენტმა სარჩელით მიმართა სასამართლოს კომერციული ბანკის წინააღმდეგ და მოითხოვა სხვისი ფულადი სახსრებით სარგებლობისათვის პროცენტის გადახდა, ასევე იმ ფულადი თანხის ანაზღაურება, რომელიც მან საჯარო სასამართლოს სხვა ვადარეგულირებად თავის კონტრაგენტს ნასყიდობის ხელშეკრულებით ვაგადასაწინებელი ნაყიდი ნივთის ღირებულების დაგვიანებით გადახდასაკის.

როგორ გადაწყვეტილებას მიიღებს სასამართლო?

1999 წლის 10 მაისს შპს „მშენებელმა“ და შპს „ოაზისმა“ დადეს ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულება ოთხვარსკვლავიანი სასტუმროს აშენებისა და ერთობლივი ექსპლუატაციის შესახებ. ხელშეკრულების მიხედვით სასტუმრო უნდა აშენებულიყო შპს „მშენებლის“ მიერ, შპს „ოაზისი“ კი სასტუმროს ასაშენებლად გამოყოფდა სამშენებლო მიწის ნაკვეთს და საჭირო რაოდენობის ფულად სახსრებს, ხოლო სასტუმროს ექსპლუატაციის შედეგად მიღებული შემოსავალი კი მონაწილეთა შორის უნდა განაწილებულიყო თანაბრად. სასტუმროს მშენებლობის ხარჯთაღრიცხვამ შეადგინა 200000 ლარი, რომელთაგანაც 50000 ლარი შპს „ოაზისმა“ შპს „მშენებელს“ გადაურიცხა ხელშეკრულებაზე ხელისმოწერიდან ათ დღეში. ხელშეკრულებაში დამატებითი პირობის სახით აღნიშნული იყო, რომ „მიღებული ფულადი სახსრები შპს „მშენებლის“ მიერ გამოყენებული უნდა ყოფილიყო მხოლოდ მშენებლობისათვის და კონტროლს ფულადი სახსრების ხარჯვაზე განახორციელებდა შპს „ოაზისი“.

1999 წლის ივნისის ბოლოს შპს „ოაზისმა“ შპს „მშენებელს“ მოსთხოვა ანგარიშის წარდგენა მშენებლობის მიმდინარეობისა და ფულადი სახსრების მიზნობრივად გამოყენების შესახებ. პასუხად შპს „მშენებელმა“ განაცხადა, რომ მას საერთოდ არ დაუწყია სასტუმროს მშენებლობა, რამეთუ გამოყოფილი მიწის ნაკვეთი სასტუმროს ასაშენებლად არ გამოდგება და შესთავაზა შპს „ოაზისს“ (ამხანაგობის) ხელშეკრულების შეწყვეტა. შპს „ოაზისმა“ ხელშეკრულების შეწყვეტაზე თანხმობა განაცხადა, თუმცა კი მოსთხოვა შპს „მშენებელს“ ფულადი სახსრების სარგებლობისათვის კანონით დადგენილი პროცენტის გადახდა. „მშენებელმა“ ამ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარი განაცხადა. შპს „ოაზისმა“ სარჩელით მიმართა სასამართლოს.

როგორ გადაწყვეტილებას მიიღებს სასამართლო?

ი. მგელაძემ, ო. მაკარიძემ და ვ. მირცხულავამ დადეს ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულება. ამხანაგობის ქონებაში მგელაძემ შეიტანა 70%, ხოლო მაკარიძემ და მირცხულავამ კი — 15-15% ოდენობის შენატანი. ხელშეკრულების მიხედვით მგელაძე უფლებამოსილი იყო ამხანაგობის სახელით განეხორციელებინა ყოველგვარი ფაქტობრივი და იურიდიული მოქმედება, ხოლო მაკარიძე და მირცხულავა კი მონაწილეობას არ იღებდნენ ამხანაგობის საქმეების მართვაში, თუმცა მათი ხელშეკრულებით მინიჭებული ჰქონდათ უფლება, რომ მგელაძისაგან ყოველთვიურად მოეთხოვათ ინფორმაცია ამხანაგობის მიერ წარმოებული საქმეების შესახებ და გასცნობოდნენ ამხანაგობის ფინანსურ დოკუმენტაციასა და საქმიანი ხასიათის წერილებს. ერთი წლის განმავლობაში მგელაძემ პარტნიორებს არანაირი ინფორმაცია არ მიაწოდა. ამხანაგობის მონაწილეთა საერთო კრებაზე ო. მაკარიძემ მგელაძისაგან მოითხოვა, რომ ჩატარებულიყო ამხანაგობის საქმიანობისა და დოკუმენტაციის შემოწმება, რათა გარკვეულიყო რეალურად როგორია ამხანაგობის ფინანსური მდგომარეობა. მაკარიძის მოთხოვნას მხარი დაუჭირა მირცხულავამაც და რადგანაც ხელშეკრულებით არ იყო გათვალისწინებული სარევიზიო კომისიის შექმნა, პარტნიორებს შესთავაზა შემოწმება ჩატარებინა დამოუკიდებელ აუდიტორს, რაზეც ი. მგელაძემ და ო. მაკარიძემ თანხმობა განაცხადეს. თუმცა კრების ჩატარებიდან ერთი თვის შემდეგ მგელაძემ მაკარიძე გარიცხა ამხანაგობის წევრობიდან იმ მოტივით, რომ იგი უხეშად არღვევდა მასზე დაკისრებულ მოვალეობებს, ხოლო მის ნაცვლად კი ამხანაგობის წევრად მიიღო ბ. ცერცვაძე. მგელაძეს განხორციელებული მოქმედებების შესახებ მირცხულავასაგან თანხმობა არ მიუღია. ო. მაკარიძემ სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა ამხანაგობის წევრობიდან მისი გარიცხვის შესახებ გადაწყვეტილების ბათილად ცნობა. სასამართლომ არ დააკმაყოფილა მისი მოთხოვნა იმ მოტივით, რომ გადაწყვეტილება მიიღო

ამხანაგობის იმ წევრმა, რომელსაც ამხანაგობის ქონებაში გააჩნია 80% წილი და, შესაბამისად, ხმათა უმრავლესობა.

სწორი გადაწყვეტილება მიიღო თუ არა სასამართლომ?

ქაზუსი №280

ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულება დაიღო სამ მონაწილეს შორის. ხელშეკრულების მიხედვით ამხანაგობის თითოეულ წევრს – ა. მინდაძეს, ბ. ნიკურაძესა და თ. ფუტყარაძეს დამოუკიდებლად შეეძლოთ დაედოთ ხელშეკრულებები, მონაწილეობა მიეღოთ ამხანაგობის საქმიანობაში და გამოსულიყვნენ ამხანაგობის სახელით მესამე პირებთან ურთიერთობაში. 1999 წლის 15 ივლისს ა. მინდაძე გავიდა ამხანაგობის წევრობიდან, გარდა ამისა, ამხანაგობის საქმეების მართვის უფლებამოსილება მიენიჭა მხოლოდ ბ. ნიკურაძეს. ეს ცვლილებები ამხანაგობის ხელშეკრულებაში შეტანილ იქნა 1999 წლის 25 აგვისტოს. ამასთან ერთად, ა. მინდაძემ ამხანაგობის სახელით, 1999 წლის 13 და 24 ივლისს აიღო სესხი, რის შესახებაც გასცა თამასუქები გამსესხებლის – ნ. წირქვაძის სახელზე 5000 და 10000 ლარის ოდენობით. 1999 წლის დეკემბერში თამასუქების მფლობელმა წირქვაძემ ამხანაგობისაგან მოითხოვა მათი განაღდება და მითითებული ფულადი თანხის გადახდა. ბ. ნიკურაძემ უარი განაცხადა თანხის გადახდაზე იმ მოტივით, რომ მათი გაცემის დროს ა. მინდაძე აღარ იყო ამხანაგობის წევრი და, შესაბამისად, არ ჰქონდა უფლება, რომ თამასუქი გაეცა ამხანაგობის სახელით, გარდა ამისა, თამასუქში მითითებული თანხა უნდა გადაეხადა თვითონ მინდაძეს საკუთარი ქონებიდან. ნ. წირქვაძემ სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა ამხანაგობისაგან თამასუქებში მითითებული თანხის გადახდა.

როგორ გადაწყვეტილებას მიიღებს სასამართლო?

ი. მაისურაძემ, ა. კაჭარავამ და მ. ირემაძემ დადეს ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულება. ხელშეკრულების მიხედვით, ამხანაგობის მონაწილეებს უნდა აეშენებინათ თევზის გასამრავლებლად ხელოვნური წყალსაცავები და მოეხდინათ თევზის რეალიზაცია. ხელშეკრულებების დადების უფლებამოსილება ამხანაგობის მონაწილეებმა მიანიჭეს ი. მაისურაძეს. 1999 წლის 25 ივნისს მაისურაძემ თევზი წაიღო საბითუმო ბაზარზე და იგი გაყიდა იმაზე დაბალ ფასად, ვიდრე შეთანხმებული იყო ამხანაგობის სხვა მონაწილეებთან. მაისურაძე იძულებული იყო ასე მოქცეულიყო, რამეთუ ბაზარში ნაკლები მყიდველი იყო და თანაც ბაზრის მაცივრებში არ იყო თევზის შესანახი ადგილი. ა. კაჭარავამ და მ. ირემაძემ მაისურაძეს მოსთხოვეს ამხანაგობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება, მაისურაძე კი ამტკიცებდა, რომ მოქმედებდა ამხანაგობის ყველა წევრის ინტერესების დაცვის მიზნით და რომ მან თევზის ნაკლებ ფასად გაყიდვით ამხანაგობას უფრო დიდი ზიანი ააცილა.

როგორ გადავწყვიტოთ დავა?

ი. მეგრელიშვილმა, დ. ხომერიკმა, ა. ერისთავმა და ზ. ბრეგვაძემ დადეს ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულება ოთხსართულიანი საცხოვრებელი სახლის აშენების შესახებ, რომელშიც თითოეულ მონაწილეს ეკუთვნოდა ერთი სართული. სახლი უნდა აშენებულიყო ამხანაგობის მონაწილეების მიერ შეტანილი შენატანებისა და მათი შრომის საფუძველზე. სახლის მშენებლობის დამთავრების შემდეგ ამხანაგობის მონაწილეებმა მესამე პირს ი. ნოზაძეს აუშენეს აგარაკი, რომლის მშენებლობისას ამხანაგობის მონაწილეებმა გაწიეს სხვადასხვა მოცულობის სამუშაო. აგარაკის

მშენებლობისათვის მიღებული გასამრჯელოს განაწილებამ გამოიწვია დავა. მეგრელიშვილი და ხომერიკი მოითხოვდნენ, რომ მიღებული თანხა განაწილებულიყო ოთხ თანაბარ ნაწილად, მაშინ, როდესაც ერისთავი და ბრეგვაძე კი მოითხოვდნენ, რომ თანხა განაწილებულიყო აგარაკის მშენებლობაში თითოეული მონაწილის მიერ გაწეული შრომის მიხედვით. გარდა ამისა, ბრეგვაძემ მოითხოვა ელექტროხერხის ღირებულების ანაზღაურება, რომელიც მან შენატანის სახით შეიტანა ამხანაგობის ქონებაში, მაგრამ მოპარეს აგარაკის მშენებლობის დროს.

როგორ გადაწყვიტოთ დავა?

კ ა ზ უ ს ი № 283

ა. მაჭავარიანმა, ბ. რაზმაძემ, მ. მალრაძემ და ლ. აბრამიძემ დადეს ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულება და მიზნად დაისახეს საძინებელი ავეჯის გარნიტურის დამზადება და რეალიზაცია. მაჭავარიანმა ამხანაგობის ქონებაში შეიტანა ავეჯის დასამზადებლად საჭირო ინვენტარი, ავეჯის დიზაინის შესახებ პროფესიული ცოდნა და ხის მასალის შესაძენად საჭირო საქმიანი კავშირები, ხოლო ამხანაგობის სამმა მონაწილემ კი შეიტანეს ფულადი თანხა, რითაც შექმნეს ამხანაგობის საქმიანობის საწარმოებლად საჭირო ქონება.

ა. მაჭავარიანი ამხანაგობის საქმეების გარდა, ეწეოდა დამოუკიდებელ სამეწარმეო საქმიანობასაც, რისთვისაც კომერციული ბანკისაგან აიღო სესხი. მაჭავარიანმა ვერ შეძლო ბანკისათვის სესხის დროულად დაბრუნება, რის გამოც ბანკმა მოითხოვა მაჭავარიანის პირადი ქონების რეალიზაცია თავისი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, ხოლო, როცა ეს ქონება საკმარისი არ აღმოჩნდა, მაშინ ბანკმა მოითხოვა ამხანაგობის ქონებიდან ა. მაჭავარიანის წილის გამოყოფა და მისი რეალიზაცია. ამხანაგობის სხვა მონაწი-

იღებმა ამაზე უარი განაცხადეს, რამეთუ ეს გამოიწვევდა ამხანაგობის საქმიანობის შეწყვეტას.

მართლზომიერია თუ არა კომერციული ბანკის მოთხოვნა ამხანაგობის ქონებიდან ა. მაჭავარიანის წილის გამოყოფისა და რეალიზაციის შესახებ?

რა მოქმედებები შეიძლება განახორციელონ ამხანაგობის მონაწილეებმა, რომ თავიდან აიცილონ ამხანაგობის საქმიანობის შეწყვეტა?

შეწყდება თუ არა ამხანაგობის ხელშეკრულება იმ შემთხვევაში, თუკი სასამართლო ა. მაჭავარიანს ცნობს გადახდისუუნაროდ?

კ ა ზ უ ს ი № 284

1998 წლის 10 აპრილს პეტრე წიქორიძემ და გია თვალაძემ დადეს სამისდღემშო რჩენის ხელშეკრულება. ხელშეკრულების მიხედვით, პეტრე გიას გადასცემდა საკუთრებად საცხოვრებელ სახლს, ხოლო გია კი კისრულობდა ვალდებულებას ერჩინა პეტრე სიცოცხლის ბოლომდე და უზრუნველყო იგი სათანადო კვებით, მოვლითა და წამლებით.

1998 წლის 20 აგვისტოს პეტრე რამდენიმე დღით სტუმრად გაემგზავრა მეგობართან სხვა ქალაქში. უკან დაბრუნებისას პეტრემ აღმოაჩინა, რომ მეხის ჩამოვარდნის შედეგად გაჩენილმა ხანძარმა რამდენიმე სახლთან ერთად დაწვა პეტრეს სახლიც, რომელიც გამოუსადეგარი გახდა საცხოვრებლად და მის შეკეთებას სჭირდებოდა დიდი რაოდენობის ფულადი სახსრები. გია თვალაძემ ამ ამბის შეტყობინებისთანავე მოითხოვა სამისდღემშო ხელშეკრულების შეწყვეტა და უარი განაცხადა პეტრესთვის სარჩოს გადახდაზე, რამეთუ სახლი საჭიროებს შესაკეთებლად დიდ ფულად თანხას, რომელიც მას არ გააჩნია და ამიტომაც იგი უარს ამბობს სახელზეც და სამისდღემშო რჩენის ხელშეკრულებაზეც.

მართლზომიერია თუ არა მარჩენალის მოთხოვნა?

1998 წლის ნოემბრის თვეში დ. ნემსაძემ და ა. გედენიძემ დადეს სამისდღემშიო რჩენის ხელშეკრულება, რომლითაც გედენიძე ნემსაძეს საკუთრებად გადასცემდა საცხოვრებელ სახლსა და ავტომანქანას, ხოლო ნემსაძე კი კისრულობდა ვალდებულებას, ერჩინა გედენიძე სიცოცხლის ბოლომდე. ხელშეკრულება გაფორმდა კანონის მოთხოვანთა დაცვით. 1999 წლის იანვარში ნემსაძე ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად მოულოდნელად გარდაიცვალა, ხოლო 1999 წლის ნოემბერში კი გარდაიცვალა ა. გედენიძე. 2000 წლის თებერვალში სანოტარო ბიუროს სამკვიდრო მოწმობის მისაღებად განცხადებით მიმართეს მარჩენალის – ნემსაძის მეუღლემ და სარჩენის – ა. გედენიძის შვილმა. მარჩენალის მეუღლე ამტკიცებდა, რომ ქმრის გარდაცვალების შემდეგ იგი არჩენდა სარჩენს სიცოცხლის ბოლომდე და ამიტომაც იგი წარმოადგენს მემკვიდრეს გარდაცვლილი სარჩენის საცხოვრებელ სახლსა და ავტომანქანაზე. სარჩენის შვილი კი ამტკიცებდა, რომ მარჩენალის გარდაცვალების გამო სამისდღემშიო რჩენის ხელშეკრულება შეწყდა და ამიტომაც იგი, როგორც ერთადერთი პირველი რიგის კანონიერი მემკვიდრე წარმოადგენს გარდაცვლილი მშობლის ქონების მემკვიდრეს. ნოტარიუსმა უარი განაცხადა სამკვიდრო მოწმობის გაცემაზე და განმცხადებლებს განუმარტა, რომ დავის გადასაწყვეტად მიემართათ სასამართლოსათვის.

როგორ გადაწყვეტილებას მიიღებს სასამართლო?

ი. მინდაძემ სამისდღემშიო რჩენის ხელშეკრულებით ო. ბარაბაძეს უსასყიდლოდ გადასცა საკუთრებაში პრიატიზებული ოთხოთახიანი ბინა. ხელშეკრულების მიხედვით მინდაძეს უნდა ეცხოვრა ცალკე, ერთ-ერთ იზოლირებულ ოთახში, ხოლო, გარდა ამისა, მარჩენალს უნდა უზრუნველყო იგი კვებით, მოვლითა და სხვა აუცილებელი დახმარებით. ხელშეკრულება გაფორმებულ იქნა კანონით დადგენილი წესით. ხელშეკრულების დადების შემდეგ ო. ბარაბაძემ ი. მინდაძის თანხმობის გარეშე ორი ოთახი გააქირავა სტუდენტებზე და იღებდა მათგან დადგენილ ქირას. ორი წლის შემდეგ ბინაში კედლები და ჭერი გაშავდა, იატაკი გაუფერულდა და ზოგადგილას ამოიყარა. ი. მინდაძემ მოსთხოვა ო. ბარაბაძეს ბინის რემონტის ჩატარება, რაზედაც ამ უკანასკნელმა უარი განაცხადა. მაშინ სარჩენმა მიმართა სარჩელით სასამართლოს და მოითხოვა მარჩენალისაგან სამისდღემშიო რჩენის ხელშეკრულების შეწყვეტა, მიყენებულ ზიანის ანაზღაურება და გადაცემული საცხოვრებელი ბინის უკან დაბრუნება.

როგორ გადაწყვეტილებას მიიღებს სასამართლო?

ი. ნატროშვილმა მოხუც ცოლ-ქმართან — ა. და ი. გიორგაძეებთან დადო სამისდღემშიო რჩენის ხელშეკრულება. ხელშეკრულების მიხედვით, გიორგაძეები მათ თანასაკუთრებაში არსებულ ორსართულიან საცხოვრებელ სახლს საკუთრებაში გადასცემდნენ ი. ნატროშვილს, ხოლო ნატროშვილი კი კისრულობდა ვალდებულებას, სიცოცხლის ბოლომდე ერჩინა გიორგაძეები და უზრუნველყო ისინი ბინით, კვებით, მოვლითა და სხვა აუცილებელი დახმარებით, ასევე გაეღო მათი დაკრძალვის ხარჯები. ხელშეკ-

რულების დადებიდან ერთი წლის გასვლის შემდეგ ი. გიორგაძე ავად გახდა და საჭირო გახდა მისთვის ოპერაციის გაკეთება. ა. გიორგაძემ მოსთხოვა მარჩენალს ი. გიორგაძის საავადმყოფოში წაყვანა და ოპერაციის გასაკეთებლად საჭირო ფულადი თანხის გადახდა, რაზეც მარჩენალმა უარი განაცხადა. რამდენიმე დღის გავლის შემდეგ ი. გიორგაძე გარდაიცვალა და მისი დაკრძალვის ხარჯები გაიღო მარჩენალმა. მეუღლის დაკრძალვის შემდეგ ა. გიორგაძემ მოსთხოვა ი. ნატროშვილს სამისდღემშოო რჩენის ხელშეკრულების შეწყვეტა.

რა საფუძვლით შეიძლება რომ შეწყდეს სამისდღემშოო რჩენის ხელშეკრულება მოცემულ შემთხვევაში?

კ ა ზ უ ს ი № 288

ნ. თელიამ ი. ნიკურაძესთან დადო სამისდღემშოო რჩენის ხელშეკრულება. ხელშეკრულების მიხედვით თელიამ ნიკურაძეს საკუთრებაში გადასცემდა თავის საცხოვრებელ სახლს, ხოლო ნიკურაძე კი კისრულობდა ვალდებულებას, ერჩინა თელია სიცოცხლის ბოლომდე და უზრუნველყო იგი გადაცემულ სახლში იზოლირებულ ოთახში ცხოვრებით, კვებითა და სხვა აუცილებელი დახმარებით. ხელშეკრულების დადებიდან ერთი წლის შემდეგ კომპეტენტური ორგანოს გადაწყვეტილებით, ის მიწის ნაკვეთი, რომელზეც აშენებული იყო ნიკურაძისათვის სახლი, გადაცემულ იქნა სახელმწიფო საჭიროებისამებრ, რამეთუ მასზე გადიოდა დიდი ნავთობსადენი. ორგანიზაციამ, რომელსაც გადაეცა მიწის ნაკვეთი, ნიკურაძეს, როგორც სახლის მესაკუთრეს, გადაუხადა დასანგრევი სახლის ღირებულების ნახევარი, ხოლო მეორე ნახევრის გადახდა კი ივალდებულია სახლის ფაქტობრივად დანგრევის შემდეგ. ნ. თელიამ ჩათვალა რა. რომ სახლის დანგრევის გამო სამისდღემშოო რჩენის ხელშეკრულება შეწყდებოდა, სარჩელით მიმართა სასამართლოს

და მოითხოვა, რომ ნიკურაძეს მისთვის აეშენებინა სახლი და გადაეცა ის თანხა, რომელიც მან მიიღო იმ ორგანიზაციისაგან, ვისაც გადაეცა მიწის ნაკვეთი. ამასთან ერთად, ნ. თელიამ თანხმობა განაცხადა გადაეხადა ნიკურაძისათვის ის სარჯები, რომელიც ნიკურაძემ გასწია ერთი წლის განმავლობაში სარჩენის შესანახად. ი. ნიკურაძე არ დაეთანხმა ნ. თელიას მოთხოვნას იმ მოტივით, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობა არ არის გამოწვეული მისი ბრალით და შესთავაზა თელიას ცვლილებები შეეტანათ მათ მიერ ადრე დადებულ ხელშეკრულებაში იმის შესახებ, რომ იგი ვალდებულებას კისრულობდა, გადაეცა მოსარჩელისათვის სამისდღემშო სარგებლობის უფლებით ერთი ოთახი იმ სამოთახიანი ბინიდან, რომელიც მისთვის უნდა გადაეცათ დანგრეული სახლის სანაცვლოდ და უზრუნველყო სიცოცხლის ბოლომდე მისი მოვლა, კვება და გაეწია სხვა აუცილებელი დახმარება. მოსარჩელე არ დაეთანხმა მოპასუხის მიერ შეთავაზებულ პირობებს და მოითხოვა სამისდღემშო რჩენის ხელშეკრულების შეწყვეტა.

სასამართლომ არ დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა იმ მოტივით, რომ სახელმწიფო საჭიროებისათვის მიწის ნაკვეთის ამოღების გამო, მასზე განლაგებული საცხოვრებელი სახლის დანგრევა არ წარმოადგენდა სამისდღემშო რჩენის ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველს. რამეთუ ხელშეკრულების შეწყვეტის ასეთი საფუძველი მოქმედი სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული არ არის. ნ. თელიამ სასამართლოს გადაწყვეტილება ჩათვალა დაუსაბუთებლად და გაასაჩივრა ზემდგომ სასამართლოში.

როგორ გადაწყვეტილებას მიიღებს ზემდგომი სასამართლო?

წყალტუბოდან თბილისში თეატრის სპექტაკლზე დასასწრებად ჩამოსულმა დ. ნემსაძემ ტოტალიზატორში მოიგო 1000 ლარი, მაგრამ ერთი კვირის განმავლობაში ვერ შეძლო მოგების მიღება იმასთან დაკავშირებით, რომ ტოტალიზატორის სალაროში არ იყო ფულადი თანხა. დ. ნემსაძემ მოგებული თანხა მიიღო მოგებიდან მხოლოდ მერვე დღეს. მან სარჩელით მიაპრთა სასამართლოს და მოითხოვა ტოტალიზატორის ორგანიზატორებისაგან ფულადი ვალდებულებების შესრულების ვადის გადაცილებისათვის მოგებულ თანხაზე კანონით დადგენილი პროცენტების დარიცხვა, ასევე იმ ზიანის ანაზღაურება, რომელიც მან განიცადა თანხის არადროულად გადახდის შედეგად (სასტუმროში ნომრის ქირა, საზკვების ობიექტებში კვების საფასური), რამაც ჯამში შეადგინა 300 ლარი.

მართლზომიერია თუ არა დ. ნემსაძის მოთხოვნა ტოტალიზატორის ორგანიზატორების მიმართ, რომ გადაუხადონ მას არა მხოლოდ მოგებული ფულადი თანხა, არამედ მასზე დარიცხული პროცენტებიც და აუნაზღაურონ ის ხარჯები, რომელიც მან გასწია მოგებული თანხის მისთვის არადროულად გადახდის შედეგად?

ქაზუსი №290

პრესისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით არაერთგზის გამოცხადდა, რომ 20 დეკემბერს თბილისში ჩატარდებოდა საშობაო ლატარიის გათამაშება, რომელშიც გათამაშდებოდა სხვადასხვა პრიზი. ი. ბერიშვილი ლაგოდეხიდან ჩავიდა თბილისში, რათა მონაწილეობა მიეღო ლატარიის გათამაშებაში. როდესაც იგი მითითებულ მისამართზე მივიდა, ლატარიის ორგანიზატორებმა მას განუცხადეს, რომ ლატარიის გათამაშება გადატანილ იქნა 27 დეკემბრისათვის, რამეთუ სწორედ ამ დღეს იქნებოდა თავისუფალი

დარბაზი ლატარიის გათამაშების ჩასატარებლად. ი. ბერიშვილმა მოითხოვა იმ ხარჯების ანაზღაურება, რომელიც მან განიცადა ლატარიის გათამაშების ვადის გადატანის შედეგად.

მართლზომიერია თუ არა ი. ბერიშვილის მოთხოვნა ლატარიის ორგანიზატორების მიმართ?

ქ ა ზ უ ს ი № 291

ი. მენაბდემ და დ. ბრეგვაძემ დადეს სანაძლეო იმის შესახებ, თუ ვინ გაიმარჯვებდა საქართველოს ნაკრებისა და ლიტვის ნაკრების საფეხბურთო მატჩში. მოგებულს წაგებულისათვის უნდა გადაეხადა 300 ლარის ოდენობის ფულადი თანხა. გაიმარჯვა საქართველოს ნაკრებმა, რომელსაც გულშემატკივრობდა ი. მენაბდე. დ. ბრეგვაძემ, როგორც სიტყვის პატრონმა, პატიოსნად გადაუხადა ი. მენაბდეს წაგებული თანხა, რომელიც იყო მისი მთელი თვის ხელფასი. ერთი კვირის შემდეგ ბრეგვაძემ სთხოვა მენაბდეს თანხის უკან დაბრუნება იმასთან დაკავშირებით, რომ მის გოგონას დასჭირდა ბრმანაწლავის ოპერაციის სასწრაფოდ გაკეთება, ხოლო ოპერაციისათვის საჭირო ფულადი თანხა კი არა აქვს. ი. მენაბდემ და ბრეგვაძეს უარი განუცხადა თანხის უკან დაბრუნებაზე, თუმცა შესთავაზა, რომ თანხას მისცემდა სესხად.

მართლზომიერია თუ არა დ. ბრეგვაძის მოთხოვნა ი. მენაბდის მიმართ წაგებული თანხის უკან დაბრუნების შესახებ?

მართლზომიერია თუ არა ი. მენაბდის მოქმედება დ. ბრეგვაძისათვის წაგებული თანხის უკან დაბრუნებაზე უარის თქმისა და მისი სესხად მიცემის შესახებ?

გ. გიორგაძესა და ა. მაჭავარიანს ერთმანეთის მეზობლად ჰქონდათ აგარაკები. გ. გიორგაძე ზაფხულში გაემგზავრა თავის აგარაკზე და აღმოაჩინა, რომ ა. მაჭავარიანის სახლისათვის ქარს რამდენიმე ადგილას აეგლიჯა შიფერის სახურავი. გიორგაძე შეეცადა, შეეტყობინებინა მაჭავარიანისათვის, რომ მისი სახლის სახურავი საჭიროებდა შეკეთებას, მაგრამ ყველა მისი მცდელობა, დაედგინა მაჭავარიანის ადგილსამყოფელი, უშედეგოდ დამთავრდა. ტელევიზიით საინფორმაციო პროგრამაში გამოცხადდა, რომ რამდენიმე დღეში მოსალოდნელი იყო კოკისპირული წვიმები. გ. გიორგაძემ იფიქრა, რომ წვიმას შეიძლება შიგნიდანაც დაეზიანებინა მაჭავარიანის სახლი, ამიტომაც დაიქირავა ხელოსნები და შეაკეთებინა მეზობლის სახლის სახურავი. გაწეული სამუშაოსათვის გიორგაძემ ხელოსნებს გადაუხადა 200 ლარი. საზღვარგარეთ მივლინებაში მყოფი მაჭავარიანი შემოდგომაზე ჩამოვიდა. როდესაც იგი აგარაკზე მივიდა, გიორგაძემ მას შეატყობინა განხორციელებული მოქმედებების შესახებ და სთხოვა მუშებისათვის გასამრჯელოს სახით გადახდილი 200 ლარის უკან დაბრუნება, რაზეც მაჭავარიანმა უარი განუცხადა იმ მოტივით, რომ მას არ დაუვალებია სახურავის შეკეთება და ამიტომაც უარს ამბობს თანხის გადახდაზე. გ. გიორგაძემ სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა ა. მაჭავარიანისაგან 200 ლარის გადახდა და მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურება.

როგორ გადაწყვეტილებას მიიღებს სასამართლო?

ი. ნიკოლაძემ ბაზრობაზე სასათბურე მეურნეობისათვის შეიძინა სამშენებლო მასალები. მას უცბად გაახსენდა, რომ მისი მეზობლის, პირველი ჯგუფის ინვალიდის, ა. მანჯგალაძის მარნის სახურავი საჭიროებს რუბეროიდის დაგებას, რამეთუ მარანში წვიმის დროს ჩადის წყალი. ნიკოლაძემ თავისი მეზობლის პატივსაცემად შეიძინა ხუთი რულონი რუბეროიდი და სათბურის ასაშენებლად საჭირო სამშენებლო მასალებთან ერთად, მიიტანა სამშენებლო მიწის ნაკვეთზე. ა. მანჯგალაძე ამ დროს ავადმყოფობის გამო იწვა სამკურნალო დაწესებულებაში. ი. ნიკოლაძემ იფიქრა, რომ მანჯგალაძეს თავისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო თვითონ არ შეეძლო რუბეროიდის სახურავზე დაგება, ამიტომაც თვითონ შეასრულა ეს სამუშაო. როდესაც მანჯგალაძე საავადმყოფოდან გამოეწერა და სახლში დაბრუნდა, ძალიან გაუხარდა ნიკოლაძის მიერ გაწეული დახმარება. მან შესთავაზა ნიკოლაძეს გაწეული ხარჯების ანაზღაურება, რაზეც ამ უკანასკნელმა კატეგორიული უარი განაცხადა იმ მოტივით, რომ სურდა მოხუცი მეზობლისათვის სიხარული მიენიჭებინა.

მართლზომიერია თუ არა ი. ნიკოლაძის მიერ განხორციელებული მოქმედებები ა. მანჯგალაძის საკუთრებასთან მიმართებაში?

ადრე გაზაფხულზე, საღაიო ხანს, სამუშაოდან შინ მიმავალმა ა. კალანდაძემ დაინახა, თუ როგორ გადახტა ხიდიდან მდინარეში ახალგაზრდა ბიჭი. კალანდაძემ შეამჩნია, რომ ახალგაზრდა იხრჩობოდა. იგი არც კი დაფიქრებულა, ისე გადახტა მდინარეში, გადაარჩინა ახალგაზრდა დახრჩობას და გამოიყვანა ნაპირზე. კალანდაძე და გადარჩენილი ახალგაზრდა ბიჭი მაშველად მოსულმა სასწრაფო სამედიცინო დახმარების მანქანამ გადაიყვანა საავადმყოფოში. კალანდაძე გაცივდა, შეხვდა ფილტვების ანთება და მოუწია საავადმყოფოში ორი კვირის განმავლობაში ყოფნა. ახალგაზრდამ პრეტენზია გამოთქვა, რომ კალანდაძემ მას ხელი შეუშალა თავის დახრჩობაში. აღშფოთებულმა ა. კალანდაძემ ახალგაზრდისაგან მოითხოვა ჯანმრთელობის დაზიანების გამო მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურება, ხოლო გამოჩენილი უმადურობისათვის მორალური ზიანის ანაზღაურება.

მართლზომიერია თუ არა ა. კალანდაძის მოთხოვნები?

ნ. ბადაგაძემ ერთთვიან სამსახურებრივ მივლინებაში წასვლის წინა დღეს სთხოვა თავის მეზობელს – თ. მესხიძეს, რომ მას მოერწყა მისი ყვავილები და გადასცა ამისათვის თავისი ბინის გასაღები. მესხიძე შევიდა ბადაგაძის ბინაში ამ უკანასკნელის გამგზავრებიდან მეორე დღეს და აღმოაჩინა, რომ ბადაგაძეს აბაზანაში ღია დარჩენოდა წყლის ონკანი და წყალს მთელი ბინა დაეტბორა. თ. მესხიძემ სასწრაფოდ გამოიძახა საავარიო სამსახურიდან ოსტატები, რომლებმაც დაკეტეს ონკანი, მოამშრალეს ბინა, რისთვისაც მესხიძემ მათ გადაუხადა გასამრჯელო. როდესაც ნ. ბადაგაძე მივლინებიდან დაბრუნდა, თ. მესხიძემ შეატყობინა მას მომხდარისა

და ასევე მის მიერ განხორციელებული მოქმედებების შესახებ და მოითხოვა გაწეული ხარჯების ანაზღაურება.

მართლზომიერია თუ არა თ. მესხიძის მოთხოვნა ნ. ბადაგაძის მიმართ?

კაზუსი №296

1999 წლის 10 აპრილს ა. მინდაძე გაემგზავრა თავის ნაკვეთში, რათა დაებარა მიწა კარტოფილის დასათესად. როდესაც მინდაძე ბაღში მივიდა, აღმოაჩინა, რომ მეზობლის ხის მესერი თოვლისა და წვიმის ზემოქმედების შედეგად დამპალა და ჩამოქცულა სწორედ იმ ადგილას, სადაც მინდაძე აპირებდა კარტოფილის დათესვას. მეზობელი ამ დროს ბაღში არ იყო. მინდაძემ თავისი სახსრებით შეაკეთა ხის მესერი, რისთვისაც გამოიყენა საკუთარი სამშენებლო მასალა. ამის შემდეგ, მეორე დღეს მინდაძემ თავის მეზობელს მოსთხოვა შესრულებული სამუშაოსა და მასალის ღირებულების ანაზღაურება, რაზედაც მეზობელმა უარი განაცხადა იმ მოტივით, რომ ა. მინდაძემ მესერი შეაკეთა თავისი ინტერესების განხორციელების მიზნით (რათა კარტოფილის დასათესად დაებარა მიწის ნაკვეთი), რამეთუ მესერის შეკეთება შეეძლო თვითონ მასაც მინდაძის ყოველგვარი დახმარების გარეშე, თუკი მინდაძე შეატყობინებდა მესერის ჩამოქცევის შესახებ.

ვისი ინტერესებისათვის მოქმედებდა ა. მინდაძე, როდესაც აღადგენდა წაქცეულ მესერს?

მართლზომიერია თუ არა მინდაძის მოთხოვნა მეზობლის მიმართ მესერის აღდგენაზე გაწეული ხარჯების ანაზღაურების შესახებ?

დ. ლომიძემ მალაზია „ტექნიკაში“ შეიძინა მაცივარი და შეუ-
თანხმდა მალაზიის ადმინისტრაციას, რომ მიეტანათ მისთვის მაცი-
ვარი სახლში, გამრეკელის ქუჩა №26-ში, ხელშეკრულების დადე-
ბიდან ორი კვირის განმავლობაში. მალაზიის მუშაკებმა მესამე დღეს
მაცივარი შეცდომით მიიტანეს გამრეკელის №23-ში აქ მცხოვრებმა
ნ. წიკლაურმა იფიქრა, რომ მაცივარი შეიძინა მისმა ქმარმა, რომელიც
წინააღმდეგედა ერთთვიან სამსახურებრივ მივლინებაში საზღ-
ვარგარეთ, რამეთუ სწორედ ახალი მაცივრის შეძენის შესახებ
ჰქონდათ წიკლაურებს წინააღმდეგით საუბარი. ნ. წიკლაურმა მიიღო
მაცივარი, გამოიძახა ხელოსანი, ჩაართვევინა იგი ელექტროქსელში
და დაიწყო სარგებლობა.

ვის აქვს უფლება, რომ ნ. წიკლაურს მოსთხოვოს მაცივრის
უკან დაბრუნება – მყიდველს – დ. ლომიძესა თუ გამყიდველს –
მალაზია „ტექნიკას“?

ვალდებულია თუ არა ნ. წიკლაური, რომ უკან დააბრუნოს
მაცივარი?

ვალდებულია თუ არა დ. ლომიძე, რომ მიიღოს ნ. წიკლაურის
სარგებლობაში ნამყოფი მაცივარი, თუ უფლება აქვს, რომ მალა-
ზიას მოსთხოვოს ახალი მაცივრის გადაცემა?

ვისი ხარჯებით უნდა მოხდეს დ. ლომიძისათვის მაცივრის
მიტანა?

კაზუსი №298

ო. მგელაძე 1999 წლის 10 მაისს ერთი საწარმოდან სამუშაოდ გადავიდა სხვა საწარმოში უფრო მაღალი ანაზღაურების გამო. მისთვის ხელფასის გადარიცხვა ბანკში არსებულ ანგარიშზე ხდებოდა ორი თვის განმავლობაში როგორც თავდაპირველი, ისე ახალი სამუშაო ადგილიდან. ო. მგელაძე ხელფასს იღებდა და ხარჯავდა ოჯახის საჭიროებისათვის. 1999 წლის სექტემბერში იმ საწარმომ, საიდანაც გადავიდა სამუშაოდ სხვა საწარმოში ო. მგელაძე, მას მოსთხოვა იენისსა და ივლისში მის ანგარიშზე შეცდომით გადარიცხული ფულადი თანხის უკან დაბრუნება. შეცდომა გამოიწვია იმან, რომ საწარმოს ბუღალტერმა არ შეიტანა კომპიუტერში მონაცემები ო. მგელაძის საწარმოდან გათავისუფლების შესახებ.

შეუძლია თუ არა საწარმოს, მოსთხოვოს ო. მგელაძეს უსაფუძვლო გამდიდრების შესახებ ნორმების საფუძველზე შეცდომით გადარიცხული ხელფასის უკან დაბრუნება?

ვალდებულია თუ არა ო. მგელაძე საწარმოს დაუბრუნოს მისი მუშაკის ბრალით მისთვის იენისსა და ივლისში შეცდომით გადარიცხული ხელფასი?

კაზუსი №299

თ. ნემსიწვერიძეს შვილისათვის ოპერაციის გასაკეთებლად სასწრაფოდ დასჭირდა სესხის აღება. სესხის დროულად უკან დაბრუნების უზრუნველსაყოფად მან გამსესხებელთან დააგირავა ბებიისაგან მემკვიდრეობით მიღებული ოქროს ყელსაბამი, საათი და საყურეები. ერთი კვირის შემდეგ თ. ნემსიწვერიძე შემთხვევით შეხვდა გამსესხებელს და მის თვრამეტი წლის ვოგონას ქუჩაში და შეამჩნია, რომ მოგირავნის შვილს ეკეთა ნემსიწვერიძის მიერ დაგი-

რავებული ძვირფასეულობა. თ. ნემსიწვერიძემ მეორე დღეს სასამართლოში შეიტანა სარჩელი და მოითხოვა მოგირაენისაგან ძვირფასეულობის დაუყოვნებლივ დაბრუნება და ასევე მათი უსაფუძვლო სარგებლობისათვის ფულადი თანხის გადახდა.

მართლზომიერია თუ არა ნემსიწვერიძის მოთხოვნა გამსესხებლის მიმართ?

როგორ გადაწყვეტილებას მიიღებს სასამართლო?

კაზუსი №300

1997 წლის 5 დეკემბერს კოოპერატივმა „თავთავმა“ შპს „მარცვლეულს“ ხუთი წლის ვადით, იჯარით გადასცა სამი ცალი სახნავი ტრაქტორი, რომელთა საერთო ღირებულებაც შეადგენდა 100000 ლარს. 1999 წლის 10 ნოემბერს შპს „მარცვლეულმა“ მეიჯარის თანხმობის გარეშე ტრაქტორები გადასცა ინდივიდუალურ მეწარმე ნიკოლაძეს, მაგრამ აგრძელებდა თავისი სახელითა და სახსრებით მეიჯარისათვის საიჯარო ქირის გადახდას. 2000 წლის 5 მაისს მოხდა შპს „მარცვლეულის“ ლიკვიდაცია“, რის შესახებაც კოოპერატივ „თავთავს“ არანაირი ინფორმაცია არ გააჩნდა, ხოლო 2000 წლისათვის საიჯარო ქირა შპს „მარცვლეულს“ წინასწარ ჰქონდა ერთდროულად გადახდილი. 2001 წლის თებერვალში კოოპერატივმა „თავთავმა“ ვერ მიიღო საიჯარო ქირა და შეეცადა, გაერკვია ქირის გადაუხდელობის მიზეზები. კოოპერატივმა დაადგინა, რომ მის მიერ მოიჯარისათვის იჯარით გადაცემული ტრაქტორები გაეყიდა ინდივიდუალურ მეწარმე ნიკოლაძეს. კოოპერატივმა სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა ნიკოლაძისაგან სხვისი ქონების გაყიდვის შედეგად მიღებული უსაფუძვლო შემოსავლის (ტრაქტორების ღირებულების) მისთვის დაბრუნება.

როგორ გადაწყვეტილებას მიიღებს სასამართლო?

ქაზუსი №301

შპს „ავტომანქანამ“ სარჩელით მიმართა კოოპერატივ „იმელს“ და მოითხოვა მისთვის გადაცემული სატვირთო ავტომანქანის უკან დაბრუნება, როგორც უსაფუძვლოდ შეძენილი ქონებისა; სასამართლოში მოსარჩელემ განაცხადა, რომ მოპასუხესთან მან 1997 წლის 30 ნოემბერს დადო აღნიშნული ავტომანქანის ნასყიდობის ხელშეკრულება. კოოპერატივმა „იმელმა“ მანქანის ღირებულება გადაიხადა იმავე დღეს, ხოლო მანქანა კი მას გადაეცა მხოლოდ 2000 წლის 20 დეკემბერს. 2001 წლის 5 იანვარს შპს „ავტომანქანის“ გენერალურ დირექტორად დაინიშნა ბრეგვაძე, რომელმაც შეიტანა სწორედ შპს-ს სახელით სარჩელი „იმელის“ წინააღმდეგ ავტომანქანის უკან დაბრუნების შესახებ იმ მოტივით, რომ ავტომანქანა მოპასუხეს გადაეცა ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ და ეს უნდა ჩაითვალოს მოპასუხის მხრიდან უსაფუძვლო გამძიდრებად.

**მართლზომიერია თუ არა მოსარჩელის მოთხოვნა?
როგორ გადაწყვეტილებას მიიღებს სასამართლო?**

ქაზუსი №302

მ. მჟავანაძემ ა. მაჭვარიანისაგან მიიღო 50000 ლარი ამ უკანასკნელისათვის სამოთახიანი საცხოვრებელი ბინის შესაძენად. მჟავანაძემ ბინა შეიძინა 45 000 ლარად, ხოლო დარჩენილი 5000 ლარი კი ორი წლის განმავლობაში არ დაუბრუნა უკან მაჭვარიანს. მაჭვარიანმა მიმართა სარჩელით სასამართლოს და მოითხოვა მჟავანაძისაგან 5000 ლარისა და სხვისი ფულადი სახსრების უსაფუძვლოდ სარგებლობისათვის კანონით დადგენილი პროცენტების გადახდა.

როგორ გადაწყვეტილებას მიიღებს სასამართლო?

სამშენებლო ფაკულტეტის მესამე კურსის ფრიადოსანმა სტუდენტმა ი. მაკარიძემ, რომელიც გადიოდა სასწავლო-საწარმოო პრაქტიკას, მდინარეზე ხიდის მშენებლობაზე, ფეხი დაადგა ხიდზე დადებულ დაუმაგრებელ ფიცარს, ფიცარი აყირავდა, მაკარიძემ ვერ შეიკავა თავი, გადავარდა ხიდიდან და დაეცა მდინარის ქვიან ფსკერზე. დაცემის შედეგად მაკარიძემ დაიზიანა ხერხემალი და რვა თვის განმავლობაში მოუწია საავადმყოფოში წოლა.

ვის შეიძლება რომ მოსთხოვოს ი. მაკარიძემ ჯანმრთელობის დაზიანებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება?

დ. კობერიძე თავისი ცხრა წლის შვილთან, გიორგისთან ერთად, რომელსაც ხელში ეჭირა კატის კნუტი, სეირნობდა სკვერში. სეირნობისას კობერიძე შეხვდა თავის ნაცნობს მაისურაძეს, რომელიც ასეირნებდა გრძელი ჯაჭვით დაბმულ ბულდოგის ჯიშის ძაღლს დამცავი რკინის ბადის გარეშე. კნუტის დანახვაზე ძაღლმა შეჰყეფა და ჩააფრინდა გიორგის ხელზე, რომლითაც იგი ძაღლის დაკბენისაგან იფარავდა კნუტს. დ. კობერიძემ ჯიბიდან ამოიღო მონადირის დანა და ძაღლს მიაყენა რამდენიმე დარტყმა. მაისურაძემ წააქცია კობერიძე და დანის წართმევისას ხელი გაიჭრა, გაბრაზებულმა მაისურაძემ წაქცეულ კობერიძეს ფეხებით ცემა დაუწყო. ამ ინციდენტის შედეგად კობერიძეს გაუტყდა ორი ნეკნი, მის შვილს ძაღლის კბენისაგან დაუზიანდა ხელი, ხოლო ძაღლი კი მოკვდა. დ. კობერიძემ სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა მაისურაძისაგან მისთვის და მისი შვილისათვის ჯანმრთელობის დაზიანებით მიყენებული მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურება. თავის მხრივ, მაისურაძემ მიმართა შეგვებებული სარჩელით

სასამართლოს და მოითხოვა კობერიძისაგან მოკლული ძვირფასი ჯიშის ძაღლის ღირებულების ანაზღაურება.

როგორ გადაწყვეტილებას მიიღებს სასამართლო?

კ ა ზ უ ს ი № 305

ორი მსუბუქი ავტომანქანის შეჯახების შედეგად გარდაიცვალნენ 40 წლის ი. მდინარაძე და 45 წლის თ. ბაქრაძე. ავტოსატრანსპორტო ექსპერტიზის ჩატარების შედეგად დადგინდა, რომ ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა ერთ-ერთი ავტომანქანის მძღოლის – ბ. ვარსიმაშვილის ბრალით, რომელმაც უხეშად დაარღვია საგზაო მოძრაობის უსაფრთხოებისა და ტრანსპორტის ექსპლოატაციის წესები. ასევე გამოიჩინა, რომ გარდაცვლილ ი. მდინარაძეს კმაყოფაზე ჰყავდა 65 წლის დედა და 10 წლის შვილი, ხოლო თ. ბაქრაძეს კი – სამი მცირეწლოვანი შვილი. მდინარაძის დედამ და ბაქრაძის მეუღლემ სარჩელით მიმართეს სასამართლოს და მოითხოვეს ბ.ვარსიმაშვილისაგან მარჩენალის გარდაცვალებით მიყენებული ზიანის, დაკრძალვისა და ქელების ხარჯების ანაზღაურება.

აქვთ თუ არა სარჩელის შემტან პირებს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება? რა ხნის განმავლობაში უნდა უხადოს სარჩო ზიანის მიმყენებელმა გარდაცვლილი მარჩენალის კმაყოფაზე მყოფ პირებს? ვალდებულია თუ არა ზიანის მიმყენებელი აანაზღაუროს გარდაცვლილი პირების დაკრძალვისა და ქელების ხარჯები?

როგორ გადაწყვეტილებას მიიღებს სასამართლო?

16 წლის თ. ნემსიწვერიძის მშობლებს ორი წლის წინ ჩამოერთვათ მშობლის უფლება, ნემსიწვერიძემ გაიტაცა უმეთვალყურეოდ მიტოვებული ავტომანქანა. სწრაფი სიჩქარით მოძრაობისას გზაჯვარედინზე იგი მანქანით დაეჯახა სამხედრო მოსამსახურე ნოზაძეს, რომელიც ქუჩაზე გადადიოდა შუქნიშანის წითელ შუქზე, რამეთუ აგვიანდებოდა სამსახურში. ნოზაძე ტვინის შერყევითა და სხეულის მრავალრიცხოვანი დაჟეჟილობით მოთავსებულ იქნა სამხედრო ჰოსპიტალში, სადაც დიდი ხნის განმავლობაში მკურნალობდა. მკურნალობის შემდეგ ნოზაძე სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით ცნობილი იქნა პირველი ჯგუფის ინვალიდად და დემობილიზებულ იქნა ჯარიდან. ნოზაძემ სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა დ. ნემსიწვერიძისაგან ჯანმრთელობის დაზიანებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

მართლზომიერია თუ არა ნოზაძის მოთხოვნა ნემსიწვერიძისადმი, თუკი ნოზაძე მაშინ მოჰყვა ავტოავარიაში, როდესაც იგი ქუჩაში გადადიოდა შუქნიშანის წითელ შუქზე? შეიძლება თუ არა, რომ სასამართლომ პასუხისმგებლობა დააკისროს ნემსიწვერიძის მშობლებს, თუკი მათ ჩამორთმეული აქვთ მშობლის უფლება?

როგორ გადაწყვეტილებას მიიღებს სასამართლო?

სკვერში საღამო ხანს სეირნობისას თამარ ბ-ს თავს დაესხა ორი მოზარდი და მოსთხოვეს ფულისა და ძვირფასეულობის მიცემა. თამარმა გახსნა ხელჩანთა ვითომდა ფულის ამოსაღებად, მაგრამ ფულის ნაცვლად ამოიღო გაზის იარაღი და ცრემლსადენი გაზი შეასხა თვალებში ერთ-ერთ თავდამსხმელს — კობეშავიძეს. კობეშავიძე უკან გადახტა, დაუცურდა ფეხი და წაქცეულმა თავი

დაარტყა ქვას და დაკარგა გონება. მეორე თავდამსხმელმა – ლომთაძემ სასწრაფოდ დაურეკა კობეშავიძის მშობლებს, თვითონ კი გაიქცა შემთხვევის ადგილიდან. კობეშავიძის მამამ თავისი შვილი იპოვა სკვერში უგონო მდგომარეობაში, რომელსაც ზედ დასტრიალებდა და დახმარებას უწევდა თამარ ბ. კობეშავიძის მამამ შვილი გადაიყვანა საავადმყოფოში, ხოლო შემდეგ კი მივიდა პოლიციის განყოფილებაში, სადაც ბრალი დასდო თამარს მის შვილზე თავდასხმასა და ჯანმრთელობის დაზიანებაში. პოლიციის უფროსის მითითებით თამარი დაკავებულ იქნა, მას ჩამოერთვა გაზის იარაღი, რომლის ტარების ნებართვაც ჰქონდა, თამარი მოთავსებულ იქნა წინასწარი დაკავების საკანში, სადაც მან გაატარა ოცი დღე. კობეშავიძის მამამ სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა თამარისაგან მისი შვილისათვის ჯანმრთელობის დაზიანებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება. თავის მხრივ, თამარმა ორი სარჩელი შეიტანა სასამართლოში. ერთი სარჩელი – პოლიციის განყოფილების მიმართ სისხლის სამართლის პასუხისგებაში უკანონოდ მიცემისათვის მიყენებული მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ, ხოლო მეორე სარჩელი კი კობეშავიძის მამის მიმართ – თავდასხმაში მისი უსაფუძვლოდ ბრალის დადებისა და მისი შვილის მიერ ძვირფასეულობის წართმევის მცდელობის გამო მისთვის მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ.

მართლზომიერია თუ არა თამარის მიერ განხორციელებული მოქმედება თავდამსხმელების მიმართ, რომლებიც ცდილობდნენ მისთვის წაერთმიათ ძვირფასეულობა და ფული?

მართლზომიერია თუ არა კობეშავიძის მამის მოთხოვნა თამარის მიმართ?

მართლზომიერია თუ არა თამარის მოთხოვნები პოლიციის ორგანოსა და კობეშავიძის მამის მიმართ?

როგორ გადაწყვეტილებას მიიღებს სასამართლო?

ნათელა კ. დაავადებული იყო შიზოფრენიით. სახლში თავისი 25 წლის შვილის არყოფნის დროს ნათელას გაუმძაფრდა დაავადება. მან დაიწყო ასანთის ღერების ანთება და აქეთ-იქით გადაყრა. ანთებული ასანთის ღერი დაეცა ნეილონის ნაჭერს, რამაც გამოიწვია ხანძარი. იგი გავრცელდა სულ მოკლე დროში მთელ სახლში და გადავიდა მეზობელ ბინებზეც. ნათელა კ. სასწრაფოდ გამოძახებულმა მეხანძრეებმა სიკვდილს გადაარჩინეს. მეზობელი ბინის მესაკუთრეებმა სარჩელით მიმართეს სასამართლოს და მოითხოვეს ნათელას შვილისაგან მისი დედის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურება, რომელსაც არ შეეძლო რომ გაეცნობიერებინა თავისი მოქმედების მნიშვნელობა. მათ სასამართლოს განუცხადეს, რომ ნათელა არ იყო სასამართლოს მიერ ქმედუნაროდ ცნობილი, მისმა შვილმა მშვენიერად იცოდა დედამისის ფსიქიკური მოშლილობის შესახებ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, იგი მაინც უმეთვალყურედ დატოვა.

მართლზომიერია თუ არა ნათელა კ.-ს შვილის მიმართ მეზობლების მოთხოვნა?

როგორი საშუალებით შეიძლება ანაზღაურდეს მიყენებული ზიანი? რა გადაწყვეტილებას მიიღებს სასამართლო?

თორმეტი წლის გიორგიმ, რომელიც დასასვენებლად იმყოფებოდა ბავშვთა საზაფხულო ბანაკში, მდინარეში გადააგდო გატეხილი მინის ბოთლი, ჯგუფის ხელმძღვანელმა მას ამისათვის შენიშვნა მისცა, თუმცა კი არაფერი იღონა მდინარიდან გატეხილი ბოთლის ამოსაღებად და არც სხვა ბავშვები გააფრთხილა იმის შესახებ, რომ საბანაოდ მდინარეში სხვა ადგილას ჩასულიყვნენ. ბანაობის დროს 14 წლის ლევანმა შემთხვევით ფეხი დააბიჯა გატეხილ

ბოთლს და ფეხი გაიჭრა. ჭრილობა იმდენად ღრმა და მტკივნეული აღმოჩნდა, რომ ლევანი ბანაკში ყოფნის დარჩენილი მთელი ვადის განმავლობაში იძულებული იყო ლოგინში წოლილიყო და ემკურნალა. ბანაკიდან სახლში დაბრუნებისას კი სამი თვე დადიოდა ყავარჯნებით.

ვინ და რა მოცულობით აგებს პასუხს ლევანისათვის მიყენებული ზიანისათვის? შეუძლია თუ არა ლევანს მოსთხოვოს ჯგუფის ხელმძღვანელს მორალური ზიანის ანაზღაურება?

პასუხი №310

მ. ბადრიძე მუშაობდა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში მეცნიერ-მუშაკად. სამსახურში შესვენების დროს ბადრიძეს ანთებული სიგარეტი ჰქონდა პირში და თან გაფუჭებულ სანთებელას აკეთებდა. სანთებელის გაკეთებისას მან პერანგზე შემთხვევით გადაისხა ბენზინი. მოულოდნელობისაგან ბადრიძეს გაუვარდა პირიდან სიგარეტი და დაეცა ბენზინით დასვრილ პერანგზე, რომელიც სწრაფად ააღდა. ბადრიძე ყვირილით გავარდა სამუშაო ოთახიდან და გაიქცა წყლის ონკანისაკენ. ინსტიტუტის დირექტორმა გოგოლაძემ დაინახა რა, რომ ბადრიძეს ტანსაცმელზე ცეცხლი ეკიდა, მას შემოახვია თავისი ძვირადღირებული პიჯაკი და ჩააქრო ცეცხლი, თუმცა კი პიჯაკი შემდგომში გამოუსადეგარი გახდა ჩასაცმელად.

აქვს თუ არა გოგოლაძეს უფლება, რომ ბადრიძეს მოსთხოვოს პიჯაკის დაზიანებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება?

საავტომობილო მაგისტრალის მშენებლობისას ასაფეთქებელ სამუშაოთა წარმოების დროს წარმოქმნილი ასაფეთქებელი ტალღის ზემოქმედების შედეგად დაზიანდა ი. კობაიძის კუთვნილი საცხოვრებელი სახლი – ჩამონგრეა სახურავი, დასკდა კედლები, სახლის ფუნდამენტი შეირყა და სახლმა გადაიწია ერთ მხარეზე. ექსპერტიზის შედეგად დადგინდა, რომ სახლი გამოუსადეგარი გახდა საცხოვრებლად და მის შეკეთებას დასჭირდებოდა 25 000 ლარი. სპეციალიზებულმა სამმართველომ, რომელიც ქვემენარდის სახით ახორციელებდა ასაფეთქებელ სამუშაოებს, უარი განაცხადა ზიანის ანაზღაურებაზე იმ მოტივით, რომ მის მიერ მიღებული იყო ასაფეთქებელი სამუშაოების წარმოებისას უსაფრთხოების ყველა ღონისძიება. მაგრამ იგი აფეთქებებს აწარმოებდა გენერალური მენარდის მიერ გაკეთებული გათვლების მიხედვით (უსაფრთხო დასაშვები მანძილი, ასაფეთქებელი ტალღის ძალა, აფეთქების სეისმური ზემოქმედება, სახიფათო ზონაში არსებული სახლების კონსტრუქციული თავისებურებები და ა.შ.). ამიტომაც, რადგან გათვლებში შეცდომა დაუშვა გენერალურმა მენარდემ, შესაბამისად, მან უნდა აანაზღაუროს სახლის შეკეთების ხარჯები.

როგორ გადაეწყვიტოს დავა?

ათკაციანი ტურისტული ჯგუფი ფეხით გაემგზავრა საქართველოს მთიანეთის დასათვალსაზრისად. მოგზაურობის დროს ერთ-ერთმა ტურისტმა მოიტეხა ფეხი და საჭირო შეიქნა მისი სასწრაფოდ საავადმყოფოში გადაყვანა. საავადმყოფოში გადასაყვან უმოკლეს გზას წარმოადგენდა მდინარის მეორე ნაპირზე გადასვლა. ჯგუფის ხელმძღვანელმა ლომიძემ ერთ-ერთ დასახლებულ პუნქტთან შენი-

შნა ჯგუფით დაბმული მოტორიანი ნავი, რომლის პატრონიც ადგილზე არ იმყოფებოდა. ლომიძემ დაიხმარა ორი ტურისტული ნემსაძე და ძნელაძე, გატეხეს ბოქლომი და ნავით გადაიყვანეს დაშავებული ტურისტული მდინარის მეორე ნაპირას, მოათავსეს საავადმყოფოში, სადაც ტურისტს ჩაუტარდა სასწრაფო ქირურგიული ოპერაცია, რითაც თავიდან იქნა აცილებული განგრენის დაწყება; უკან დაბრუნებისას ნავი შეეჯახა მდინარეში ამოშვერილ ქვის ლოდს და დაზიანდა; ნავის მესაკუთრე კირვალიძემ ლომიძეს მოსთხოვა ნავის შეკეთებისათვის 1000 ლარის გადახდა. ლომიძემ უარი განაცხადა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე იმ მოტივით, რომ ნავი გამოიყენა იმისათვის, რათა დაშავებული მეგობარი სასწრაფოდ გადაეყვანა საავადმყოფოში და თავიდან აეცილებინა მისი ფეხის ამპუტაცია, ხოლო ნავი კი დაზიანდა შემთხვევით, მისი ბრალის გარეშე.

კირვალიძემ სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა ლომიძისაგან ნავის დაზიანების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება 1000 ლარის ოდენობით. სასამართლომ საქმეში თანამოპასუხეებად ჩააბა ნემსაძე და ძნელაძე, სარჩელი დააკმაყოფილა ნაწილობრივ და ნემსაძეს, ძნელაძესა და ლომიძეს დააკისრა სოლიდარულად კირვალიძის სასარგებლოდ 500 ლარის გადახდა.

სწორი გადაწყვეტილება მიიღო თუ არა სასამართლომ?

ქ ა ზ უ ს ი № 313

ი. მხეიძე მიცემულ იქნა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში და გასამართლებულ იქნა თანამდებობრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებისათვის. შემდგომში განაჩენი გაუქმდა და ი. მხეიძის მიმართ სისხლის სამართლის საქმე შეწყდა მისი ქმედებაში დანაშაულის შემადგენლობის ნიშნების არარსებობის გამო. თავისუფლების აღკვეთის ადგილიდან დაბრუნების შემდეგ ი. მხეიძემ სარ-

ჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა მისი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში უკანონოდ მიცემის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება (მიუღებელი ხელფასი, ადვოკატის მომსახურების ხარჯები), გარდა ამისა, მან მოითხოვა გამოძიების პროცესში ამოღებული ობლიგაციებისა და ფულადი თანხის უკან დაბრუნება. საქმის განხილვის დროს მხეიძემ დამატებით მოითხოვა ასევე მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურება 50 000 ლარის ოდენობით.

**ვის მიმართ შეიტანება სარჩელი აღნიშნულ შემთხვევაში?
როგორ გადაწყვეტილებას მიიღებს სასამართლო?**

კ ა ზ უ ს ს ი № 314

სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით ზ. ბაქრაძე ცნობილი იქნა დამნაშავედ იმაში, რომ მართავდა რა არაფხიზელ მდგომარეობაში ბენზინმზიდს, მან ვერ დაიმორჩილა საჭე და შეეჯახა საპირისპიროდ მომავალ სატვირთო ავტომანქანას, რის შედეგადაც ძლიერ დაშავდა სატვირთო ავტომანქანის მძღოლი, ხოლო ბენზინმზიდიდან კი დაიღვარა ორი ტონა ბენზინი. მიუხედავად იმისა, რომ დაღვრილმა ბენზინმა დატბორა გზის სავეალი ნაწილი, ზ. ბაქრაძემ არავითარი ზომები არ მიიღო, გაეფრთხილებინა სხვა ავტომანქანების მძღოლები საფრთხის შესახებ და მიიმალა შემთხვევის ადგილიდან. გზაზე მომავალმა ავტომანქანა ნივის მძღოლმა ვერ შენიშნა დაღვრილი ბენზინი, დაღმართზე ჩასვლისას დაამუხრუჭა ავტომანქანა, რომელიც სველ გზაზე მარცხნივ შებრუნდა, გადავიდა სავეალი ნაწილიდან და შეეჯახა ლამპიონის ბოძს. ავტომანქანა ნივის მძღოლმა, გედენიძემ მიიღო სხეულის მსუბუქი დაზიანება, ხოლო მანქანა მწყობრიდან გამოვიდა და მის შეკეთებას დასჭირდა 1000 ლარი. გედენიძემ სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა მსჯავრდებულ ზ. ბაქრაძისაგან ავტომანქანის

დაზიანების შედეგად მიყენებული მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურება.

როგორ გადაწყვეტილებას მიიღებს სასამართლო?

ქ ა ზ უ ს ი № 315

ა. მაკარიძე ლაბორანტად მუშაობდა ფარმაცოლოგიურ კომბინატში, რომელიც უშვებდა ნარკოტიკული საშუალებების შემცველ სამკურნალო პრეპარატებს. მაკარიძემ მზა პროდუქციის საწყობიდან მოიპარა ნარკოტიკული საშუალებების რამდენიმე შეკვრა. მაკარიძე ხშირად ჩხუბობდა თავის ცოლთან და ერთხელ, მორიგი ჩხუბის შემდეგ, მიიღო ნარკოტიკული საშუალებების დიდი დოზა და ძლიერი ნარკოტიკული ეიფორიის მდგომარეობაში მყოფი, დაჯდა თავისი ავტომანქანის საჭესთან, რომელიც გაჩერებული ჰყავდა ღია ავტოსადგომზე. უწესრიგო მოძრაობის შედეგად მაკარიძემ დააზიანა ავტოსადგომზე გაჩერებული სამი ავტომანქანა, რომელთა მესაკუთრეებმაც სარჩელით მიმართეს სასამართლოს და მოითხოვეს მაკარიძისაგან მანქანების დაზიანებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება. სასამართლომ სარჩელი არ დააკმაყოფილა იმ მოტივით, რომ ჩატარებულმა სამედიცინო ექსპერტიზამ დაადგინა – მაკარიძე ზიანის მიყენების მომენტში იმყოფებოდა არაქმედუნარიანობის (დროებითი სულიერი მოშლილობის) მდგომარეობაში.

სწორი გადაწყვეტილება მიიღო თუ არა სასამართლომ?

კახუსი №316

მიწისქვეშა გადასასვლელში ჩასვლისას ო. ბადრიძემ ფეხი დაადგა დაზიანებული კიბის საფეხურს, ვერ შეიკავა თავი, წაიქცა და მოიტეხა მარჯვენა ხელი. მან დასახმარებლად მიმართა საავადმყოფოს, სადაც მას გაუკეთეს ქირურგიული ოპერაცია, რის გამოც ბადრიძე ოცი დღის განმავლობაში იწვა სახლში და მკურნალობდა. გამოჯანმრთლების შემდეგ ბადრიძემ სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა იმ ორგანიზაციისაგან, რომელსაც ევალეზობდა მიწისქვეშა გადასასვლელის ჯეროვან მდგომარეობაში მოყვანა, მიყენებული მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურება.

როგორ გადაწყვეტილებას მიიღებს სასამართლო?

კახუსი №317

კონსერვატორიის ვოკალის ჯგუფის მასწავლებელი ი. გომართელი დაავადდა გრიპით, რამაც გამოიწვია მისი ხმის იოგების ანთება. გომართელი სამკურნალოდ მივიდა სამედიცინო კლინიკაში. კლინიკის მედპერსონალმა ისე, რომ არ შეამოწმა ავადმყოფის ორგანიზმზე სამკურნალო საშუალებების შესაძლო ზემოქმედება, დაუნიშნა მას სხვადასხვა წამალი და ჩაუტარა მკურნალობის კურსი, რასაც შედეგად მოჰყვა ის, რომ ი. გომართელმა საერთოდ დაკარგა მუსიკალური სმენა და აღარ შეეძლო თავისი პროფესიით მუშაობა. ი. გომართელმა სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა სამედიცინო კლინიკისაგან პროფესიული შრომისუნარიანობის დაკარგვის შედეგად მიყენებული მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურება.

როგორ გადაწყვეტილებას მიიღებს სასამართლო?

შპს „ტექნიკის“ მისამართით ჩეხეთიდან ჩამოვიდა დიდი რაოდენობის ღამის თვალთვალის ხელსაწყოები. შპს „ტექნიკის“ წარმომადგენლებმა მიმართეს საბაჟო სამსახურს, რათა მას მოეხდინა ჩამოსული ხელსაწყოების განბაჟება და მათთვის გადაცემა. რაზედაც საბაჟო სამსახურმა უარი განაცხადა იმ მოტივით, რომ საქართველოს ტერიტორიაზე თავისუფალ გაყიდვაში ღამის თვალთვალის ხელსაწყოების გაყიდვად საჭირო იყო თავდაცვის სამინისტროს ნებართვა. თავდაცვის სამინისტრომ თანხმობა გასცა ტვირტის ჩამოსვლიდან მხოლოდ ხუთი თვის გასვლის შემდეგ. ასეთი დაგვიანების გამო შპს „ტექნიკამ“ დიდი ზარალი განიცადა, რამეთუ ვერ მიაწოდა თავის კონტრაგენტებს ჩამოსული ხელსაწყოები თავისდროულად, რამაც გამოიწვია მათთვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს გადახდა და დაკვიანებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

შპს „ტექნიკამ“ სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა საბაჟო სამსახურისა და თავდაცვის სამინისტროსაგან ხელსაწყოების დაგვიანებით გადაცემით მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურება.

როგორ გადაწყვეტილებას მიიღებს სასამართლო?

ოთხმეტი წლის ილია შუქრიძის გაუფრთხილებლობის გამო განსდა ხანძარი, რის შედეგადაც დაიწვა ოთხი ავტოფარეხი, მათ შორის ცოლ-ქმარ ღეონიძეების კუთვნილი ავტოფარეხი, მანქანა და სხვა ქონება. საქმის გარემოებების გარკვევის შედეგად დადგინდა, რომ ერთ-ერთი დამწვარი ავტოფარეხის მესაკუთრემ — რუხაძემ მივლინებაში წასვლასთან დაკავშირებით ილიას სთხოვა, რომ მოკვლეო ავტოფარეხში მყოფი კურდღლებისათვის და მისი არყოფ-

ნის დროს ეჭმია მათთვის. ავტოფარეხში. კურდღლების გარდა, იყო ასევე მინიმოტოციკლეტი და სწრაფადააღებული ნივთიერებები. ილია შეეცადა აემუშაებინა მინიმოტოციკლეტი, რომლისგანაც გამოცე- ნილი ნაპერწკლები დაეცა ბენზინით დასვრილ ავტოფარეხში დაგლე- ბულ ქსოვილის ნაჭერს. რამაც გამოიწვია ხანძარი. ყველა დაზ- არალებულმა და მათ შორის ილიას მშობლებმაც კარგად იცოდნენ, რომ ილიას ჩაბარებული ჰქონდა ავტოფარეხი და იქ ატარებდა დროის დიდ ნაწილს.

ლენინიძეებმა სარჩელით მიმართეს სასამართლოს და მოითხოვეს ილიას მშობლებისაგან მათთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება, სასამართლომ დააკმაყოფილა სარჩელი.

სწორი გადაწყვეტილება მიიღო თუ არა სასამართლომ?

კავსისი №320

საბავშვო მოედანზე თამაშის დროს 12 წლის ანდრო ბერიძემ შემთხვევით თვალში მორატყა ქვა ათი წლის გიორგის. მკურნალობის შედეგად გიორგიმ დაკარგა მხედველობა მარჯვენა თვალში. გიორგის მამამ სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა ანდროს მშობლებისაგან მისი შვილის მკურნალობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება (მოვლა, კვება, თვალის პროთეზი). ანდროს მამამ უარი განაცხადა ზიანის ანაზღაურებაზე იმ მოტივით, რომ განქორწინებულია ანდროს დედასთან. ცხოვრობს მათგან მოშორებით, უხდის ალიმენტს და, შესაბამისად, პასუხს არ აგებს შვილის საქციელისათვის. ანდროს დედამაც უარი განაცხადა ზიანის ანაზღაურებაზე იმ მოტივით, რომ მას ბრალი არ მიუძღვის იმაში, რომ მისმა შვილმა ზიანი მიაყენა მოსარჩელის შვილს. რამეთუ იგი ამ დროს იმყოფებოდა სხვა ქალაქში ნათესავის დაკრძალვაზე.

როგორ გადაწყვეტილებას მიიღებს სასამართლო?

კანონი №321

სულით ავადმყოფმა ა. ზაბახიძემ თავის მეზობელს მენაბდეს დაუზიანა ქონება, რის შედეგადაც მენაბდემ განიცადა 500 ლარის ზიანი. მენაბდემ სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა ზაბახიძის დედისაგან 500 ლარის გადახდა იმ მოტივით, რომ იგი არაჯეროვან ზედამხედველობას უწევდა თავის ავადმყოფ შვილს. სასამართლოში საქმის განხილვისას დადგინდა, რომ, ვერ ერთი, ზაბახიძე არ იყო ცნობილი ქმედუნაროდ კანონით დადგენილი წესით და, მეორე, ზაბახიძის დედა მისი შვილის მიერ ზიანის მიყენების დროს იყო ძლიერ ავად და იმყოფებოდა საავადმყოფოში სტაციონარულ მკურნალობაზე, რის გამოც ა. ზაბახიძეზე ზედამხედველობას ახორციელებდა მისი უფროსი და, რომელიც სტუმრად ჩამოვიდა სხვა ქალაქიდან.

რა გადაწყვეტილებას მიიღებს სასამართლო?

კანონი №322

ჩვიდმეტი წლის გიორგი №-მ თავისი მეგობრის — დათოს დაუქოხნავად წაიყვანა ამ უკანასკნელის საკუთარი ავტომანქანა. სეირნობის დროს გიორგიმ ვერ დაიმორჩილა ავტომანქანის საჭე და შეეჯახა ხის ბოძს, რის შედეგადაც მანქანა მნიშვნელოვნად დაზიანდა. დათომ სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა გიორგის მშობლებისაგან ავტომანქანის დაზიანების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება. სასამართლომ ზიანის ანაზღაურება დააკისრა გიორგის მშობლებს იმ მოტივით, რომ გიორგის ხელფასი არ არის საკმარისი ზიანის ასანაზღაურებლად, თანაც გიორგის მშობლებს კანემარტა, რომ მათ უფლება აქვთ რეგრესის წესით მოითხოვონ შეძღვეში გიორგისგან დაზარალებულთა სასახის მათ მიერ გადახდილი თანხა, როცა გიორგი სრულწლოვანი გახდება.

სწორი გადაწყვეტილება მიიღო თუ არა სასამართლომ?

თექვსმეტი წლის ლევანმა თავის მამასთან, არჩილთან ერთად, რომელიც სასამართლოს მიერ ცნობილი იყო შეზღუდულქმედუნარიანად, სცემეს ზვიად ბაკურაძეს. ცემის შედეგად ჯანმრთელობის დაზიანების გამო ზვიადი ცნობილ იქნა მეორე ჯგუფის ინვალიდად. არჩილი მიცემულ იქნა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში. ზვიადმა მიმართა სარჩელით სასამართლოს და მოითხოვა ლევანის დედისაგან – თამარისაგან ჯანმრთელობის დაზიანებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება. სასამართლომ დააკმაყოფილა სარჩელი.

სწორი გადაწყვეტილება მიიღო თუ არა სასამართლომ?

ხელოვნების მოღვაწეთა კავშირის წევრთა საერთო კრებაზე გ. ნოზაძემ ბრალი დასდო კავშირის გამგეობის თავმჯდომარეს იმაში, რომ იგი არამიზნობრივად ხარჯავს კავშირის წევრთა საწევრო შენატანებს, უარს აცხადებს კავშირის ფინანსურ საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაციის გაცემაზე და ა.შ. მეორე დღეს კრებაზე გამოსვლის გამო გ. ნოზაძეს სასტიკად სცემა კავშირის გამგეობის თავმჯდომარის ძმამ, რომელიც იმყოფებოდა არაფხიზელ მდგომარეობაში. მიღებული დაზიანებების შედეგად ნოზაძემ ნაწილობრივ დაკარგა შრომისუნარიანობა და განიცადა მატერიალური ზიანი. ნოზაძემ სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა გამგეობის თავმჯდომარისა და მისი ძმისგან ჯანმრთელობის დაზიანების შედეგად მიყენებული მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურება. სასამართლომ დააკმაყოფილა სარჩელი და მოპასუხეებს დააკისრა სოლიდარული პასუხისმგებლობა.

სწორი გადაწყვეტილება მიიღო თუ არა სასამართლომ?

კაზუსი №325

დალი ცეცხლაძე, რომელიც სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში მუშაობდა მთავარ სპეციალისტად, დილით მიდიოდა სამსახურში. ავტობუსის გაჩერებაზე მდგომ დალის მოულოდნელად დაეცა გზაზე ჩავლილი ავტომანქანიდან გადმოვარდნილი მძიმე ლითონის საგანი. მიღებული დაზიანებების შედეგად დალის შეუმცირდა შრომის უნარი 70%-ით და ცნობილ იქნა პირველი ჯგუფის ინვალიდად. დალიმ მიმართა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექციას და მოითხოვა ჯანმრთელობის დაზიანებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება. დირექციამ უარი განაცხადა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე იმ მოტივით, რომ ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენება არ არის დაკავშირებული შრომითი მოვალეობების შესრულებასთან და, შესაბამისად, ზიანი უნდა აანაზღაუროს იმ ავტომანქანის მძღოლმა, რომლის მანქანიდანაც გადმოვარდა ლითონის საგანი.

როგორ გადაეწყვიტოს დავა?

კაზუსი №326

ი. მინდაძემ სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა პროკურატურისაგან და შინაგან საქმეთა სამინისტროსაგან ორმოცი ათასი ლარის გადახდა თითოეულისაგან 20-20 ათასი ლარის ოდენობით. თავის სასარჩელო მოთხოვნას მინდაძე იმით ასაბუთებდა, რომ იგი მიცემულ იქნა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში ზულიგნობისათვის და აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა ჯერ წინასწარი პატიმრობა, შემდეგ კი გაუსვლელი ხელწერილი, მაგრამ შემდგომში მის მიმართ სისხლის სამართლის საქმე შეწყდა ამნისტიის გამო. სასამართლომ დააკმაყოფილა მინდაძის სასარჩელო მოთხოვნა ნაწილობრივ და შინაგან საქმეთა სამინისტროსაგან ორმოცი ათასი ლარის გადახდა მოითხოვა.

ტროს დააკისრა მის სასარგებლოდ 20000 ლარის გადახდა, ხოლო პროკურატურა კი ცნო არასათანადო მხარედ.

სწორი გადაწყვეტილება მიიღო თუ არა სასამართლომ?

ქაზუსი №327

ხის გადამამუშავებელ საამქროში მომუშავე ბ. მუმლაური საამქროს დირექტორმა გამცილებლად გააყოლა დამზადებულ პროდუქციას სხვა ქალაქში. უკან დაბრუნებისას მუმლაურმა შენიშნა ტბა და შეჩერდა დასასვენებლად. მან გადაწყვიტა ებანავა ტბაში, შეარჩია მომადლებული ადგილი და გადახტა თავით, მაგრამ ტბა არცთუ ისე ღრმა აღმოჩნდა, მუმლაური კისრით დაეჯახა ტბის ქვიან ფსკერს და ადგილზევე გარდაიცვალა. მუმლაურის მეუღლემ სარჩელი აღძრა ხის გადამამუშავებელი საამქროს მიმართ მარჩენალის გარდაცვალებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ იმ მოტივით, რომ გარდაცვლილი ქმრის კმაყოფაზე იმყოფებოდნენ არასრულწლოვანი შვილი და მოხუცი მშობლები, რომლებსაც მარჩენალი ყოველთვიურად უხდიდა 100-100 ლარს. მოპასუხემ უარი განაცხადა სარჩელის დაკმაყოფილებაზე იმ მოტივით, რომ მუმლაურთან დაკავშირებული უბედური შემთხვევა მოხდა მისი ბრალით, რაც იმაში გამოიხატა, რომ იგი საბანაოდ გადახტა ტბაში უცნობ ადგილას და ამიტომაც მომხდარი უბედური შემთხვევა არ არის დაკავშირებული სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან.

როგორ გადაწყვეტილებას მიიღებს სასამართლო?

ქეთევან კერესელიძემ სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა ფირმა „აგროტექნიკისაგან“ მარჩენალის გარდაცვალებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება. თავის სასარჩელო მოთხოვნას ქეთევანი იმით ასაბუთებდა, რომ მოპასუხის კუთვნილი ავტომანქანის შეჯახების შედეგად გარდაიცვალა მისი ქმარი, რომლის კმაყოფაზეც იმყოფებოდნენ მოხუცი დედა და ორი შვილი – 9 და 12 წლის. გარდა ამისა, ქმრის გარდაცვალებიდან ორი თვის შემდეგ მას შეეძინა მესამე შვილიც. მოპასუხემ უარი განაცხადა აენაზღაურებინა ზიანი იმ მოტივით, რომ მისი გადახდა მხოლოდ მძღოლს ეკისრებოდა, რომელიც მართავდა შეჯახების მომენტში ფირმის კუთვნილ ავტომანქანას, ხოლო სასამართლომ მას რომც დააკისროს ანაზღაურების ვალდებულება, იგი სარჩოს მაინც არ გადაუხდის გარდაცვლილი მარჩენალის მესამე შვილს, რადგან იგი დაიბადა მამის გარდაცვალების შემდეგ.

როგორ გადაწყვეტილებას მიიღებს სასამართლო?

სატვირთო ავტომობილთან ტრამვაის შეჯახების შედეგად ი. ყავლაშვილი, რომელიც იდგა ტრამვაის უკანა კარებთან, გადმოვარდა გაღებულ კარიდან და მოიტეხა ორივე ფეხი. საავადმყოფოდან გამოწერის შემდეგ ყავლაშვილმა სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა სატრანსპორტო გაერთიანებისაგან, რომელსაც ტრამვაი ეკუთვნოდა, ჯანმრთელობის დაზიანებით მიყენებული მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურება. სასამართლოში საქმის განხილვისას დადგინდა: შეჯახება მოხდა იმის გამო, რომ გზაჯვარედინზე მიმავალ სატვირთო ავტომანქანას მოულოდნელად ჩაუქრა ძრავა და გაჩერდა ტრამვაის რელსებზე. ამიტომაც სა-

ტრანსპორტო გაერთიანებამ ზიანის ანაზღაურებაზე უარი განაცხადა იმ მოტივით, რომ ყავლაშვილის მიმართ მომხდარი უბედური შემთხვევა არის შედეგი იმისა, რომ სატვირთო ავტომანქანის მძღოლმა უხეშად დაარღვია ტრანსპორტის მოძრაობისა და ექსპლოატაციის უსაფრთხოების წესები და, შესაბამისად, მან უნდა აანაზღაუროს მიყენებული ზიანი. საქმეში თანამოპასუხედ ჩაბმულმა ავტომანქანის მძღოლმაც უარი განაცხადა ზიანის ანაზღაურებაზე იმ მოტივით, რომ მას ბრალი არ მიუძღვის მანქანის ძრავის მოულოდნელად დაზიანებაში.

როგორ გადაწყვეტილებას მიიღებს სასამართლო?

ქ ა ზ უ ს ი № 330

მ. მელაძე, რომელიც მართავდა სამსახურებრივ ავტომანქანას არასამუშაო საათებში შეეჯახა ფეხით მოსიარულე ბ. ხმალაძეს, რის შედეგადაც ამ უკანასკნელმა მიიღო სხეულის დაზიანება და ცნობილ იქნა მეორე ჯგუფის ინვალიდად. დადგინდა, რომ მელაძემ არასამუშაო საათებში თვითნებურად გამოიყვანა სამსახურებრივი ავტომანქანა იმ მიზნით, რომ მეზობლისათვის აგარაკზე გადაეტანა ავეჯი. ხმალაძემ სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა იმ ქარხნისაგან, რომელსაც ეკუთვნოდა მომეტებული საფრთხის წყარო, მიყენებული ზიანის ანაზღაურება. ქარხანამ სარჩელი არ ცნო იმ მოტივით, რომ მელაძის მიერ ზიანი მიყენებულია არასამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას და, შესაბამისად, ზიანი უნდა აანაზღაუროს უშუალოდ თვითონ მან. სასამართლომ დააკმაყოფილა სარჩელი და მ. მელაძესა და ქარხანას დააკისრა სოლიდარული პასუხისმგებლობა.

სწორი გადაწყვეტილება მიიღო თუ არა სასამართლომ?

დ. ნიკურაძე მართავდა შპს „ტექნიკის“ კუთვნილ ტექნიკურად გამართულ ავტომანქანას საჯარო მოძრაობის წესების სრული დაცვით. მოულოდნელად გზის საკ. უ ნაწილზე გადმოვიდა არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფი მოქალ. ქ. იმისათვის, რომ თავიდან აეცილებინა მასთან შეჯახება, ნიკურაძე იძულებული შეიქნა მკვეთრად მიე-ბრუნებინა მანქანა მარცხნივ, რის შედეგადაც მანქანა ამობრუნდა, გაიტანა ფეხით მოსიარულე ნასვამ მდგომარეობაში მყოფი მო-ქალაქე, რომელმაც შექმნა საავარიო სიტუაცია და, გარდა ამისა, დაეჯახა ტროტუართან აკრძალულ ადგილას გაჩერებულ ბ. პეტრი-აშვილის ავტომანქანას. პეტრიაშვილმა სარჩელით მიმართა სასა-მართლოს და მოითხოვა შპს „ტექნიკისაგან“ ავტომობილის და-ზიანების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება. ავტოტექნი-კურმა ექსპერტიზამ დაადგინა, რომ ნიკურაძეს არ ჰქონდა არავი-თარი ტექნიკური შესაძლებლობა იმისათვის, რომ თავიდან აეცილებინა მოქალაქესთან და ავტომანქანასთან შეჯახება.

როგორ გადაწყვეტილებას მიიღებს სასამართლო?

ნ. მერაბიშვილი შპს „ტექნიკის“, რომელიც სპეციალიზებული იყო ტვირთების გადასაზიდვად, კუთვნილი სატვირთო ავტომანქანით ახორციელებდა ტვირთის გადაზიდვას თბილისიდან ბათუმში. გორ-ში შესვლისას მერაბიშვილმა მანქანაში ჩაისვა ავტობუსის გაჩერე-ბაზე მდგომი ო. კირვალიძე მისი თხოვნით, რომელიც მიემგზავრე-ბოდა სამტრედიისში. მგზავრობისას მერაბიშვილმა კირვალიძესთან საუბრისას უხეშად დაარღვია გასწრების წესები და შეეჯახა სა-პირისპირო მიმართულებით მოძრავ მსუბუქ ავტომანქანას. შეჯახე-ბის შედეგად მერაბიშვილი და კირვალიძე მძიმედ დაშავდნენ, ხოლო

მსუბუქი ავტომანქანის მძღოლი კი ადგილზევე დაიდუპა. კირვალ-
იძემ გამოჯანმრთელების შემდეგ სარჩელით მიმართა სასამართლოს
და მოითხოვა შპს „ტექნიკისაგან“ ჯანმრთელობის დაზიანებით მიყ-
ენებული ზიანის ანაზღაურება. სასამართლოს სარჩელით მიმართა
გარდაცვლილი მძღოლის მეუღლემ და მოითხოვა მერაბიშვილისა-
გან მარჩენალის დაკარგვის გამო მიყენებული ზიანისა და დაკრძა-
ლვის ხარჯების ანაზღაურება.

როგორ გადაწყვეტილებას მიიღებს სასამართლო?

ქ ა წ უ ს ი № 332(ა)

ლ. ხომერიკს საკუთარი სატვირთო ავტომანქანით გადაჰქონდა
სწრაფადააღებადი ტვირთი. იმ დროს, როდესაც ავტომანქანა მი-
უახლოვდა ხალხმრავალ გზაჯვარედინს, ხომერიკს მოუვიდა გუ-
ლის ინფარქტი და მან დაკარგა გონება. მართვადაკარგული ავტო-
მანქანა დიდი სიჩქარით შეეჯახა გზაჯვარედინზე მწვანე შუქნიშ-
ნის შუქზე მიმავალ ავტომანქანას. შეჯახების შედეგად აფეთქდა
სწრაფადააღებადი ნივთიერებები, რომლებიც მოთავსებული იყო
ხომერიკის ავტომანქანის საბარგულზე. აფეთქების შედეგად გამოწვეუ-
ლი ხანძრის შედეგად რამდენიმე ფეხით მოსიარულემ მიიღო სხეუ-
ლის ძლიერი დამწვრობა, ხოლო უკან მომავალი ავტომანქანები კი
მნიშვნელოვნად დაზიანდნენ.

**წარმოიშობა თუ არა მოცემულ შემთხვევაში ზიანის ანაზღაუ-
რების ვალდებულება?**

ა. ბორჯაძემ პროფილაქტიკაში შესაკეთებლად მიიყვანა თავისი საკუთარი ავტომანქანა. სამი დღის შემდეგ ბორჯაძემ ავტომანქანა წამოიყვანა პროფილაქტიკიდან და პირდაპირ გაემგზავრა აგრარულ ბაზარში ოჯახისათვის პროდუქტების შესაძენად. მგზავრობისას ავტომანქანას მოულოდნელად მოძვრა წინა მარჯვენა ბორბალი, რომელიც ავარდა ტროტუარზე და დაეჯახა ფეხით მოსიარულე ნემსაძეს. ნემსაძე ბორბლის დაჯახების შედეგად დაეცა ტროტუარზე, მიიღო სხეულის დაზიანება და ცნობილ იქნა მეორე ჯგუფის ინვალიდად. ავტოტექნიკური ექსპერტიზის ჩატარების შედეგად დადგინდა, რომ ბორბლის გამოძრობა გამოიწვია იმან, რომ პროფილაქტიკის მუშაკებმა არაკეთილსინდისიერად შეასრულეს სარემონტო სამუშაოები.

ვინ უნდა აუნაზღაუროს ნემსაძეს ჯანმრთელობის დაზიანებით მიყენებული ზიანი?

რეკომენდებული ლიტერატურა

1. საქართველოს კონსტიტუცია, თბ., 1995.
2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, გამომც. „სამართალი“, 1997.
3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, წიგნი III, IV, „სამართალი“, 2001.
4. ზ. ახვლედიანი, „ვალდებულებითი სამართალი“, გამომც. „სამართალი“, 1999.
5. შ. ჩიკვაშვილი, „მორალური ზიანი სამოქალაქო სამართალში“, გამომც. „მერიდიანი“, 2000.
6. რ. შენგელია, „თხოვებისა და სესხის სამართლებრივი ბუნება“, გამომც. „მერიდიანი“, 1999.
7. თ. ჩიტოშვილი, „საიჯარო ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირება“, გამომც. „მერიდიანი“, 2000.
8. ლ. ჭანტურია, „საკუთრება როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება“ გამომცემლობა „სამართალი“ 2000წ.
9. М. Брагинский, В. Витрянский, „Договорное право“, М., 2000.
10. Агарков М.М. „Обязательство по сов. гражданскому праву“, 1987.
11. Иоффе О.С. „Обязательственное право“, М., 1975.
12. Новицкий И.Б. Лунц Л.А. „Общее учение об обязательстве“, М., 1950.
13. Смирнов В.Т., Собчак А.А. „Общее учение о деликатных обязательствах в сов. гражданском праве“, Л., 1983.
14. Толстой В.С. „Исполнение обязательств“, М., 1973.
15. Грибанов В.П. „Ответственность за нарушение гражданских прав и обязанностей“, М., 1979.
16. Гражданское и торговое право капиталистических государств, М., 1993.
16. Сарбаш С. „Способы обеспечения исполнения обязательств“, М., 1995.

- Кабалкин А.Ю. „Гражданско-правовой договор в сфере обслуживания“, М., 1980.
18. Калачева С.А. „Арендные сделки“, М., 1996.
 19. Сиротина И.А. „Подряд“, М., 1997.
 20. Захарова Н.Н. „Кредитный договор“, М., 1996.
 21. Ефимова Л.Г. „Банковское право“, М., 1994.
 22. Фленшиц Е.А. „Обязательства из причинения вреда и из неосновательного обогащения“, М., 1951.
 23. Шевченко А.С. „Возмещение вреда, причиненного правомерными действиями“, Владивосток, 1989.
 24. Годэмэ Е. „Общая теория обязательств, перевод с французского“, 1948.
 25. Oser, Das Obligationenrechts.
 26. Das allgemeine burgerliche gesetzbuch, herausgegeben von Rudolf Kerman.
 27. A. von Tuhr, Allgemeiner Teil des Schweizerischen Obligationenrechts.
 28. Karl Wolff „Grundriss des osterreichischen burgerlichen Rechts“.

გამომცემლობის რედაქტორი მ. ჩიკვილაძე
ტექ. რედაქტორი ი. ნაეროზაშვილი
კორექტორი მ. კილაძე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 27 II 2001
საბეჭდი ქაღალდი 60X84 1/16
პირობითი ნაბეჭდი თაბახი 16,5
სააღრ.-საგამომც. თაბახი 14,45
შეკვეთის № 121 ტირაჟი 500

გამომცემლობა „მერიდიანი“
თბილისი აკ. წერეთლის 112.